

ԳՆԱՆՔԻ ԵՐԿՐԱՆԵՐԸ

1976 2

2/1976

საბჭოთა ხელოვნება

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
ყოველთვიური ჟურნალი

შინაარსი

ლევან ფრუიძე — ცხრიკების კანონები	2
მრგვალი მაგილა. გამოფენა „ღიღობა შრომას“	10
კოტე ნინიაშვილი — არჩილ ჩხატარაშვილი	25
ინტარკიშ არჩილ ჩხატარაშვილთან	29
„ბაში“	30
ანზორ ერქომაიშვილი — ბურული სიმღერა	32
ვახტანგ ბერაძე — ბავშვთათვის სიტყვა	42
თენგიზ კვიციანი — ისტორიული ამგალი და თანამედროვეობა	44
გივი გვიგუშვილი — ბულაბაბის ბახსინება	55
მრგვალი მაგილა. ქუთაისის საოპერო თეატრი	58
პლატონი — სუკრატეს პარაფრაზი (თარგმანი და წინათქმა ბაჩანა ბრეგვაძისა)	68
ტარიელ ხავთაძი — „მ. ი. ლინინი და აინოს საპიტხიბაი“	82
შოთა ხოდაშვილი — ამთილ-შობილური საამბო	84
ანტონ ჩეხოვი — სამი და (თარგმანი და შესავალი წერილი ლულა სულხანიშვილისა)	86
ბრონიკა	113

**თეატრი
გუსიკა
მხატვრობა
კინო
არქიტექტურა
პორტოგრაფია**

მთავარი რედაქტორი:
თამაზ შილაძე


სარედაქციო კომიტეტი:
აბაი ზაქარაძე,
მანანა ბერიძე,
ჯუმბერ თითქარია
(პასუხისმგებელი მდივანი),
ნოდარ გუგუნიძე,
მანოელ კიქნაძე,
ნოდარ მგალობლიშვილი,
ჯორჯ ნიშანაძე,
გივი თარგმანიძე,
ნათელა ურუშაძე,
არვან ჩხიშიძე,
ანტონ ფულუაძე,
ნიკო ჯაფარიძე,
ნოდარ ჯანაშია

საბჭოთა კულტურის სამინისტრო
თბილისი

მარტოში-ლენინოში გვასწავლის, რომ, ბაზისის შევსების მიუხედავად, ზედნაშენი მოვლენები მეტ-ნაკლებად ატყვევებულია განანგარბობენ და ტრადიციების თუ გადმონაშთების წახილთა ერთნაირ ახალ ყოფას, ახდენენ მასზე გარკვეულ ზეგავლენას და ზოგჯერ დაბრკოლებადაც იქცევიან. თუ რა გამძლეობა აქვს ყოფა-ცხოვრების ძველ წესს, განსხვავებულს რწმენა-წარმოდგენებში, ადათებსა და ჩვეულებებში, ამის მაგალითად ჩვენი სამშობლოს ისტორია ავიღოთ. ქართველმა ხალხმა ქრისტიანობა იმ დროს მიიღო, როცა ეს მოძღვრება დაინხვეწა მაშინდელი საზოგადოების იდეოლოგიად ჩამოყალიბდა და უპირველეს ყოვლისა, კარგად მოურგო ქართულ ნაციონალურ მოდელს. ქართული ქრისტიანობა ინკვიზიციამდე არასდროს დაეცემა, მაგრამ ე. წ. წარმართულ იდეოლოგიასთან ბრძოლა ჩვენთანაც შეუპოვრად წარმოებდა. სწორედ ამის შედეგია, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ანბანის მქონე ხალხს ქრისტიანობის წინარე სამწერლობო ძეგლები ჯერჯერობით, არ გვაგვანია, ხოლო წარმართულ ტაძართა ნაშთებს მხოლოდ ახლაც ამიშველებენ არქეოლოგები. მიუხედავად ამ უკომპრომისო და უშეღავათო შინაომისა, ქრისტიანობამდელი წარმოდგენები და შეხედულებანი ქართულ ყოფას ისე რელიეფურად შემორჩა, რომ ცნობილმა ეთნოგრაფმა ვერა ბარდაველიძემ როცა 40-იან წლებში ქართველთა რელიგიის ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლის შედეგები შეაჯამა. უყოყმანოდ განაცხადა: „ქართულ რელიგიურ სინკრეტიზმში ქრისტიანულ ელემენტებს წარმართული სჭარბობს. ქრისტიანული წმინდანების სახელით, უმრავლეს შემთხვევაში, უძველესი ხალხური ღვთაებები იგულისხმება, ქრისტიანული უკმედღესასწაულების სახელწოდებით და ამ უკმედღესასწაულთათვის განკუთვნილ დღეებში არსებითად წარმართული წეს-ჩვეულებები სრულდებოდა“.¹

ყოველ ცოცხალსა და მოქმედ ერს თავისი დვრიტა ყოველთვის შეუბღალავად აქვს შენახული, სწორედ ის აძლებინებს და უნარჩუნებს თავისთავადობას. ქართველი ხალხის დვინქისებური ადგომი-განახლება და უკვდავება სწორედ იმ დვრიტის მადლია. ზოგადად, ეს დვრიტა მკვნი უძველესი დედანა. შინაგანი მალაღი კულტურა და ქუბეზად დაყოლილი ჰუმანიზმი. ყოველივე ამას თუ დვარძლი შეფრეოდა, მაშინვე ხმას აღიმალღებდნენ ერისკაცნი და უებარ წამასაყ გამონახავდნენ ხოლმე. სწორედ ასეთი დონითა და თვალთახედვით უნდა განვიხილოთ დღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება: „მაენე ტრადიციებისა და წესჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“. ეს მეტად მნიშვნელოვანი დადგენილება მიზნად ისახავს ჩვენს რესპუბლიკაში მოაწესრიგოს ყოფა-ცხოვრების მრავალი საჭირობოტოტო საკითხი, რაქ დღემდე, ძირითადად, მხედველობიდან იყო გამოჩენილი. დადგენილების პირველსავე აზუსტში წერია: პარტია იღვწის. რათა „მშრომელთა ფართო მასების აქტიური მხარდაჭერით დაძლეულ იქნას და მოიღიანად აღმოიფხვრას ჩვენი საზოგადოებისათვის უცხო ზენ-ჩვეულებანი“. ეს ზენ-ჩვეულებებია წარსულის მიძიმე მემკვიდრეობით მიღებული გადმონაშთური მოვლენები და გარემომცველი კაპიტალისტური სამყაროდან

1921-1976



გეოგრაფია

საკვლეო

საქართველო

55-ე წლისთავი!

¹ ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, თბ. 1941, გვ. 2.

სსოპრობის კარნახით

ლევან ფრუიძე

შემნაჟონი რეციდივები, რაც ფსევდოტრადიციების, კიჩის თუ მოდერნიზებული ადათების სახით ეუფლება ჩვენი საზოგადოების ზოგიერთ ნაწილს, რაც ჩვენი ხალხის წინსვლისა და განვითარების აშკარა ბოროტი იქცა, მეტად რეკონტროლობის, მოშვებულობის და ნეგატიურ მოვლენათა აყვავების ხანგრძლივ პერიოდში. მოხდა გაუმართლებელი რამ. ვატრობისა და ფულის მიმართ ბედოვლათობამდე მისული გულგრილობა, ყბადღებული „უდარდელობა“ გობსევისეულ სიხარბესა და მოხვეჭელობაში გადაიზარდა. ფული გახდა დამანაშავთა გამმართლებელი, უნიჭოთა ნიჭის შემჭენი, ამქვეყნიურ პრივილეგიათა მომპოვებელი და ა. შ. ამის შედეგი იყო უსახურ და უგემოვნო სასახლეთა წამოჭიმვა, საჩუქრად ოქროს ქათმებისა და კვერცხების მიტანა. ზოგიერთი სტუდენტი კი არ ამბობდა საგანი ჩავაბარეო—„ჩავაწყვეო“. დიასახლისი თუ ოჯახის კაცი „იყოიდეს“ ნაცვლად „ვიშოვეო“ გაიძახოდა. ენამ მაშინვე ასახა საყოფაცხოვრებო მოვლენათა მანკიერებანი.

მიკერძობა, ნათლიმამობა, კუთხურობა, პროტექციონიზმი, რომელთაც დღეს სასტიკი ბრძოლა გამოეუხადეთ, მეცნიერების სფეროშიცაა ფეხმოკიდებული და, სამწუხაროდ, აღმოფხვრილი არ არის.

ამ ფაქტმა საზოგადოებაში დისერტაციებისა და დისერ-

ტანტთა მიმართ საფუძვლიანი ნიჰილიზმი დაბადა. ლიტერატურული ჟურნალების განხილვის დროს რედაქციებს ხშირად საყვედურობენ, ჟურნალის ესა და ეს ნომერი „მეცნიერულ-სადისერტაციო მასალებით არის გადატვირთული“. აქ, უპირველესად იგულისხმება დაბალი გემოვნება და წარმოდგინეთ, უმეცრეა კი. გამომცემლობათა ხელმძღვანელები დისერტაციების მოძალებით დამფრთხალნი არიან და ბოლოს ისე წაივია საქმე, რომ ვერაფრით ვერ იჯერებენ, რომ შესაძლოა, დისერტაციაც კარგი იყოს და მისი პუბლიკაციაც აუცილებელი. ასეთ უკიდურესობამდე მისვლაც ჭირია, რომელიც თავს არ დამალავს.

აქვე ის მწარე სიმართლევ უნდა ვაღიაროთ, რომ სამეცნიერო ხარისხებისაკენ ლტოლვა ყოვლისმომცველია. რომელიმე თანამდებობის პირი, სხვათა შორის, ხარისხსაც „აკეთებდა“. აქ თითქოს ცუდი არაფერია, — მოქალაქე კვალიფიკაციას იმაღლებს, მაგრამ ძნელია ორი კურდღლის დაჭერა. მეცნიერება მძიმე საქმეა, ის ადამიანების მთელი ძალების დაძაბვას, დღე-ღამე შრომას მოითხოვს. ჭეშმარიტ მეცნიერს თავისუფალი დრო არ გაჩნია, მას ერთი წუთი მოცლა არა აქვს. „ხარისხის მკეთებელთა“ გარემოცვაში კი მისი მოწამებრივი შრომა უფასურდება. რამდენად საწყენი და მტკივნეულია ყოველივე ეს!

მეცნიერება დღეს საწარმოო ძალადაა ქცეული. სკკპ XXIV ყრილობამ დასახსნის ისტორიული ამოცანა — სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის მონაწილად ორგანული შერწყმისა მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობასთან. საბჭოთა მეცნიერება წარმატებით ანხორციელებს პარტიის მიერ დასახულ ამ საპატიო ამოცანას. სწორედ ამიტომ, მოუთმენელია ყოველგვარი ნაკლოვანება, რომელიც კი ოდნავადაც ხელს უშლის და აბკოლებს მეცნიერების ჯანსაღი აზრის სპეტაკ მდინარებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ ფართო ასპარეზი გადაუშალა ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების განვითარებას, მეტადრე დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება ეთნოგრაფიას. მეცნიერების ამ დიდად საჭირო და საზოგადოებრივი დისციპლინებიდან ერთ-ერთ ყველაზე უფრო პრაქტიკულ დარგში აუცილებელია ახალ მეთოდების გამოყენება. შესაბამისად გარდაიქმნას მუშაობა, იმ მიზნით, რომ სრულყოფილად შესაძლებელი იყოს მთელი კოლექტივის პოტენციურ შესაძლებლობათა გამოვლენა-გამოყენება. ამის გარეშე თითო-ორთა წარმატებული ცდა სასურველ შედეგს ვერ მოიტანს. დღეს მოუთმენელია ის ფაქტი რომ ქართულ ეთნოგრაფიას სისტემატური კურსი და საკუთარ გამოცემათა ლიმიტიც კი არ გააჩნია, ხოლო საველ-საექსპედიციო მუშაობის ტექნიკური დონე შეუწყნარებლად დაბალია, რატომ უნდა. ძირეული გარდაქმნების გარეშე, ნაკლებფექტური იქნება პარტიის მიერ დასახულ ამოცანათა გადაჭრა.

ყოველ ეპოქაში იყვნენ მუცელმშენებლები და სულითმშენებლები. პირველი სებადნენ, ჭამდნენ, მადარნი და კმაყოფილნი გარდაიცვლებოდნენ. მეორენი იღვწოდნენ, იბრძოდნენ, იტანჯებოდნენ, ან აღწევდნენ, ანდა ნათელი მომავლისთვის იხოცებოდნენ, და მაინც კმაყოფილნი იყვნენ. მოკლედ, სიამოვნება ათასნაირია ამ ქვეყნად კაცობრიობა ყოველთვის სულმტკიცეთა გაწაღდული გზით მიდიოდა, ხოლო „მედნიერი“ მუქთახორები მუდამ ისტორიის სანაგვე ყუთში ცვიოდნენ. მაგრამ მართოდნენ იდეებითა და პაერით არავინ ცხოვრობდა, თვით მითლოგიური ღმერთებიც კი. და სწორედ სულმტკიცეთ არ უნდა სჭირდებოდეთ დროის ფლანგვა და ნერვების წეწვა ყოველდღიურ წერილმან საზრუნავზე, რომელიც, ჯერჯერობით, ვერ მოგივრებია.

მომსახურების სფეროში, რატომაც, დაიკარგა მოქალაქეთა რიდი და პატივისცემა. უხეშობასა და უკმეზობას შეხვდებით ყოველ ნაბიჯზე. ხმა თუ ამოიღებ ვაი შენი ბრალი. ვერც გაითვალისწინებ და მოიფიქრებ, ისეთ შეურაცხყოფას მოვაყენებენ. თბილისის ძველ მოქალაქეებს ახლაც ასსოვთ ხაბაზების ბაყლებს, სურაჯების, მიკიტნების, ყასბებისა და სხვათა და სხვათა თავაზიანობა, მოწიწება, მართალია, არცთუ უანგარო, მაგრამ მაინც ზრდილობიანობა — გამომდინარე იმ შეგნებიდან, რომ მუშტარს პატივისცემა უნდა. რათა მორედაც მოვიდეს და საქონელი გასაღდეს. კიდევ მეტი, მსვლავანი თბილისელები იმასაც გვიამბობენ, რომ ვაჭარ-ხელოსნები ძველად, თავიანთი ბიჭების ხელით, ოჯახებში გზავნიდნენ ნისიას და საკუთარ

ე. ერისთავი.

განერუბასთან.



23 თებერვალი
საბჭოთა
კრილისა და
სამხედრო-საზღვაო
ფლოტის
დღე



ნაწარმს. საფასურს, ჩვეულებრივ, თვის ბოლო: მიიღებდნენ. მდმივე მუმტარს ძლიერ ეფერებოდნენ, სასურველებს და ამაჟირის დღემომხედველ კი პატივადღებენ. მართალია, ეს ყველაფერი წარსულს ჩანარდა, მაგრამ რატომ არ უნდა ავიღოთ, თვენი იმ წარსულიდან რაციონალური, სახელდობრ, კლიენტის მიზიდვის ისტატობა, რაც არცერი ჩვენ მალაზიას არ აწყვედა. იქ, სადაც კაპიტალი ბატონობს, ყველა დარგი და, მით უმეტეს ვაჭრობა, საყოფაცხოვრებო მომსახურების სფერო, ზემოგების მიზნებს ემსახურება. ბიზნესი, ყოვლისმომცველი რეკლამა იჭრება ადამიანების საცხოვრებელი, სტიქიკამი და, უნდათ თუ არ უნდათ, იძულებული არიან შეითავაზებულნი საჭიონელი გასართონ. საბჭოთა წყობილება ამ მანქანებისაგან თავისუფალია, ჩვენი დაწესებულებანი მხოლოდ ადამიანის საჭიროებისათვის არსებობენ. აქედან გამომდინარე, არავის არ აქვს უფლება საბჭოთა კანონი და საბჭოთა დაწესებულების მართლის დროს, მიწოდება გააუკუღმართოს, როცა რესპუბლიკანი მკაცრად დაიბოძო მუშაობის მანკიერი სტილი და მეთოდები, როცა, როგორც საკართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისის პლენუმზე აღინიშნა, რომ ნაკლოვანებებთან ბრძოლის მეორე ეტაპში შევედით. ისე არასდროს არ ყოფილა საჭირო ნეგატიური მოვლუბების დრმა ახალიზი, როგორც დღეს. სწორედ მათი ფესვების მიგნება და მათითი ამოწვავა საჭირო. საკართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე არავითგვის აღინიშნა, რომ ყოფაცხოვრებაში ნაკლებად ხორციელდება მეცნიერული მეთოდების დანერგვა. ჯერჯერობით, ხალხის ყოველდღიურ საჭიროებას კონკრეტული სოციოლოგიური თვალსაზრისით ნაკლებად სწავლობენ. გაუმართლებელია, ვეცით, რისთა და მწვაწინითი მოსახლეობის ასე სტიქიურად მომსახურება. ჩვენი აზრით, აქ მალაზიები სრულიად თუ არა, წაწილობრივ მაინც უნდა შესვკავოს დატარებობა ვაჭრობამ. ოღონდ წინასწარ უნდა იყოს შესწავლილი ამა თუ იმ რეგიონის, ქალაქის, უბნის, ქუჩის, უბის, ოჯახის მოთხოვნილება. კერძო მეტყვევებ და მემწვანადირებ ახლაც კარგად იყოს. მისი მუმტარი ყოველდღიურად რამდენ პროდუქტს მოიხმარს და იმდენს მიაზაროებს ხოლოდ მას ბინაზე. რატომ არ შეიძლება, საშუალო განჯერებობით, ეს ითოდეს სახელაწიფო-საჯაქრო ორგანიზაციებმაც და სწრაფფუტეებადი, ყოველდღიურად საჭირო პროდუქტი სათანადო ეტიკეტით მიაწოდოს მომხმარებელს, თუ ბინაზე არა, სასლოთან ახლოს მაინც, მტანჯერობი რიგის გარეშე, გრაფიკის მკაცრად ადვილი. მაშინ რამე, ხორცი და მწვანელი პროდუქტები აღარ იქნება. საჭიროა მოქალაქეებს შეეძლით წინასწარი დაკვეთების მიცემაც: უნდა გაესწინას ნოსიად ვაჭრობასაც. ერთი სიტყვით, სრული წლიობა და კონტრაქტი უნდა დამყარდეს მომხმარებელსა და მომხმარებელს შორის. აქ წარმოშობითი შეუთანხმებლობა არა მარტო შეუფერებელი, უსიამოვნო, არამედ ჩვენი წყობილებისათვის ყოვალად დაუშვებელია. დროა გადავიხედოთ ფასდების მიღმა, მიჩვენებით თითქმის ყოველგვარის თავი დაღაღწიოთ, საკუთარ ხელში ავიღოთ საერთო წესრიგისა და კვილიდღობისათვის ზრუნვა. იქ, სადაც ცხოვრებანს ადვილი მიგვიჩინა, თითოეული ჩვენგანი უნდა ვიყოთ ხალხის მსახურა, მით უმეტეს, რომ ხალხი ჩვენგან — ინდივიდებისაგან შესდგება. ამას დღეს მგზნებარედ მოვიცივლოებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტები. ჩვენც ქალეუ კაცი უნდა დავიარაზებოთ, რათა ზღვარი დაედოს ე. წ. „საქმისან-წილოსანთა“ სისარბებს და მათ უკუღმართ, ფილოსოფიას — უზრუნველი, დამაქრული ცხოვრების შესახებ. რასაც ისი-

ნი არმად ნაშოვნი ფულის მეოხებით აღწვევენ. ამასთანავე ყოველდღიურად ქმნიას და ამტკიცებენ ახარებობანი ფლანკურად, დღევიცტური საქონლის სპეკულაციის, ურთიერთ მამბელობის, კანონის საწინააღმდეგეო ქმედებაში მხარდაჭერის მავნე ადათებს, შემუშავდა მკვებარობის, უკადრისობის, ჩვეულებრივისაგან გახსნაგებულობის მანხივი კონცეფციები. განხე დაუხსნახურებელი უპირატესობის ბინძური პობი, ჩარჩული, მტკადასაშულისგული ფსიქოლოგია, ორმძელი გამბახტულება პოულობის ფსუედორელიგიური და კიჩის ზიხულ-პაიკლებანი, ძვირფასი ავეჯით გაქვილი უცემებრი ბინებსა და პომპეზურ სასაფლაოები. ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ დასახული გახსნაგება-გაჯანსაღების ეს ღონისძიებანი რომ არა, ყოველივე ამის შემქურე მძრომელ, პატიისან ადამიანებს გული გაუტყდებოდათ და ქართველი კაცი თავის მარჩენელ და ძალის მომცე მიწას მოწყვედებოდა.

დაიას, დღეს ამის ხმაალა თქმა იმტომ შეგვიძლია, რომ საკართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ტუმმარითად გიჩურელი ბრძოლა წაპიწყო, რათა წინსვლის მავნე შედეგები და ჩვენს თვალწინ გამოჩეილი კიჩის უხსანი რეკიდივიეი, ყველა სფეროში, რაც შეიძლება, მალე აღმოფხვრას.

დადღევიდებამ აღნიშნულია: „საერთო მემკირების ტენდენციის მიუხედავად მთელ რიგ რაიონებში ადამიანის ცხოვრების ძირითად ეტაპებს — დაბადებას, სრულწლოვანებას, ქორწინებას, სიკვდილს — უფო უფრო ხშირად აღინიშნავენ ტრადიციული რელიგიური ფორმებით და პირობითობით“. და ეს, უპიოვლეს ყოვლისა, იმის შედეგია, რომ ნაკლებ ვინტერესდებით თითოეული პიროვნების ბედით, მისი ყოველდღიური ცხოვრებით. ჩვენ აქამდე ცხოვრების გარეგანი მხარე — ფასად გვანიტერესავდა, ამიტომ ცხოვრებასთან კვილინი ვართო დაჩრქილი პიროვნება ყოველხარის ხავს ეტიდებოდა. და, როგორც დადგენილებაშია პითითებული: „მით სარგებლობდა საქმისნებით, კომბინირებული, წაყვლევაგები, რომლებიც ტრადიციულობას ამოფრებულნი. მისი მთაველი წაწილის ტუმმარტ შინაარსს ამახინჯებდნენ“. სწორედ ამათ შეიღწეს ქართული სუფრის წმინდა წყებით და ის მოტიქელობის, ბახალური ხობტის შესხმის არენად აქციეს, ხოლო მოხდნილი, კოლორიტული ქეივი, ჩვეული დიდსულოვნება და ხელდაწილობა ფულის ამაზრუნე ფლანგვად. ამ დროის მოქალაქეთა უმრავლესობა, „ქართველობით“, „მამა-პაპური ადათებით“ შეტოვლილი. თვინივად ზის და მომინებებით ემორჩილება ერთი გაქილი მუცელმწერთას ადვირასანილობას. არა, ამის მომინება აღარ შეუძლება და ასეი საყოფაცხოვრებო „წერილ-მანება“ მართლა უკომპრომისო ბრძოლა სჭირდება. და ეს ბრძოლა უნდა იყოს მისწინსწრავული, გვემსახურებო, ისეი, როგორც დადგენილებაშია მითითებული. სარგველას ფესვი თუ არ ამოუგდე, ისე ვერ გადააშენებ, თავს გადააყვავებ, და პირითად, უფრო აღორძინდება. ცენტრალური კომიტეტის ეს დადგენილება ჩვენი ყოფა-ცხოვრების განწყენდა-გაჯანსაღებას გულისხმობს არა აკრძალვით, არა აღმინისტრიერებით, არამედ მითინებით, დარწმუნებით, უარესის უყვევითი მუცელით.

გაზუგადებული ქორწილისა და ტირილის წინააღმდეგე კამპანია ახალი მოვლენა არ არის. ვისაც XIX ს. საქართველოში გამოსული პრესა გადაუფურცლავს, მსგავს პოლემიკას ხშირად შესდგება. მაშინაც იწუნებდნენ და ახლაც ზოგ ადამიანს, სახაიგებოდ გვთავაზობენ მხამარეულ რეცეპტს — „ასე მოვიქეთოთ!“ დაკვირვებამ დაგვარწმუნა: რეცეპტი განჯე რჩება, ცხოვრება კი თავისი გზით მიდის. ხაზგასმით უნდა აღვნი-

კომუნისტური პარტია ცნობს, რომ საქირაო სათვალად, შერჩევით მივუდგეთ წარსულის ტრადიციებს, ვავარჯიშოლებს, რომ ნიპილისტურად, ტყუილ-ღურალოდ არ უარყვით რაიმე და ადმინისტრაციული აჩქარება არ გამოვიჩინოთ ამ საქმეში. იგი გადაქარაი უქერს მხარს პროგრესულ ეროვნულ ტრადიციებს, მაგრამ ამასთანავე ეროვნების მიუხედავად თვითიული საბჭოთა ადამიანის სულიერა, ინტელექტუალური და ფიზიკური სრულყოფის გზაზე პარტია გადაქარაი ადგვის ყოველივე ამას, რაც პაროვნებას ჩამორჩენლობისა და შეზღუდულობის კაობასკენ მიაქანებს. ამიტომ ყოფითი კულტურის ანაღლებისათვის ზრუნვა წარმოდგენილია, თუ არ გავთავისუფლოთ იმ მაინე ტრადიციებისა, რამდენიცაა, რომელიც ჩამოყალიბდა ექსპლოატორულ საზოგადოებაში და ადამიანები წარსულის ტყვეობაში ჰყვას. ამავე მიზნით თავისუფალი დროისა და მისი გონიერული გამოყენების გამოყენების განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში სულ უფრო მეტ კოლექტურ სიმწვავეს იძებს და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს.

მშით, რომ ზედაპირული განსჯა ისეთი სერიოზული საყოფაცხოვრებო მოვლენებისა, როგორც ტირილი და ქორწინება, რომლებიც ავამბენ ადამიანის ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ეტაპებს. ყოვლად დაუშვებელია. ერთი რამ ნათელია: ქართულ ქორწილსა და ტირილი შემხვევითობა გამოირცხვლია. იქ საუკუნეთა მანილიზე გათვლილი და დაკანონებული ყოველივე—ხარკადან მოკიდებული, ჩქილა ხის მოჭრის ჩვეულებამდე, ყველაფერს თავისი საფუძველი და გამართლება გააჩნია. ამიტომ, როგორც დადგენილებაშია მითითებული, საქირაო, ჯერ შევისწავლოთ, სწორად ავხსნათ ესა თუ ეს წესი თუ ნიუანსური დეტალი და, მერე დავგმით, თორემ ტრადიციის ხელაღებით უარყოფას ხანდახან საკვალაო შედეგი მოსდევს. რატომ გხდა თანამედროვე ტირილის ან ქორწილის საფუძველად ანგარება. — აი, ეს არის ასახსნელი, მისაგნები და დასაგნობი. გარდაცვალება ან ახალი ოჯახის შექმნა განსაკუთრებული ფსიქოლოგიური აქტია და მისი გაუნრღობება გამოუსწორებელი ზარალს იწვევს. უნდა ვაღიაროთ: ამ ორ უმნიშვნელოვანეს მოვლენასთან დაკავშირებით, ეკლესიის მიერ შემუშავებული ნორმები, ნაწილობრივ, კვლავ ინარჩუნებს უპირატესობას. არც ისე დიდი ხანია „მმარის“ ბიუროების ნაცვლად „ქორწინების სახლები“ შემოვიდეთ (ჯერჯერობით დედაქალაქისა და ზოგიერთ მოზრდილ ქალაქში). მაგრამ სვე აქაც იჩინა თავი ტრაფარეტულია ერთფეროებებამ, არარტის-მომქმელმა მოსაწყენმა ცერემონიალმა. თოჯინებოა და ქმეტქულა ქსოვილებით მორთული მანქანებით ამას ვერ მივადწევთ.

ხშირად ვახსენებთ „წარსულის მაინე გადმონათობებს“. მაგრამ თვით ბუნება გადმონათობისა ამომწურავად გარკვეული არ გვაქვს. ზოგჯერ არ, რაც წარსულის გადმონათობა მიგვაჩინია, ჩვენს წიაღშია წარმოშობილი, მაგალიათისთვის ავიღოთ მომხვეჭლობა, სპეკულაცია, ლოთობა, სულიგნობა. ძნელია ზუსტად განისაზღვროს. სად და რიდის შეიძინა კაცობრიობამ ეს მანიერებანი, მაგრამ ერთი რამ ცხადია, ქართველი ხალხისთვის არაყრთი მათგანი ტიპური, მით უმეტეს, ტრადიციული, არ არის. ისინი შემდგომმა შეუცისებელი და მათი მანით ამოწვა თუ ვეინდა, ჯერ, როგორც დადგენილება პრინციპულად მოითხოვს, ფესვებს უნდა მივანგნოთ, რადგან აფეთციებიანი სიმისენის ზე და პირულ მკურნალობას აზრი არა აქვს.

მეტად მწვავედ დგას თავისუფალი დროის შინაარსიანად გატარების პრობლემა. ამასთანავე, ნაკლებად ვზრუნავთ, თვით შრომის პროცესი ხალხისიანი რომ გავხავთ. როგორც დადგენილებაშია ნათქვამი, რატომ დავივიწყებთ მამაპაპური ნადი და მამათადა. მთელი ბულგარეთი დღესასწაულობს ვახისა და დღეინის დღეს, ჩვენთან კი ამის მსგავსს ვერ შეხვდებით, მაშინ როდესაც საქართველოში ყველა ოჯახმა იცოდა „როველის ჩამოლოცვა“, „კალოკერობა“. ეს იყო მოსავლის მოწვევისა და დაბინავების დღეობა, სადაც ავამბედნენ წლის ნაამაგარს, ხარობდნენ და ზეიმობდნენ შრომის ნაყოფი. აქებდნენ გამრჯე ადამიანებს, ქირდავდნენ და დასცინოდნენ ზარმაკებს. ბუნებრივია, ამას დრმა აზრი ჰქონდა, კარგად ჩანდა. რელიეფურად ვლინდებოდა ხალხის სიბრძნე და მოზანდასახულობა.

ნადი-მამათაში თავისი დამასათავებელი რიტუალებით, ცეკვა-სიმღერებით. მახვილსიტყვაობით, კავიაობით. გონიერი ხუმრობა-სცენებით ხომ კოლექტიური შრომის აპოთეოზი იყო. ჩვენი ძველები შრომაში სიხალისეს ისეთსავე მნიშვნელობას ანიჭებდნენ, როგორც წესიერ კვებას. ასე მაგალითად, მესვეურად (თონის, მკის, რთველის, ტეხა-კრეფის და სხვა დროს) იწყებდნენ კარგ მუშას, იუმორის ნიჭით დაჯილდოებულ გაეკაცს. რომელსაც სიტყვაც უჭირდა და სვეს გატანაც ემორჯებოდა. მოლხნა და სიმღერაც საუკეთესო იცოდა. მესვეური მხოლოდ მოწვეული უნდა ყოფილიყო. იგი მუშებს საკუთარი მაგალითით აქეზებდა და ამხნებებდა. თუ ვინმე სიზარმაცის გამო ჩამორჩებოდა, გააკლიტებდა, ისარივით სტყორცნიდა ფრთიან სიტყვას. დროდადრო შრომის რიტმის გასაცხოველებლად და გასახალისებლად სიბრძნესაც დაავკუნებდა და ნაღს ორმაგ საქმეს აკეთებინებდა. საქართველოში ჯერ კიდევ გვაყავს ასეთი მესვეურები, მაგრამ მათ ჯერჯერობით ბოლოედ ვერ გავლენთ და ვერ ვიყენებთ. ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ზროზის პროცესში დავიწყებული გვაქვს მორალურ-ესთეტიკური ფაქტორები. მინასავს ზოგიერთი თავმჯდომარე ან ბრიგადირი, კოლმეურნეს ემუქრება: სამუშაოდ თუ არ გამოხვალ, საკარმადაში ნაკვეთს ჩამოგართმევთ. დამეთანხმებით, ბევრი ვერაფერი წახალისებია.

შრომის ორგანიზაციის თანამედროვე ფორმებს გადასინჯვა სჭირდება. ჩვენ არა მარტო მიქალაქეთა სამუშაოდ გაყვანისათვის უნდა დევნოდეთ, არამედ მათი კულტურულად დასწენებაც დაუცხოომელი ზრუნვის საგანად უნდა გავიხადოთ. რელიგიამ უქმეს გატეხვა ღვთის საწყენ საქმედ შერაცხა. უქ-

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში. დან კაპან ტრადიციებისა და წინაგვეულებაში წინააღმდეგ ბრძოლის გაპლირების ღონისძიებითა უსახეა.

მწერალი, ურნალისტი, კომპოზიტორი, არქიტექტორი, მხატვარი, კინემატოგრაფისტი კავშირებს, საქართველოს კულტურის სამინისტროსა და თეატრალურ საზოგადოებას საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს დაწავალით შექმნა ახალი სახეობა წესწვეულებების, რიტუალების, დღესასწაულებებისა და მასობრივი რიტუალური ღონისძიებების საწინამშუო სცენარ-პროსექტები, მოამზადნ მათი მუსიკალური აკომპანემენტი, შეიმუშაონ შენაბაა გუნდების, სარიტუალო ტანსაცმლის, სიმბოლიკის ესკიზები და სხვ.

მე დღეს მომუშავე გლეხკაცს დარბევითაც კი სჯიდნენ. და ამას ჰქონდა თავისი აზრი, კარგი დავეწენება ნაყოფიერი, ეფექტური წრობის საწინდარი.

ძველია ყველა სოფელს, წლის სხვადასხვა დროს, ჰქონდა თავისი დღეობა, რა თქმა უნდა, რელიგიურ სამოსელში გახვეული, მაგრამ აქ იყო ერთი რაციონალური მარცვლი. რომელის აღორძინება დღესაც არ გვაწყვენდა. სახელდობრ, ამ დღეობის მეშვეობით, წელიწადში ერთხელ, საოჯახო სუფრასთან. თავს იყრიდა ყველა ახლობელი, ნათესავი. ეს იყო ადამიანთა შემაკავშირებელი, კარგი, უნაგარო ჩვეულება, რომელიც პიროვნების შინაგან მოთხოვნილებასაც აკმაყოფილებდა და კოლექტივიზმის გრძობასაც პასუხობდა. რელიგიური ფანატიკზმა ჩვენ ხალხს არასდროს არ ახასიათებდა, მაგრამ ამ წესს წმინდად იცავდა, რადგან მარიამობა, გიორგობა, ახალციხე, ელიობა და სხვ. საბაბი იყო მთელი წლის უნახავი საყვარელი და სასურველი ადამიანების შეხვედრისა. ჩამოვაშორით ამ ტრადიციას რელიგიური საბურველი და კვლავ დავეწვით ის ყოფიბი.

სრულიად დაუსმასხრებლად გვაქვს დავიწყებული სახალხო კარნავალები, კერძოდ, ყვენიობა-ბერიკაობა. ამ უძველეს გრანდიოზულ გართობაში თვით ილია ჭავჭავაძეც კი მონაწილეობდა. ხალხური გართობა-თამაშობები და სპორტი ხომ უკანასკნელ დღეებს ითვლის...

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტმა აღნიშნული დადგენილებით ერთხელ ვიდევ ცხადყო, რომ მახინჯი მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლა კამპანიური ხასიათისა კი არ ღებნა, არამედ მიზანსწრაფული, ეგემსზომური და, რაც უფროა, უშედავით. სწორედ ამიტომ საქართველოს ყოველი ყოფიბი მოვლენა გამოვრდილივით ზესსაჭიროა. როგორც დადგენილებაშია საზგასმული, კომპლექსურად მეცნიერულ საფუძველზე უნდა იყოს გარკვეული „ქართული ხალხის ძველი ტრადიციების გენეზისი, ფესვები და გამძლეობის ფაქტორები, ახალი, რელიგიური, ინტენაციონალური, საბრძოლო, შრომითი, მოქალაქებობრივ-ყოფითი და ეთნიკური ტრადიციების სოციალური განსომილებანი, მოსახლეობის ცალკეული ფენებისა და საბჭოთა საქართველოში მცხოვრები სხვა ხალხების წარმომადგენელთა ტრადიციებისაში სხვადასხვა დამოკიდებულების მიხეზუბი“. ეს გადადგეული აოცანა, უპირველეს ყოვლისა, უნდა გადაჭრის უპიანტარული დარგის დისციპლინებშია, ამ თვალთახვეობის დიდა ენოკრაფიის არილი, რაზედაც ბუნებრივია, შედარებით ვრცელად შევერდებით ეთნოგრაფიის კვლევის საგანა ხალხია, ხალხი — ისტორი-

ის მთავარი მამოძრავებელი ძალა და ნივითიერი დოვლითის უშუალო მწარმოებელი. ეთნოგრაფიას ხალხის ცხოვრების ყოველი ასპექტი აინტერესებს მის დიალექტკურ განვიითარებაში; აინტერესებს ადამიანს და ადამიანთა კოლექტივში, მათი საწინამშუო ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო, საწარმოო და სოციალური ურთიერთობანი, მთელი მატერიალური და სულიერი კულტურა, ის ფასეულობანი, რაც ადამიანმა ხანგრძლივი არსებობის მანძილზე შექმნა და თაობიდან თაობას გადასცა. ყოველივე ამის შესწავლას ეთნოგრაფია დიფერენციული მიდრომით აღწევს, ოდნოდ, სხვა დარგთაგან განსაგებებით, მისი ძირითადი წყარო და ამოსავალი ცოცხალი ყოფა — ადამიანია. ეთნოგრაფიის უპირველესი საკვლევაძიებო სფერო არის ის ემპირიული ცოდნა-გამოცდილება, რაც კაცობრიობას არსებობისათვის ბრძოლაში მიუზოვებია. ხალხის წიაღში ეთნოგრაფმა სწორედ ეს მასალა უნდა მიაკვლიოს, მეცნიერულ დონეზე გადააქუთასო და შემდგომ ისევ ხალხს დაუბრუნოს. თუ არქეოლოგი ვვლად გადის, ზეგრავს პირველყოფილი ადამიანების სადგომსა ნაშთებს. ნაყოფიერებს ან ნაქალაქიერებს, წინასწარ თვალისწინებს და სახლგრავს, მიწის ქვეშ რისი მიგნება შეიძლება. ეთნოგრაფი სოფელში ამ ქალაქში მიმგზავრება და უშუალო კონტაქტი ამყარებს მცხოვრებლებთან. შესწავლილი აქვს სასლვევი რეგონის ისტორია და სხვა მიზანცემებით, ამიტომ დაახლოებით იცის, რა სახის მასალას მოიპოვებს. არქეოლოგი ბარს იმარჯვებს და კულტურული ძეგლის მისაგნებად საცლად იხიროს გაავლებს. ეთნოგრაფი პირველსიულ ტაქტს მიმართავს და შერჩეულ მიხრობელთან სასურველ საუბარს გაავაშს. ასე იწყება ორი წიაღსება — მიწის სიღრმეში და ადამიანის სულში. სწორედ ამიტომ სჭირდება ეთნოგრაფს განსაკუთრებული სიფრთხილე, მოთმინება და არჩეული თემის ღრმა ცოდნა. მიხრობელი არა მარტო ინფორმაციონია, არამედ მივეკრძობებელი გამომცდიელი, ეთნოგრაფი კამეცნიერია და მეცნიერულ დოვლებს თვალისმინივით უნდა გაფრთხილება. ცოცხალ სინამდვილეში, უწულად დაკვირვების გზით, ხალხის ყოფისა და კულტურის შესწავლა, მრავალმხროვი, ფსიქოლოგიურად რთული და შრომატევადი პროცესია.

საველ მუშაობა მხოლდ მიხრობელთან ურთიერთობით არ ამოიწურება. ეს ეთნოგრაფიული მუშაობის ერთი მხარეა. ეთნოგრაფი უშუალოდ უნდა აკვირდებოდეს ყოველს მთლიანობაში, შესწავლებს მისი აღქმის უნარი, უნდა იფრთხიას, განიცადლოს თითოეული ჩვეულების თუ შრომის პროცესის არსი, სწორედ მაშინ შესწლბებს ჩასწვდეს და შემოქმედებითად გადაბოსცეს მასალა, წინააღმდეგ შემოხვევაში, ზედპირული აღწერა გა-

მოვა, რაც ტრაფარეტის ჩ.რომებს ვერ გამოირდება. ამდენად, საველე-ეთნოგრაფიული მუშაობა შემოქმედებითი-მეცნიერული კვლევა-ძიების განუყოფელი და არსებითი ნაწილია. მოკლედ რომ ვთქვათ, ყოფილი მოთხოვნები მასალა განასაზღვრავს ეთნოგრაფიული ნაშრომის ცირსებას და მას შემეცნებითის გარდა, პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. დადგენილების შექმნე ნათელი გახდა, რომ ეთნოგრაფია დღეს გამოყენებით მეცნიერებად იქცა. მის გაუთვალისწინებლად შეუძლებელია სრულყოფილად წარმართის საქართველოს მთიანი რეგიონების რეორგანიზაცია. საერთოდ, განსახლებისა და ურბანიზაციის მიმდინარე პროცესების მეცნიერული მართვა მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ აკად. გ. ჩიტაიას მიერ შემუშავებული კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდის მომარჯვებით, სოციოლოგიურ-ეთნოგრაფიული თვალთახედვით, დეტალურად შევისწავლით მთიანეთის თანამედროვე ყოფას, მთლიანად გამოვავლენთ იმ ბუნებრივ-სამეურნეო და ისტორიულ-გეოგრაფიულ საფუძვლებს, მის შედეგადვე დღემდე ცხოვრობდა და არსებობდა მთის თითოეული სოფელი. მხოლოდ ასეთი შესწავლით მივიღებთ სწორ დასკვნებს და შემიცნებით ნიადაგზე წარმართათუ მთის დასახლებების ბედ-იბრბას.

საქართველოს ყოველი რეგიონის სასოფლო-სამეურნეო განვითარება, ძირითადად, უნდა გაეფიქროს იმ მრავალსაუკუნოვანი საწარმოო ცოდნა-გამოცდილების მიხედვით, რომელი ჩვენმა ხალხმა თავისი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე გამოიმუშავა, ცნობილია, რომ ჩვენთან ვერტიკალური ზონალობის ზუსტად დაცვით ჰქონდა მიჩენილი ადგილი ყველა სათვის თუ მრავალწლიან კულტურას, რასაც, სამწუხაროდ, პრაქტიკაში ხშირად როდი ეწევა ანგარიში. სწორედ ხალხის გამოცდილების უგულვებლყოფამ, სახელმწიფო, ზურგის დაბლოწხე — მდინარეთა ჭალაებში გაშენებამ გამოიწვია მათი მასიური მოწყობა. უარყოფითი უნდები მოაქვს, აგრეთვე, ვაზის ჯიშების ზემოტე სტანდარტიზაციას, როგორც ღვინის ხარისხზე, ისე ბუნებრივი მოვლენების მიმართ ენჯანის გამოყოფაზე. სათესი კულტურების ნაირგვარობა, არა მარტო ნიადაგის ნაყოფიერებას ზრდიდა, არამედ მრავალფეროვან და მაღალ კალორიულ საკვებს იძლეოდა. ახლა, თითქმის დაიწყებული გვაქვს ძველქართული ხორბლეულის ჯიშები, ცერცენისნარიები, ფეტვისნარიები და სხვა. მამასადამე, როცა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებას და სპეციალიზაციის მოდელირების საქითი წყდება, სტრუქტურული ანგარიში უნდა გაეწიოს ეთნოგრაფიული კვლევის შედეგებს.

ხალხის მიერ ხანგრძლივი დაკვირვებით მიღებული სპონანეცემების გამოყენებლად შეუძლებელია პირველადი საკვები სავარგულების რაციონალური ექსპლუატაცია. მხედველობაში გვაქვს მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის შერჩევითი ძოვება: ა. ი. საბლახოების დანიშნულების მიხედვით ტრადიციული განაწილება, რაც დღეს, რატომღაც, უარყოფილია.

ნიადაგის დაცვის ხალხური საშუალებების გაუთვალისწინებლად, ძალზე ძნელია წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლა. ტყის ხალხური ექსპლუატაცია მის მოვლასაც გულსისხმობდა, დღეს ბევრმა აღარ იცის ფერდა და ჭაღლის ტყეების ჭრის ყადრი.

სხვას რომ თავი დავანებოთ, ტურისტთა განვითარების თანამედროვე დიდი უკმეველს ხდის ჩვენი დამაკლავების და სოფლების ეროვნული კოლორიტის შენარჩუნებას და ამ სამკვილენილო საქმეში გადაწყვეტი სიტყვა ეთნოგრაფიას ეკუთვნის. აუცილებელია ეთნოგრაფიული ძეგლების (ხალხური

არქიტექტურის ნიმუშები, იარაღ-ჭურჭელი, კოსტუმები და სხვ.) შენარჩუნება. ხალხური გამოყენებითი ხელოვნების მინახაწისნობის ადგილობრივი კერებს განახლება, გადავღებოთ ეთნოგრაფიული ნაკრძალების შექმნა (ნაკრძალად შეიძლება გამოცხადდეს მთელი სოფელი ან ქალაქის უბანი, ნაგებობა ან ნაგებობათა კომპლექსი, რომელსაც სანახაობითი, უფრო სწორად, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასება აქვს შენარჩუნებული).

კუმშარტიკად დღიდა ეთნოგრაფიის როლი საყოფაცხოვრებო მოვლენების (ქორწილი, ტირილი, ნათლობა და სხვა) გათანადრეოლებასა და სათანადოდ ნორმირების საქმეში. კვების რაციონის მოწესრიგებას და აზრინა ვართობა-თამაშობების ორგანიზაციაში. აგრეთვე რელიგიური ცრუწმენების წინააღმდეგ ბრძოლაში.

წარსულის მავნე გადმონათობებს და, ასევე, მავნე უცხოურ ზეგავლენასაც ეთნოგრაფია უნდა იკვლევდეს, სწავლობდეს და ებრძოდეს. რამდენადაც ეთნოგრაფია ხალხის შემსწავლელი მეცნიერებაა, ის ვალდებულია პასუხი გასცეს ყოველგვარ ყოფით მოვლენას — დადებითსა და უარყოფითს, ადამიანის სოციალიერის თუ სისუსტის მასსიათებელს. მთელი ეს პრობლემატიკა, რომლის ნაწილია აქ ჩამოთვლილი, სადვიოსოდ მოსავლელი და გადასაჭრელია. ქართული საბჭოთა ეთნოგრაფიული სკოლა მსკოვანი აკადემიკოსის გიორგი ჩიტაიას ხელმძღვანელობით წარმატებით გაართმევს თავს პარტიის მიერ დასახულ ამოცანებს. ეს მით უფრო საჭიროა, ვინაიდან, რომელიც გნებავთ ყოფითი ინსტიტუტე სათავეს იღებს კარპობის ინსტიტორის სხვადასხვა საფეხურზე და მისი წვდომა, დათარილება ყოველივე ვერ ხერხდება. მაგრამ დღეს, ძველის და ახლის კიდეის ვერაძალზე, როცა განვითარების თავბრუდამხვევი ტემპია, როცა ახლანდელი სთი წლით აფოდალური ეპოქის ათ საუკუნეს უდრის, ხოლო უფრო ადრეულს, ასს და მეტსაც თითქმის ყოველდღიურად უნებური მოწმენი ვხვდებით ძველი ინსტიტუტების გადაშენებისას. ამა თუ იმ მოვლენის, ან მატერიალური კულტურის ელემენტთა გაქრობის მომენტში, ეთნოგრაფს არა აქვს უფლება მაზარტებელი მღვდელივით ინერტული იყოს, საჭიროა ამ პროცესის მეცნიერული ფიქსაცია ტემპიის თანამედროვე საშუალებებით, რაზედაც საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას ამ მრავალჯგის სხენებული დადგენილება. ამჯერად არა აქვს მნიშვნელობა დადებითსა და უარყოფის, ფიქსაციის დროს დაწვევებია რომელიც მათგანისათვის უპირატესობის მინიჭება, აღრიცხვა ერთია და მისი მეცნიერული ინტერპრეტაცია — მეორე.

საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია, რომ მსოფლიო ინდიუსტრიალიზაციამ ადამიანი შეაჭრეოვა. უფრო მეტიც, დედამიწაზე ბუნებრივი ძარბონიის დარღვევის რეალური საფრთხე შეიქმნა. თუ ადრე ადამიანს სტიქიის დაუძლველი შიშე ცრუმორწმუნეობასა და მისტიციზმში აგდებდა, ახლა, ბუნებაზე გამარჯვებულმა, საკუთარი მიღწევების მსხვერპლად გახლობის საშიშროება შეიქმნა. გიგანტურმა ფაბრიკა-ქარხნებმა, ნაგებობებმა, მანქანებმა არარაობად აქციეს პირველქმნილი ბუნების ის ნაწი მუდგროება და უბრალოდ, არც ყოველი ეპოქის მსკოვრებთა ნორმალური არსებობისათვის არის აუცილებელი. ეს პროცესი, ჯერ კიდევ, საუკუნეზე მეტი ხნის წინათ შენიშნა კარლ მარქსმა და მიუთითა, რომ პირველქმნილი ბუნება უკვე ადარსად არსებობს, „გარდა ავსტრალიის ცალკეული



უახლოესი წარმოშობის მარჯნის კუნძულებისა.² დღეს ამიტომ იწერება წიგნები ასეთი სათაურებით: „ვიდრე ბუნება მოკვდებოდეს“, „მკერდში დაჭრილი ბუნება“ და სხვა. ამიტომ გაჩნდა დიზაინი, რომელიც ფუნქციას და ფორმის იდეალური შერწყმით ცდილობს შეთანხმოს უტილიტარული და ესთეტიკური ერთად ამყოფოს ია და ბუღლოზური, მარტენის მიგაზონე ღუმელი და თოვლის სპეტაკი ფანტელი. დიას, ადამიანს სჭირდება ერთიც და მეორეც, რის გამოც მოზრთონე კაცობრიობის საკუთესო ნაწილი, დღეს — მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში, მათი შეთანწყობიანობის წარმატებით იღვწის.

დიზაინი. ბუნებრივია, ეყრდნობა და იყენებს იმ ცოდნა-გაიცილობებს, რაც ხალხს საუკუნეთა მანძილზე მოუპოვებია. მაგრამ როგორც ვ. ი. ლენინი საგანგებოდ მიუთითებდა მაქსიმ გორკის, „ყოველივე „წარმოდგენა ფუფალზე და ფუფალურზე — ეს არის „ხალხური“ სირღუნე, დაბეჭავება, სიმეფე, სასებით ცხოვრე. როგორც „ხალხის წარმოდგენა“ მეფეზე, ქაჯზე, ცილებს ცემა-ტყეპაზე. როგორ შეგიძლიათ თქვენ „ხალხის წარმოდგენას“ ღმერთზე „დემოკრატიული“ უწოდოთ, აბსოლუტურად ვერ გაიგია.“³ სწორედ ამის გამო დიზაინერთა გვერდით ეთნოგრაფი უნდა იდგეს და წარსულის შემკვიდრებობიდან აწყოსა და მომავლისათვის არჩეველს რაციონალურს, საკუთესოს. რომლის საჭიროებასა და ღირებულებას ჯამთა სვლა ვერაფერს აკლებს. პროგრესული ძველშიც არის, ოღონდ მას მივება და ახალ ყოფაში შესაბამისი ფორმითა და შინაარსით დანერგვა უნდა. დიდი ლენინი გვახსნავს: „საჭიროა ლამაზი შევინარუნოთ. ავიდოთ ის, როგორც ნიშუში, დავეყრდნოთ მას, თუნდაც ის „ძველი“ იყოს. რატომ უნდა შევაცქიოთ ზურგი კემშირითად მშენებელს. უარყოფით ის, როგორც გამოსავალი ბუნქტი შემდგომი განვითარებისათვის მხოლოდ იმის საბაბით, რომ ის „ძველია“? რატომ უნდა მოვიხაროთ ქედ ახლის წინაშე, როგორც ღმერთის წინაშე, რომ ის „ახალია“? უაზრობაა, სრული უაზრობა!“⁴.

ეთნოგრაფი, ისევე როგორც დიზაინერი, უნდა ებრძოდეს კიხს, რომელიც ფუნქციის უარყოფით, ბრჭყვილა აქსესურებით და საეჭო ზიზილ-პიპილებით ცდილობს მსოფლიოს დაპყრობას. კიჩი დიზაინის მსგავსად ახალი არ არის. ორივე მათგანის ჩასახვა ალბათ მაშინ მოხდა, როცა ადამიანმა მატერიალურ და სულიერ ფასეულობათა შექმნა იწყა.

ზოგიერთი სოციოლოგი დასავლეთში კიხს პიროვნების თავისუფლების ნიშანსეკტად აცხადებს. მართლაც, კიჩი ბურჟუაზიული ზრუნადი მორალის ხორცმცხმხა, რომელშიც კარგად გამოისატება პიროვნების ვითომდა თავისუფლება — პათოლოგური ინსტინქტების ჩათვლით. კიჩი აღუნებს მასების კლასობრივ სიფიზღეს, აიძულებს ადამიანებს შეეგუოს უპერსპექტივი სინამდვილეს და დამყოლ, მორჩილ მასად აქციოს ისინი. კიჩი XX საუკუნის სუპერერლიგიაა — ხალხთა ოპიუ-

შია. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ჯანსად, სოციალისტურ, სახალხოზოგადოებაში მას საფუძველი არ გააჩნია, რეციდივის სახით: მინც აღწევს. ხშირად კიხს „წარსულის მანე გადმონაშად“ ვნათლავი, თუმცა იგი „ძველის“, „ტრადიციულის“ მხოლოდ ქურქითაა წემისილი, ხოლო შინაარსს ახალს ატარებს. ამის მაგალითად ჩვენთან გამოდგება მოსაწვევი ბარათებით ხალხის დაპატკება და ანგარების მიზნით უზარმაზარი ქორწილის ან ქეღების გადახდა, ყოვლად გამოუყენებელი, გვებერთელა სახლების აგება და სამშენისებით მორთვა, ხალხურის ან კლასიკურის მიზანა და დასხვა მისთანანი. დიას, დროდადრო უტლისამრევი კიჩი ჟინავს ჩვენს ყოფაში და, რაც მართალია მართალია, აქამდე მას საჭირო ენერგითა და შურეტიგებლობით ვერ ეუბრძოდით. უპირველეს ყოვლისა, კიხს ეტანება ყოველი მიმხვევი, რომელსაც კმაყოფილი, მაძღარი ადამიანის სნობიზმი დაუფლებია და აწვალებს ცდუნება, თანამემამულეთან რითიმე განსხვავდებოდეს. ეს კიჩიანი ლტოლვა „უკვადეებისაგან“, სამწუხაროდ, უკვე ამწინავე ჩვენს დასახლებებს, ისტორიულ ძეღებს, სასაფლაოებს...

კიხს უნდა დაეპირისპიროთ ჯანსადი, ხალხური ტრადიციებით და მას ფეხისმოკიდების შესაძლებლობა არსად არ მიეცეთ. აგრეთვე უნდა გამოვიყენოთ დიზაინი, რომელიც კიხის საწინააღმდეგო მოვლენაა და, როგორც დაიწახებთ, ფრადე კეთილშობილურ მიზნებს ისახავს.

თუ აქამდე ეს ღონისძიებანი კეთილი სურვილების სფეროში რჩებოდა და ქმედითი, სასურველად ორგანიზებული არ იყო, ახლა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ისტორიული დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ სახელმწიფოებრივ საქმედ და, აქედან გამომდინარე, რესპუბლიკის ყველა მოქალაქის საბაბით მოვალეობად იქცა.

² ვ. მ. ა რ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ფოიერბახი, მატერიალისტური და იდეალისტური შეხედულებების დაპირისპირებულობა, თბ. 1968, გვ. 45.

³ Жан Дост. До того, как умрет природа, М: 1968.

⁴ ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 35, თბ. 1971, გვ. 120.

⁵ ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, კულტურისა და ხელოვნების შესახებ, ძეგლის შეგობარი, VI, 1965, გვ. 22.




ბაგოფენა

„ლილეა

შრომას“


- ს. ცინცაძე. სერიიდან „სურათები შუენებლობიდან“.
- რ. გურული. მეტოველე ე. ტატიშვილი.
- თ. შირზაშვილი. სოციალისტური შრომის გმირის ე. შა-
ლავეშაძის პორტრეტი.



სკკკ


XXV

მრილოვის
შისახვედრად



რ. თორდია, ფიზიკოსები.

ა. კაკაბაძე, ახალი გზები.





გაეოფენა

„დიდება შრომას“

დღივ ოპტიმის სოციალისტური რევოლუციის წინა-ე წლისთვის ზეიმი დაღებში, მეტყვე ზოგწელ-ღის დამამთავრებელი წლის დასასრულს, ქართველი მხატვრები ახალი დიდი რესპუბლიკური გამოფენით წარსდგენ საზოგადოების წინაშე. თბალისის სახელმწიფო სურათების გალერეაში მოწოდებული ფართო ექსპოზიცია — გამოფენა „დიდება შრომას“ ჩვენს გმირ შრომელ აღამიანებს მიეძღვნა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ურილობის შესახვედრად მზადების პერიოდში თვალსაჩინო მოვლენად იქცა ჩვენი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში. გასულ წელს საქართველოს მხატვრებმა უკვე მეორე ასეთი მანშტაბური გამოფენა მოამზადეს, თუ აღარაფერს ვიტყვით რიგითი საგაზაფხულო და საშემოდგომო გამოფენებზე. შედარებით მოკლე დროში ასეთი რთუ-

ლი შემოქმედებითი სამუშაოს შესრულება იოლი არ არის და ჩვენი მხატვრების ინტენსიურ, დაძაბულ შრომაზე მიტყველებს.

რედაქციამ სოხოვა ჩვენს მხატვრებსა და ხელოვნებათმცოდნეებს გამოუთქვათ თვინათი აზრი ამ გამოფენის ირგვლივ, და ვინაიდან გამოფენა ამის საბაბს იძლევა, ესაუბრაო ჩვენი მხატვრობის სპეციბორტო საკითხებზე.

რედაქციამ მოწვივა ხელოვნებათმცოდნე კბინი მბ-ჩაბბლი, ფერმწერები — ბიბი ნარბანიბა და რაღიშ მორღიბა, მოქნდაცე ლიბან მხიბიბ, კერამიკოსი ნანა კინნაბი, გრაფიკოსი ბურაბ ლლონბი.

საუბარს წარმართავდა უფრნალ „საბჭოთა ხელოვნების“ სახვითი ხელოვნებისა და არქიტექტურის განყოფილების გამე ლიბნა თაბბაბაშვილი.

ლ. თაბუკაშვილი:

ქართველმა მხატვრებმა პასუხისმგებლობის გრძნობით იმუშავეს ამ დიდი საანგარიშო გამოფენისათვის. არ დარჩენილა ჩვენი ხალხის შრომითი საქმიანობის არცერთი სფერო, რომ ტილოებზე, გრაფიკასა და ქანდაკებაში კვლავ არ ლეესხა ხორცი შრომელი აღამიანების სახეებს — მენავთობებს თუ გემომშენებლებს, მეცხოველეებს თუ მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებს. შრომის თემატიკა, შეიძლება ითქვას, ტრადიციულია და, აზავდ დროს, მრავალბლანიანი, ამოუწურავი. ქართული სახვითი ხელოვნების საუკეთესო ფონდშია შესული ამ თემატიკაზე შექმნილი მრავალი ნაწარმოები. ამჟამადაც, ექსპონატების სიუხვე მოწმობს თუ როგორი ენთუზიანიზით მოჰქიდა ხელი შემოქმედთა ამ დიდმა კოლექტივმა ას-ალი ამოკანების გადაწყვეტა.

სასაინტერესოა იხივ, რომ რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საწარმოებმა, დარგების მიხედვით, სპეციალური პრიზებიც დააწესეს მხატვრებისათვის.

„დიდება შრომას“ თითქმის ახალგაზრდული გამოფენაა

საერთოდ ამ ბოლო წლებში „სიხალგაზრდავე“ ნიშნადობლივად იქცა ჩვენი ექსპოზიციებისათვის და ეს თითქოს კანონზომიერიცაა: ქართველ მხატვართა რიგები ყოველწლიურად იცესბა შემოქმედებითი წყურვილით აღსავსე ნიჭიერი ძალებით, რომლებსაც საკუთარი თავის პოვნის სურვილთან ერთად მოაქვთ გამოსატვის ახლებური ხერხები და საშუალებები.

მას შემდეგ, რაც ორმოცდაათიან წლებში მნიშვნელოვანი ძვრები განიცადა ქართულმა მხატვრობამ, ისევე როგორც მთელმა საბჭოთა სახვითმა ხელოვნებამ, იდეურ-მხატვრული ოსტატობის ამაღლების სახელოვანი გზა განვლო. ოსტატობის ამაღლება კი, ცხადია, დაკავშირებული იყო ინტენსიურ ძიებებთან მხატვრული ფორმის დარგში. ეს ძიებანი, რომლის თაოსანი ქართულ სახვით ხელოვნებაში სწორედ ახლად-მოსული თაობა განხლდათ, მას შემდეგ თანმიმდევრულად გრძელდება და ამ წლების მანძილზე გარკვეულ ეტაპებზე გაიარა. მასსოხვე, მაგალითად, ერთ პერიოდში ფერწერაზე პუანტილიზმი გავრცელდა და მხატვრები რამდენადმე დაემსგავსნენ ერთმანეთს, მეორე პერიოდში დეკორატიული სიბრტყობრიობა და პანსო პრინციპები შეიჭრა დაზგურ ფერწერაში, იმ-



ძღვარა გრაფიკულმა ხერხებმა. ბოლო ხანებში ფერწერა სულ უფრო დაუბრუნდა მის სპეციფიკურ საშუალებებს. მაგრამ აქ საკმე მართკ სპეციფიკაში არ არის — სპეციფიკის გათვალისწინება და მისი გამოვლენისათვის სურუნა საფუძვლად უდევს სხვადასხვა დიზაინ ბევრი მხატვრის შემოქმედებას — ფერწერა იქნება ეს თუ მოქანდაკე, გრაფიკოსი თუ გამოყენებით-დეკორატიული ხელოვნების ოსტატი. მთავარი ის არის, რომ უფრო ღიდას და რთულ ამოცანებს ისახავენ ჩვენი მხატვრები. — რამდენადაც საკმე ეხება მნიშვნელოვანი იდეების, დღევანდელობის მღვდელად თემების ხორცშესხმას შესატყვისი სახეით ხერხებით. ეს ამოცანები ბევრ შემთხვევაში ღირსშულად გადაიჭრა, მოთხოვნილება მრავალი გამარჯვება, რასაც მოკვება ხილმე ქართული მხატვრობის საერთო აღიარება → რეკლამულიკის მხატვართა ნამუშევრების წარმატება საკავშირო გამოვლენაზე.

ჩვენი მხატვრების შემოქმედებით-პროფესიული შესაძლებლობანი, რაც მათ არაერთგზის გამოავლინეს, უნებურად გადაეხადა სურვილი ვიხილოთ მათი უფრო დიდი შემოქმედებითი გამარჯვებანი, ვიდრე ეს იყო გუშინ ამიტომ, სასურველია, ამ გამოვლენას შევხედოთ შედარებითი პოზიციებიდანაც და საერთოდ იმ ტენდენციების გათვალისწინებით, რაც მქვადენება ბოლოდროინო ქართულ მხატვრობაში.

პირადად მე მიმაჩნია, და ამის შესახებ აღვნიშნავდი კიდევ ერთ-ერთ სტატიაში, რომელიც გასულ წელს გამართულ დიდ რესპუბლიკურ გამოვლენას ეხებოდა, რომ ცალმხრიობა გამოხატვის ხერხთა შერჩევისას, უკვე არსებულს, ზოგჯერ უცხოურის გადმოღება ჩანს ზოგი ავტორის ნამუშევარში. სწორედ ამიტომაც რეალისტურ ეროვნულ მხატვრულ სახეებს აქა-იქ ცვლის სქემები, ხასიათს მოკლებული, ნახატის მხრივ გაუ-მართლად უსახური ტიპაჟი. სამაგიეროდ, ავტორი პოზიორობს როგორც კოლორიტი, რომელსაც სურს მაკურნებლთან მხოლოდდ ვერა გააბა დასაუბარი. ეს ემართებათ როგორც ნიჭიერი, ისე ნაკლები ნიჭის მქონე შემოქმედით, უფრო ხშირად კი სწორედ ნაკლები ოსტატობისა და ნიჭის მქონეთ. რომელსაც სურთ გარკვეული ეფექტებით გავიდნენ ფონს. ამას კი მანინდამინც დიდი ოსტატობა და პროფესიონალიზმი არ ჭირდება.

საინტერესოა, რა აზრის არიან ამის შესახებ ჩვენი მხატვრები და ხელოვნებათმცოდნეები.

გ. ნარმანი:

დღეს ქართული სახეითი ხელოვნება ფართულა ცნობილი. შეიძლება ითქვას, — როგორც ჩვენს რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთ არ გამართულა არცერთი გამოვლენა. რომ მას საკართველო მხატვრებისათვის წარმატება არ მოეტანის. გამოვლენა „დიდება შრომის“ მათ შორის სათანადო ადგილს დაიკავება, უმეტეს საერთოდ მხატვრული დონით იგი. ჩემი აზრით, ვერ გაცდა მის წინამორბედ გამოვლენებს, და სწორედ ამასთან გაკვირბნი მინდა აღვნიშნო, რომ მეტის გაკეთება შევვიძლია. როგორც ა¹ სამართლიანად ითქვა, ჩვენი მხატვრული ძალებისაგან უფრო მეტ წარმატებას უნდა მოვლოდეთ.

მე მინდა უფრო უარყოფით მომენტებზე გავამახვილო ყურადღება, რამდენადაც ზოგმა არასასურველმა ტენდენციამ შეიძლება გავლენა იქონიოს ქართული სახეითი ხელოვნების მომავალზე, ყოველ შემთხვევაში, გარკვეულ პერიოდზე.

სახეითი გეოანზნებით იმაში, რომ ზოგიერთი ნამუშევარი

არ დგას სათანადო დონეზე. მართლაც, მათი მხატვრული კონსტრუქციები მოჩვენებითია. ზედაპირულობა — ამ ნაწარმოებთა ძირითადი ნაკლია. ყოველივე ამაზე პირდაპირ უნდა ვთქვათ: ცალბ პოზიციებზე დგებიან ისეთი შემოქმედნი, ვისაც საკუთარი ინტერესები არ გააჩნია. ამეთ ვითარებაში, მართლაც, გზა ესენება უნიჭობებს, ვინც იოლ ასეთი ხერხებით არჩევს ხელოვნებაში.

ლ. თაბუკაშვილი:

აქ უნებურად მასხენდება ცნობილი რუსი კომპოზიტორის დიმიტრი კაბალევსკის ერთ-ერთი სტატია, სადაც ის წარღნიჭიერების და უნიჭობის განურჩევლობაზე: „სწავნი, ფაქტიურად კომპოზიტორის ნიჭიერების პრობლემა მთლიანად მოხსნილია (მით უმეტეს, მოხსნილია ის კრიტიკოსის მიმართ). თუკი უნიჭი ვერ მავუითებით სოლმე ავტორის ნიჭიერებაზე, თითქმის ყვერ მოვიგონებთ ვერცერთ შემთხვევას, როცა კომპოზიტორისა და კრიტიკოსის სუსტი შემოქმედებითი ნაყოფი ახსნილი იქნას, უბრალოდ ავტორის არასაკმაო ნიჭიერებით, თუცა კი ეს სწორედ ასეა ხილმე არცთუ იშვიათად“.

ქუმშარიტებაა, მაგრამ არა თუ უნიჭობის აღიარება. ჩანს, ვერიდებით კრიტიკულ შენიშვნებსაც, მივდევართ კომპრომისებზე. იგრძნობა, რომ საგამოფენო კომიტეტაც უსდებთ ზოგჯერ დათმობაზე წასულა. მამ რით უნდა ავხსნათ ნიჭიერი და უნიჭო ნაწარმოებების მეზობლობა საგამოფენო დარბაზებში? რაც შეეება კრიტიკას, ალბათ ამის შესახებაც ვისაუბრებთ.

გ. ნარმანი:

მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა დღევანდელ ქართულ ფერწერაზე. ფერწერა, ჩემი აზრით, ადამიანის შემოქმედებით ბუნების, მისი მხატვრული მონაცემების გამოვლენების ერთ-ერთი ურთულესი ფორმაა. ადერ არსებობდა უმართლესო აზრი, თითქოს ფერს სურათში მომკარალებული ფუნქცია აკისრია, თითქოს, მხოლოდ და მხოლოდ დამხმარე ელემენტია. წარსულმა ჩაბარდა ის მუხედულებაც, თითქოს ფერწერით არ შეიძლება ჩადმოიცეს ადამიანის განცდები, ემოციები. როცა ფერწერაზე ვსაუბრობთ, ვფიქრობ, მხედველობაში უნდა გვკონდეს ადამიანის ნიჭის ის მხარე, რომელსაც თავისი სპეციფიკა და შინაგანი ლოგიკა გააჩნია, დაფუნდებული ხელოვანის ინდივიდუალურ თვისებებზე.

თანამედროვეობამ უდავოდ მნიშვნელოვანი ამოცანები დააყენა ფერწერის წინაშე. მაგრამ ეს ამოცანები, ჩემი აზრით, ყველა შემოქმედმა თავისი პოზიციებით უნდა განსაზღვროს. თანამედროვეობა არ არის ის, რომ ცნობილი მხატვრების პრობლემატი ბრძამ გადმოვიტანათ, ანდა ერთხელ გატკეპნილი მეოცობებით ვიზუმათ. ქუმშარიტ ხელოვანს საკუთარი ამოცანები უნდა გააჩნდეს. მან თავისი შემოქმედება უნდა წარმართოს საკუთარი შინაგანი მოთხოვნილებებით.


როცა რმბრანდტის ტილოები ვუხვრით, ვგრძნობთ თუ რა დრამა ჩაჴვდა მხატვარი ადამიანის ცხოვრებას და მის ბუნებას, რა დრმა განცდით მოიტანა ყოველივე ეს ჩვენამდე. მცდარი იქნებოდა აზრი, თითქოს ჰოლანდეელი ოსტატი ამას აღწევს იმით, რომ ხატავს უმეტეს შემთხვევაში სახელანაოებულ, წელში მოხრილი მამრალ ადამიანებს. ეს არ არის სწორი. რემბრანდტის შემოქმედების სიდიადის საიდუმლოება მის ფერ-

სკკპ
XXV
ყრილობის
შესახებ


გეომონა


„დილა“

შრომს“



- მ. აბოძაძე, ვარციხის ქვის მუხენებლობა.
- დ. ნოღია, სერიიდან „დილა“ შრომს“.
- გ. დოღენჯაშვილი, გეომონა მუხენებლები.





- ა. გორგაძე. გვირაბის მშენებლობა.
ბ. მჭედლიშვილი. მწევესი.
გ. მონასელიძე. მინდვრის დედოფალი.
დ. სამსონაძე. არის ქართული ნავთობა.





წერაში იმალება, ფერწერაში, რომელიც შეგვაგრძნობინებს ამ ტიტანის სულს. ბუნებას, მისწრაფებებს, რემბრანდტის ფერწერა მრავალფენოვანია და ყოველი ფენა აფრქვევს მის დამოკიდებულებას გარემოსადმი. ვგრძობთ, რომ ფერთ მუშაობის მიუღი პროცესი მისი შემოქმედებითი ცხოვრების განუყრელი ნაწილია.

ავილით ვან გოგი — სულ სხვა ეპოქის მხატვარი. ვან გოგი არ ხატავს ადამიანებს ისე, როგორც ამას რემბრანდტი აკეთებს. მისი პერსონაჟები არ არიან რემბრანდტის ტიპის, დეტალებში კონკრეტული ადამიანები, მაგრამ თავისი ემოციურობით, სინამდვილის გადმოცემის ძალით, ვან გოგი, ჩემი აზრით, რემბრანდტის დონაზე მხატვარია. ამით მე მინდა ვთქვა, რომ ფერწერას ძალუს სულ სხვადასხვა ხერხებით გადმოსცეს და გახსნას მხატვრის აზრი.

რ. თორღია:

ჩემი სტუდენტობის დროს, მაგალითად, რაც არცთუ ისე შორეული პერიოდაა, პედაგოგები ერიდებოდნენ ვან გოგზე საუბარს...


გ. ნარმანია:

ლიტერატურაში, ხელოვნებაში ბევრი რამ შეიცვალა, ძიებები უფრო თავისუფალი გახდა, მაგრამ ამჟამად ისეთ არასასურველ ტენდენციებსაც აქვს აღვილი. რომ ამაზე ლაპარაკი აუცილებელია. თითქოს ვიზრძვით ფერწერის მნიშვნელობის

ამაღლებისათვის და ამ დროს ზოგჯერ მას ფუნქციებს ვუკარგავთ. მე მინდა ვთქვა, რომ ნუ გავაიოლებთ ამოცანებს: უფრო დიდი და უფრო ღრმა პრობლემები დავისახოთ და კარგად გავარჩიოთ რომელი გზაა დღესდღეობისკენ და რომელი წინსვლისკენ. ამის მაგალითებია კი გამოფენაზე საკმაოდ გახლდათ.

რ. თორღია:

გამოფენა „დიდება შრომას“ მეტად მრავალფეროვანი იყო მხატვართა ინდივიდუალობით, მხატვრული ამოცანების სხვადასხვაობით და სწორედ ამით ეს ექსპოზიცია, ჩემი აზრით, გამოირჩეოდა წინა გამოფენებისაგან. თუ ადრე ფერმწერლები სურათებში ნაკლებად ისახავდნენ ფერის ამოცანებს, უპირატესობა ენიჭებოდა კომპოზიციას, ნახატს, პლასტიკას. ახლა წინა პლანზე ფერის პრობლემები წამოვიდა. ჩანს სერიოზული დამოკიდებულება თემებისადმი. ბევრი სურათი საინტერესო კუთხიდან იყო გახსნილი, ექსპონატების სიუხვეც იმას მოწმობს, რომ საქართველოს მხატვართა კოლექტივი ერთსულოვნად ჩაება ამ შთამაგონებელ შემოქმედებით სამუშაოში ჩვენი მშრომელი ადამიანების სადიდებლად. რა თქმა უნდა, აქ შეხვდებოდით რიგ სუსტ ნამუშევრებსაც. შენიშნავდით იმასაც, რომ მხატვართა ერთი ნაწილი ვერ გამოვიდა თავისი შემოქმედებითი შესაძლებლობის შესაფერად, მაგრამ, ვიმეორებ, ამოცანებისა და მხატვართა ინდივიდუალობის მრავალფეროვნებამ ბევრით განსაზღვრა ინტერესი ამ ახალი ექსპოზიციისადმი.



ბაქოვანა
„ლიჯაა
პროკას“

ნ. იანქოშვილი.

ჩ.ი.ი.



ლ. მხეიძე:

გამოფენაზე სკულპტურული ნამუშევრებიც სწორედ ამ ინდივიდუალური, განსხვავებული ამოცანებით იზიდავდა ყურადღებას, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ბევრმა ავტორმა მიაღწია მაღალ მხატვრულ დონეს. ძერწვის ემოციურობით, პლასტიკურობით, ადამიანის ხასიათის წვდომით უთუოდ გამოირჩეოდა კიკალიშვილის „ქიმიკოსის პორტრეტი“, მჭედლიშვილის „მწყემსი“, მონასელიძის „მინდვრის დედოფალი“, ჭყონიას „ჯანსუღ კახიძის პორტრეტი“ და სხვ.

სურათის შექმნის პრობლემები ახლა ბევრად გართულებულია. თუ ვერ კიდევ ორი ათეული წლის წინ არასებობდა ერთგვარი კანონები, მხატვრები არ სცილდებოდნენ ტონალურ ფერწერას, დღეს ფერმწერლებს სურთ თქვენ ახალი სიტყვა და ამ სურვილში ისინი ყოველთვის ვერ იცავენ წონასწორობას, რომელიმე მხარეს იხრებიან ან გავლენების ქვეშ ექცევიან.

ლ. თაბუაშვილი:

ძიებებს წარმატება მოაქვს, როცა ფორმისეული პრობლემები ღრმა იდეური ჩანაფიქრიდან გამომდინარეობენ და ნაწარმოების მხატვრული გამომსახველობის მისაღწევად ისახებიან. კომპოზიციის, პლასტიკის, ფერის სფეროში წარმართულმა ამ ძიებებმა ბევრს საკუთარი თავიც აპოინა, საკუთარი კრედიო და შემოქმედებითი სახე ჩამოუყალიბა. დღეს ეს თვალათლივ ჩანს მრავალი მხატვრის მაგალითზე, მათ შორის არიან ისინიც, ვინც ვერ კიდევ გუშინ „ახალგაზრდებს“ შორის ირიცხებოდა. თავიანთი პროფესიული მონაპოვრებით ეს მხატვრე-

ბი უკვე გასცდნენ ახალგაზრდულ ასაკს და თანმიმდევრულად სრულყოფენ ისტატობას, სწორედ საკუთარი მრწამსის ფრთხილად გულება და ოსტატობის სრულყოფისაკენ სწრაფვა განაპირობებს მუდამ მათ საინტერესო გამოსვლას გამოფენაზე.

ლ. მხეიძე:

დაიხ, მხოლოდ გულწრფელობაა ორიგინალური და ემოციურად გამომსახველი ნაწარმოებებს შექმნის პირობა. არ არის დასაძალი, რომ ასეც ხდება: ერთი-ორი შემოქმედი გულწრფელი ექსპერიმენტით რაღაცას საინტერესოს მიაღწევს და გამოინდებიან მიმდევრები, მკვიდრდება ერთგვარი მოდა, ეტალონი, ჩნდება მანერული, ნაძალადევი ნამუშევრები.


ლ. თაბუაშვილი:

ზურაბ ნიჭარაძის ხელოვნებას, მაგალითად, უამრავი თაყვანისმცემელი ყავს და არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, მაგრამ მას გამოუჩნდნენ თაყვანისმცემელი-მიმბაძველებიც ახალგაზრდა მხატვრების სახით და ესეც იგრძნობა ამ გამოფენაზე. მაშინ, როცა ნიჭარაძე კვლავ ახალ ამოცანებს და ახალ გზებს ისახავს, ხდება მისი ტილოების ფერწერული ენის ერთგვარი გადამღერება. ეს გადამღერება უღიმღამო და უსუსურია, როგორც ყოველი მიბაძვა. მიბაძვები კი აქა-იქ სხვა დარგებშიც იჩენს თავს.

აქ ლევან მხეიძემ აღნიშნა, რომ ქანდაკებამო დროდადრო მკვიდრდება მოდა. რას გულისხმობთ კონკრეტულად?



ფ. ანამიატოვი. სსრ კავშირის სახალხო არტისტის მ. საბიროვას პორტრეტი.



კ. ონიანი. მწყემსი.

ქართული სახ. საგ. სსრ
ხელოვნებასა და კულტურის
მინისტროს ბიბლიოთეკა

ლ. მხეიძე:

იყო ერთი პერიოდი, როცა ქართულ ქანდაკებაში მკვირივ, მოკლობით პლასტიკად ითვლებოდა ფიგურის გაზვიადებულად სქელი ფეხები და ამგვარი მიდგომით ძერწავდა ბევრი მოქანდაკე. ამოცანები კი განსხვავებულია — არის დეკორატიული ხასიათის ქანდაკება, არის თანრული — თათოვულს თავისი ამოცანა და დანიშნულება გააჩნია, ამას გარჩევა უნდა.

რ. თორღია:

ცულია ისიც, რომ რომელიმე ავტორიტეტული მხატვარი საკუთარ ფერწერულ თეორიას შეიმუშავებს და ყველას ასევეს ეტყობ. ამტკიცებს. ითქვას მხოლოდ კონტრასტზე აგებულია ფერწერა ნამდვილი ფერწერა. პრობლემის ამგვარად დაყენება ყალბია. მას მხოლოდ დაღმავალი გზისკენ მიიყვანს მხატვრები, ან ერთ საფეხურზე აწერებს.

ლ. მხეიძე:

ყოველივე ამას გაანალიზება ჭირდება და ქართული ხელოვნებისმცოდნეობა და კრიტიკა კი მოწოდების სიმალღეზე არ დგას. პირდაპირ ვიტყვი — მას გამოცლილი აქვს მეცნიერული საფუძველი, არ გავაჩნია პოლიემის, აზრთა გაცვლა-გამოცვლის ტრადიცია. გამოფენების განხილვები ძალიან უფერულად ტარდება. როგორც ჩანს, მოძველდა განხილვების ამგვარი ფორმა, ახალი გზის მოძებნა საჭირო ხელოვნებამცოდნეებისა და მხატვრებს შორის ურთიერთობის დასამყარებლად. საინტერესო მეცნიერული დისკუსიების მოსაწყობად.

რ. თორღია:

რა თქმა უნდა, ავ-კარგი უნდა გაიჩრქოს. მით უმეტეს, რომ, როგორც ჩანს, ჩვენი ხელოვნების შემდგომი განვითარების გზა არცთუ სწორხაზოვანია, ჩრდილოვანი მხარეებიც ახლავს. საერთოდ კი ის, რომ ჩვენი მხატვრები დიდი ყურადღებას უთმობენ ფორმისეულ პრობლემებს, უთუოდ მისასალმებელია, რამდენადაც მაღალმხატვრული ფორმის გარეშე მაღალიდევს იმ ნაწარმოები ვერ შეიქმნება. ეს გზა ბუნებრივად გრძელდება იმ ეტაპებზე სვლის შემდეგ, რომელზეც აქ იყო ლაპარაკი. ახალი ფორმის ძიებები თავისთავად მოიტანა დრომ, თანამედროვეობის ღირსეულად ასახვის ამოცანებში. ამ გზის დასაწყისში ეს პრობლემები მოგვევლინა აგრეთვე როგორც რეაქცია ერთფეროვნებასა და ერთგვაროვნებაზე, რეალობის მეთოდის არასწორ გაგებაზე. მივიგინოთ, ერთ პერიოდში როგორ გავდა ნაწარმოებები ერთი მხატვრის დახატულს, ერთ ქარგაზე გამოქრისლს.

ლ. თაბუკაშვილი:

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა და ოსტატობის ამაღლები-სათვის ჩვენი მხატვრების ბრძოლის შედეგია სწორედ ის, რომ ქართული მხატვრობის ყველა დარგმა დღეს დიდ სიმაღლეებს მიაღწია. ძნელია გვარების ჩამოთვლაც კი, ვის სახელებთანაც დაკავშირებულია ჩვენი ერთგვანი სახეობი ხელოვნების წინსვლა. ბევრი მათგანი მონაწილეობს გამოფენაზე „დიდება შრომა“. კვლავ საინტერესოდ გამოვიდნენ შურამ ნიკარაძე,

დინარა შოღია, თვაკ ივანაძე, მამია ახობაძე გივი თოიძე ბეჟან წოდები, კონკა მირზაშვილი და სხვები. აქ აღინიშნავს ფერს ვაშბით უფროსი თაობის მხატვართა სახელოვნებო მომადგენლებზე — ელენე ასხელდინაზე, ლადო გუდიაშვილზე, რომელთა ნამუშევრები მუდამ ამდიდრებს ჩვენს ექსპოზიციონს.

კ. მაჩაბელი:

აქ იმდენი საინტერესო, მნიშვნელოვანი და საჭირობო-ტო საკითხი წამოიჭრა, რომ მიძნელებდა რომელი მათგანით დაიწყო. რაკი ჩვენი საუბარი კრიტიკასაც შეეხო, მინდა თავდაპირველად სწორედ ამის შესახებ ვთქვა. თვალს ნუ დაეცხუ-ჭათე იმაზე, რომ ყველაზე მძიმე მდგომარეობა კრიტიკის სფეროშია. გასუთებში, ეურნალეებში იშვიათად იმდენად წერილები სახეობი ხელოვნების საკითხებზე, მაგრამ რაც იმეუბლება, ისიც ხშირად უხუსური, აზარბოფესიული, მძარე ხარისხისაა. ერთსა და იმავე გვარსაც შეხვდებით: არ დიწერება სურათი, არ შეიქმნება ქანდაკება, რომ მეორე დღესვე ქვენდება ქებით სასე სარეკლამო წერილები.

თბილისის სამხატვრო აკადემიის ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტზე ამჟამად დიდი მუშაობა მიმდინარეობს თეორიულად და პრაქტიკულად მომზადებული კადრების აღზრდისათვის. ამ ფაკულტეტის კურსდამთავრებულები უკვე ჩაებნენ ჩვენი რესპუბლიკის მხატვრულ ცხოვრებაში. საჭიროა მომავალში ხელოვნებათმცოდნეთა ამ კადრების სათანადოდ გამოყენება.

ლ. თაბუკაშვილი:

მხატვართა შემოქმედებითი პრაქტიკისა და სახელოვნებათმცოდნეო კრიტიკის შეუსაბამობა ძალზე შეაზარა. ეს საკვალლო ფაქტია, რომელსაც ვერსად გავიქვცივით. თქვენი აზრით, რომ თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულები უკვე ჩაებნენ ჩვენი რესპუბლიკის მხატვრულ ცხოვრებაში, და რომ საჭიროა ამ კადრების სათანადოდ გამოყენება. მაგრამ ჯერჯერობით მათი ეს ჩაბმა, ერთი-ორი გამონაკლისით. არ იგრძობა. არც პრესის ფურცლებზე, არც განხილვებზე. მიუხედავად მრავალგზის თხოვნისა, ვერც ჩვენს რედაქციამში მივიზიდეთ ისინი. ეურნალი „სახბოთა ხელოვნება“ კი ყველაზე უფეთესი ასპარეზია მათი სახელოვნებათმცოდნეო-კრიტიკული მუშაობისათვის.

კ. მაჩაბელი:

აქ აღინიშნა, რომ საგამოფენო კომიტეტი ყოველთვის არ იჩენს პრინციპულობას და გზას აძლევს ისეთ ნაწარმოებებსაც, რომლებიც ამას არ იმასხურებენ. ამ მდგომარეობაშია კრიტიკოსიც. მე შემიძინა მოვიყვანო იმის ფაქტები, როდესაც ხელოვნებისმცოდნის დასაბუთებულ, სამართლიან კრიტიკულ შეფასებას მოსდევს ნაწარმოების ავტორის განაწყენება, ამაგვარი ურთიერთდამოკიდებულება შეუქმნარებელია. თუ მხატვარი შენიშნავს მიუღებლად მიაჩნია, მან თავისი მხრივ უნდა დაუპირისპიროს კრიტიკოსს სასუთარი თვალსაზრისი. ასეთი მოქმედებით თანამოხრომობა ცაცილებით ნაყოფიერი იქნება. თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში უადრესად მნიშვნელოვანი და საინტერესო მოვლენები მიმდინარეობს. მხატვარ-



თა წინაშე მდგომი დიდი ამოცანები შესაბამის მხატვრულ გადაწყვეტას მოითხოვენ. ამაში, რა თქმა უნდა, გარკვეული როლი ხელოვნებათმცოდნეობამაც უნდა შეასრულოს. საჭიროა მუშაობის წარმართვა მაღალ მეცნიერულ დონეზე. პრინციპული პოზიციების დაკავება, დასაბუთებული ანალიზი, რათა მხატვარმა კრიტიკოსს დაუჯეროს. აუცილებელია თანამედროვე ქართული ხელოვნების საკითხებზე ხელოვნებათმცოდნეთა დიდი და სერიოზული მუშაობა.

ზოგჯერ რატომღაც ხელოვნებისმცოდნეებს დებენ ბრალს მხატვრები იმაში, რომ იქმნება მხატვრულად სუსტი ნაწარმოებები. ხელოვნების ისტორიამ არ იცის იმის პრეცედენტები, რომ უმართებულო კრიტიკას სწორი გზიდან აეცდინა ქვეშაირი, თავისი პოზიციების ერთგული ნიჭიერი მხატვარი.

აქ აღნიშნული იყო, რომ გამოფენა „დიდება შრომისა“ დიდად არ გამოირჩეოდა ადრინდელი გამოფენებიდან თავისი მხატვრული დონით. მხატვრები ალბათ მეტი გულისყურით უნდა მოეკიდნ ასეთ თემატურ გამოფენებს. შრომის თემა ძალიან ფართოა და დიდ შესაძლებლობებს აძლევს შემოქმედით, მთავარია მოინახოს მისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულება. ავიღოთ თუნდაც პეიზაჟის ჟანრი. განა პეიზაჟში არ შეიძლება ვაჩვენოთ ადამიანის შრომის ნაყოფი? ხელოვნების განვითარების მთელ მანძილზე წედევრები სწორედ შრომის თემაზე იქმნებოდა. როცა ნაწარმოები მიზნობრივი გამოფენისათვის კეთდება, ეს იგივე შეკვეთაა. ველსაკეპი, რემბრანდტი და ბევრი სხვა განა შეკვეთით არ მუშაობდნენ?

გ. ნარმანია:

შევეთხა დაფუძნებული ხელოვნება და მომავალშიც ასე იქნება, მაგრამ აქ საკმე დროშია. ვადები კი ზოგჯერ არ არის საკმარისი. მხატვარი ვერ ასწრებს სათქმელის დასრულებას, თავისი პოზიციის დახვეწას. ხდება ისეც, რომ შემოქმედი რაღაც დონეს მიაღწევს და აღარ სურს მას გასცდეს. ეს არის ყველაზე ცუდი -- სურვილები და მიზნები განუხორციელებელი რჩება.

კ. მაჩაბელი:

თემატიკური სურათის შექმნა, ცხადია, რთული ამოცანაა. მის განხორციელებას ბევრი ფიქრი ჭირდება. ასეთ შემთხვევაში ფერის, კოლორიტის ძიებანი, როგორც აქ ითქვა, თვითმისთანს კი არ წარმოადგენს, არამედ ღრმა შინაგანი აუცილებლობითაა განპირობებული. საერთოდ, ნაწარმოების ყოველი კომპონენტი ერთი აზრით უნდა იყოს გაერთიანებული და შინაგანად გამართლებული მხატვრული ამოცანიდან გამომდინარე.

აქ გავლენებზე იყო ლაპარაკი. შესანიშნავი მაგალითი გვაქვს ამ მხრივ ჩვენი სახელოვანი მხატვრების — ელენე ახვლედიანის, დავით კაკაბაძის, ლადო გუდიაშვილის სახით: ისინი იმ დროს აღმოჩნდნენ პარაზში, როცა ყალიბდებოდნენ



მ. ბაქრაძე.

მ. კანკავას პორტრეტი.



გ. ნიოლაძე.

გოგონა.

ნ. იენაძეო.

მოკარტის ბალეტის ექსპოზ.





ა. მონსელიძე.
ტიდაობა.

როგორც შემოქმედნი, ევროპა კი ამ დროს დღედა: რამდენიმე მიმდინარეობა, რამდენი სიახლე... ამ პერიოდში აქ რამ-მისავე ვედრილიყო ნაკლები შინაგანი მომზადების, ნაკლები ინდივიდუალობის მქონე პიროვნება, საკითხავია, რა გზით წაირმართებოდა მისი შემოქმედება... მაგრამ სამივე მხატვრის მაგალითზე ჩანს, თუ როგორ ხდება ტემპორიტ შემოქმედთან გარე სამყაროს მოვლენათა აღქმა და გადამშავება, როგორი შედეგულია მისი ინდივიდუალობა ზედაპირული გავლენებისაგან.

ახლა ახალგაზრდა მხატვრებს მეტი შესაძლებლობანი აქვთ გაეცნონ მსოფლიოს ხალხთა ხელოვნებას, მაგრამ იქიდან, სამწუხაროდ, მხოლოდ რაღაც ზედაპირული გადმოქვეთ, უფრო ხშირად კი საფრანგეთის ოციანი წლების მხატვრობას მიაყურობენ სოლომე ყურადღებას. იშვიათად მიმართავენ ქართული ფერწერის სავანტებს. საბედნიეროდ, ჩვენამდე მოღწეულია ქართული ფრესკების შედევრები. ფერის, ფორმის, კოლორიტის არაჩვეულებრივი სიმდიდრით. ამ სიმდიდრის დანახვა თანამედროვე ადამიანის თვალთ, მათი თავისებური გააზრება უსარგებლო არ იქნებოდა მხატვართა შემოქმედებისათვის.

ლ. თაბუკაშვილი:



ა. სემენცოვი. დილა თბილისში.

გავლენები გასაგებია შემოქმედის საწყის ეტაპებზე, მაგრამ როცა უკვე თითქმის ჩამოყალიბებული ფერწერი, რომელმაც რაღაც საკუთარი, გულწრფელს მიაკლავა, ამ გზით სვლის ნაცვლად ექსპერიმენტებს იწყებს ნაძალადევიდ თავს მოიფეული. უცხო მხატვრის ხელოვნების გავლენით, იგი კარგავს არა მარტო საკუთარს, არამედ შორდება ნამდვილ პროფესიონალიზმს. მე ვხედავ მაგალითებს იმისა, რომ ფერწერი შესანიშნავად ხატავდა, მყარად აგებდა კომპოზიციას, ქმნიდა სახეს — ეროვნულს, მართალს, ახლა კი საღებავების ზღვაში ჩაფლობას ღამობს, და ნაკლებად ფიქრობს იმაზე, თუ რა უნდა გეითხრას ამ ექსპერიმენტულმა მსუყე და მედერმა მონასებმა. ასე წარმოდგებიან ჩვენს წინაშე ადამიანთა უსახური სქემები და სამწუხარო ისაა, რომ ხდება ასეთი ნაშუშვრების წახალისებაც. ხომ არ გვეკარგება კრიტიკიუმები ნამდვილად მხატვრული და მოწინებითად მხატვრული ნაწარმოებების გამოსარჩევად? გულსატკენია, როცა სწორედ ნიტიერი აცდება გზას.

კ. მარჩბელი:



რ. მხაკაიანი.
გოგონა.

მიქელანჯელო უკვე საკმაოდ სახელმწიფეილი ოსტატი იყო, როცა წლობით იჯდა და მიზაჩოს და ჯოტოს ფრესკების ასლებს აკეთებდა. ბევრმა ახალგაზრდამ, ჩანს, არ იცის, რომ მარტო ნიტი არ კმარა. მისი რეალიზაციისათვის დიდი შრომა და უსასურლო მიმოიხეწელობა საჭირო. კაკობრიობის მიერ დაგროვილი მხატვრული მემკვიდრეობის ათვისება, მისი შემოქმედებითი გააზრება რთული პროცესია, სათანადო მომზადებას და ხედვის ფართო დიაპაზონს ითხოვს. გაცილებით ადვილია უბრალო მიმზადება, რაც ზოგჯერ საკუთარ შემოქმედებად საღდება. უსარგებლო განმეორება, აღმოჩენა დიდი ხნის წინათ აღმოჩენილისა, მხატვრის წინსვლაში ვერ დაეხმარება. მას უნდა ახსოვდეს, რომ სხვადასხვა ეპოქისა და სხვადასხვა ქვეყნისათვის კრიტიკიუმები განსხვავებულია. მეტროპოლიტენ-მუზეუმის ექსპონატთა გამოფენაზე მოსკოვში მხატვრებმა ალბათ ნახეს ბიკასოს ქალის პორტრეტი. ეს უაღ-



რესაღ თანამედროვე პორტრეტია და ამგვე დროს კლასიკის მწვერვალამდე ასული. მიოდლიანის პორტრეტის გვერდით იგა განსაკუთრებით ავლენდა განსხვავებულ მიდგომას ფორმის, ხაზის, ფერის მიმართ. დღეს ბევრი მხატვარია გატაცებული პიკასოს შემოქმედებით და ცდილობს მიბაძოს მას. მაგრამ ხომ საჭიროა იყოფნენ, საიდან დაიწყო პიკასო და როგორი გზა გაწვლო.

ლევან მხეიძემ აღნიშნა, რომ არ შეიძლება ქართული ხელოვნებათმცოდნეობა მეცნიერების რანჟში ავიყვანოთ. ასეთა ზოგადი ხასიათის განცხადების გაკეთება არ შეიძლება. ყოველ მიუღებელია მხატვართა ამგვარი ნიჟილი ტური დამოკიდებულება მეცნიერების ისეთი დარგისადმი, როგორც ხელოვნებათმცოდნეობაა. ამით გაიგივებულია სუსტი, უნიათო კრიტიკა და ხელოვნებათმცოდნეობა, როგორც მეცნიერების დარგი. განსაკუთრებით მიუტევებელია ამგვარი მსჯელობა დღეს, როდესაც ქართულ ხელოვნებათმცოდნეობას. მეცნიერთა თვლი თათბის მოღვაწეობის წყალობით, მსოფლიო აღიარება აქვს მოპოვებული.

ლ. თაბუკაშვილი:

აქ ითქვა, რომ გამოფენების განხილვის ფორმა მოძველდა და იგი ინტერესს აღარ იწვევს, რომ საჭიროა ახალი ფორმის გამოტანა. უდავოა, განხილვები უფერულად ტარდება და ეს უფერულობა იმდენად „ტრადიციული“ გახდა, რომ ამ თავყრილობებმა აუღიტირია თანდათან დაკარგა. დაეუშვათ, რომ აქაც კრიტიკოსები სცოდავენ და მათი არასაკმაოდ ღრმა და ყოვლისმომცველობას მოკლებული კრიტიკული შეფასებანი ნაკლებდამაჯერებელია. სად არიან თვით მხატვრები? იმინი ამ განხილვებს ნაკლებად ესწრებიან. თუ აღიარებენ ვიჭერებს იმაზე, რომ არც პოლემიკაში მონაწილეობენ, აუ ეკამათებიან და არ აკრიტიკებენ მომხსენებლებს — ხელოვნებისმცოდნეებს, ასე, რომ განხილვების ფორმა რაც არ უნდა განახლებეს, თუკი იქ გუგორილობა და ჩაურევლობა დაისაუბრებს, სიასხლე საქმეს ვერ უშველის. საქმიანი შერება კი ძველი ფორმითაც შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს.

ნიშანდობლივია და საესებით გასაკვირი, რომ გამოფენების განხილვებზე ბოლო ხანებში ძირითადად ახალგაზრდობა იყრის თავს—ახალგაზრდა მხატვრები. მათი გულშემატკივრები. ისიც გასაკვირი, რომ მათ სურთ მოისმინონ მსჯავრი საკუთარ აუ თავისი კოლეგების ნაწარმოებზე. საესებით მასართლიანი იყო ამასწინანდელ განხილვაზე ახალგაზრდა მხატვრის გულისწყურება, მორიგი ინფერანუებით გამოწვეული, მაგრამ იქებ თვით განხილვის ორგანიზატორსა სჭირდება უფრო გულდასმითი, უნაწარმო მოფიქრება. მაგრამ. მასში ახალგაზრდა ხელოვნებისმცოდნეების, მხატვრების ჩაბმა. იმათი. ვისაც სურვილი აქვს თავისი აზრი გამოისთქვას საჯაროდ და არა ნიშნოდ მეგობრების ვიწრო წრეში.

რ. თორღია:

ხელოვნებისმცოდნეობაში, კრიტიკაში, სახვითი ხელოვნების პროპაგანდის საქმეში, მართლაც, მნიშვნელოვანი ხაკლოვნებანია. სწორად თქვა კიტი კამახელმა, პრესაში ვხვდებით უხუსურ, არაპროფესიულ, კურორულ წარმოდგენას კი სახვითი ხელოვნების ამა თუ იმ მოვლენაზე. საინტერესოა, რედაქციებში ყავთ თუ არა ამ დარგის მასალებზე პასუხისმგებელი პირი. ეს ხომ ძალიან სპეციფიკური და რთული დავარაგია, ისევე როგორც ხელოვნების სხვა დარგებიც, მოთხოვნა სპეციალურ ცოდნას და შეფასების უნარს.

ხელოვნების რედაქციებში, რადიოში, ტელევიზიაში, როგორც წესი, ამ განყოფილებას პროფესიონალი არ ხელმძღვანელობს. ეს მაშინ, როცა რესპუბლიკა ყოველწლიურად უშვებს ახალგაზრდა ხელოვნებისმცოდნეებს.

ნ. კიკნაძე:

სახვით ხელოვნებას უფრო ფართო პროპაგანდა ჭირდება. დღეს ხალხი უფრო იცნობს მწერლებს, პოეტებს, ვიდრე მხატვრებს. თუნდაც ჩვენ სახელოვან, საამაყო მხატვრებს. მეორე მხრივ კი დღედა ახალგაზრდების ლტოლვა სამხატვრო აკადემიისაკენ და სავალალო ისაა, რომ ხშირად უმაღლესი სამხატვრო განათლებისათვის ისწარაფვიან არა მოწოდებით, არამედ სხვა მოსაზრებებით.

გ. ნარმანია:

სახვით ხელოვნებას უფრო ფართო პროპაგანდა ჭირდება. დღეს ხალხი უფრო იცნობს მწერლებს, პოეტებს, ვიდრე მხატვრებს. თუნდაც ჩვენ სახელოვან, საამაყო მხატვრებს. მეორე მხრივ კი დღედა ახალგაზრდების ლტოლვა სამხატვრო აკადემიისაკენ და სავალალო ისაა, რომ ხშირად უმაღლესი სამხატვრო განათლებისათვის ისწარაფვიან არა მოწოდებით, არამედ სხვა მოსაზრებებით.

გული მტკიავა იმაზეც, რომ ჩვენი ხელოვნების მუზეუმი ცუდ მდგომარეობაშია, იგი სათანადოდ ვერ ასრულებს ვერც სახვითი ხელოვნების ნაწარმოების საპროპაგანდის, ვერც ექსპონატთა მოვლისა და დაცვის საქმეს.

ნ. კიკნაძე:

მინდა ქართული დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების მტკივნეულ საკითხებს შევხები. კარგად იცით, რა სინალებებს მივალწა ამ დარგმა, რომელიც ბოლო პერიოდში ძალიან გამარავალფეროვანდა ახალი სახეობებით, როგორცაა, მაგალითად, გობელენი, ბატეკა და სხვ. თუ ქართული ხელოვნება ფართო სარბილზე გავიდა, მისი მიღწევები საბჭოთა კავშირის ფარგლებს გასცდა, ამაში მთავარი დამსახურება მიუძღვის ორ დარგს — კერამიკასა და ჭედურობას. დღეს ჭედურობას ბევრი ჩრდილოვანი მხარე აქვს. იგი შეიჭრა იქაც, სადაც არ უნდა შეჭრილიყო, გავრცელდა ჭედური პანოები, მაგრამ საქმეს ის კი არ არის, რამდენ კვადრატულ მეტრს მოჭედავ, არამედ ისაა, თუ რას მოჭედავ და რისთვის.

დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება და ამ დარგის მხატვრები მეტ ყურადღებას და დაფასებას საჭიროებენ სხვა დარგის თავიანთი კოლეგების მხრიდან. როცა დიდი რესპუბლიკური გამოფენა „დიდება შრომის“ გაიხსნა, პარალელურად ხელოვნების მუშაკთა სახლში მოწყო დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშთა გამოფენა, როგორც ადრინდელ გამოფენებზე, ამ ექსპოზიციაში წამყვანი იყო მხატვრული გობელენი — არა იმიტომ, რომ ექსპონატება იყო შედარებით უნაად გამოფენილი. არამედ მათი მხატვრული შინაარსის მხრივ. გობელენების დეკორატიულ გაღწევებსა საფუძვლად დაემდო შრომის თემა და ნაქოთთა სპეციფიკის ჩარჩოებშიც იქ თვლილი საინტერესოდ აქვრდა.

არ შემიძლია გულისტკივილი არ გამოთქვა იმის გამო, რომ ამ დარგის მხატვართა შესაძლებლობები მასიურ წარმოებაში არ არის გამოყენებული. სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულებს საშუალება არ აქვთ თავიანთი შემოქმედება სასოფადობას მოახსარონ. თითქმის არ ხდება მათი ნამუშევრების შექნა. ამ მხრივ სხვა რესპუბლიკებში უფრო კარგადაა



საქმე მოგვარებული, გამოყენებითი ხელოვნების დარგების მხატვართა შემოქმედებაზე უკვე გარკვეული ლიტერატურა შეიქმნა, მაშინ, როცა ჩვენში ამ მხრივაც კურჯურობით არაფერი გაკეთებულა.

კ. მაჩაბელი:

მინდა ცოტა რამ პლაკატის ხელოვნებაზე ვთქვა. ძალიან გულსატკეპია, რომ ის აღორძინება, 10-15 წლის წინ რომ დაიწყო, შეფერხდა. ეს იყო მთელი ეტაპი, შეიქმნა მკაფიო ნიჭიერიები აღბეჭდილი პლაკატები. ახლა, როცა ხელაზრკობით დღევანდელ-გამოყენებითი, მიონუმენტური ხელოვნების დიდ მნიშვნელობაზე, რა არის უფრო კარგი ასპარეზი ფერწერისა თუ გრაფიკოსისათვის, ვიდრე პლაკატი. იგი ფართო შესაძლებლობებს აძლევს შემოქმედს დღევანდლობის შესატყვისი ახალი ფორმის მოსაძებნად. ახლახან ქუჩაში შევინახე ნინას და ნანას მატჩისადმი მიძღვნილი მეტად მეტყველო პლაკატი და გული დამწყდა, რომ მაღალმატერული პლაკატი იმეოთია ჩვენს ქალაქში.

ლ. თაბუკაშვილი:

არც ასეა საქმე. ჩვენს სამხატვრო გამოფენებზე ხშირად მეტად საინტერესო, აზრას სიმახვილითა და მხატვრული მიზნებებით აღბეჭდილ პლაკატებს ვეცნობით. ქართულმა პლაკატმა მრავალწლის გაიმარჯვა საკავშირო გამოფენებზე. იყო რიგი საინტერესო პლაკატების ან უკანასკნელ გამოფენაზეც.

ნ. კიკნაძე:

კიტი მაჩაბელს მხედველობაში აქვს მასობრივი პლაკატი. სხვათა შორის, მასობრივი პლაკატის მხატვრულ დონეს ხშირად აქვეითებს პოლიგრაფიული შესრულების უხარისხობა — დენდის ღირსებები იკარგება.

გ. ლლონიძე:

გამოფენაზე „დიდება შრომას“ წარმოდგენილ პლაკატებს შორისაც იყო საყურადღებო ნაშუქები. მაგალითად, გორდელაძის, ნარჩქეშვილის, ვარგარიძის, სარჩიშვილის, კაშიანიანს მიერ შესრულებული პლაკატები. აქედან რამდენიმე შერჩეულია და მასობრივი ტირაჟით გამოვა.

ლ. თაბუკაშვილი:

გრაფიკაში, კერძოდ, დაზგურ გრაფიკაში, ბოლო პერიოდში მრავალად მოვიდნენ ახალგაზრდა ნიჭიერი მხატვრები. გამოფენაზე „დიდება შრომას“ და პარალელურად მოწყობილ საშემოდგომო ექსპოზიციაზე სწორედ გრაფიკული ენის სინატიფითა და ლაკონიურობით მიაპყრო ყურადღება რიგმა ნაშუქებებმა. საწარმოო და ინდუსტრიული ეპიზოდები, ხედვები, საკოლმეურნეო ცხოვრების ამსახველი ჯანრული ფურცლები გამომხატვდნენ ჩვენის ხალხის შრომით ყველადღიურობას. აღმშენებლობის პათოსი. იმ თაობის მხატვართა წაოზომადღენელი, ვისაც მე ვგულისხმობ, დღეს აქ ზის: გურამ ლლონიძე არა მხოლოდ ნიჭიერი გრაფიკოსია და საინტერესო დაზგური თე-

მატური ფურცლების ავტორი, არამედ აქტიური ახალგაზრდა საზოგადოებრივი მუშაობაში. საინტერესოა რას გვეტყობა იგი თავისი კოლეგების შემოქმედებაზე და კონკრეტულად ამ გამოფენის ირგვლივ.

გ. ლლონიძე:

მოგესვენებათ, გრაფიკა, თავისი სპეციფიკის გამო, სახვითი ხელოვნების დარგთა შორის შედარებით გავრცელებული სახეობაა და ამავე დროს მრავალგვარ მასალას იყენებს. იყო პერიოდი, როცა რამდენიმე შენელებ ინტერესი ისეთი მასალის მიმართ, როგორცაა ქსილოგრაფია, ლითოგრაფია, ოფორტი. ლინოგრაფიურა. სამოცდაათიან წლებში მოსულ ახალგაზრდა მხატვართა დიდი ნაწილი განსაკუთრებული ინტერესით მოვიდა სწორედ ამ მასალეობით მუშაობას და ეს გამოიხსნა კიდევ ბოლო პერიოდის გამოფენებზე — დიდ, სამამულეო ობში გამარჯვების 30 წლისთავისადმი მიძღვნილ ექსპოზიციაზე და გამოფენაზე „დიდება შრომას“.

რამდენადაც „დიდება შრომას“ თემატიკა, გასაგებია, რომ აქ ძირითადად თემატური დაზგური ფურცლები იყო წარმოდგენილი და მათ შორის, კერძოდ, ახალგაზრდა ავტორთა შორის, ჩემი აზრით, გამოირჩეოდა დოლენჯაშვილის ნაშუქები. რომლებიც გემომშენებლების შრომით საქმიანობას ასახავს, აგრეთვე დვისაძისა — ქუთაისის ავტოკარნის მუშათა ცხოვრებიდან. შესრულების ტექნიკის მხრივ საინტერესო იყო, თუმცა რამდენადაც ერთფეროვანი, ფაქულის სერია...

ლ. თაბუკაშვილი:


გამოფენის გრაფიკული ნაწილი, ძირითადად, ორ დიდ ციკლად წარმოგვიდგა. ერთი მხრივ, ეს იყო საწარმოო და ინდუსტრიული ეპიზოდები და მეორე მხრივ, საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრების ამსახველი, უფრო ჯანრულ-ყოფითი პლანში გადაწარმოებული დაზგური ფურცლები. რა თქმა უნდა, ერთი და მეორე გზითაც მხატვრები გამოხატავენ ჩვენს ხალხის შრომით ყოველდღიურობას, აღმშენებლობის პათოსს. ავტორები ფართოდ მიმართავენ გრაფიკულ პირობითობას, სიმბოლიკას. ექსპოზიციაში მთელი რიგი საინტერესო დადაწვევები თემატური ფურცლები ვიხილეთ, მაგრამ იყო უფერულიც. ნაჩქარევი. პროფესიულად არცთუ მაღალ დონეზე შესრულებული ნაწარმოებები. იმ მხატვრებზეც კი, რომელთა შემოქმედებით შესაძლებლობებს კარგად ვიცნობთ, ამჯერად თავიანთ ახალ ნაშუქებებში რამდენადაც გაგვიერებს იმედს. ძირითადად კი გამოფენის გრაფიკული ნაწილი უთუოდ ბევრი მხრიდან იწვევდა ინტერესს. მაგალითად, დინარა ნოდიას ნაშუქებების ციკლი ამ გამოფენის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო ქმნილებებდა მიხანია. ეს ციკლი თავისი გრაფიკული ინტერპრეტაციით, მხატვრული ამოცანებისადმი მიდგომით, ერთგვარად აგრძელებს მის წინამორბედ თემატურ ციკლს, მაგრამ ჩემი აზრით, მასში კიდევ უფრო დაიხვეწა მხატვრის ოსტატობა. გამდიდრდა მისი სახვითი ენა და უფრო მეტყველო, უფრო ემოციური გახდა.

ამასთან დაკავშირებით მინდა შევნიშნო, რომ საერთოდ, გამოფენაზე, — ვგულისხმობ ვეფლა დარგს, — განსაკუთრებით გამორჩეული ნაწარმოებები არ იყო, ძირითადად მაინც ერთ დონეზე იდგა და, შესაძლოა, ამიტომაც ჩვენი საუბარი უფ-

რო ზოგადად წარმართა, ყურადღება ვერ გავამახვილებთ ცალკეულ ნაწარმოებებზე. გრაფიკაში კი დინარა ნოდიას ციკლი აშკარად გამოირჩეოდა.

საქართველო

გაგოფანიძე



გ. შვებაკაბაძე. მოკურავე.

გ. ლლონტი:

ნოდიას ნაწარმოებები უთუოდ მხატვრის წინადადგმული ნაბიჯია. ასლებური მიდგომა გამოამჟღავნა სპარტაკ ცინცაძემ თავის ვრცელ სერიაში „სურათები მწვემელობიდან“. ქსილო-გრაფიკაში შესრულებული კომპოზიციები გამოითქვან ჩვენი ცნობილმა გრაფიკოსმა ლადო ქუთათელაძემ. სხვათა შორის, ამ მასალით იშვიათად მუშაობენ მხატვრები და ვფიქრობთ, ახალგაზრდები მიუბრუნდებიან მას.

ლ. თაბუკაშვილი:

საწარმოო ცხოვრების ციკლის გარდა, გრაფიკაში არანაკლებ საინტერესო იყო ჩვენი სოფლის ყოველდღიურობის ამსახველი კომპოზიციები, ზოგჯერ კი მთელი ციკლი. მათ შორის ჩემზე განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება დატოვა გოგი წერეთლის, ანზორ თოდრიას ნამუშევრებმა. თოდრიას ამ ფურცლებში აღსანიშნავია მასალის სპეციფიკის გრძობასთან შეწყვეტილი ტექნიკური შესრულების სინატიფე და პოეტური განწყობა. უბრალო ყოფითი სცენები, სოფლის ხედები მხატვარს განცდით და ლელვადურად აქვს გადმოცემული. ემოციურობით და ამაღლებული განწყობილებით განსაკუთრებით გამოირჩეოდა „ჩემი სოფლის ზეცა“.

გ. ლლონტი:

ნიშანდობილი მხარე ბოლო პერიოდის ჩვენი დაზგური გრაფიკისათვის — არის ის, რომ იგი უფრო ფერწერულობისაკენ წავიდა, შუქ-ჩრდილის მკაფიო კონტრასტებზე აგებული კომპოზიციები იშვიათად გვხვდება. შესაძლოა, მართებული იყოს ამის ასხნა ბალტიისპირეთის გრაფიკის ერთგვარი გავლენით. მაგრამ მამში არაფერი საგანგაშო არ არის, რამდენადაც ეს არის არა პირდაპირი გადმოტანა. არამედ ქართულ ნიდაგზე გამოყენება, ქართული სულის შეტანა გამოხატვის ამ ფერწერულ ხერხებში. ბალტიისპირეთში საერთოდ ძალზე მაღალ დონეზე გრაფიკა, შტრისის კულტურა. ურთიერთგამოცდილების გაზიარებით, რაც შემოქმედებითი მივლინებისას ხდება ხოლმე, ჩვენი მხატვრები არა მარტო იღრმავებენ პროფესიულ დონეს, არამედ განამტკიცებენ მეგობრობას თავიანთ კოლექტივთან.

რ. თორღია:

მართალია, საგანგაშო არაფერია წმინდა სახვითი ხერხების ათვისებაში, მაგრამ ის კია, რომ გრაფიკოსები ცოტა ერთმანეთს დაემსგავსნენ.

გ. ლლონტი:

სხვა დარგების მსგავსად, ჩანს, ანალოგიური მდგომარეობა გრაფიკაშიც. თუ ერთი რომელიმე ავტორი თავისი შინაგანი გრძობით, განცდით მიიღწევს ასლებურ და საინტერესო გადაწყვეტას, მას გამოუწვევებიან ხოლმე მიმდევრები. ძირითადად კი შავ-თეთრით მუშაობა ქმნის ერთფეროვნების შთაბეჭდილებას.

შ. დავითია:

ბალტი.



ლ. თაბუჯაშვილი:

ზოგჯერ მხატვრები საყვედურს გამოთქამენ იმის გამო, რომ სახვით ხელოვნებაზე წერენ არასპეციალისტები, თუნდაც მწერლები, პოეტები. მე ეს საყვედური სრულიად გაუმართლებლად და უმართებულად მიმაჩნია. პირიქით, განა საინტერესო, გასათვალისწინებელი და ფასეული არ არის ის თუ როგორ გრძნობს, როგორ აღიქვამს. როგორ შემოქმედებას ახდენს შემოქმედ პიროვნებაზე (ან თუნდაც არაშემოქმედზე) ესა თუ ის ნაწარმოები? მით უმეტეს, რომ მათი განსჯა, ნაზრები — პირადი ემოციების ნაყოფი — თავისთავად უკვე საინტერესოა, რაც არ უნდა აცილებული იყოს იგი წმინდა პიროვნულ ჩაღრმავებებს იმ მხატვრულ-ტექნიკურ ხერხებში, რითაც ეს ნაწარმოები შეიქმნა.



თ. შირვაშვილი.

„აკლია-ადამიანის“
ილუსტრაცია.

რ. თორღია:

მე მგონი, აქ მყოფი არცერთი ჩვენთაგანი არ იზიარებს იმ თვალსაზრისს, რომ უნდა წერონ მარტო სპეციალისტებმა ხელოვნებათმცოდნეებმა, კრიტიკოსებმა თუ თვით მხატვრებმა. პირიქით, მივესალმები საზოგადოების მიერ აზრის პირუთნელ გამოთქმას.

კ. მაჩაბელი:

ყველა მხატვრისათვის ეს საინტერესო უნდა იყოს, თუნდაც სტატიის თუ წერილის ავტორი რაღაცაში ვერ გაერკვეს.

რ. თორღია:

აქ მინდა შევნიშნო, რომ არასპეციალისტს პროფესიული ანალოზის პრეტენზია და კატეგორიულობა არ უნდა ჰქონდეს. და როცა ტონი კატეგორიულია, ეს წარმართავს საზოგადოებრივ აზრს და, შესაძლოა, მედარად წარმართოს.

კვლავ მხატვართა ნაწარმოებების პოპულარიზაციის საკითხს მინდა დავებრუნდე. ჟურნალ-გაზეთებში ძალიან ცოტა იბეჭდება ნამუშევართა რეპროდუქციები. მართალია, მხატვართა კავშირის ინიციატივით ამ ბოლო დროს ფერადი რეპროდუქციებიც გამოიცა, მაგრამ ეს ცოტაა. ნაწარმოებები, რომელზეც ავტორები თვეობით მუშაობენ, გამოფენის დახურვის შემდეგ ისტორიას ბარდობა. ამიტომ სასურველია, რომ ისინი სადღაც აღიბეჭდოს, მე არ ვამბობ, რომ ეს მოხდეს: განურჩევლად — კლიერიცა და სუსტიც, მაგრამ საინტერესო ნამუშევრებიდანაც უმრავლესობა არსად არ იბეჭდება. პირველ რიგში ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“ მოწოდებულა მხატვართა ნამუშევრების პოპულარიზაციისათვის, მაგრამ აქაც არ ეთმობა ფართო ადგილი მხატვართა ნაწარმოებებს.

ლ. თაბუჯაშვილი:


აქ უამრავი ყურადსაღები და მტიყნეული საკითხი წამოიჭრა. გასაანალიზებელი და მოსავგარებელი კიდევ ალბათ ბევრია. ჩვენ მხოლოდ ზოგადად ვისაუბრეთ მხატვართა შემოქმედებითი პრაქტიკისა და სახელოვნებათმცოდნეო კრიტიკის შესახებ. ყოველივე ამას უფრო ფართო და უფრო კონკრეტული განსჯა ჭირდება, რაც ერთი შეკრების ფარგლებში ვერ ჩაეტევა. დიდად სასურველია, რომ აქ წამოჭრილ შემოქმედებითსა თუ ორგანიზაციულ საკითხებზე თავიანთი აზრი გამოთქვან მხატვრებმა, ხელოვნებისმცოდნეებმა, სახვითი ხელოვნების მოყვარულმა საზოგადოებამ. ჟურნალი სიამოვნებით დაუთმობს უურცლებს საკმარის კრიტიკულ გამოსვლებს.




რ. გაჩეჩილაძე.

ბიკის პორტრეტი.

ფ. ლაბაშვილი. სექტაკლ „ბეტელს“ ესკიზი.





არჩილ ჩხარტიშვილი

კოტე ნინიკაშვილი

არჩილ ჩხარტიშვილის რეჟისორული შემოქმედების შთაგონების წყარო მდიდარი ქართული კულტურაა: ძველი ქართული ფრესკული ხელოვნება, უძველესი ხალხური სიმღერები, საგალობლები, რიტუალები, ხალხური პოეზია და ისტორიული ძეგლები. რომელი ქვეყნის ლიტერატურულ მასალასაც არ უნდა ანხორციელებდეს იგი სცენაზე, ყველგან ცხადად იგრძნობა შემოქმედის ეროვნული ბუნება.

რეჟისორულ ხელოვნებას არჩილ ჩხარტიშვილი კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელის ხელმძღვანელობით დაეუფლა, მათგან შეითვისა სასცენო ხელოვნების ურთულესი კანონების ამოხსნის ოსტატობა...

...თბილისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ არჩილ ჩხარტიშვილი რუსთაველის სახელობის თეატრის სპექტაკლების მასობრივ სცენებში გამოდიოდა. კოტე მარჯანიშვილმა მას „მზის დაბნელებაში“ ეპიზოდური როლის შესრულებაზე კი დააკისრა.

1924 წელს მარჯანიშვილმა განიზრახა პირველად დაედგა ქართულ თეატრში პანტომიმა და 1926 წელს დადგა კიდევ ეს იყო „ნუეთამაშე“. ამ სპექტაკლზე მან რეჟისორის თანაშემწის თანაშემ-

წედ დანიშნა არჩილი. ა. ჩხარტიშვილი გრძნობდა, რომ მასაც შეეძლო ადამიანის რთული ფსიქოლოგიის ამოხსნა, ცხოვრებისეული პრობლემების სცენურ სამყაროში გადატანა. უნდოდა ბედი ეცადა რეჟისურაში.

ასე დასრულდა არჩილ ჩხარტიშვილის „აქტიორული“ კარიერა. მაღელ იგი რეჟისორის თანაშემწედ დანიშნეს. კოტე მარჯანიშვილი, როცა კი შესაძლებლობა მიეცემოდა, რჩევასა და მითითებას აძლევდა, ხშირად ჩურჩულითაც კი უთქვამს რეჟეტიციაზე: „დააკვირდი ამ სცენას, გამოგადგებაო“. როდესაც მარჯანიშვილი წავიდა რუსთაველის სახელობის თეატრიდან, არჩილმა სანდრო ახმეტელთან გააგრძელა მუშაობა და რეჟისორის თანაშემწე იყო „ანზორში“. რუსთაველის თეატრის მუზეუმში დაცულია არჩ. ჩხარტიშვილის მიერ ჩაწერილი სარეჟეტიციო დღიურები, რომელია გაცნობისას ნათლად იგრძნობა, რომ რეჟეტიციის მსვლელობა აღწერილია განათლებული, თეატრის ღრმად მცოდნე ადამიანის მიერ, რომელიც ჩინებულად სწვდება დამდგმელის მიზანდასახულობას. ქართულ თეატრში დღესაც სანიმუშოდ ითვლება რეჟეტიციის ცოცხალი პროცესის იმევა-

რი აღნუსხვა, როგორც ნახევარი საუკუნის წინ შესძლო არჩილ ჩხარტიშვილმა.

1929 წელს ა. ჩხარტიშვილი თბილისის სატი-რის თეატრში, რომელსაც გ. ბუხნიავიშვილი ხელმძღვანელობდა, ასალგაზრდას სცემისმოყვარეობას დაგამა მცირე ფორმის სატირულ ნაწარმოებებს, ავტოკიური ხასიათის სცენებს.

1931 წელს მარჯანიშვილის თეატრიდან ქუთაისში წაიყვანა ასალგაზრდების ჯგუფი: სერგო ზაქარაძე, აკაკი კვანტალიანი, ალექსანდრე გომელაური, მერი დავითაშვილი, მედეა ქორელი, მერი ქორელი, აგრეთვე რამდენიმე რეჟისორი: ვახტანგ აბაშიძე, გრიგოლ სულაიშვილი, ალექსანდრე მიქელაძე და არჩილ ჩხარტიშვილი. პირველ დადგამა არჩ. ჩხარტიშვილმა აირჩია ჩემი სატირისთვის იარსისლავ ჰაშვეის „ყოფილ ჯარისკაცი შვეიცი“.

სპექტაკლი საინტერესო გამოვიდა. კოტე მარჯანიშვილმა გამარჯვება მიულოცა ასალბედა რეჟისორს და დასძინა: „მიხარია, რომ ჩემი გზით გადავიწყვეტია სიარული“.

პირველმა ნამუშევარმა ფრთა შეასხა ასალგაზრდა რეჟისორს. ამჟამად იყო, არჩ. ჩხარტიშვილის სახით ქართულ თეატრში პოეტი ნიჭიერი, პროფესიული ცოდნით აღჭურვილი შემოქმედი. „თანამედროვეობის გარეშე თეატრი არ არსებობს“ — კოტე მარჯანიშვილის ეს აზრი არჩ. ჩხარტიშვილმა შემოქმედებით გარიყარაქუე შეიხისხლორცა და შემდგომი მისი მიღწევაქობა ქუთაისის თეატრში უშუალოდ დაუკავშირდა თანამედროვე ქართულ დრამატურგიას.

1934 წლის სესონის დასასრულს არჩ. ჩხარტიშვილს გადაწყვეტილი ჰქონდა ორი წლით მოსკოვში გამგზავრებუღიყო, რათა ცნობოდა რუსული თეატრალური კულტურის მიღწეებს, დასწრებოდა ცნობილი რეჟისორების რეპეტიციებს, სპექტაკლებს. ამასთან დაკავშირებით მან საქარეთლოს განათლების სახალხო კომისარიატის თანხმობაც მიიღო და თბილისში ჩამოვიდა კიდევ, მაგრამ ა. ახმეტელმა დაიბარა და ჩერნ-

ინგუეთში წასვლა შესთავაზა. საქმე ის იყო, რომ ა. ჩხარტიშვილი სათავეში უნდა ჩადგომოდა ჩერნინგუეთში ეროვნული თეატრის აღორძინებას. მან მიიღო ეს წინადადება.

1937 წლის ბოლოს ა. ჩხარტიშვილი ახლად შექმნილი ბათუმის თეატრის ხელმძღვანელად გადმოჰყავთ. ბათუმის თეატრში მიღწევაქობამ (1937-1940 წ. წ. 1944-1948 წ. წ.) მის შემოქმედებით ბიოგრაფიაში ღრმა კვალი დატოვა. ა. ჩხარტიშვილის სახელთან არის დაკავშირებული საქართველოს სხვადასხვა თეატრის საუკეთესო სესონები: ვ. აბაშიძის სახელობის თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრში (1940-1941 წ. წ.), მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში (1943-1944), მარჯანიშვილის სახელობის თეატრში (1963-1964) და რუსთაველის სახელობის თეატრში (1966-1968). არჩილ ჩხარტიშვილი 1960-1961 წლებში დაღესტნის ეროვნული თეატრის შექმნასაც მესეეურობდა. 1968 წლიდან კი თბილისის სახელმწიფო ფილარმონიის მთავარი რეჟისორია.

სანამ არჩილ ჩხარტიშვილის მიერ შექმნილ მნიშვნელოვან სპექტაკლებს შეეხებოდეთ. გავცნოთ რეჟისორის შემოქმედებით პროცესს, მისი მუშაობის თავისებურებებს მსახიობთან, მხატვართან, კომპოზიტორთან.

არჩილ ჩხარტიშვილი დიდ დროს ანდომებს სპექტაკლის მომზადებას. წინასწარ ითვლისწინებს ყოველგვარ წერილმანს, დამხმარე საშუალებებს, ხეფს — ამოკლებს (ან გადაადგილებს) პიესის ავტორისეულ ტექსტს, მაგრამ ისე, რომ არ დაირღვეს ავტორის მიზანდასახულობა. მხოლოდ მაშინ, როცა გამოიკვეთება სპექტაკლის ფორმა, იწყება ჩანაფიქრის განხორციელება. რეჟისორი პირველ რიგში პიესის დადგენილ ტექსტს კიდევ ერთხელ გადახედვას მსახიობებთან ერთად. შემდეგ გააანალიზებს პიესაში ასახულ კონკრეტულ მასალას. ეპოქას, პერსონაჟის სოციალურსა და ისტორიულ გარემოს. ამასთან, იგი ვრცელ ლიტერატურულ მსჯელობებს არ მიმართავს, ლექ-

სცენა ბათუმის თეატრის სპექტაკლიდან „ოიდიპოსი მეფე“.





ცივებს არ უკითხავს მსახიობს, მხოლოდ გამოყოფტას მთავარს. მიანიშნებს ზოგიერთ აუცილებელ დეტალს, ესკიზურად მოსაზრებს სპექტაკლის ძირითად კონტრუსა და მოქმედ გმირებს. ჩამოაყალიბებს სპექტაკლის გამჭოლ მოქმედებას და განასაზღვრავს მომავალი სპექტაკლის ზეამოცანას.

რა თქმა უნდა, ძირითადი კულმინაციური მიზანსცენები არჩილ ჩხარტიშვილის წინასწარ რეპეტიციის დაწყებამდე აქვს მოფიქრებულ-გააზრებული (ეს ჩანადიერი თვითმხიზური არ არის, რადგან იგი კარგად იცნობს კონკრეტულ მსახიობს, ვინც ეს მიზანსცენა უნდა განახორციელოს. იცის მისი პლასტიკური გამოსახვის შესაძლებლობანი). მიუხედავად ამისა, წინასწარ მოფიქრებული მიზანსცენა საბოლოო სხვის მაინც მუშაობის პროცესში იღებს, ვინაიდან იგი აუცილებლად დაკავშირებულია მსახიობის შინაგან სამყაროსთან და ცოცხლდება მის ინდივიდუალობასთან შერწყმის შემდეგ. თუ მსახიობმა რომელიმე მიზანსცენა ვერ გაამართლა, რეჟისორი იქვე უარყოფს ძველ მიზანსაზს და ქმნის ახალს. თითქმის მამნივე იბადება მსახიობის შინაგანი მდგომარეობის თანხმირი და მოქმეული სიტუაციის შესაფერისი სხვა მიზანსცენა, ამ დროს მსახიობი და რეჟისორი ერთმანეთს ავსებენ. ამიტომაც არჩილ ჩხარტიშვილის მიერ გამოკვეთილი მიზანსცენა მუდამ მნიშვნელოვანი, მოულოდნელი და სპექტაკლის სტილის გამომხატველია.

არჩილ ჩხარტიშვილი ბუნებრივ გარემოცვას და საჭირო მდგომარეობას უქმნის მსახიობს სცენაზე სამოქმედოდ. მისი ფანტაზია უსაზღვროა. მუშაობისას გარეგნულად მღელვარება არ ეტყობა. რეპეტიციებს მშვიდად ატარებს. პრემიერამდე ყველა დელავს, ა. ჩხარტიშვილი კი მშვიდად ამთავრებს სპექტაკლზე მუშაობას და მხოლოდ თითქმის ბოლო რეპეტიციავზე შეიტანს ხოლმე რაიმე ისეთს, რაც მთლიანად კრავს წარმოდგენას. რეჟისორს უყვარს კონტრასტები, შუქ-ჩრდილების მონაცვლეობა, კლასიკური პიესების განხორციე-

ლებისას მუდამ იგრძნობა თანადროულობასთან კავშირი. იგი იშვიათად მიმართავს პედაგოგიურ ჩაგონებას, სრულ თავისუფლებას აძლევს მსახიობს.

არჩილ ჩხარტიშვილის სპექტაკლები რიტმულია. ამას იგი პიესის თავისებური მონტაჟის, სცენური მოქმედების განვითარების ხასიათით, სცენების ქმედითი ცვალებადობით ასერხებს. გმირთა ცხოვრების რიტმულ დაძაბულობას რეჟისორი სათანადო მუსიკალური თანხმებით აძლიერებს, რიტმულად აკავშირებს სპექტაკლის ცალკეულ ნაკვეთებს, პარმონიამი მოჰყავს სპექტაკლის ყველა კომპონენტი, ისე ადუღებებს ანსამბლის მოლიანობას, როგორც ღირთიორიან ოსტატური ხელი — ორკესტრს.

რეჟისორისა და მხატვრის თანამშრომლობის კლასიკური ნიმუშებია კ. მარკანიშვილისა და ს. ასნეტელის სპექტაკლები. მათგან ისწავლა არჩილ ჩხარტიშვილმა მხატვართან მუშაობა. ათვისთა თეატრალური მხატვრობის თავისებურებანი. იგი მხატვრისაგან მოითხოვს ისეთ კონსტრუქციას, რომელიც დიდ სცენურ სივრცეს შექმნის, შემდეგ კი მას რეჟისორული კომპოზიციით ასუსებს. დეტალებს ისე განალავებს, რომ მათ გარეშე სცენის წარმოდგენა შეუძლებელია. ზოგჯერ დეკორაციული დეტალი მსახიობის მოძრაობის გაგრძელებაა, ან პირიქით. სპექტაკლი ყველაფერი მხატვრული განზოგადების, პიესის დედაზრის გამოკვეთასა და მისი შინაგანი არსის წვდომის ემსახურება.

მუსიკა არჩილ ჩხარტიშვილის სპექტაკლებში მხოლოდ განწყობილების შექმნას როდი გულისხმობს. იგი ხელს უწყობს მაცურებლის მიერ სპექტაკლის აღქმას და ამბაფრებს იმ ემოციურ განწყობილებას, რომელიც გამომსახველობის სხვა სერხებთან და მსახიობის ოსტატობასთან ერთად, თეატრის განუყოფელ ნაწილს შეადგენს.

ჭეშმარიტი რეჟისორი არასოდეს დრამატურებს. ერთი ფრანგი მსახიობისა და რეჟისორის თქმით, „რეჟისორის მოვალეობა ისიცაა, რომ დაუბრუნოს ნაწარმოებს ის რაც დაკარგა ავ-

„ბებერი მეზურნეები“ რუსთაველის სახელობის თეატრში.



ტორის ჩანაფიქრიდან ხელნაწერამდე¹. რევისორის ინტუიციითა და ფანტაზიით სწორედ ასე იცხება ჩხარტიშვილისეული სპექტაკლები, იცხება სახიერად, მტკიცველად.

ჯერ კიდევ 1946 წელს ბათუმის თეატრში განხორციელებულ სოფოკლეს „ოიდიპოს მეფეში“ გამოვლინდა რევისორის ტალანტის მასშტაბი. გამოჩნდა მისი შესაძლებლობის ახალი პორიზონტი. სპექტაკლი მოიცავდა არჩილ ჩხარტიშვილის რეჟისორული ინდივიდუალობის თითქმის ყველა ნიუანსს. მის მიზანს შეადგენდა ბედისწერისადმი მორჩილება შეეცავლა ბრძოლით. ოიდიპოსის (მსახიობი ი. კობალაძე) სახის თანამედროვე გაგება კი მას მეფე-მოქალაქის, ქვეშობიარე და სახალხო გმირის იდეის წინ წამოწვივს აუცილებლობაში ესახებოდა ანტიკური ტრადიციის ერთი უმთავრესი ელემენტოვანი — ქორი საზოგადოებრივი აზრის გამომხატველი ადამიანების უბრალო ჯგუფად კი არ წარმოედგინა, არამედ მოქმედების მსვლელობაში ჩართულ აქტურ ძალად. რეჟისორი სწორედ ამ ასპექტში ავლენდა და აწვითარებდა სპექტაკლის იდეურ მიზანდასახულობის ლოგიკურ ხაზს.

ამ სპექტაკლში გამოჩნდა არჩილ ჩხარტიშვილი, როგორც მასობრივი სცენის დიდოსტატი. დასაწყისში მასობრივი სცენა გადმოსცემდა შავი ჭირით გამოწვეულ ხალხის დიდ უბედურებას. ფინალში კი გამოწვავდა ბედნიერი მომავლის რწმენას. ოიდიპოსის პირადი ტრაგედიით შეძრწუნებული ხალხი აქ თანაგრძობით აცილებდა მეფეს კითურონის მივლისაკენ. სპექტაკლის ფინალის სიდიადე იმაშივე ვლინდებოდა, რომ თვალდათხრილი ოიდიპოსი გვევლინებოდა გონებაგაბრწყინებულ ადამიანად. დაბრმავებული ოიდიპოსი ქვევით კი არ უშვებოდა, არამედ უსასრულო კიბეებით ზემომართებოდა... იგი ტოვებს თებებს, რათა ხალხს განშორდეს საშინელი სენი და მედნიერება დაეშვეოდროს. ამაღლელებულია მისი უკანასკნელი სიტყვები: „თქვენ კი თებესგვლო, აწ განწმენდილთ ბოროტებისგან, თხოვით მოგმართათ. აწ და მარადის: სიმართლე გქონდეთ ცხოვრების საგნად“... სწორედ ეს იდგა ყოველგვარი ბოროტების წინააღმდეგ ხალხის ბედნიერების ქვეშობიარეებისა და სამართლიანობისათვის ბრძოლის იდეა ააქურა არჩილ ჩხარტიშვილმა სპექტაკლში „ოიდიპოს მეფე“.

თეატრმა მაყურებელზე ძლიერი, ემოციური ზეგავლენა უნდა მოახდინოს. ესა ჩხარტიშვილი-ხელოვანის პოზიცია და შემოქმედებითი მრწამსი, რასაც ახორციელებს სათანადო რეპერტუარის შეჩვენებით. მის მიერ პიესების რეჟისორული წაკითხვა ყოველთვის მაღალი ემოციურობით ხასიათდება, ამასთანავე გამოირჩევა დიდი გრძობითა და სიმართლით. ეს თვისებები გამოჩნდა 1949 წელს მარჯანიშვილის სახელობის თეატრში განხორციელებულ მის. მრეველიშვილის „მარტაქანთ კერაზი“.

ნაღვლიანი მუსიკით, მკრთალი განათებით, მიზანსცენების მტკიცველი ვალაგებით რევისორი სპექტაკლის დასაწყისშივე ქმნის თანაგრძობის განწყობილებას. და ამ დროს ნელა შემოიჭრება გულში ჩამწვდომი, ლალი კახური სიმღერის მომხმბებელი პანგები, რაც წინასწარ გვარწმუნებს ბედნიერებისა და სიცოცხლის განაგრავებაში. კიდევ უფრო შთამბეჭდავი იყო ნატოს სამუშაოდ გასვლის ეპიზოდი, როდესაც დაწვზრებულ ქალს იტაცებს ირგვლე გამაღებული შრომის ძალა და ხარატანთ კურსთან წამდგელ სასალხო შრომის მონატრებელი მიუშურება ახალი ცხოვრებისაკენ... სინათლის სხივით განათებული ნატო (მსახიობი თამარ თეთრაძე), რომლისთვისაც პერსპექტიული გზა გამოჩნდა, ამაყად მიაბიჯებდა. ეს უსიტყვო ეპიზოდი, აგრეთვე სიხარულითა და ენთუზიაზმით გამსჭვალული, ომის დამთავრებისადმი მიძღვნილი მიტინგი და ალანხის ველზე მოსავლის აღების სცენები, მეტად ამაღლელებული იყო სპექტაკლში.

პატრიოტიზმის თემა მთავარია არჩილ ჩხარტიშვილისათვის. ამ თემის თეატრის ენაზე გადატანა ემოციურად, შთამბეჭდავად ხორციელდებოდა. გავისენითი ეპიზოდები ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილიდან“ (მარჯანიშვილის სახელობის თეატრი, 1957 წელი).

„...სამშობლოს არვის წავართმევ, ნურც ნურვინ შეგვეცილება“ — ისმის ვაკაცურად შემარბული ხალხური მუსიკის მელოდია. გუნდის ხმადაბალი სიმღერა თანდათან ძლიერდება და მივლდარბაზს მოიცავს, ამაღლებული განწყობილება ეუფლება მაყურებელს. ასე იწყება ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი“ არჩილ ჩხარტიშვილის დადგმა. ჩამუქებული სამყარო ნათდება და საუცხოო თეატრალური სანახაობა გადაიშლება. სცენაზე ფშავის მოუკარებელი, ამაყი მთები აღმართულან (მხატვარი ი. სუშბათაშვილი). ამ ფონზე უფრო იკვეთება გმირთა რთული, წინააღმდეგობებით აღსავსე სახეები, უმაღრვე კონფლიქტები. წარმოდგენაში რევისორს შეუძებს ვაჟას სამაირო სატრფიალო პოეზიის ნაწყვეტები და ხალხური პოეტური ნაკვესები, რითაც სპექტაკლის ხალხური საგმირო ეპოსის სურნელებით აესებს.

„მედია“ მარჯანიშვილის სახელობის თეატრში.





სიცოცხლის დაუცხრომელი ჟინითაა გაჟღერებული მ. ელიოზუშვილის მოთხრობა „ბებერი მეზურნეების“ მიხედვით შექმნილი სპექტაკლი რუსთაველის სახელობის თეატრში (1966).

სრულყოფილია არჩილ ჩხარტიშვილის რეჟისორული ოსტატობა ევრიპიდის „მედეას“ განხორციელებისას. კიდევ ერთხელ მძლავრად აქაღრდა თემა — სამშობლოს მოწყვეტილი ადამიანის ტრაგედიისა, რომელმაც სათავე ჯერ კიდევ სპექტაკლ „მოკვეთილში“ პპოვა. არჩილ ჩხარტი-

შვილმა წინა პლანზე წამოსწია უთვისტომო ქალის ბედი. ხაზი გაუსვა, გაამუქა ეს საკინძობა-მივიღეთ არა მხოლოდ შურისმაძიებელი და ამაყი მედასა, არამედ თავის ხალხს მოწყვეტილი ადამიანის ტრაგედია.

არჩილ ჩხარტიშვილმა სიბრძნის ასაკს მიაღწია. ნახევარი საუკუნის მანძილზე მისი ხელოვნება გამოიწერა, განმტკიცდა, საყოველთაო აღიარება პპოვა. მისგან კიდევ მრავალ საინტერესო სპექტაკლს მოველოთ.



ფურნალ „საბუთა ხელოვნების“ კორესპონდენტის კითხვებს პასუხობს ს.ბ. ქოთა კავშირის სახალხო არტისტი არჩილ ჩხარტიშვილი.

კითხვა: რას მიიჩნევთ დღეს ჩვენი თეატრის საკმარისობის მთავარ ნიშნად?

არჩილ ჩხარტიშვილი: აქტუალობას, სწრაფვას სიახლისკენ! ჩვენი თეატრი უფრო ახლოს მივიდა ცხოვრებისეულ სინამდვილესთან.

ჩვენი დღევანდელი ყოფის მწვავე პრობლემები დრამატურგისაგან მოითხოვს ცხოვრებისეულ სიღრმეებში წვდომას, ხოლო ჩვენი რეჟისორებისა და მსახიობებისაგან — უშუალო, მაღალპროფესიულ, ყოველგვარი სიყალბისაგან დაცლილ შემოქმედებას.

კითხვა: რა როლს ანიჭებთ მსახიობის დღევანდელი თეატრალური ხელოვნების განვითარებაში?

არჩილ ჩხარტიშვილი: ჩემი აზრით, თეატრში მსახიობის ყოველთვის ენიჭებოდა და ენიჭება პირველხარისხიანი მნიშვნელობა. მართალია, დღეს რეჟისორის როლი თეატრში უაღრესად გაიზარდა, რადგან სწორედ რეჟისორია ის პიროვნება, ვისაც ვვალება მასალის ორგანიზაცია,

ინტერვიუ

არჩილ


ჩხარტიშვილთან

ყველა კომპონენტის ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირება და მსატერული ნაწარმოების შექმნა, მაგრამ თეატრალურ ხელოვნებაში პირველხარისხოვანი როლი მაინც მსახიობს ენიჭება. იმდენად დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ მსახიობს, რომ, იმედი მაქვს, მარჯანიშვილის სახელობის თეატრი სწორედ დაბრუნებული ნი-

ჭვირი მსახიობების მეშვეობით შესძლებს გამოხატველობის ახალი გზების პოვნას და შექმნის თანამედროვე საინტერესო სპექტაკლებს.

კითხვა: თქვენი აზრით, რა განსაზღვრავს მაყურებლისა და თეატრის ურთიერთობის პრობლემას?


არჩილ ჩხარტიშვილი: მაყურებელი არ დადის მხოლოდ იმ თეატრში, რომელიც არ პასუხობს მის მოთხოვნილებას. ყველასთვის ცხადია, რომ, როცა სპექტაკლი ჭეშმარიტად ხელოვნების ნაწარმოებია, როცა მსახიობები დიდი ოსტატობით თამაშობენ, როცა რეჟისორი დგამს მართლაც ორიგინალურ, საინტერესო სპექტაკლს და ეხმარება მაყურებლის გულსიქმას, ასეთ სპექტაკლზე, ასეთ თეატრში მაყურებელი ყოველთვის ხალისით დადის და აჯილდოებს კიდევ ტაშით მთელ შემოქმედებით კოლექტივს. რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს მაყურებლის აღზრდას, მის კულტურულ დონეს, მაგრამ ძირითადი მაინც შემოქმედებითი კოლექტივის პროფესიული დონე და საკუთარი საქმისადმი სიყვარულია. მაყურებელი აუცილებლად ივლის თეატრში, თუ შევძლებთ თანამედროვე მაყურებლის მოთხოვნილების შესაბამისი, საინტერესო სპექტაკლების დადგმას.




როგორც თურქესტან-ციმბირის რკინიგზა და დნეპრის ჰიდროელექტროსადგური, ამერის კომსოლოსკი თუ მაგნიტკა, ბაიკალ-ამერის მაგისტრალიც საყოველთაო-სახალხო მშენებლობად, საბჭოთა ადამიანების დიდ შრომით გმირობად იქცა. ციმბირის შორეულ ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებში გზა იკვლება უქმდიდრესი ბუნებრივი საგანძურებისაკენ, საძიკველი ეყრება ამ ზოანს ახლებურ სიცოცხლეს.

მიწანარე ნიას ნაპირებზე, ბაიკალ-ამერის მაგისტრალის ერთ-ერთ უბანზე, თავდადებით შრომობენ საქართველოს წარგზავნილები. სწორედ მათმა შრომითმა შეპართებამ შთააგონა ფოტოჟურნალისტი ბონდო დადვაძე, რომელიც გასულ ზაფხულს ეწვია შორეული ტიკის ამ უბანს და ფოტოებზე აღბეჭდა ქართველ ბამელთა ყოველდღიური ყოფა.

ეს ფოტოებოება, რომლის მიერ ნაწილს აქ ვაჭეყნებთ, ავტორმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობას უძღვნა.



„ბაში“



ბ უ რ უ ლ ი ს ი მ ლ ე რ ა

(თავისებურებათა ზოგადი მიმოხილვა)

ანზორ ერქომაიშვილი

დღი მოხანია მომწიფდა ქართული ხალხური საგუნდო შემოქმედების უნიკალური მელიდური, კარმონიული. პოლიფონიური თუ რიტმული ფორმების საფუძვლიანი შესწავლის აუცილებლობა. მეცნიერული კვლევის სფეროში უკვე კარგა ხანია მოქმედებდა აღმოსავლეთ საქართველოს ხალხური სასიმღერო შემოქმედება. დასავლეთ საქართველოს ხალხურ მუსიკას, მის ნაირფეროვან განმტკბებებს კი ჩვენს მუსიკალური მეცნიერება დღემდე ეპიზოდურად თუ შეხვებია. სადღეისოდ ამ დარგში ხელთ გვაქვს შემდეგი გამოკვლევები: ვ. ახობაძე — „ქართული აჭარული ხალხური სიმღერები“ (ბათუმი 1961); მ. ჟორდანია — „მოძახილი მაღალი ბანის საკითხებისათვის“ (ხელნაწერი № 1723. 1968/69); მ. ჟორდანია — „მოქმედისა და მოძახილის ფუნქცია ქართული ხალხურ სიმღერასა და საგლობლებში“ (ხელნაწერი № 1955 1971/72); ო. ჩიჯავაძე — „შრომის სიმღერები დასავლეთ საქართველოში“ (ხელნაწერი № 1956, 1970/71 წ.); გრ. ჩხიკვაძე — „ივ. ჯავახიშვილი და ძველი ქართული მუსიკალური კულტურა“, დაკავშირებული მის შრომასთან „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“ (ხელნაწერი № 1341)¹; ს. ნასიძე — „გურული ხალხური სიმღერების პოლიფონიური თავისებურებების შესახებ“ ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“, 1970 წ. № 2. ცხადია, აღნიშნული გამოკვლევები ვერ ამოწურავენ ამ დიდ მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს თუ პრობლემას.

გურული სიმღერა ქართველი ხალხის მუსიკალური შემოქმედების ფრიად თავისებურ განმტკბებას ქმნის. ამ მილავრსა და თვითმყოფად ეროვნულ საუნჯეს სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს თავისი პოლიფონიური, კარმონიული, ინტონაციური და არქიტექტონიკური თავისებურებებით.

ცნობილია, რომ 30-იან წლებში გურული სიმღერები მოისმინა დიდმა ფრანგმა მწერალმა და მუსიკათმცოდნემ რომენ როლანმა. იგი განცვიფრდა, რომ ესოდენ მაღალი პოლიფონიური ოსტატობით შექმნილი სიმღერები ხალხურია და არა პრობლემა დიდი კომპოზიტორის შემოქმედების ნაყოფი.

როლი ივრს სტრავინსკის აზრით:

Одно из важных музыкальных впечатлений — это запись грузинского народного полифонического пения, сделанные в горных селениях возле Тбилиси.

Это — традиция активного исполнения музыки, идущая от древности, и это — великодушная находка, которая может дать для исполнения больше, чем все приобретения новой музыки...².

გასული საუკუნის 60-იან წლებში საქართველოში შეიქმნა გურული გალობის აღმდგენელი კომიტეტი. დაიწყო საგლობლების შეკრება და ჩაწერა.

„ჯერ კიდევ 1862-63 წლებში, ეკსარხოსის ვესევის დროს აღძრული იყო საკითხი ძველი ქართული საეკლესიო გალობის აღდგენის შესახებ. დაარსდა კიდევ კომისია, რომლის თავმჯდომარეობაც კარგა ხანს ეპისკოპოსი ალექსანდრე ითვლებოდა...“

...ვინაიდან არხიმანდრიტების მაკარისა და გრიგოლის ჩაგონებით ძველი ქართული გალობა დარჩენილია მხოლოდ გურიაში. რომ რვა ხმასაც შეიშლს საქართველოში ვითომ მხოლოდ და მხოლოდ იქ გალობდნენ. დაადგინეს, ჯერჯერობით გურული გალობა აღდგინათ. დაიბარეს იქაური გამოჩენილი მგალობლები, დაიქირავეს მუსიკის მცოდნე პირნი. — რომელთაც ეს საგლობლები უნდა ნოტებზედ გადაეკეთათ. დაუნიშნეთ მათ ყველას ჯამაგირები და მიჰყვეს ხელი გურული საგლობლების ჩაწერას...³.

გურული საგლობლების შეკრებაში დიდი წვლილი მიუძღვის მომღვალად ფილიმონ ქორიძეს, მაგრამ მის მიერ ჩაწერილი საგლობლები არ დაბეჭდილა და მხოლოდ ხელნაწერის სახითაა შემორჩენილი.

გურული მომღერლები, რომლებმაც შთამომავლობას შემოუნახეს ესოდენ დიდი განძი, თანდათან წაივდნენ ჩვენთან. სიმღერებს დაკარგვის საფრთხე დაემუქრა. მაგრამ ბოლო დროს საქმეს ჯეროვანი ყურადღება მიექცა. მუსიკოსები დაინტერესდნენ გურული სიმღერების ჩაწერით (გ. ჩხიკვაძე, ვ. ახობაძე, კ. როსენაშვილი, ო. ჩიჯავაძე და სხვება). მომზადდა და მზადდება კრებულები, სადაც ამ კუთხის ძველი სიმღერების სხვადასხვა ვარიანტებია ჩაწერილი.

მახარებში, 1969 წელს სპეციალური სასწავლებელიც კი გაიხსნა, სადაც ძველ ხალხურ სიმღერებსა და საგლობლებს ასწავლიან.

ქართული ხალხური და კერძოდ, გურული სიმღერების შესწავლისა და პოპულარიზაციის საქმეს მთელი თავისი ცხოვ-

რბა შვალთა არტემ ერქომაიშვილი. იგი დაიბადა 1887 წელს სოფელ მაკანეთში, ცნობილი მგალობელ-მომღერლის გიგო ერქომაიშვილის ოჯახში. გიგო ერქომაიშვილი დახლოებული იყო მაშინდელ სახელგანთქმულ მომღერლებთან: გიორგი ბაბილოძესთან, სამუელ და ლარიონ ჩავლეიშვილებთან, გიორგი იობაშვილთან, ივლიანე კეკეყამაქსთან და ა. შ. ისინი ხშირად იკრიბებოდნენ გ. ერქომაიშვილის ოჯახში და მღეროდნენ ძველ სიმღერებს. ასე რომ არტემმა პატარაობიდანვე შეისწავლა და შეითვისა თითქმის ყველა გურული სიმღერა. ახალგაზრდა არტემის სიმღერა მოისმინა სიმღერა-გალობლის აშვითან მცოდნემ მელქისედეკ ნაკაშიძემ. იგი გააოცა არტემის ხმამ, მუსიკალობამ და წინადადება მისცა თან წაჰყოლოდა გალობის შესასწავლად.

რამდენიმე წლის განმავლობაში მელქისედეკ ნაკაშიძემ არტემს შეასწავლა მრავალი უძველესი გურული საგალობელი. თავად მ. ნაკაშიძეს და იმ დროინდელ სხვა ცნობილ მომღერლებს გალობა შეუასწავლიათ განთქმული მგალობლის, ანტონ დუმბაძისაგან. ამიტომ გურიაში საგალობლებს დუმბაძის კილოს უწოდებენ. დუმბაძის „კილოზე“ აღიზარდნენ ცნობილი მგალობლები: დავით დუმბაძე, ნესტორ და ანტონ კონტრძიები. ვარლამ სიმონიშვილი, დიმიტრი პატარავა, სამუელ ჩხიკვიშვილი არტემ ერქომაიშვილი და სხვა. ხოლო ზოგიერთი მათგანი გურიის გარდა იმერეთსა და სამეგრელოში ასწავლიდა საგალობლებს.


ასე რომ, არტემ ერქომაიშვილი სანდო მუსიკალურ საფუძველზე აღიზარდა და გურული სიმღერები და საგალობლები შთამომავლობას დაუტოვა იმ სახით, როგორც მას ჩააბარა წინა თაობამ.

1961 წელს არტემ ერქომაიშვილისაგან ჩაიწერე პირველი საგალობელი — „ქრისტეშობის საგალობელი“. შევარჩიე საგალობლისთვის მოხერხებული რეგისტრი, განვსაზღვრე საწყისი ბგერის სიმაღლე, დეტონაციის თავიდან ასაცილებლად ყოველი ხმა დაეყვი ფრაზებად — და ყველა ფრაზის საწყისი და ბოლო ბგერა აღვნიშნე სანოტო ფურცელზე. ამის შემდეგ არტემს ვამღერე საგალობლის ერთი ხმა ბლომდევ, რომელიც სანოტო ფურცელზე ჩაიწერე და აღმოჩნდა, რომ იგი სრულიად დაემთხვა ჩემს მიერ წინასწარ ჩანიშნული ფრაზეზების დაბოლოებებს. ზედა ხმის ჩაწერის შემდეგ, ასევე ფრაზებად მე თვითონ ვმღეროდი ჩაწერილ ხმას, არტემი კი შუა ხმას მიმღეროდა. ამრიგად, მე უკვე შემქმელი შუა ხმის ჩაწერა. ახლა არტემისთვის „პარტიზორი“ ვიყავი, ამიტომ ის მღეროდა ისევე თავისუფლად, როგორც ადრე, ჩვეულებრივ უმღერია ხოლო მგალობლებთან ერთად. ასეთივე წესით ვმღეროდი შუა ხმას და არტემი ბანს შევებებოდა.

ბგერებს, რომლებიც მაღლა ან დაბლა ეღვრდა ტემპირირებულ წყობისთან შედარებით, აღვნიშნავდი ისრებით, შესაბამისად ზევით ან ქვევით. მუსიკის დროს არტემი იკონებდა, თუ რომელ მომღერალს, რა დროს, როგორი ვარიანტით უმღერია ესა თუ ის სიმღერა ან საგალობელი. ზოგჯერ იგი თავის ძმებთან ვლადიმერ და ანანასთან ერთად ამოწმებდა ამ ვარიანტებს, არჩევდა უკეთესს. ამრიგად, არტემის იშვიათი მესსიერების წყალობით, საწულებამ მოგვეცა ასეთი წესით ჩავეწერა სიმღერა-საგალობლების საუკეთესო ვარიანტები.

საგალობლის ჩაწერის დროს სიმღერის გასწენების მიზნით არტემი იყენებდა ხელნაწერ, ხალხურ ნოტებს — (ნევმებს).

ნევმები არ განსაზღვრავს ბგერაობა არც სიმაღლეს და არც



არტემ ერქომაიშვილის ხელნაწერი ნევმებით (1909 წ.).

რიტმს. იგი ბგერათა მოძრაობის მიმართულების მაჩვენებელია და იხმარება მელიოდის შესასვენებლად, ე. ი. მომღერალს მიუნიშნებს ხმის ამაღლებას, დადაბლებას, გაჩერებას იმავე სიმაღლეზე და „გავარჯიშებას“.

ნევმები იწერება მარცვლების თავზე. ისინი შესდგებიან წერტილებისა და სწორი, რკალისებური, ან რამდენიმე კბილისაგან წარმოქმნილი ხვეული საზღოებისაგან, რომლებიც ქვევით ან ზევით ემატებათ წერტილებით. თუ ბგერა ერთ სიმაღლეზე ჩერდება, მაშინ მარცვლის თავზე იწერება სწორი ხაზი. თუ მელიოდა ზევით მიიწევს, მაშინ მარცვლის თავზე იწერება იმდენი წერტილი ან გასამეორებელი ხმოვანი ასო, რამდენადაც აღდგება მელიოდა. როცა მელიოდა ქვევით ჩამოდის, მაშინ მარცვლის თავზე იწერება დადამავლობის მაჩვენებელი იშვიათი. თუ ერთ მარცვალზე სრულდება მელიოდის მთელი მონაკვეთი, მაშინ მარცვლის თავზე იწერება ხვეული ხაზი წერტილებით. ნევმებით ხალხური მომღერალი უცნობ სიმღერას ვერ იმღერებს. ნევმები ეხმარება მხოლოდ სიმღერის მა-

ლე შესწავლას და ძველი სიმღერის გახსენებას. არტემის გადმოცემით. ნემების კარგ მცოდნეს შეეძლო დღეი ათამდე საგალობელი შესწავლა, აზიოტმაც მგალობელ-მომღერლები და მოსწავლეები ნემებით სარგებლობდნენ.

სიმღერების ჩაწერის დროს წადაწედი სიმღელებს ხმების დასახელების გამო. გურულ სიმღერებსა და საგალობლებში ხმები თავისი ხასიათით 1'-დასახევადა: პირველი (ესა) ხმები, რომლებსაც მიჰყავთ მელოდური ხაზი მდრედ ან საკმაოდ მოძრავად. მათ მიეკუთვნება: პირველი (სმა და მოძახილი). მეორე (ხმები, რომლებიც თავიანთი მნიშვნელობით წამყვანი არ არიან, მაგრამ თავიანთი რიტმითა და ინტონაციებით, როგორც ჩუქურთმა ისე აშვენიებენ გურულ სიმღერას. ასეთებია: კრიმანჭული და გამყვიანი ანუ წვრილი). და მესამე (ბანი, რომელიც ერთდროულად წარმოადგენს პარმონიულ ფუძეს და ამავე დროს მოძრავ და მეტად მელოდოზირებულია).

გურულ სიმღერებში ხმების დასახელება განპირობებულია ცალკეული მელოდის რიტმული და ინტონაციური აღნაგობის, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში, შესრულების წესის მიხედვით.

არტემ ერჭომაიშვილის აზრით სამხიან სიმღერებში — მაღალ ხმაში კრიმანჭულის ან წვრილის მონაწილობით, ხმების დასახელება რეგისტრების მიხედვით ასეთია: ა) კრიმანჭული ან წვრილი, ბ) დამწყები, გ) ბანი („ხასანბეგუა“, „ალიფანა“, „მეჭრული“). თხმხიან ნადურ სიმღერებში კი — წვრილი, დამწყები, შემხმობარი და ბანი („კორეტი“, „საჯავახურა“).

დამწყებს ხშირად პირველ ხმას უწოდებენ იმიტომ. რომ იგი იწყებს სიმღერას. მიჰყავს სიტყვიერი ტექსტი და საერთოდ წამყვანი ხმა, თუმცა სხვა ხმებთან შედარებით ნაკლებად მოძრავია. განმოსალის შემთხვევაში დამწყები შეიძლება იყოს წვრილი („კალი ხელხვაი“) ან ბანი („ბა დილა“). მიუხედავად ამას, პირველი ხმა მაინც შუა ხმაა.

იმ სიმღერებში, რომლებიც იმღერებიან კრიმანჭულის და წვრილის გარეშე (როცა სიტყვიერი ტექსტი და სიმღერა ხმას ერთნაირად მიჰყავს ან სიმღერა უტექსტია ან მოხინდებულებზე სრულდება) ხმების დასახელება ასეთია: დამწყები, მოძახილი, ბანი („მრავალამიერი“, „ჩენი შვიდობა“, „წამოკრული“).


ამ შემთხვევაში შესაძლებელია დამწყების და მოძახილის რეგისტრულად შეზავლება, ვინაიდან მათი დიაპაზონები დიდ და არ განსხვავდებიან.

იმ საგალობლებსა და სიმღერებს (უაკომპანეშენტილ და ჩონგურის აკომპანეშენტი), რომლებიც ერთდროულად იწყება და ყველას მიჰყავს ტექსტი, ხმების დასახელება ასეთია: პირველი ხმა, მოძახილი, ბანი. ყოველი ხმა ვითარდება გარკვეულ რეგისტრში, მაგრამ ზოგჯერ, დროებით, წვრილი ჩამოდის დამწყებზე დაბლა, ან ბანი აღის დამწყებზე მაღლა.

* * *

კრიმანჭულს განსაკუთრებული კოლორიტი შეაქვს გურულ სიმღერაში. იგი მაღალი ხმაა და მომღერლისაგან სპეციფიკურ ვოკალურ ტექნიკას მოითხოვს. კრიმანჭული ნახტომზეა აგებული. პირდაპირი ნახტომის დაბაჰონია ნახტომად წმინდა კინტა. კინტით ქვემოთ ნახტომის შემთხვევაში კვლავ შეიძლება ჩამოსვლა პატარა ტერცით. შეიძლება გაკეთდეს სვლით ნახტომი (კინტის გავლით) სუბტიმაზე. რაც შეეხება ზემოთ


ნახტომს, იგი კეთდება ქვემოთ კვანტით და სუბტიმით ჩამოსვლის შემდეგ პირდაპირი ნახტომით:



ამრიგად. თუ სუბტიმით ქვემოთ ჩამოსვლა ხდება სვლით კვანტის გავლით, ზემოთ მწვერვალზე აბრუნება ხდება უკვი პირდაპირ სუბტიმური ნახტომით:



კრიმანჭული ძირითადად სამი ბეგრისაგან შედგება, მაგრამ მოდულაციის დროს შესაბამის ტონლობაში გადასასვლელად სჭირდება გამწვლევი ან დამხმარე ბეგერი. ხშირად მოდულაციას „კრიმანჭული“ იწყებს, ხანდახან აგვიანდება კიდევ. ეს დამოკიდებულია მომღერალზე, მაგრამ მოდულაციის შემდეგ საყრდენი მაინც ზემოთ ჩაწოფილი ინტონაციებია. ხშირ შემთხვევაში საქმე გვაქვს კომბინირებულ შესრულებასთან. მომღერალი ერთ ფრაზაში წვრილსაც ხმარობს და კრიმანჭულსაც. (კრიმანჭული წვრილში გადაიხრდება მხოლოდ ფრაზის ან სიმღერის დაბოლოებისას).



კრიმანჭული და წვრილი, (განსაკუთრებით კრიმანჭული) სხვა ხმებისაგან დამოუკიდებლად ისე იცვლიან რიტმს. ისეთ ხმებადასეგავარ რიტმულ კარვას ქმნიან, რომ პოლიფონიურად ისედაც რთულ სიმღერას კიდევ უფრო ართულებენ.

კრიმანჭულისა და წვრილის შესრულება მომღერლისაგან დიდ ტექნიკასა და ბუნებრივ მონაცემებს მოითხოვს. სახელდობრ. მას უნდა ჰქონდეს მახვილი სმენა, ვიღორფლად უნდა ესმოდეს სამი ან ოთხი (ნადურებში) ხმა, უნდა გააჩნდეს რიტმული ცვალებადობისა და იმპროვიზაციის განსაკუთრებული უნარი. თუ ერთ-ერთი მათგანი აკლია, იგი კრიმანჭულის ან წვრილის კარგ შემსრულებლად არ ჩაითვლება. კრიმანჭულის შესრულებისათვის არ არის აუცილებელი მეორე ოქტავის დის ან რეს ალება პროფესიონალი ტენორისა და გვარად. თუმცა მას ეს ბეგერები სიმღერის დროს მაინც სჭირდება, მაგრამ მომღერალი მას იღებს არა ტენორივით წინ წამოწეული ბეგრით, არამედ სხვა ხერხით, სპეციფიკური კინით-ასრისმიერი ბეგრებით, რომლის წარმოითქმაში მთავარ როლს ასრულებენ: ყელი, ენა და რეზონატორი. კრიმანჭული უტექსტოდ სრულდება. ტექსტის მაგივრად, ბეგრების დასაკავშირებლად, იხმარება შორისდებულები: „ია“, „უ“, „ირია“, „ურუ“, ან „ირიაპო“, „ურუპო“ და სხვა. მაგრამ ეს „ია“ და „უ“ არ გამოითქმის ისე, როგორც ჩვეულებრივი ლაპარაკის ან სიმღერის დროს, კრიმანჭულის შესრულებისას იხმარება ყელისმიერი მოკლე „ი“ და „უ“.

საინტერესოა კრიმანჭულის რიტმი. იგი ძალიან ხშირად არ ემთხვევა დანარჩენი ხმების რიტმს. გამოცდილი მომღერალი განგებ ცდილობს გაართულოს რიტმი და ამით კიდევ უფრო გაამარავალფეროვნოს სიმღერა. რიტმის შეცვლა იწვევს კრიმანჭულის ბგერების შეცვლას.

შორისდებულებიც ყოველთვის ამ ბგერებზეა აგებული, რაც აუცილებელია სპეციფიკური კრინის — „კრიმანჭულის“ წარმოსათქმელად.

ო-ხი ა- ჰო-ო- ხი ა- ჰო ო-ხი-ა ჰო- ო-ხი-ა ჰო

ო-ხი ა- ჰო-ო- ხი ა- ჰო ო-ხი-ა ჰო- ო-ხი-ა ჰო

თუ კრიმანჭულის შესრულების დროს არ არის აუცილებელი მაღალი ბგერების აღება პროფესიონალი ტენორის მსგავსად. წერილის შესრულებისათვის კი ეს საჭირო და აუცილებელია. წერილი უფრო მელოდოზირებულია, მუერადია, ხანაითდება ძირითად სკანდური მოძრაობით, თუმცა ვხვდებით ნახტომებსაც. აქ მომღერალს საკმაოდ გამოსახველად და ნიელი ხმით უხდება მაღალ რეგისტრში სიმღერა:

ხაბ დი-ხი ხი- ხა ო- კო ღი-ღა კო ხი ხა- კო

თუ კრიმანჭული შეზღუდული იყო სამი საყრდენი ბგერის სქემით (როგორც გვიჩვენებს წინა მაგალითებმა), წერილს ამ შემთხვევაში ეძლევა სრული თავისუფლება, ამიტომ იგი უფრო იმპროვიზირებულია და მომღერლისაგან დიდ ტექნიკას მოითხოვს.

პირველ ტაქტში კრიმანჭული იწყება მწვერვალთან და მომღერალი ხმარობს მარცვლებს ირი-ა, ურუ-ა. მეორე ტაქტში კრიმანჭული იწყება ფუძიდან და არა მწვერვალთან. მაშინ მარცვლები ასე დალაგდებიან: ჰი-ო რი-ა-ჰო (ურ-რუ-ა-ჰოს ნაცვლად შეიძლება მომღერალმა იხმაროს ი-რი-ა-ჰო მომღერალი ამ ბგერებს ცვლის თავისი სურვილი: მიხედვით).

პირველ ტაქტში „ძლიერ დროზე“ მოდიოდა სექტიმის მწვერვალი, მეორე ტაქტში მოდიის სექტიმის ფუძე. ხილდ ყოფილი „ძლიერი დროს“ ბგერები ხვდებიან სხვა ხმებისათვის „სუსტ დროზე“, რაც სხვა ხმებთან გარკვეულ პოლირიტმიას იწვევს.

თუ კრიმანჭულის სქემის წარმოვიდგენთ, როგორც ბგერებს სექტიმის, კინტისა და ტერციის შემაღვენლობით (პირობითად):

მაშინ მათი წარმოსათქმელი შორისდებულები სიმაღლის მიხედვით აუცილებლად ასე დალაგდებიან:

ო- ხი- ა- ჰო- ან უ- ა- ჰუ- ა- ჰო

ეს განაწილება სიმაღლის მიხედვით ძალაში რჩება ყველა შემთხვევაში, როგორც არ უნდა გადაადგილდეს კრიმანჭულის შემაღვენული ბგერები (პირობითად დო, ფა, რე) წარმოსათქმელი შორისდებულებიც თან მიჰყვებიან მათ. ხორი ამ ბგერების გადაადგილება და რიტმის შეცვლა შუა (1) ხმასთან წყარადებით დამოკიდებულია მომღერალზე, მის ნიჭსა და იმპროვიზაციის უნარზე:

წერილის შესრულების დროსაც (იპვევ როგორც კრიმანჭული) იხმარება მუსიკალური ბგერების შესართობლად შორისდებულები, რომლებიც ბოლომდე დაკანონებული არ არის (რი-მ-ტირი-რირა-ორი-რა, ო-გია-ჰო, აბა-დელა-დელა-ჰო და სხვა. მიმდევრობა სრულდება ნებისმიერად).

იმ შემთხვევაში თუ მომღერალი მაღალ რეგისტრში მღერის, ძირითადად წარმოსთქვამს „რიმ-ტირი“ და „ჰო-გია“-საგან შემდგარ შორისდებულებს. ეს შემთხვევითი არაა. შორისდებულები, რომლებშიც „რ“, „ტ“, „პ“, „ჟ“, „მოკოლ“ „ი“ და „უ“ შედის, მაღალ რეგისტრში ადვილად წარმოსთქმება. უღერადა, ჰაერს კარგად ჭრის და შორ მანძილზე ისმის. ეს განსაკუთრებით საჭიროა ნადურების შესრულების დროს. ამიტომაც არის, რამე კრიმანჭული და წვრილი. რომელსაც თითო კაცი ასრულებს, მაინც მკაფიოდ ისმის გუნდში.

ჩვენ ჩამოვთვალეთ მაღალ რეგისტრში წერილისათვის დამახასიათებელი ოთხი თანხმოვანი. ამათ გარდა ყველა წერილის მიერ საშუალო და დაბალ რეგისტრში იხმარება ყველა ხმოვანი (ა, ე, ი, ო, უ) და ექვსი თანხმოვანი (დ, ნ, ლ, ბ, თ, ს) ამ ხმოვნებისა და თანხმოვნების კომბინირებულ შეფერვების შედეგად მიიღობს ის შორისდებულები, რომლებიც წარმოითქმევა არა მარტო წვრილის, არამედ სხვა ხმების (დამწვეები, მოხახილი, შემხმოზარი, ბანი) შეარულების დროს ყველა რეგისტრში თუ ისინი უტექსტოდ სრულდებიან. მაგალითად: „რიმ-ტირი“, „რი-რა“, „ორი-რა“, „ო-დი-ლა“, „ვადლა“, „დი-ლა“, „იო-დე-ლო“, „ა-ი“, „ო-ი“, „ნა-ნი-ნა“, „ნა-ნა“, „აბა-დე-დე-ლი-ა-სა“, „ვა-ჰე-ა“, „ვა-ჰა-ჰე-ა“, „ჰეი-და“, „ვა-დი-დე-და“, „რა-ბა-ლა-ლი“, „თარ-ნა-ნა“, „არ-ლა-ლუ-ლი-ო-და“ და სხვა.

კრიმანჭულთან შედარებით წერილის შესრულება მომღერლისაგან უფრო დიდ სასიმღერო ტექნიკასა და იმპროვიზაციის უნარს მოითხოვს.

ძველად გურიაში მომღერლები შესამჩნავდებოდნენ და სიმღერებს „ავარჯიშებდნენ“ ხოლმე. ასე იქმნებოდა მომღერალთა ჯგუფები, რომლებიც ეკობრებოდნენ ერთმანეთს სიმღერის ცოდნასა და შესრულებაში სხვადასხვა დღესასწაულის დროს. შემჯობრივ ხდებოდა როგორც დიდ, ასევე პატარა (ტრიო) ჯგუფებს შორის.

გურულ სიმღერებს ძირითადად სამი კაცი (ტრიო) ასრულებს, მაგრამ, შესაძლებელია, მეტიც, ზოგიერთ სიმღერას ერთმანეთს მონაცვლოებით მიერს ორი ჯგუფი, თუ მეორე ჯგუფი იმეორებს პირველის მიერ შესრულებულ მუსიკალურ მონაკვეთს, ასეთ სიმღერას „ორპირული“ ეწოდება („ლაშქრული“, „მაყრული“).

განსხვავებით ორპირული სიმღერებისაგან, არსებობს აგრეთვე გადაძახიანი სიმღერები. ამ შემთხვევაში მეორე ჯგუფი „გადაძახილი“ ასრულებს ტრიოს საპასუხოდ სხვა მუსიკალურ მონაკვეთს (უმეტესად იმავე სუბექტზე). გადაძახილი, როგორც რეჟირები მეორდება მიიღი სიმღერის მანძილზე.

გადაძახილი არსებობს ერთმანაირ, ორმანაირ და სამანაირი. როცა გადაძახილი ერთმანაირა, მას ასრულებენ ბანები („პატარა საყვარული“), როცა გადაძახილი ორმანაირა, მას ასრულებენ ბანები და პირველი ხმები („ხასანბეგურა“). ხოლო როცა გადაძახილი სამანაირა, მას ასრულებენ ბანები, პირველი ხმები და კრიმანჭული ან წერილი („ვახტანგური“).

გადაძახილი სიმღერებში ტრიოს ენაცვლება ოთხი ან მეტი კაცი. სიმღერა „შეიღაცასა“ სახელი წარმოსდგება მისი შემსრულებლების რაოდენობიდან, რადგან ამ სიმღერას ზეიდ კაცზე ნაკლები ვერ იმღერებს (ტრიო და გადაძახილი, რომელსაც ასრულებენ ერთი პირველი ხმა, წერილი ან კრიმანჭული და ორიც ბანი). თუ კრიმანჭულის მეორე შემსრულებელი არა ჰყავთ, მაშინ ტრიოს „მოკრიმანჭული“ გადაძახილსა ჯერ ემზარება, მაგრამ ასეთი სიმღერა ნაკლებად სანატრებოა. ჯერ ერთი, მოკრიმანჭულ მალე იღლება, მეორე, ეპარება შეჯიბრი „ტრიოს“ და გადაძახილის „მოკრიმანჭულს“ შორის, რაც აუცილებლად პირობაა იმისათვის, რომ სიმღერა მრავალფეროვნად გახდეს.

ალსანიშნავია, რომ გადაძახილიან სიმღერებში ტრიო სრულდება იმპროვიზებულად, ხოლო გადაძახილის შემსრულებლებს ძირითადად ამის საშუალება არა აქვს, რადგან თითოეულ ხმას ხშირად რამდენიმე კაცი ასრულებს. გარდა კრიმანჭულისა, არის შემთხვევები, როდესაც მეორე ჯგუფი ასრულებს გადაძახილის სხვადასხვა ვარიანტს („ხასანბეგურა“, „ვახტანგური“).

შეიღერა კაცის წემამდგენლობით სრულდებოდა „ხასანბეგურა“, „ვახტანგური“ და თითქმის ყველა გადაძახილიანი სიმღერა წერილისა და კრიმანჭულის მონაწილეობით. რაც შეეხება ოთხმანაირ ნადურებს, მათ შესასრულებლად, სულ ცოტა, რვა-ათი კაცია საჭირო.

ძველად გურულები ყოველთვის ცდილობდნენ სიმღერა გამოსცილენ მომღერლებსაგან ესწავლიათ. კარგი მომღერალი არასოდეს არ კმაყოფილდებოდა ერთი ხმის შესწავლით, მიუხედავად ხმის დიაპაზონისა, იგი მანაც სწავლობდა ყველა ხმას. ამ ხმების შესწავლა საშუალებას აძლევდა ძირფესვიანად ჩასწავლოდა ყველა ხმის მელიოდის ურთიერთდამოკიდებულებას, სიმღერის დროს უკვე ესმოდა და ითვალისწინებდა სხვა ხმების მოძრაობას. ამით იგი მეტ თავისუფლებას ანიჭებდა თავის ხმას. უფრო მეტად ალამაზედა მელიოდის და თავის

ვის „დალს“ ასვამდა მას, ამატებდა და ცვლიდა კიდევ იმას, მის შეცვლაც მიზანშეწონილად მიიჩნდა.

ამ გავლილია: გურიაში ახლაც ფართოდ არის გავრცელებული ცნობილი ლოტბარის, ხელოვნების დამსახურებული მიღვანის ვარლამ სიმონიშვილის მიერ დამუშავებული ხმები (კრძობა, ბანები) ძველ გურულ სიმღერებში, სადაც მან დამუშავდა და კრიმანჭულს წუფავდა თავისი გემოვნებით დამუშავებული ბანი (მაგალითად „ხასანბეგურა“), ან კიდევ ცნობილი დამუშავების, საშუალო ჩაღლიშვილის მიერ შესრულებული „ჩვენ მშვიდობა“, „წამოგურული“. იგივე ითქმის გიორგი ბაბილოძესზე, ილიარიონ ჩაღლიშვილზე, თვით ინჟინრ-ველზე ვლადიმერ ბერტინიშვილზე, ვლადიმერ ერქომიშვილზე და სხვა გურულ მომღერლებზე, რომლებმაც თავიანთი გემოვნების მიხედვით განავითარეს გურული სიმღერა.

ცნობილია, რომ გამოცდილი გურულ მომღერლებს წინდაწინ ესმოდათ ფრაზების დაბოლოებები. მათ შეეძლოთ დამოუკიდებლად ყველა ხმის შესრულება და დაბოლოებამდე ათეული ტაქტის ადრე ყურში უგრძობად სიმღერის დაბოლოებული ბგერა. რომლისცენაც ყველა მათგანი თავისუფლად, სხვადასხვა ხერხის გამოყენებით და სხვადასხვა გზით მიისწრაფოდა.

გამოცდილი მომღერლები უცნობ მომღერალთან შეხვედრის დროს მალულად ცდიდნენ მას. (ეს წესი ახლაც არის შემორჩენილი) ისინი ისე ჩაახვედნენ ხოლმე თავიანთ ხმებს, თუ ართულებდნენ სიმღერას, რომ თუ მომღერალს კარგი სმენა და გამოცდილება არ ჰქონდა, აუცილებლად ასცდებოდა სხვათა ხმებს.

ვისაც ამ გამოცდის კარგად ჩააბარებდა თავისთავად ცხადა,

მიანი ავტორიტეტი მომღერლების თვალში მაღლდებოდა. ასეთი შეჯიბრების დროს ხალხური სიმღერა მდიდრდებოდა ახალი ვარიანტებით. მოხუცებს ახლაც ასხოვთ. თუ რა უბრალო იმღერებდა „წავი შავში“ მე-19 საუკუნის დასასრულს მას შემდეგ ეს სიმღერა განვითარდა ნიჭიერი მომღერლების წყალობით. ახლა იგი ერთ-ერთ ურთულეს სიმღერას წარმოადგენს გურიაში. იგივე შეიძლება ითქვას სხვა სიმღერებზეც: „წამოგურული“, „ჩვენ მშვიდობა“.

ამგვარი შეჯიბრებები წესად იყო შემოღებული ქორწილსა და სხვა წვეულებებში, სადაც სხვარს ერთ მხარეს სტუმარი მომღერლები ისდნენ, მეორე მხარეს — მასპინძლები. თუ სოფელში არ იყვნენ კარგი მომღერლები, მაშინ მათ სხვა სოფლიდან მოიპატავებდნენ ხოლმე. მდგომარეობა, ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს და ამ შეჯიბრებამაც განვითარდნენ თვით სიმღერასაც და საკუთარი ოსტატობასაც.

სიმღერის მცოდნე კაცს გურიაში დიდი დაფასება ჰქონდა, როდესაც ქალს ათხოვდნენ. ყოველთვის იცთხადნენ — სიძემ იცის თუ არა სიმღერა. თუ იცის, მისი ავტორიტეტი ერთ-ერთად იზრდებოდა ქალის სათესავების თვალში. გურული მომღერლები ცდილობდნენ ცილი მომღერალთა ოჯახიდან შეერთოთ. რათა მემკვიდრეს მუსიკალური ნიჭი დაეკოლოდა.

ვინაიდან მომღერალს დიდი დაფასება ჰქონდა, ყველა ცდილობდა ესწავლა სიმღერა. სწავლობდნენ, სხვას ასწავლიდნენ, თვითონვე ავარჯიშებდნენ. სხვას გადასცემდნენ, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, არჩევდნენ საუკეთესო ვარიანტებს. ამით ხელს უწყობდნენ სიმღერის გართობას და ცდილობდნენ იგი თაობიდან თაობაზე გადასულიყო განვითარებული, გალამაზებული სახით და, ამასთან, შეენარჩუნებინათ წმინდა გურული საძირკველი.



გურიაში რთული პოლიფონიური სიმღერების შესწავლა-შენარჩუნებასა და განვითარებას ხელი შეუწყო შემდეგმა ფაქტორებმა:

1. ბუნებრივმა მუსიკალურმა მონაცემებმა და შემოქმედებითმა სურამმა.
2. შეჯიბრებებმა (სიმღერაში).
3. სასიმღერო ტექსტის ნაკლებობამ.

შორისდებულებმა უფრო მოძრავე გახადა მელოდია, რაც მომღერალს მეტ თავისუფლებას აძლევდა განვითარებისა მელოდიური ხაზი. აღსანიშნავია, რომ ის სიმღერები ან სიმღერის მონაკვეთები, რომლებიც უტექსტოა და მხოლოდ შორისდებულებზე სრულდება, გაიცელებით პოლიფონიურია („წამოვრდები“; „ფიქრის სიმღერა“; „გრძობილი ღიღინი“) ვიდრე ის სამღერები, სადაც ყველა ხმაში სჭარბობს სიტყვიერი მასალი („შავილა“; „ბატონები“; „ნანა“). თვით სიმღერებშიც კი, ის ხმა, რომელსაც მიჰყავს სიტყვიერი ტექსტი, ნაკლებად მოძრავეა სხვა ხმებთან შედარებით („ხასანბეუ-რა“; „ალიფაშა“).

ზოგიერთი სიმღერის ტექსტი, რამდენიმე სიტყვის ან რამდენიმე წინადადებისაგან შედგება, მაშინ ტექსტის თითოეულ მარცვალზე ხშირად ან დიდი მუსიკალური ფრაზა იმღერება ან ტექსტი იცემა შორისდებულებით, რაც მელოდიას ისევ აძლევს მოძრაობის დიდ თავისუფლებას („ჩენე მშვიდობა“; „მრავალკამიერა“; „წმ. ნინოს საგალობელი“; „სიკაბუკის ყვა-ვილი დაჰქონო სიკვილიმა“ და სხვა).

პოლიფონიური გურული სიმღერები ხშირად იცვლიან ტექსტს. არსებობს ძველი ფირფიტები, 1927 წ. გერმანელების მიერ თბილისში გამოცემული, სადაც ცნობილი გურული მომღერლები ვარლამ სიმონიშვილი, ბესო ინჟერავლი და სამუელ ჩავლიშვილი სიმღერას „მეღა გურაში მარა“ მღერობენ „ოლაფილის“ ტექსტზე. ასე, რომ სხვა სიტყვიერი ტექსტის გამოყენება ან სულ უტექსტოდ შესრულება ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

გურული სიმღერები კანრების მიხედვით იყოფა სამ ჯგუფად. პირველი დაკავშირებულია გარკვეულ წესებსა და რიტმულებთან (სამურხალთა, სამლოვარო, საველსითი და საერთო საგალობლები, შრომის სიმღერები, საქორწილო და საფერული სიმღერები). მეორე — საყოფაცხოვრებო სიმღერები რიტუალის და წესის გარეშე (საყოფაცხოვრებო, ისტორიული, ლირიკული და მგზავრულები). მესამე — დაკავშირებულია შესრულების ფორმასთან (ფერხულები და სიმღერები ჩონგურს თანხლებით).

სხვადასხვა რიტუალთან დაკავშირებით სრულდება ამ რიტუალის შესატყვისი სიმღერა-საგალობელი. ეს წესი საუკუნეების მანძილზე მტკიცედ იქნა დაცული, რამაც სიმღერა რიტუალის შემადგენელი ნაწილი გახადა.

ცნობილია, რომ სიმღერა ითვლებოდა გურიაში ერთ-ერთ განმკურნებელ საშუალებად. სიმღერას განსაკუთრებული ადგილი ენიჭებოდა სახალდო, კერძოდ წითელა, ყვანახველა და ყვავილი ბატონებით დაავადებულის განსაკურნავად. ავადმყოფის ლოცინა და თოხს მორთავდნენ წითელი ნაჭრებითა და ყვავილებით. ავადმყოფს დაუთვებდნენ თავისი საწილებსა და ბაზმას, ე. ი. ნიგოზს, რომელიც წვის დროს სასიამოვნო სურნელებს გამოსცემდა. ავადმყოფის თიხში ასხურებდნენ ვარდის წყალს. შემდეგ ავადმყოფს თავზე „შუქაოლებდნენ“ შესაწირავს (ყვინჩილას. ვარიას ან თიანს) და ბატონებს

შეპირდებოდნენ, რომ ფეხშიშველი მივიდოდნენ ცელსიასთან და დაიბრებულ შესაწირავს „შესაწირავდნენ“; ე. ი. გაუმშებლად ნენ ეკლესიის უხონო. შემდეგ იწყებოდა ბატონებისათვის „მობოდიშება“-დალოცვა და ჩონგურზე „დალიღინება“ (ძველად ჩონგურის თანხლებით სიმღერას „დალიღინებას“ ეძახდნენ).

თუკახის წყვრები და ხშირად მეზობლებიც (მეტწილად ქალები) მიუსდებოდნენ ავადმყოფს ლოცინთან და ჩონგურზე „ბატონებს“ დალიღინებდნენ. მამაკაცთა თანდასწრებით ქალები იშვიათად მღეროდნენ. დამისევეის დროს ავადმყოფთან სწორედ მათ უხდებოდათ ჩონგურზე დალიღინება. „საბოდიშო“ იმღერებოდა ასეთი ტექსტით:

„ბატონებო მოუოსო, მოუოხეთ ბატონებო, ლაშპი ბატონებია, ია და ვარდ მვენია, თუერი ტანისაპოსებით ვობაძანდებინა ბიქები, ლაშპი ბატონებია, ია და ვარდ მვენია, ბატონებს ცხვეწებინა, ცხვეწებინა ბატონებს შტოვარჯი იას და ვარდს და დაგინთებ წინდა ბაზმას, თუერი ცხვარი და თხის ჭკაე შობის, თიანმა იხტუნა, გაუხარა ბატონებმა და უცხათ პირი იბრუნა“.

გურულ სიმღერას „ბატონებო“ აღმოსავლეთ საქართველოში შესაბამემა სიმღერა „იანანა“, რომლის ტექსტში მოხსენებულია ბატონები. „იანანა“ ვარდ ნანა იავ ნანინო, ბატონების მამიდას იავ ნანინოა. ჭახეთში ფანდურის თანხლებით „იანანა“ სრულდებოდა „ბატონებიან“ ავადმყოფთან.⁵

აკად. ივ. ჯავახიშვილმა დაამტკიცა, რომ „იანანას“ სიტყვიერი ტექსტი წარმოადგენს უძველეს ნიმუშს, რადგანაც ეს ტექსტი შეესაბამება ბაბილონის ავგაროსის გამოსახულებას. რადგან არსებობს ამგვარი კავშირი ძველი ბაბილონის ავგაროსზე გამოსახულ რიტუალსა და ზემოთ ხსენებულ ძველ ქართულ რიტუალს შორის, ცხადია, საქართველოშიც „იანანა“ და „ბატონებო“ გამოიყენებოდა ჯერ კიდევ უძველეს დროში, იხვედმყოფი დაავადების განსაკურნავად.

ავადმყოფთან დამისთვის გარდა ჩონგური გამოიყენებოდა ქალების თავშეკრების დროს, რომელიც ხშირად იმართებოდა სხვადასხვა ხელსაქმესთან დაკავშირებით. ჩონგური ქართული ხალხური საკრავებიდან ყველაზე განვითარებული და ყველაზე პოპულარულია გურიაში, სამეგრელოსა და აჭარაში. ჩონგურზე უკრავდნენ ქალებიც და კაცებიც. მასზე ძირითადად სრულდებოდა საწილო, სატრფიალო, საგმირო, საოხუნჯო, ნანები. საჭურნალო სიმღერები და საცეკვაო მელოდებები. იგი აკომპანემენტს უწევდა „როგორც ერთხმად, ისე სამხმად სიმღერებს“.

ჩონგურზე დაძვერულ ქალს გურიაში დიდი დავასება ჰქონდა: „ერთ ქალად მარტოა იგი ღირს, ის რომ ჩონგურზე დალიღინებოს“, „მისი დალიღინება მკვდარს ვააცოცხლებსო“ — იტყვოდნენ გურულები.⁶ ჩონგური საუკეთესო სამახსოვრო საწუქარსა და მზითვის აუცილებელ ნივთს წარმოადგენდა. აღინიშნავს სიმების დასახელებას და იწინებებს, რომლებიც განსაკუთრებით გავრცელებულია საჩონგურო სიმღერებში.

„გურული ჩონგურის პირველ სიმს ეწოდება დამწყვეტი ანუ მოქმედი, მეორეს — მოძახილი, მესამეს — ბანა“.⁷ როგორც ჩანს, ჩონგურის სიმების დასახელება ეთნოგრაფს ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნული სასიმღერო ხმების დასახელებას სამხმად საჩონგურო სიმღერებში. მეოთხე სიმს ეწოდება „ზი-



ლი“, იგი ყველაზე მაღალი ხმაა. „ზილი — წულილი ხმის ცემა“ არის.

ჩონგურის სიმებს აბრუნების ძაფისაგან აკეთებდნენ და გარკვეული ტემბრის მისაღებად სათანადო სისქისას გრესდნენ.

მაგ. ბანის სიმი ყველაზე მსხვილი იყო. ხოლო ზილისა ყველაზე წერილი. (მე მინახავს როგორ გრესდა ბაბუაჩემი არ-ჩონგურის აბრუნების ძაფებს სხვადასხვა სისქის სიმებზე, თავლის სანთლით გასანთლავა და ისე აუბამდა ჩონგურს).

ყველა სიმღერა იწყება საინოვაციო შესავლით. სიმღერები, ჩონგურის თანხლებით, კუბლეტურია. ჩონგურის წყობა: მისა სიმების ინტერვალურ დაშორებას გამოხატავს.

გურიაში ძირითადად გავრცელებულია სამი წყობა.



მესამე წყობას გურიაში „შუა ამობილი“ ეწოდება, „ამობილი“ მოშვებულს ნიშნავს, ხოლო „შუა ამობილი“ მოშვებულ შუა ძაფს, რომელიც ერთი ტონით ქვევით იწვეს. რაც იწვევს „ზილის“ აწევას ასევე ერთი ტონით. ასე ვიღებთ ზე-მართ ნაჩვენებ III წყობას.

გათარა ზემოთ ჩამოთვლილი წყობებისა, ელ. ახობაძის მიერ აჭარაში აღმოჩენილია ასეთი წყობა:



დ. არაყიშვილის მიერ დასახელებული სამხმანია წყობები, რომლებიც ორი სიმის უნისონურა შეწყობითა მიღებული, გურიაში გავრცელებული არ არის.

იგი ჯაგანხიშვილის აზრით, მთავარი წყობა არის I წყობა⁸. ხოლო მთავარი სიმები „დამწყები“ და „ბანი“. ზემოთ ჩამოთვლილ სამივე წყობაში ძირითადი ხმები უცვლელნი არიან, ხოლო წყობის შეცვლას იწვევს „ზილი“ და „მობ-ხილის“ ბეგრათა სინაილის შეცვლა.

პირველი წყობაში სრულდება სიმღერები: „ბატონები“, „დილა“, „ხორუმი“ და სხვა. მეორე წყობაში: „ზაღვა ჩემო“, „შავილი“ და სხვა. მესამე წყობაში: „სატრფალი“, „ნივილი“, „მარბეკლა ჯამის ქალო“ და სხვა. ხმური მუსიკის გაგლეჩით პარამონიულ შესაძლებლობათა გაფართოებამ ჩონგურის წყობათა სხვადასხვაობა გამოიწვია, ხოლო უფელესი სიმღერების არსებობა ჩონგურის თანხლებით („ბატონები“), „ზილის“ გაჩენასთან არ უნდა იყოს დაკავშირებული.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მიცვალებულს დასავლავების სხვადასხვა წესი არსებობდა. განსაკუთრებული დაცირება იცან ფშავში, ხევსურეთში, სვანეთში. ხმით დასტირება ჩაწერილი იქნა რამდენიმე ექსპერიმენტის მიერ და მის შესახებ გამოქვეყნდა მასალები. რომელსაც ჩვენ ამგვამდ არ შევეხებით. გურია ამ მხრივ სრულიად გამოუკვლეველი კუთხეა.

გლოვას გურიაში თავისი წესი ჰქონდა. მიცვალებულს დასავლავება სამგლოვიარო საგალობლების თანხლებით ხდებოდა.

მიცვალებულს ოჯახში გარდაცვალების დღიდან თავს იყრიდნენ ახლობლები და ნათესავეები, რომლებიც თავდებოდნენ იჭერდნენ თადარიგს მიცვალებულს გასასპატიოსნებლად. სხვადასხვა სოფლებში დასავლავებზე მიიწვევდნენ ნათესავეებს და ახლობლებს, რომლებიც მეზობლებისა და მოზარეების თანხლებით მოდიოდნენ მიცვალებულს დასატირებლად.

„მიცვალებულს“ წესის აგების“ შემდეგ ცხედართან მდგომი მღვდელი ან დიაკვანი წარმოსიკვამდა ანდერსს, თითქოს გარდაცვლილის მაგიერ:

„ხტირდეთ ჩემთვის ძმანო და მეგობარნო, მოვანსო და მეცნიერნო, რამეთუ, გუზინ თქვენთანა შორახელ ვიყავ მე. და აღეს მოიწია ჩემზე ეში სიკვდილისა, და წავლდი იქ, სადაც არ არის უფალება. მწუხარება და სულთქმა, სადაც მონა და უფალი ერთად წარსდებანა“.

ანის შემდეგ სრულდებოდა „ზარნი“ და „სულთათანა“. თუ გარდაცვლილის ნათესავეებს მოზარეები არ მოჰყვებოდათ, მაშინ მათ ადგილობრივი მოზარეები ჰიშკართან დახვდებოდნენ და ზართი მიაცილებდნენ იმ ადგილამდე, სადაც მიცვალებული ესვენა. სშირად ზემოში გროვებოდა მოზარეთა რამდენიმე ჯგუფი. მაშინ ისინი რიგრიგობით მიაცილებდნენ მობტრირლებს მიცვალებულამდე.

მიცვალებულს თავზე ტვირთს ჰტრირსუფლის მიერ მოყვანილი მოზარე მგალობლები, ხოლო ნათესავეების მიერ მოყვანილი მოზარეებს „ზარის“ შესრულების უფლება არ ჰქონდათ იქ. სადაც მიცვალებული ესვენა. იმ დროს, როცა მობტრირების მხლებელი მოზარეები გალობდნენ, ჰტრირსუფლის მოზარეები ისვენებდნენ.

„ზარნი“ არსებობს ტექსტიანი და უტექსტო. ტექსტიანი „ზარნი“ ყველა მოზარემ არ იცოდა, ასეთ „ზარს“ მხოლოდ ცნობილი მგალობელ-მომღერლები ასრულებდნენ. „ზარისა“ და „სულთათანას“ გარდა გურიაში გავრცელებული იყო შემდეგი სამგლოვიარო საგალობლები: „ვგოდებ და ვიგლოვ მე“, „საფლავისა აღებას“, „წინაშე საფლავსა შენსა მდგომარე“, „შემწე და მსხნელი“, „ცა ვრცელი განცივრებულ არს“, „სიხტაუვის ყვადობი და:ტკნო სიკვდილმა“ და სხვა.

უტექსტო „ზარნი“ იხმარება ერთადერთი შორისდებული „გაი“. „ზარნი“ სამხმანია. დამწყებს უერთდება მოსახილი და ბანი. იგი მეტად რთული პარამონითა და პოლიფონური ხმების მოძრაობით გამოირჩევა. აქ სშირად შეხვდებით პარამონური კვინტებით სვლას და კანდასებს საბოლოო აპორდის ბანიდან ორი კვინტის დაშენებით.

აღსანიშნავია, რომ უტექსტო „ზარნი“ მელოდია დამწყებს ნიჰკავებს ბანისა და მოსახილის ფონზე.

არტემ ერქომაიშვილს არაერთხელ უთქვამს, რომ არსებობდა მეორე უტექსტო „ზარნი“, მაგრამ იგი, სამწუხაროდ, დაიკარგა.

სავალდებულო „ვგოდებ და ვიგლოვ“ ყველა ასაკის მიცვალებულსათვის ასეთი ტექსტით სრულდებოდა:

„ვგოდებ და ვიგლოვ მე, რა ეშას გულისხმა ვუთ სიკვდილი და ვიხილოთ საფლავს შენა მდგომარე, მშენებრება ჩვენი ხატად ხვთისა დაბადებულთ. შეფრატება უსატიოდ და უსახურად ეთის, საკვირველი რა არს ესა ჩვენი ქვეყანისა ნაშობნი საიდუმლო, ვითარ მივეცემით ხრწრილებანა,



ვითარ შევეყვინით სიკვდილსა, ჭეშმარიტად განჩინებისა ღმრთისათა, ვითარცა უნოლ არს, რომელი მინაჩუბებს მსიკვადოელსა განსვენებასა“.

საკვალიბელი „სიხაბუკის ყვაილი დააჭნო სიკვდილსა“ სრულდებოდა უსაყოოდ ახალგაზრდის დაარქაღვის დროს, თანაც დაბალ რეგისტრში, რაც კიდევ უფრო შემაზრხენს ხილდა მას.

„სიხაბუკის ყვაილი და სიკეთე მწვინიერება და ახოვნება გვაძისა ვაშსა სიკვდილსა დასტუნების, და ახოვნებისა საწყალობით, და თვალსა ნათელი

დასტუბებს,

და ენა და ხორხა მძანავარ დასდუღების, და ფეროვნება პირთა უშვერ და ბნელა იჟნების, და ქელისა სიბჭაკე შემოხუარის, გულისმასა ვუთი ესრეთ ძჰანო, და აწვე განვეშადნეთ, რაჟა მას ვაშსა საზარელსა არ შევერქუნდეთ და ხმა ვუთი აღილუთა“.

ამგვარად სრულდებოდა სამგლოვიარო საგალობლები გუ-რიაში და დასანანია, რომ ამ საგალობლების მცოდნენი მხოლოდ ერთოულებიდა შემორჩნენ.

სამგლოვიარო საგალობლების შემსრულებლებს „მოზარე მგალობლებს“ უწოდებდნენ. ისინი სხვა საგალობლების საუკეთესო მცოდნეებადაც ითვლებოდნენ, ხოლო თუ მგალობელმა ხალხური სიმღერებიც კარგად იცოდა. მას „მგალობელ-მომღერალს“ უწოდებდნენ.

კარგი მგალობელ-მომღერალი დიდი პოპულარობით სარგებლობდა ხალხში, იგი ყველას უყვარდა, ყველასთვის საბატყვემყოფო პიროვნებად ითვლებოდა. მას საზოგადო მოღვაწედ სთვლიდნენ.

გალობა დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებდა მსმენელს. ამიტომაც იმ ეკლესიებში, სადაც კარგი მგალობლები გალობდნენ, გალობის მოსასმენება ბევრი ხალხი დადიოდა.

საკალობლები არსებობს საეკლესიო (რომლებიც სრულდებოდა წირვის დროს) და საერო (ეკლესიის გარეშე). არსებობს ისეთი საგალობლები, რომლებიც ეკუთვნის როგორც საერო, ისე საეკლესიო ჟანრს: „შენ ხარ ენახი“, „ჟამთა და წესთა“, „დიდება ღმერთისა“ და სხვა.

ყველა საღვთისაწაწალო თარიღს, როგორც საერო, ისე საეკლესიო, საზეიმო და სამგლოვიარო მოვლენას თავიანთი შესატყვისი საგალობლები გაჩნდათ, რომლებიც იგალობებოდა ამ შემთხვევასთან დაკავშირებული თავყვირობის დროს.

საეკლესიო საგალობლები შინაარსობრივად დაკავშირებულნი იყო საეროებრივ ტექსტებთან და წირვა-ლოცვა საგალობლებით სრულდებოდა.

უნდა ვივარაუდოთ, რომ საეკლესიო საგალობლების სიტყვიერი ტექსტები გაცილებით მეტი იყო, ვიდრე სამღერაო ტექსტები. არტემ ერქომაიშვილი იგონებს, რომ ერთი საგალობლი ხშირად ამ ტექსტზე ვკვიდრებოდა.

ტექსტის შევლასთან ერთად ნაწილობრივ იცვლებოდა მუსიკალური მასალაც, განსაკუთრებით კი მისი რიტმი და მეტრი. საერო სიმღერებისაგან განსხვავებით საგალობლები-სათვის დამახასიათებელია ინტონაციის შევლა როგორც ხმოვან, ისე ცალკეულ თანხმოვან ბგერებზე. საგალობელი ნელი ტემპით სრულდებოდა. მომრეაზს ხშირად სუნთქვის ადგმა სჭირდებოდა იქ, სადაც ანას მითითბოვ მულოდია და არა სიტყვა, რადგან სიმღერაში შეიძლება მუსიკალური ფრაზა დამთავრდეს, ხოლო სიტყვა შუაზე დარჩეს გაწყვეტილი ე. ი. სიტყვი-

რი და მუსიკალური ტექსტის ცხურები არ დაემთხვევებოდნენ.

არსებობს საგალობლების ორი ფორმა — კილო და ვარჯიში. კილო არის საწყისი, ვარჯიში იგივე კილოა მაგრამ გართულებული სხვადასხვაგვარად. კილო ისეთსავე დამოკიდებულებაშია ვარჯიშთან, როგორც პროფესიულ მუსიკაში თემა—ვარააციებთან ან გონანტებთან.

გალობლები მომღერლები ჯერ „კილოზე“ სწავლობდნენ გალობას და შემდეგ შეუდგებენ დიდი მულოდის გაგვარჯიშებას. კილოს გაგვარჯიშება დამოკიდებული იყო მომღერლის ნიჭზე. საერთოდ გალობის შესწავლაში კილოს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. იგი ადვილად ისწავლებოდა. ისე კი დღესასწაულზე საგალობლები ძირითადად „ვარჯიშით“ სრულდებოდა.

კილოს კიდევ ერთი დანიშნულება ჰქონდა, თუ რომელიმე მომღერალმა სუსტად იცოდა საგალობელი, რომლის შესრულება აუცილებელი იყო, მაშინ შესარულებდნენ საგალობელს „კილოზე“.

* * *

სიმღერა-გალობა გურიამი საყოფაცხოვრებო წესწვეულებთან იყო დაკავშირებული. ამიტომ დღესასწაული, ქორწილი, შრომის პრიტესტი უსმენდოდ ვერ ჩაიკლიდა.

განსაკუთრებით შრომა და სიმღერა ისე მჭიდროდ იყო დაკავშირებული ერთმანეთთან, რომ ძნელი გასარჩევია თუ რომელი რომელი ამშვენებდა. სიმღერა შრომის ხალხის უღიძებდა ხალხს. ამიტომ იყო, რომ ნადე, როგორც წესი, პირველად მომღერლებს მოიაბიტიებდნენ ხოლმე. „ნადი“ უწოდებოდა სამუშაოს, რომელიც მეზობლებისა და მეგობრების ერთობლივი დამხმარებით სრულდება. ნადეზე შესრულებულ სიმღერებს „ნადურები“ უწოდებდა. ნადს იწყებდნენ ტყიან საწინების, საშენი მასალის, ან შენის გამოტანაზე. უკრძანის კრეფაზე, თესვასა, თონასა და ყანის ადგენაზე, მოწყობილი სიმღერის გარეშეც და სხვა. ტყიდან საწინების ან საწინი მასალის გამოტანაზე იმღერებოდა „ელესა“... იგივე სიმღერა იმღერებოდა აგრეთვე ყანის თონის დამთავრების დროსაც. თონის დამთავრებამდე „ელესას“ ამ მღეროდნენ, ამასთან, დღეში რამდენ ყანასაც გათიხსნიდნენ. იმდენჯერაც იმღერებდნენ. აღსანიშნავია, რომ ყანაში „ელესას“ მხოლოდ მეორე ნაწილი სრულდებოდა. „ელესას“ უპირატესად მაინც ტვირი საწილი და, კერძოდ, საწინების გამოტანის დროს ასრულებდნენ.

იმისათვის, რომ 20-30 კაცს ერთად მოეწიათ თოკი, საჭირო იყო ვიღაცას ხელმძღვანელობა გაეწია გარკვეული რიტმით. აქ სამსახურს სიმღერა „ელესა“ უწყებდა. რომელიმე მომღერალი მხამალდა დაიხმებდა „ელესა და“. გუნდი უპასუხებდა „ელესა“. ამ ძაბილზე ერთად გამოეცდნენ თოკს.

ამგვარად, შეძახილი „ელესა და“ იყო გამთავრებლობელი ნიშანი. „ელესა“ კი სამუშაოს შესრულების ნიშანი. ასე გრძელდებოდა სანამ საწინებელს სწორ გზაზე არ გამოიტანდნენ. ამის შემდეგ მომღერლები წუდგებოდნენ სიმღერის მეორე ნაწილს. მეორე ნაწილი ორპირულია, დაბოლოების დროს სიმღერა ჩქარდება და მეორედ შეძახილებით „იო“, „იო“ ან „იოი“, „იოი“, რაც სამუშაოსა და სიმღერის დამთავრებას გვაუწყებდა. სიმღერის იმეორებდნენ იმდენჯერ, რამდენსაც მოითხოვდა შრომის პროცესი.

სიმონდის ადებისას ან გარჩევას ძირითადად იმღერებოდა „კალოს ხელწავები“. „კალოს ხელწავი“ ძალიან ძველი



სიმღერა. არსებობს მისი მოკლე და გრძელი ვარიანტი. მათ ერთი და იგივე ტექსტი აქვთ, ხოლო მუსიკალურად სრულიად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

მოკლე „კალის ხელხვაი“ მეორედება რამდენჯერმე, მას მიმდევრობით ორი ან მეტი „ტრიო“ ასრულებს. გრძელი „კალის ხელხვაის“ შესასრულებლად საჭიროა დიდი ჯგუფი ან გუნდი. სიმღერა სამხმინაია, იწყებს წვრილი (რაც იშვიათი მოვლენაა), შემდეგ მას უერთდებიან პირველი ხმები და ბანები.

ყანაში მუშაობის დროს სრულდებოდა ნადურების მთელი წყება. ყანაში შესრულებულ ნადურს ხშირად „ყანურს“ უწოდებენ. ყანური სიმღერები, განსხვავებით სხვა ჟანრის ხალხურ ერთ სიმღერებისაგან, თოხხმინაია, თოხხმინაი ნადურები ყველაზე გრძელი და ძნელი სიმღერებია გურიაში. „შემხმობარი“ (იგივე მაღალი ბანი) ყველაზე ნაკლებად მომრავი ხმაა, იგი დამწყებსა და წერილთან ერთად ჟღერს სიმღერის პირველ ნაწილში, ხანგრძლივად, როგორც წესი, მეორე ნაწილში ჩაერთვებიან. ყველა ნადური ორპირულია. ხოლო ფორმის მხრივ სამწიწილიანია.

ადრე ნადურებს მხოლოდ ყანაში მღეროდნენ, ხოლო უფრო მოგვიანებით, თავმჯურის ადგილებშიც. მაგალითად, წიწვის შემდეგ შეიძლებოდა კვლავისი გუნდის ემღერათ¹¹.

თოხხმინაი ნადურები მრავალხანარია გურიაში. აღმოსავლეთ გურიის ნადური დიდად განსხვავდება დასავლეთ გურიის ვარიანტისაგან. დასავლეთ გურიის ნადური უფრო ახლის დგას აჭარულ ნადურებთან, ასე, რომ ვინც ნადურის კარგი მცოდნე იყო, მას აჭარლებთანაც შეეძლო ნადურის სიმღერა. მდინარე ჩოლოქის სასღვარეუ გურულებს აჭარლების მეზობლად ყანები ჰქონდათ და ხშირად ერთად უხდებოდნენ მუშაობა. ისინი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ნადურის წესრულებებში. ასე რომ, მთელი დღის განმავლობაში ისინოდა გაბმულად „ნადურები“. მუშაობის დროს წინასწარვე იყო დაკანონებული თუ რომელი „ნადური“ უნდა ემღერათ. დილით „დილის ნადურს“ იმღერებდნენ ასეთი ტექსტით:

„ქალი ვიყავ აწნაური გლეხის შვილმა მოთხოვა,
ჩემი ნებით არ მივეცხარე, ძალით თუ არ მომიტაცა.
მომიტაცა, წამიყვანა, ცხრაი მთაი ურჯეთ შიდა“ და ა. შ.

შუადღე რომ მოატანდა, „შუადღის ნადურს“ დაიწყებდნენ. ერთ-ერთი მათგანია „საჯავახურა“. იგი იმღერებოდა ასეთი ტექსტით:

„მოინოსა მწვერი უყვარს, შევარდენსა ნადირობა
თუ მასანძმელს ნადი უყვარს, აწი კია სადილობა“.

ნაშუადღევს მასხინძელი კიდევ მოიტანდა საქემელს, რომელსაც „ზარმელს“ ეძახდნენ და რომელსაც თავისი შესატყვისია ნადური მოჰყვებოდა ასეთი ტექსტით:

„მთას ხობობა დაფრინილა, დაბლა მერე ტკარცალეზადა,
ქიჯობაზე ქიჯვა სკამადა, მოლობაზე მოლობაო,
ზაჩირი ჩამოსულა ქორთა და მექებრთა,
იხვს იქებრე გეხელთა, ნამეტნავად ხობობაო“ და ა. შ.

საღამოს მოკლე ნადურს შესასრულებდნენ, რომელსაც „გორდელა“ ეწოდება. „გორდელა“ არსებობს ტექსტისა და უტექსტო.

აღსანიშნავია, რომ დილის, შუადღის და საღამოს ნადურების შესრულების დროს ტექსტებს ხშირად ცვლიდნენ და ეს

ტექსტები, როგორც ზემოთ ჩამოთვლილი მაგალითებიდან ჩანს, უმეტესად უშინარსოა და სრულებით არ გამორჩეულა წრობის პროცესს. კიდევ ერთი მაგალითი, რომელსაც სხვადასხვა ნადურებში იყენებდნენ:

„ელო თუ მელა, ჩიტო მომიწველია,
კახა გაპატინა, ქალაქი ჩამატინა,
ქალაქელი ქორვაკრები მიდიან და მოდიან,
იგი ქორი არ მოვიდა, თეთრი ქორი მოვიდა,
„შალა და მამალა ქორმა ბოლო გამალა,
მარგალიტი დაყარა...“ და სხვა.

მთელი დღე მუშაობის დროს ნადურებს ისე ომხიზიანად მღეროდნენ, რომ იგი ხშირად რამოდენიმე კილომეტრზე ისმოდა. გარდა ნადურისა, ყანაში სხვა სიმღერას არ იმღერებდნენ, ხოლო საშუაის დამთავრებისთანავე ერთხელ „იღუესას“ შესასრულებდნენ და ამით ყველას ამცნობდნენ სამუშაოს დამთავრებას.

სამუშაოს დამთავრების შემდეგ მასხინძლის ოჯახში გამართული იყო სუფრა, სადაც სრულდებოდა ყველა ის სიმღერა-საგალობელი, რომელიც დღის განმავლობაში არ ემღერათ.

* * *

სიმღერა და საერო საგალობელი განუყრელი ნაწილი იყო გურული სუფრისა. საუკუნეების მანძილზე გურიაში ჩამოყალიბდა ცენტრ წოდებული „სუფრას წესი“, რომელსაც ხალხი ყოველთვის ემორჩილებოდა.

სასემიო წვეულება გურიაში იმართებოდა ქორწილთან, ძეობასთან, ნადვობასთან, სადღესასწაულო თარიღებთან, ნადთან და სხვა საზეიმო მოვლენასთან დაკავშირებით. ასეთ წვეულებებზე არსებობდა გარკვეული წესი სადღესასწაულოების მიმდევრობა და სიმღერა-საგალობლების შესრულებაც ამ სადღესასწაულოებთან იყო დაკავშირებული.

აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით: „პურის ჭამის დროს მხიარული სუფრული სიმღერები ქართველებს ძველთაგანვე ჩვეულებად ჰქონიათ. არჩილ მეფის V საუკუნეში ამ ჩვეულების აღმოაჩენება და ასეთი სიმღერების მაგერი სასუფრული საგალობლების შემოღება უკედი, მაგრამ როგორც მერმანდელი ისტორიკოსების თხზულებიდან ჩანს, მისი ცდა ამაო გამოიშვარა“.¹²

გურიაში ქორწილი ერთდღიანი ან ერთდღიანი იცოდნენ. მასხინძელი ცდილობდა იმ დროს სახელგანთქმული მონღოლური მოებატყენა, სტუმრებთან რომ არ შერცხვნილიყო. ქორწილი იწყებოდა „მაცურლით“¹³. დედოფლის ეუოსთან მოახლოების დროს ამ სიმღერას შესასრულებდნენ ასეთი ტექსტით:

„ჩვენ მოვდვიართ მაცურები რჩეული და კარგები,
მასხინძელი გეილივე, გავინათე საწოლები“.

ხოლო დედოფლის ოჯახში შესვლისა და ჯვარისწერის დროს სრულდებოდა საგალობლები: „განელო სასძლო და განეშხადა ქორწილი“, „გეხარადეს ქალწულთა სიქადულო“ და „უნე ხარ ჭეფანა“ ნეფის ეუოსთან მიახლოებისას მაცურული იმღერებოდა ასეთი ტექსტით: „ქალი მოგყავს ნათელიო, გავგინათეთ სანთელიო“. არსებობდა აგრეთვე უტექსტო „მაცურლები“ და „მგზავრულები“, რომლებიც ვაშაში სრულდებოდა.

პირველი ცერემონიის დროს გუნდი, რაც გამობიხატებოდა მაცურების მოსვლითა და ჯვარისწერით, თოფების სრლით, მილოცვებით. კარის ზღურბლზე სიძის მიერ თევზის დამტყ-



რეით, სამზადში „კერის“ ირგვლივ დედოფლის სამჯერ შემოტარებით და სხვა, მასპინძელი მიიპატიებდა სუფრასთან სტუმრებს. მღვდელი აკურთხებდა სუფრას და გაისმოდა პირველი საერო საგალობელი „დღეს საღეთო მადლმან შეგვიკრიბა ჩვენ“. ამას მოჰყვებოდა „მოვედით და ესვათ სასმელი ახალი“, ხოლო მესამედ იგალობებდნენ „დიდება ღმერთისა“.

შემდეგ მასპინძელი იღებდა სასმისს და ადღევრძელებდა თამაძებს, რომლებსაც სპეციალურად მოიწვევდნენ. ისინა უნდა ყოფილიყვნენ ენამჭევრნი, სიმღერის მცოდნენი და ღვინის კარგად მსმენნი. ამ სადღევრძელოს მოჰყვებოდა სიმღერა „თამაძებს გაუმარჯოს“, ხოლო თამადა საპასუხოდ მომღერლებთან ერთად შესარულებდა სიმღერას „მადლობებნი ვარ“. თუ თამადა სიმღერა არ იცოდა, მის მაგივრად მომღერლები შესარულებდნენ იგივე სიმღერას.

პირველად თამადა შვიდობის სადღევრძელოს შესვამდა, რასაც მოჰყვებოდა სიმღერა „ჩვენ შვიდობა“. მეორე სასმისით, ქორწილის დროს, თამადა ადღევრძელებდა ნეფე-დედოფალს, რასაც მოჰყვებოდა მისივე შესატყვისი სიმღერა ან საგალობელი — „შენ ხარ ვენახი“ და „მრავალგამიერი“. ძეობაში ახლად დაბადებულს უმღერებდნენ „ქრისტეშობის საგალობლს“. ნათლობაში ახალმონათულს უმღერებდნენ „შენ რომელმან განანათოუ“, ნადის შემდეგ კი ადღევრძელებდნენ იმდღევანდელ საქმეს, ოჯახის ბარაკას, გამრჯე მარჯვენასა და იმღერებდნენ კალისა და სუფრის ხელგაშლას. ქრისტეშობის დღესასწაულის დროს „ქრისტეშობის საგალობლს“ და „ალოლოს“ იტყოდნენ. აღდგომის დღესასწაულის დროს „ქრისტე აღსდგას“ და ასე შემდეგ მომდევნო სასმისი, განურჩევლად წვეულების მიზნისა, მშობლებს ეკუთვნოდა. ამ სადღევრძელოს ყოველთვის თან მოჰყვებოდა „მასპინძელსა მხიარულსა“ და „მრავალგამიერი“, ხოლო გარდაცვლილი მშობლების მოსაგონებლად — საგალობელი „ვაშთა და წულთა“. მომდევნო სასმისი ქორწილში ხელის-მიმოქილებებს, ხოლო ძეობასა და ნათლობაში ნათლებებს ეკუთვნოდა. სხვა შემთხვევაში კი დებისა და ძმების სადღევრძელოს შესვამდნენ.

მეჯარეებს დიდი დაფასება ჰქონდათ, მათი სადღევრძელო ოჯახის წევრების სადღევრძელოზე ადრე ითქმებოდა, რადგან მურღონათულობა მყარ მოყვრებად მიიჩნდათ, რომელიც შთამომავლობას შეიდი თათბის მანძილზე გაჰყვებოდა. ამ სადღევრძელოს მოსდევდა სიმღერები „სადღევრძელო“ და „ჩემო ნათლი დედა“. შემდეგ სასმისი წინაბრების ეკუთვნოდათ. ეს სადღევრძელო სუფრაზე აუცილებელი იყო, „თუ ჩვენ ჩვენს წინაბრებს არ მოვიგონებთ, ჩვენნი შვილებიც აღარ მოვიგონებთ“ — იტყოდნენ გურულები. ამ სადღევრძელოს მოჰყვებოდა საგალობელი „ქებადი“. მომდევნო სასმისი ქორწილში მაყართ მანდილოსნებს ადღევრძელებდნენ და უმღერებდნენ საინფერო სიმღერებს, ხშირად საოხუნჯოსაც. ამ სადღევრძელოსათვის აუცილებელ სიმღერას წარმოადგენდა „აბა დარეჯან“.¹³

შემდეგი სასმისები მაყარ ვაჟაკებს ეკუთვნოდათ, ვინაიდან ვე შეზარხოშებული სუფრის წევრები ვაჟაკობის გამოძინატველ სამბძილო და ისტორიულ სიმღერებს ასრულებდნენ, კერძოდ „სასანგურასა“, „ლაშქრულსა“ და სხვ.

აქედან იწყებოდა ორბარული კრიმინალური სიმღერები შეტრულება და ტრადიციული შეკიბრი სტუმარ და მასპინძელ მომწერალთა შორის. ურომლისოდაც გურული სუფრა წარმოდგენილი იყო. ამ შეკიბრში დიდი პოპულარობით სარგებლობდა სიმღერა „წამოგრილი“, რომელსაც სამი კაცო ასრულებს. ამ სიმღერას ტექსტი არ განიჩნია, იგი შორიდსდებულეზე იმღერება და მომწერალს აძლევს თავისუფალი იმპროვიზაციის საშუალება. იგი მიმდევრობით იმღერება სხვადასხვა ჯგუფების მიერ და თანდათან მალდება ნახევარი ტონით. ამბობენ, ერთ ქორწილში ეს სიმღერა 50-ჯერ გაუმეორებია ცნობილ მომწერალს სამუელ ჩაგუთაშვილს შეკიბრებისას (ცხადია, 50-ჯერ ნახევარი ტონით არ აბამლებდნენ, ალბათ აბამლეს გარკვეულ დონემდე).

მომდევნო სადღევრძელოები ეკუთვნოდათ წვეულ ან ადგილობრივ მანდილოსნებსა და მამაკაცებს, რომლებსაც უკვე შეზარხოშებული მომღერლები სადღევრძელოების შესაფერ სიმღერებს უმღერებდნენ.

მომდევნო სადღევრძელოები უკვე თამადის შემოქმედებითა და იმპროვიზაციულ უნარზე იყო დამოკიდებული.

დილით გამოვიდოდნენ ეუზობი და იმღერებდნენ „ჰადილას“, რასაც საფერხული ცეკვები და სიმღერები მოჰყვებოდა, ხოლო შემდეგ ძალს ცდნენ თოფის სროლასა და ჯარითში. ასეთია, ზოგადად, გურულ სიმღერათა თავისებულება, მათი ბუნება და შესრულების წესი, განპირობებული სხვადასხვა რიტუალური და საწყნარეულეობ ტრადიციით.

შენიშვნები:

- 1 ხელნაწერები ინახება ე. სარაჯივილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში.
- 2 Советская музыка № 12, 1966 г., стр. 132.
- 3 აბ. ფლორაშვილის კრებული № 3 ქართლ-კახური ცილო) საეკლესიო საგალობლები წმ. იოანე ოქროპირის წირვის წესისა. გვ. 11, თბილისი.
- 4 დ. არაქიშვილი V ტომი, გვ. 25.
- 5 Г. Ф. Гусин, Народные обычаи и верования Кахетии, Тбилиси, 1905, стр. 65.
- 6 აბ. წულავე, „ეთნოგრაფიული გურია“.
- 7 ივ. ჯავახიშვილი, „ქართული მუსიკის ისტორიის საკითხებისათვის“. გვ. 173, 174.
- 8 სულხან-საბა ორბელიანი „სიტყვის კონა“, თბილისი, 1949.
- 9 ი. ჯავახიშვილი დასაყვებული ნაშრომი, გვ. 312.
- 10 აბ. წულავე, დასახ. ნაშრ. გვ. 20.
- 11 იქვე.
- 12 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 276.
- 13 სიმღერაში მოთხრობილია ქალის — დარეჯანის გმირობის შესახებ, რომელიც მოხდება მითატყეს, დაპირებულ ფაშას ცოლობას, რასაც სიკვდილი აჩრია.





ფოტო ა. ზალაბუევისა.

გაეოსათსოვარი სიტყვა

ვახტანგ ბერიძე

მეწვე სხვლედინის გარდაცვა-
ლება დიდი უბედურებაა მიწელი თა-
ნამედროვე ქართული კულტურისა-
თვის და დიდა პირადი მწუხარება
ყოველი ჩვენგანისათვის, ყველასა-
თვის. ვინც თუნდაც ერთხელ შეხვედ-
რია ამ საკვირველ ადამიანს, უგრძე-
ნია მისი პიროვნების მომკაცადოე-
ლი ძალა.

შეუძლებელია მისი სიკვდილი
ღრმად არ განიცადოს ყველამ, ვი-
საც გული შესტკივა დღევანდელი
ქართული ხელოვნების სიკეთისათვის,
ვინც ოდნავ მაინც იცნობს ჩვენი
ქვეყნის მხატვრულ ცხოვრებას და
იცის, რა ადგილი ეჭირა ამ ცხოვრე-
ბაში ელენე ახვლედიანს.

ქალბატონმა ელენემ, როგორც
შემოქმედმა, თანამედროვე ქართულ
მხატვრობასთან ერთად აიღვა ფეხ-
რველოლუციის პირველ წლებში და
მას შემდეგ, აი თითქმის უკვე სამო-
ცი წელია, ჩვენს ეროვნულ ხელო-
ვნებას არ ჰყოლია მასზე უფრო გულ-
მხურვალე და თავდადებული მუშაგი,
მასზე უფრო ერთგული მზრუნველი,
მასზე უფრო შეუპოვარი ქომაგი.

ელენე ახვლედიანის ღვაწლი
მხოლოდ იმით კი არ განიზომება,
რომ მან, როგორც მკაფიო ინდივი-
დუალობის მხატვარმა და დიდმა
ოსტატმა, ვაამდირა თავისი ნამუ-
შევრებით ჩვენი ფერწერა, დაზგური
და წიგნის გრაფიკა, სათეატრო დე-
კორაციული ხელოვნება, მისი ღვა-
წლი უფრო დიდია:

ელენე ახვლედიანი — დავით კა-
კაბაძესა, ქეთო მალალაშვილსა და
ლადო გუდიაშვილთან ერთად — შე-
ადგენდა გამოჩენილ ქართველ მხა-
ტვართა იმ დიდებულ ოთხეულს, რო-
მელმაც განუზომლად აამაღლა ახა-
ლი ქართული ხელოვნების მხატვრე-
ლი კულტურა და თანამედროვე მსო-
ფლიოს მოწინავე ხელოვნების დინეს
დაუახლოვა იგი;

ელენე ახვლედიანი — ალექსან-
დრე ციმკურიძესა და დავით კაკა-
ბაძესთან ერთად — ქართული პეი-

საქური მხატვრობის დამფუძნებელია; მან უსუსვლოდ გააფართოვა ქართული პეიზაჟის დიაპაზონი, უმღერა მთელ საქართველოს, ხოლო ძველ თბილისს ხომ არც აყოლია მისთანა მებრტყე და გულში ჩამწვდომა პოეტო;

ელენე ახვლედიანი — ერთი პიონერთაგანია ჩვენი სათვატრო მხატვრობისა. როგორც თეატრის მხატვარს, მას ერთი უპირველესი ადგილთაგანი უჭირავს. ამ მხრივ მისი ასპარეზი დიდად სცილდება ქართული თეატრის ფარგლებს.

ელენე ახვლედიანმა არა მარტო თვითონ შექმნა მთელი ეპოქა ჩვენს ხელოვნებაში, არამედ თავისი შემოქმედებით დიდად აამაღლა საერთოდ ქართული ხელოვნების პრესტიჟი, უამრავი მეგობარი შესძინა ქართულ ხელოვნებას და თვით დიდად ამაღლა მისი — ბევრი მათგანი ჩვენს ქვეყანას სწორედ ქალბატონ ელენეს სურათებით აღიქვამდა, მისი თვალებით ხედავდა.

ელენე ახვლედიანს ბუნებით ჰქონდა მომადლებული თავაყის წინამძღოლის ნიჭი — მუდამ სასოგადო საქმისთვის ზრუნავდა. სხვიანი ჭირი და ლხინი თავის ჭირად და ლხინად მიანდა. იგი, უპირველეს ყოვლისა, მოქალაქე იყო და მთელ ქართული ხელოვნებისათვის გრძნობდა პასუხისმგებლად თავს. ჩვენ ყველამ ვიცით, რამდენ ახალგაზრდა მხატვარს გაუკავა მან გზა, რამდენს გაუმართა ხელი. რამდენს ასწავლა ხელოვნების ნამდვილი სიყვარული და საქმის ერთგულება: ქ-ნი ელენე იყო პირველი მფარველი დაიწყებულთა და მოკრძალებულთა; ყველამ ვიცით, რამდენი მოგზაურმა მოაწყო მან საქართველოს მთასა და ბარში, რომ მარტო თვითონ კი არა, არამედ სხვებთან ერთად აღებებდა ჩვენი სამშობლოს სიღამაზე. მისი წარსული და დღევანდელი დღე, რომელსაც გულწრფელად შეზარდა. გვახსოს, რამდენი საინტერესო გა-

მოფენის მოთავე იყო ქ-ნი ელენე და ყველამ ვიცით, რომ მისი სახელოსნო ჩვენი დედაქალაქის მხატვრული ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი და მნიშვნელოვანი კერა იყო.

იშვიათად მოიძებნება, ალბათ, ელენე ახვლედიანისთანა მთლიანი და თავისებური პიროვნება. რომ დავფიქრდეთ, ვერც ერთი ჩვენგანი ვერ გაიხსენებს, ცხოვრების გზაზე შეხვედროდეს ადამიანი, რომელიც ოდნავ მაინც ჰგავდა ქალბატონ ელენეს.

რა ლამაზი იყო! როგორი ბუნებრივი, თანდაყოლილი არტისტიზმი ჰქონდა, არტისტიზმი, რომელიც თავს იჩენდა მის იერში, მიხრა-მოხრაში, ჩაცმა-დახურვაშიც.

როგორი შფოთიანი და მოუხვეწარი იყო, რა ცვესლოვანი ტემპერამენტი ჰქონდა — მუდამ მაგნიტდა ჩაუქრქალ ვულკანს, რომლის კრატერშიაც ყოველ წუთს გადმოსხვებოდა გამაზადებული ლავა დუღს, და არაგინ არ იცოდა, როდის დაიქუხებოდა, როდის გადმოიფრქვეოდა გაავარგარებულა ნაკადი.

როგორი პირნიმითქმელი და მოურიდებელი იყო!...

და თან, როგორი სიკეთე და გულითადი სითბო ჰქონდა, თუმცა არ ეხერხებოდა მისი გამოჩენა... მაგრამ ამ სითბოს მაშინაც გრძნობდი, როცა ქალბატონი ელენე წარმეტყვლი და თითქოს გაჯაგრებული, სწრაფად და ნაწყვეტ-ნაწყვეტ „გტყორცნიდა“ სიტყვებს... ცვალებადი ხასიათი ჰქონდა, მაგრამ მუდამ თავისთავად რჩებოდა — მხოლოდ ქალბატონი ელენე შეიძლებოდა ყოფილიყო ასეთი, და სხვა არაგინ.

და განა მისი ხელოვნებაც ასეთი არ არას?

რა უსუსვლოდ სიმდიდრე და მრავალფეროვნება გვემუღება თვალწინ მის პეიზაჟებში — საქართველოს ყოველი კუთხე. უცხოეთის ბევრი

ქვეყანა... წელიწადისა და დღის ყოველი დრო, შუქისა და ფერის ათასგვარი ცვალებადობა, ოდნავ შესამჩნევი გადასვლები და კაშკაშა, „ხმაბალი“ ფერადოვნება... და ყველა ეს სურათი, მიუხედავად მრავალგვარობისა, მხოლოდ მისისა, მხოლოდ ახვლედიანისეულია!

ელენე ახვლედიანს არ შეეძლო გარინდებული, „მარადილი“ ბუნების გადმოყვება, მისი ბუნებაც ადამიანით ცოცხალი და ცვალებადია — ხან ბოზოქარი და ქარიშხლიანი, ხან კი თბილი და ღრმად ლირიკული. მის ყოველ სურათში ადამიანური მახისცემა და მღვლავარება იგრძნობა, და ყველა გასაოცრად პოეტურია, რომანტიკულია და ამაღლებული, ყოველდღიურობის პროზას განრინებული. თვით მისი დაუწყვიცარი „სამორებიც“ თითქოს სითბოს გამოსცემს და არა სიცვიც.

სამელოდო დღეებში, როცა ჩვენ, ღრმა მწუხარებით შემპყრობილი, თავს ვიყრდი თვის სასელოზნოში, ქალბატონ ელენეს ცხედრთან, როცა პირველად ვხედავდით დამშვიდებულ ქალბატონ ელენეს, ყველას თვალი გაგვიბრბოდა მისი სურათისაკენ და, დარწმუნებული ვარ, ყველა ერთი ფიქრი გვიპყრობდა — სიციცლის როგორი დაუოცებელი ძალაა ამ სურათებში, რა მწუხარებუბა, როგორი ანთებული სიყვარულია გრძნობა ყოველ სურათში, როგორი უნარი შესწევდა ამ ადამიანს დღესასწაულად ექცია ყველაფერი, რასაც ხელს შესახებდა!

ქალბატონი ელენეს შემოქმედება ხელოვნებაა, ამ სიტყვის ყველაზე სრული და მაღალი მნიშვნელობით, რამდენადაც იგი, კოტე მარჯანიშვილის თქმისა არ იყოს, მხოლოდ სიხარულსა და ბედნიერებას ანიჭებს ადამიანებს; და სიხარულის ეს წყარო არც დადშირტებია, რაკი ელენე ახვლედიანის სურათები დაგვრჩა ჩვენ, დარჩა ქართველ ერს.



ისტორიული

კვლევი და

თანამედროვეობა*

თენგიზ კვიციანი

1975 წლის თებერვალში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება თბილისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონად გამოცხადების შესახებ. ადრე, 1968 წელს მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით საქართველოს უძველესი დედაქალაქი — მცხეთა ნაკრძალად გამოცხადდა.

ეს მეტად მნიშვნელოვანი დიკუმენტიბა, რომელთა საფუძველზე უნდა გაიზაროს სპეციალისტების შრომატევადი და შემოქმედებითად საინტერესო მუშაობა, უძველესი ქალაქების ჯერ კიდევ შემორჩენილი ისტორიული ფრაგმენტების გადასარჩენად, სწორედ გადასარჩენად! საუკუნეებმა, ომებმა, წვიმამ და ქარმა, ცხოვრების თავიყვარებებმა და სხირად უმცირებამაც არცთუ ბევრი ისტორიული ძეგლი დაგვიტოვა საქართველოს ქალაქებში. თბილისის შუასაუკუნეობრივი

ბირთვი თანდათან ქრება გასული საუკუნის თბილისური სახლები, აქურულ ტიმანებსა და რიკულებს უხეზად გათლილი ფიცრები ცვლის, კედლები ხშირად დამსკდარია და გოცებას იწვევს — სასლი რატომ არ გვევგრევა თავზე. თითქმის არაფერი დარჩა სახლების დაგვემარებისაგან — ათასგვარად გადატხირული, გადაკეობული, ნაკუწ-ნაკუწად შემინული, ზოგჯერ ყვარჯუნფდგმული შენობები გვევდრებიან ან გამათავთე ან მომარჩინეთო. ძალზე ცოტა ძველი სახლია შემორჩენილი თელავში; თუ დროზე არ მივხედოთ, განწირულია საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქი — სიღნაღი. ან რაღა შემოგვრჩა ძველი ქუთაისისაგან? ჩვენ საზოგადოებრიობას არაერთხელ აღუმაღლებია ხმა სვანეთის რომანტიკული კომპლექსების გადასარჩენად.

ისიც უნდა ითქვას, რომ ქალაქების ისტორიული უბნების შემონახვის საკითხში ჩვენ ბევრად ჩამოვრჩებით ევროპის ქვეყნებს და საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებს. თუკი იქ თვალნათლივ დინასავთ ისტორიულ რაიონებზე ზრუნვის პრაქტიკულ შედეგებს (ვილიუსი, ტალინი, რუსეთის ისტორიული ქალაქები და ა. შ.), ჩვენ ჯერჯერობით პროექტირების სტადიასაც კი ვერ მივადვით. ეს კი 15 წლით ჩამორჩენას ნიშნავს დღეს მხოლოდ რმალურ და რადისალურ ღონისძიებებს შეუძლია ნაწილობრივ მაინც გამოაწირონ მდგომარეობა. პრაქტიკულად ჩვენი ქალაქების ბედ-იღბალი ამ ქალაქების თავკაცების ხელთაა. მათ ხელშია ფინანსები, მუშახელი, წარმოება, უამრავი რამ, რაც ძველი უბნების აღდგენარეკონსტრუქციას სჭირდება. ცხადია, რომ ამა თუ იმ ქალაქის ხელმძღვანელებს უპირველეს საზრუნავად, სრულიად სამართლიანად, ახალი ბიზთმშენებლობის გეგმების შესრულება აქვთ მიზნული. მაგრამ, განა ერთი მეორეს გამოირცხავს? განა, ვთქვათ, ვილიუსში იგივე საზრუნავი არა აქვთ? ვილიუსის თანამედროვე ბინამშენებლობა სამაგალითოა. ამ ქალაქის ახალი რაიონების აღმშენებლობამ ჯერ სახელმწიფო და მეურვე-ნიუსის ძველი უბნების აღდგენარეკონსტრუქციის პრაქტიკაც მისაბაძი გახდა მთელ კავშირში. ე. ი. შესაძლებელია, ორივე ამოცანას კარგად გაართვა თავი! ჩვენთან კი საპიროსპირო მდგომარეობაა. არც ერთ რესპუბლიკაში ახალ სახლებს არ აშენებენ ესოდენ უხარისხოდ (ამას სრული პასუხისმგებლობით ვწერ) და ისტორიული უბნების მოვლის საკითხშიც ჯერჯერობით ვერაფრით დაიკვივნი. ალბათ, ჩვენ ბოლომდე ვერ გაგვიგია თუ რატომ დგას მთელ მსოფლიოში ესოდენ მძაფრად ისტორიული ძეგლების შემონა-

* იბეჭდება საკითხის განხილვის წესით.

ხვის ამოცანა. არასოდეს ადრე, წინა საუკუნეებში მეტიც, ჩვენი საუკუნის პირველ ნახევარში (მერე მსოფლიო ომამდე) ასე გადაჭრით „ყოფნა-არყოფნის“ ფორმულით არ წამოჭრილა ეს პრობლემა.

მაინც რამ განაპირობა ასეთი ინტერესი სიძველეებისადმი სწორედ ჩვენ დროში?

კაცობრიობის განვითარების ერთგვარ ეტალონად მე-20 საუკუნე და, განსაკუთრებით, უკანასკნელი 50 წელი რომ მივიჩნიოთ, დავრწმუნდებით, რომ აქამდე თითქმის 2 000 წლის მანძილზე ქრისტიანული თუ მუსლიმანური ცივილიზაცია, ევროპის და აზიის კულტურა შედარებით ნელა ვითარდებოდა. განვითარების აუქტარებელი დინება შეპირობებული იყო საწარმოო ძალების და ეკონომიური სისტემების მუდმივად დაუმყარებლობით (შედარებით, რა თქმა უნდა) . ამ თითქოს ოდნავ მოძრავ გარემოში ჩადიდებდა რელიგიური თუ დამპყრობლური ომები, იფეთქებდა ხოლმე აჯანყებები. ომები ხშირად მეტად დამანგრეველი და დაუზოგავი იყო, მაგრამ ომგადახდილები კვლავ უბრუნდებოდნენ ნასახლარებს და ახალი მშენებლობა ყოველთვის პოულობდა სულელი თუ შემოქმედებით სასუქებს დანერგულ ნაგებობებში. ახლის დანერგვა საუკუნეების მანძილზე ხდებოდა. ამასთან, ეს ცვლილებები, პრინციპში, ადგილობრივ ხუროთმოძღვრებს ტრადიციებს არ ცვლიდებოდა და გამოწვეული იყო ამა თუ იმ სფეროში ადგილობრივი პირობების შედარებით მცირე გარდაქმნებით. ამასთან, თითქმის უცვლელი რჩებოდა ხელოსნური წარმოება, მცირე მანუფაქტურები და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხასიათი. დიდი ხნის განმავლობაში არ იცვლებოდა თანაფარდობა ქალაქსა და სოფელს შორის, მათი მჭიდრო კავშირი ბუნებასთან, მიწასთან და დამოკიდებულება კლიმატურ პირობებზე. ურემი არაფერს შეუცვლია საუკუნეების განმავლობაში. იგივე თქმის წყლისა და ქარის წისქვილებზე. შუშა დიდხანს რჩებოდა სათბობის ერთადერთ სახეობად.

თაობიდან თაობამდე ეყოფა ადამიანი მშენებლობას. იგი ხშირად იყენებდა ადრინდელ ნაგებობათა ქვებს. ანგრევდა, რაც უსარგებლოდ მიიჩნადა და ახლებურად აშენებდა ძველ საძირკვლებზე. მაგრამ, ზოგიერთი ნაგებობა ან „წმინდა ადგილი“ განუსაზღვრელი ვადით შენდებოდა და ისინი მრავალი ამგვარი თაობის საზრუნავს წარმოადგენდა. ამასთან, საერთო დანიშნულების ნაგებობები. მაგალითად, ციხე-სიმაგრეები. საუკუნეებს უძღვებდნენ იმის გამო, რომ ისინი მერვც საჭირო იყვნენ. ადამიანი ინსტინქტურად, საუკუნეებისათვის თუ არა, თავისი უახლოესი

შთამომავლობისათვის აშენებდა. იგი თუმცა კი აღიარებდა თავისი არსებობის ხანმოკლეობას, საკუთარი ქმნილების ხანგრძლივ არსებობას ვარაუდობდა. მომხდარა ისიც, რომ ახალ რელიგიას თავისი კულტისათვის გამოუყენებია განდევნილი რელიგიის ტაძარი (გაიხსენებ თუნდაც სოფლის ტაძარი კონსტანტინოპოლში). ზოგჯერ დამხობილი მთავრის მამულში ჰკვირდებოდა რესპუბლიკური მმართველობა. ზოგიერთი ნაგებობისათვის კი ომი, აჯანყება, პოლიტიკური გადატრიალება დამლუპველი იყო, რადგან მას მტრული ბანაკის განსახიერებდა, სიმბოლოდ მიჩნევდნენ. ხშირად დინასტიის ან რეჟიმის შეცვლა, მოდის კაპრიზიც, საკმარისი იყო, რომ შენობა განწირულიყო. აღდგენა-გაფართოება კი ხორციელდებოდა ახალი ეპოქის ვემოფენების შესაბამისად. არქიტექტორი აშკარა გულგრილობას იჩენდა თავისი წინამორბედის ჩანაფიქრის მიმართ.

არცთუ ისე დიდი ხნის წინ ხალხმა დაიწყო უძველეს ნაგებობებში მავლელეებოთ ისტორიული წარსულის ამოკითხვა. თავდაპირველად ასეთი გამოკვლევები რენესანსის ცნობისმოყვარეობის გამო მძლავრდებოდა ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენდა. იგი ერთნაირად იწოდება თავს როგორც მიწისა და ზღვების კვლევაში, ასევე ისტორიის საიდუმლოებათა შესწავლაში. ამან განაპირობა ბერძენული გენიისა და რომის სიდიადის ამაღლებული წარსულის აღმოჩენა. იმ დროის ადვრთოვანებული ჰუმანისტები მათ „ძველებს“ უწოდებდნენ იგივე გაგებით, როგორც ჩვენ დღეს გვესმის ეს ძეგლები.

აღსანიშნავია, რომ ლიტერატურული ძეგლები — პაპირუსები თუ პერგამენტები გადაწერეს და გამოაქვეყნეს, ქანდაკებანი გამოამუშურეს ბალებსა და სსახლებებში, ხოლო არქიტექტურული ნაგებობები კი, რომლებითაც აღტაცებული იყვნენ ბევრ შემთხვევაში კარიერებად აქციეს. გარდა ამისა, ევროპა თავის იდეალს ანტიკურს სამყაროში ეძიებდა და თანდათან აწვევდა კავშირს შუასაუკუნეებთან, ამ ეპოქის ნაგებობები ზოგჯერ უმოწყალოდ ნადგურდებოდა. მხოლოდ მე-18 საუკუნის ევროპამ ხელახლა აღმოაჩინა თავისი შუასაუკუნეობრივი წარსული და ამასთან, დაინტერესდა ყველა ცივილიზაციის ნაწარმოებებით, ყველა დროის, ყველა ქვეყნის, ყველა ხალხის ძეგლებით. ამ დროს ისახება მეცნიერული არქეოლოგია, რამაც განაპირობა ანტიკური სამყაროს ნაკვალევის მეთოდური შესწავლა, „განმეხე ნადირობის“ ნაცვლად წინა საუკუნეებში. პომპეის, პეტრეულანუმის განსაცვიფრებელმა გაიხორგებმა უსიცოცხლე ქალაქების აღმოჩენამ ჯუნგლებსა და უდაბნოებში კაცობრიობას კაცუნო ჩამქრალი ცივილიზაციები. ნანგრევები ამტკვევდა. ასევე ახლებური მნიშვნე-

წელითა მიენიჭა ძველებურ სახლებს, ცკლესიებს, მონასტრებს, ციხე-სიმაგრეებს.

ფრანგულ რევოლუციას უმარავე სამეფო და საეკლესიო ნაგებობა ერთი მემკვიდრეობად ამ მხრეე ახალგაზრდა რესპუბლიკის დამასხურებათა შორის უნდა ისიც აღინიშნოს, რომ მან გამოიშვა სავაღებულები „ხელოვნების, ისტორიის და საგანმანათლებლო ძეგლების“ დაცვის შესახებ. მის შემდეგ ეს ცნება თანდათან ფართოვდებოდა... დღეს ჩვენ ადამიანის მიერ დღემოწივის ათვისების მთელი ისტორია გვიანტერესებს. ამ შთამბეჭდავი ისტორიას ჩვენ ძეგლებზე ვკვიხულობთ, ძეგლებზე, რომლებიც ასახავენ თავისი დროის სოციალურ კონცეფციებს, მორალურ მისწრაფებას. ისტორიას ვსწავლობთ აგრეთვე პრაქტიკული და ინჟინერული ნაგებობებში. გუმბი, ხიდები, აკვედუკები, ციხე-სიმაგრეები, არხები, უძველესი ხელოსანობის ნაშთები, ყოველგვარი კვლი. რომელიც აზრს მოიცავს. ყოველივე, რაც ადამიანის ბუნების ძალეზე გამარჯვებას მოწმობს, ყურადღების ღირსად მიგვჩანია.

როგორც კი ჩვენი დროის ადამიანმა დააფასა მრავალი საუკუნის მანძილზე უყურადღებოდ მიტოვებული საგანძური, იგი დააფიქრა ამ საგანძურის გაჩანაგების მეტად სერიოზულმა საფრთხემ.

ქალაქების უძველესი ზრდა მე-20 საუკუნეში, ახალი ქალაქების დაარსება, სუპერქალაქების გაჩენა მრავალი მიზეზით არის გამოწვეული და პირველ ყოვლისა — ტექნიკური რევოლუციითა და მრეწველობის არახსული განვითარებით. ბოლი საუკუნეებში საერთოდ საგანძობლად იმატა დღემოწივის მოსახლეობამ. ექვსი საუკუნე დასჭირდა, რომ მე-18 საუკუნის დასაწყისისათვის იგი ორჯერ გაზრდილიყო. მაშინ მსოფლიოს მოსახლეობა 400 მილიონს შეადგენდა. შემდგომ საუკუნეებში იგი — კი ამ რიცხვსა სამ მილიარდ ექვსას მილიონს მიაღწია. სსრ კავშირის მოსახლეობის მატება ყოველწლიურად სამ მილიონს შეადგენს. ამასთან, საჭიროა გაკეთვალისწინოთ, რომ 56% ქალაქის მცხოვრებია და რომ ქალაქის ზრდის ტენდენცია სოფლის ხარჯზე წლითწლილობით ძლიერდება. ეს კი ახალ ტერიტორიებს მოითხოვს, ხოლო ყველა ქალაქს როდი გააჩნია მიწის საკმაო მარაგი. ამ პირობებში სულ მეტ ყურადღებას იპყრობს ქალაქების ისტორიული რაიონები, დაბალსართულიანი და, ხშირად, ამორტიზებული განაშენიანებები. ისიც უნდა გაკეთვალისწინოთ, რომ ამ რაიონებს უმეტესად სახარბიელო ტერიტორიები უკავიათ ქალაქების ცენტრალურ ნაწილებში. ამ სიტუაციამო ქალაქის ისტორიულ უბნებს, არქიტექტურულ ძეგლებს მოსპობის საშიშროება ემუქრებათ.

პარადოქსიაა, მაგრამ ზედმეტად ზრუნვა და ზედმეტჯერ განახლებაც ხშირად ემუქრება ძეგლის მთლიანობას. ადამიანის ამ ქმნილებებისათვის მეტად საწინააღმდეგო თვით ადამიანია. ეს უკანასკნელი მეომრის, შურისმაძიებლის, ვანდალის თუ მო-


რწმუნების მდგერის როლში როდი გამოდის ყოველივეს ერთგვარად ქალაქთმშენებლის და ინჟინერისაც უნდა გვემინოდეს, რადგან ისინი მიზანშეწონილობის მოსაზრებებით დაკვირვებული, ახლო მომავლის პროგრამის რეალიზაციით იზღუდებიან და ხშირად უსუსური არიან ჩვენი ეპოქის დინამიზმის წინაშე.


20-იან წლებში კვლავ აღმოცენდა უმეცარი თეორია, რომელიც უარყოფდა არქიტექტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობას. ერთგვარი „შეჯიბრები“ იყო ძეგლების ნგრევაში. დღევანდელში ვიწრო პრაქტიკიზმზე დამყარებული ათასნაირი მიზეზი და დასაბუთება გადააწონინდა ძეგლის შენარჩუნების სასარგებლოდ. რეკონსტრუქციას უდევლავს საკულტო ნაგებობების შენარჩუნების მოწინააღმდეგეები ასეთ მტკიცებასა: „მომავალში მნიშვნელოვანი რელიგიის მატერიალური ბაზა“. ცხადია, რომ მთელი რიგი ძეგლების განადგურებამ გააღარიბა ქალაქების ინდივიდუალური არქიტექტურულ-მატერული სახე.

არქიტექტურული ძეგლების დაცვასებლობა უპრაქტიკოებობა საკუთარი ხალხის წარსულის, მისი კულტურის მოღვაწეობა, ოსტატების მიმართ. ევროპის ქვეყნებთან შედარებით დღეს ცოტა საქალაქო ნაგებობა შემოგვრჩა. მთი უფრო უნდა გუფრთხილდებოდეთ და ვიცავდეთ მათ!

არქიტექტურა თავისებურად ასახავს იდეოლოგიას! მაგრამ დღეს არავის მოუვა აზრად შემოინახოს ციხე-სიმაგრე ფეოდალიზმის რესტავრაციისათვის ან თუ მოსპობს საკულტო წესწვეულ-

სვეტიცხოველი. მთი არქიტექტონიკისა და მასშტაბის გამოვლენის ხელს უწყობს ნაგებობის დიდ მოცულობის კონტრასტული დაპირისპირება მცხეთის ამ ნაწილის ერთ და ორსართულან განაშენიანებასთან.





მცხეთის ვერის არქიტექტურულ-მატერიალური ღირსების განუყოფელი ნაწილია მისი ფერდობი და ირგვლივ გადაშლილი შორეული თუ ახალი ხელები.

ბათა შესრულების ადგილს, ამით აღმოფხვრის მორწმუნეობასაც.

იუნესკოს ერთ-ერთ მომართვაში ნათქვამია: „ძეგლების დაცვა უნდა უზრუნველყოთ საერთაშორისო მასშტაბით, რადგან მათა შენარჩუნების უპირველესი პირობა მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებაა. წარსულის ვერც ერთი ძეგლი წინ ვერ აღუდგება თანამედროვე კირალს“.

ძეგლების შემონახვის პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა დიდ ქალაქებში. ცალკე მდგარ შენობას შედარებით იოლად მოეწეება. მოეწეება იმ შემთხვევაში, თუ პირველ ყოვლისა, საზოგადოებამ შეიგრძნო ძეგლის დაცვის აუცილებლობა და შემდეგ, თუ საზოგადოება სათანადო მატერიალურ წყლივს გაიღებს ქალაქის პირობებში ამოცანა გაცილებით რთულდება. სამრეწველო ცივილიზაციის განვითარების მზარდი ტემპები საშიშროებას უქმნის არა მარტო ცალკეულ ღირსშესანიშნავ ძეგლებს, არამედ — დიდი ქალაქების ისტორიულად ჩამოყალიბებულ ცენტრებს, მცირე ქალაქებს, ძველ დასახლებებს.

ხომ არ ვვარდებით მეორე უკიდურესობაში, როდესაც მოვეუწოდებთ ისტორიული ძეგლების შემონახვას? ხომ არ არის იმის საშიშროება, რომ მსოფლიოს მნიშვნელოვანი რაიონები გიგანტურ მუზეუმებად გადაიქცევა? ძეგლების ყველაზე ორთოდოქსალური დამცველნიც კი უარყოფენ ასეთ

პიპოთეზას. რა თქმა უნდა, შექნელებელ ტემპში კურ პროგრესს წვეწირება ზოგიერთი ძეგლი: შესაძლოა, გამონაკლის შემთხვევაში, მნიშვნელოვანიც. ძეგლი რომ არსებობდეს. ცოცხლობდეს. იგი რაიმე გზით უნდა ჩაებას თანამედროვე ცხოვრების ფერხულში. და თუ იგი ვერ ასრულებს იმ ფუნქციას, რისთვისაც შეიქმნა, ადაპტირებული უნდა იქნას ახალი დანიშნულებისათვის.

ძეგლის არსებობის საკითხი ჩვენ წინაშე მეტად კონკრეტულად დგას: ან აიღებთ ჩვენ თავზე პასუხისმგებლობას მომავლის წინაშე და გაგანადგურებთ წარსულის ცივილიზაციების მოწმეთ (ამით მომავალ თაობებს წავართმევთ საშუალებას გაეცნონ ნაწარმოებებს, რომლებიც წინაპრებმა გვიანდრძეს და რომელნიც ჩვენ თანამედროვეობის სამსხვერპლოზე მივიტანეთ), ან მზარს ავეუბამთ კაცობრიობის სოლიდარობას თაობებში, ჩავერთობით ისტორიის უწყვეტ რგოლებში, შევიგნებთ, რომ შესაძლებელია მომავლის ყველაზე თამამ პროექტში ჩაერთოთ წარსულის პატივისცემა, ხელი შევეწყოთ თანამედროვე ადამიანის და მის წინაპართა დიალოგს. საცხოვრებელი გარემო მდიდრდება არქიტექტურის ისტორიული მემკვიდრებით. რაც განუმეორებელი კულტურის განძეულსა და ხალხის უწყვეტი სულიერი ცხოვრების საბუთს წარმოადგენს.

არქიტექტორები და მხატვრები, რომელნიც დღეს თანამედროვე შემოქმედების მდგომარეობაში არიან. ხვალ წარსულის ისტატიები გახდებიან და გულისხმობენ, რომ მათი ნაწარმოებები მომავალშიც არ დაკარგვენ მნიშვნელობას. ესეც ერთ-ერთი საბუთია იმისა, რომ უნდა გადაჭრათ წარსულის. აწმყოსა და მომავლის თანაარსებობის საკითხი.

ამოცანა თითქოს ნათელია: საჭიროა გამოვლინდეს არქიტექტურული ძეგლები და მიღებულ რქნას ზომები მის შესანარჩუნებლად. მაგრამ, თანამედროვე ქალაქთმშენებლური პრაბლემა იმ გეაძლევის საშუალებას შემოვიანახოთ უკლებლივ ყველა ძეგლი და ეს არც არის საჭირო. რთულია იმის დადგენა, თუ რომელი ძეგლი შეიძლება გადაკეთდეს, რომელი დარჩეს უცვლელი და ხელშეუხებელი, რომელი შევიწროს მეტად სერიოზულ მოთხოვნებს. როდის და რა უნდა გადაწონის — ქალაქთმშენებლურმა, სოციალურმა, ეკონომიურმა მიზანშეწონილობამ თუ ძეგლის მორალურმა ღირსებამ? რა უნდა მივიჩნიოთ საზომად?

საჯეტომომილო ტრანსპორტი სულ მეტად ატყევევებს თანამედროვე ქალაქს. ქალაქის ქუჩები ჯწირად მსოფლო სატრანსპორტი მაგისტრალების ფუნქციას ასრულებს და ეს მაგისტრალები დაურიდებლად ჭრის ქალაქის ორგანიზმს. გახდება თუ არა ამ „ოპერაციის“ მსხვერპლი ქალაქის ისტორიული უბნები? როდის? რა შემთხვევაში? თუ კი ძეგლი ხელუხლებელი რჩება, მაშინ რა უნდა

იყოს წამყვანი სარეკონსტრუქციო გარემოში, რას უნდა დამორჩილოს ანსამბლის კომპოზიციური წყობა — არქიტექტურულ თუ თანამედროვე ქალაქის მასშტაბზე? ამგვარი კითხვების ჩამოთვლა არა ერთ გვერდს დაიკავებს და მეტად შორს წაგვყავნადა. მით უმეტეს, განმედიდებოდა მათზე პასუხის გაცემა, რადგან სხვადასხვა კონკრეტულ შემთხვევაში, შესაძლოა, დიამეტრულად საწინააღმდეგო პასუხები მივიღოთ, თუმცა კი ამ მრავალი პრობლემის გაგებისათვის ხშირად შესაძლებელია და საჭიროც არის ერთიანი პრინციპული პოზიციის შემუშავება. იმას, თუ რამდენად სასურველია ამგვარი პოზიციების დადგენა, მოწმობს თუნდაც მეტად კომპეტენტური თავყრილობები, რომლებიც ბოლო წლებში ჩატარდა მსოფლიოს ქვეყნებში. არქიტექტორთა მე-9 კონგრესი პრაღაში, არქიტექტორ-რესტავრატორთა თათბირები და კონგრესები პარიზსა და ვენეციაში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან ძველთა და ახლების საკანგებო ორგანოს (UNESCO) ჩამოყალიბება, საკავშირო თათბირები ლეონში, ვილნიუსში, მოსკოვში, თბილისში, ღია კონკურსები პარიზის ცენტრზე ე. წ. „ვენეციური ქარტიის“ მიღება და მრავალი სხვა ღონისძიება მოწმობს იმის უდიდეს ნიშნულთანავე, რასაც დღეს მსოფლიოს ფართო საზოგადოებრიობა ანიჭებს ისტორიული ძეგლების შენარჩუნების პრობლემას.

თითქმის ყველა დოკუმენტი იწყება ცნება — „ისტორიული ძეგლის“ განსაზღვრით. და მართლაც, რა არის „ისტორიული ძეგლი“? ერთი შეხედვით ეს კითხვა დღეს უცნაურადაც კი ჟღერს. მაგრამ, მრავალ ჩვენთაგანს და მათ შორის არქიტექტორს „ისტორიული“ თუ არქიტექტურულ ძეგლად წარმოუდგენია კონკრეტული არქიტექტურული ნაგებობა, რომელიც განსაზღვრული ისტორიული ეპოქის ხუროთმოძღვრულ კონცეფციებს ასახავს. ზოგიერთს არქიტექტურულ ძეგლად მხოლოდ უძველეს ხანაში აშენებული ნაგებობა მიაჩნია და ვთქვათ, მე-18 თუ მე-19 საუკუნის ნაგებობას არ თვლის ასეთად. ზოგიერთებისათვის კი ძეგლის ცნება მის მასიურობასთან არის დაკავშირებული. მისთვის სვეტიცხოველი თუ გელათი უცილობლად ისტორიული ძეგლია, მაგრამ არა წისქვილი, ბონდის ხიდი, ფცხა ან ნაღია. ამ გაუგებრობას მრავალ ქვეყანაში კულტურის არაერთი ძვირფასი ძეგლი შეეწირა. ძეგლის ცნება მეტად პრიმიტიულიად ესმის ხოლმე ზოგიერთ ქალაქთმშენებელსაც და იმათ, ვინც ხელმძღვანელობს მშენებლობას. აი როგორ განსაზღვრავს ძეგლის ცნებას „ვენეციური ქარტია“ (ეს დოკუმენტი შეიმუშავა იენესკოსთან არსებულმა ძეგლთა დაცვის ორგანიზაციამ 1964 წლის მარტში, ვენეციაში მოწვეულ მე-2 საერთაშორისო კონგრესზე):

ა. „ძეგლის ცნების განსაზღვრა გულისხმობს ყოველგვარ ობიექტს, რომელიც ინტერესს წარმოადგენს არქეოლოგიური, ესთეტიკური და ეთნოგრაფიული თვალსაზრისით. ეს განსაზღვრა ითვალისწინებს აგრეთვე ძეგლის ტერიტორიაზე ნაპოვნ ნაგებობებს“.

ბ. „ღირსშესანიშნავი ადგილის განსაზღვრა გულისხმობს ბუნების, აღმანიანს ან ბუნებისა და აღმანიანს მიერ ერთად შექმნილ ობიექტების ერთობლიობას, რომელთა დაცვას საზოგადოებრივი ნიშნულობა აქვს“.

„ქარტიის“ ეს ძუნწი განსაზღვრები საზოგადოების მრავალფეროვან ინტერესებს მოიცავს და ზოგიერთ შემთხვევაში ალბათ ილუსტრირებსაც მოითხოვს. ერთი წამით წარმოდგენეთ თამამედროვე რკინა-ბეტონის შენობა ათენის აკროპოლისზე, სვეტიცხოველთან წამოჭნილი მდლივი სახლები... რა ფასი ექნებოდა იასნაია პოლიანას, მწერლის სახლთან ერთად ტყეები, სათიბები, საგუბარები რომ არ შემორჩენილიყო. ბუნება და აღმანიანს ქმნილება ერთობლიობაში გადმოვცემს იმ ისტორიულ გარემოს, რომელიც ცხოვრობდა დიდი მწერალი. პაკივისცემა ძველთაგანს მიმართ სიძველის ცალკეული ნიმუშით იწყება და მილიანად ისტორიულ გარემოზე ვრცელდება. მცხეთის ჯვარზე ბევრი დაწერილია. საბინა რომ სწორედ იმ ადგილას არ იყოს აღმართული, სხვა გარემოში რომ იყოს მოქცეული, მას სულ სხვა მხატვრული ღირსება ექნებოდა. ჯვარის მოყვლითაა წყობა მის მიერ დაგვირგვინებულ მისათან, ახლო და შორეულ პერსპექტიულ ხედვებთან ერთად წარმოვადგება. აქ ძეგლის ცნებაში ნაგებობასთან ერთად თანაბარი ნიშნულობით მთაც, მისი ხელუხლებელი ფერდობებიც შედის. უფროსი თაობის არქიტექტორებს ალბათ ასოეთ რამდენჯერ იყო გადარჩენილი მცხეთის ჯვარი. მართალია, მისი ხელის ხლება არაკის გაუებდაც, მაგრამ ზომ იყო ცდები მის გვერდით სპაიკინრო და სხვა დანიშნულების ნაგებობების აღმართვისა.

სწორედ ზემოთ მოყვანილ სიტუაციებს ითვალისწინებს „ვენეციური ქარტია“ ერთ-ერთ დებულებაში:

„ისტორიული ძეგლის ცნება მოიცავს არა მარტო არქიტექტურულ ნაგებობას. არამედ მის გარემოლანდშაფტსაც“.

(აქ და შემდგომშიაც ხაზგასმულია ჩემს მიერ: თ. კ.).
მცხეთაზე საუბრისას შეგვიძლია მოვიყვანოთ „ქარტიის“ მიერ არქეოლოგიური ძეგლის მეტად ნიშანდობლივი განსაზღვრაც. „...ობიექტები და ადგილები, მასაც ნაპოვია ან იგულისხმება (მოსალოდნელია) გამჭრალი კულტურის კვალის პოვნა“. მცხეთა მთავრობის დეკრეტით ნაკრძალად არის გამოცხადებული, თუმცა ამის გაკეთება გაცილებით ადრეც შეიძლებოდა.



და განა თბილისში ცოტა დაიკარგა სიქარის, თავშეუკავებლობის თუ უმერცხობის გამო? ზოგჯერ ასეც ხდება: არქეოლოგი დაასწრებს მშენებელს, გათხრის, აზომავს. დააფიქსირებს, ნახაზებს შეინახავს არქივში ან გამოქვეყნებს სპეციალურ ლიტერატურაში, ხოლო მშენებელი უძველეს წყობას ამოაგებს და მასზე, ვიჭვიათ, ფოსტის თუ ბანკის შენობას წამოჭიმავს. მართალია, არქეოლოგიური ძეგლი შემონახულია მცენერათეთის, მაგრამ დაკარგულია მისი უწუალო ზეგაღების ძალა, დაკარგულია ძველი. რა თქმა უნდა, არა ყოველთვის, მაგრამ არის ხოლმე შემთხვევები (იმავე მსგეჟათში), როდესაც გათხრილი დაკონსერვებული და შემონახული უნდა იქნას მნახველათთვის. ამგვარი „მუზეუმის“ ღირსება დემოქრეების ძალა განწუხაღვრელია, მას მანეთებში ვერ გადაიყვანო და გემის შესრულებამ ვერ არეწებო. დღევანდელ დამკვეთს — ბანკის მმართველს თუ სხვა ადმინისტრაციულ პირს ზვალ სხვა შევცლის, ძველი კი ხაუკუნეების მანძილზე დარჩება. მრავალი თაობის სულის საზრდა იქნება.

მოიყვან კიდევ ერთ მნიშვნელოვან დებულებას „ვენეციური ქარტიდან“, რომელიც უშუალოდ ეხება ჩვენი განხილვის საგანს: ისტორიული ძეგლის ცნება გულისხმობს ცალკეულ ნაგებობას და აგრეთვე ქალაქისა და სოფლის მთელ კომპლექსებს, დაკავშირებულ განსაზღვრულ კულტურასთან, ფაქტთან ან ისტორიულ მოვლენასთან. ეს ცნება შეეხება არა მარტო ღირსშესანიშნავ, გამოჩენილ ძეგლს, არამედ გაცილებით უუმცრელს, მოკრძალებულს, რომელიც მომავალში მნიშვნელოვან კულტურულ ღირებულებას შეიძენს.

ეს ლაკონური განსაზღვრაც მეტად ტყვედია. სამწუხაროდ, არქიტექტურული ძეგლის ცნების მეტად ვიწრო, ცალმხრივად გაგებას დიდი ზიანი მოგვყენა. მრავალი ძველი კომპლექსი და შენობათა ჯგუფი განადგურდა სხვადასხვა ქალაქში. მეტად დამახასიათებელი მაგალითია თბილისში პუშკინის ქუჩის გაფართოების ჩატარებული სამუშაოები. აქ ვერცხლის ქუჩის დასაწყისში, იქ სადაც ოდესღაც თბილისის გავლენის დიდმის კარიბჭე იყო, ნაჩქრევად დაანგრეს გასული საუკუნის აივნისანი საცხოვრებელი სახლი. დანგრევის ინიციატორები თავს იმით იმართლებდნენ, რომ ასეთი აივნისანი სახლები ქალაქში მრავლად არის შემორჩენილი. ეს მტკიცება ორგვარად არ იყო სწორი: სამწუხაროდ, გასული საუკუნის აივნისანი სახლები არც ისე მრავლად არის შემორჩენილი, მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარი ისაა, რომ აქ ერთმანეთის პირდაპირ იდგა კონსოლებზე გადმოკიდებული აივნების მქონე ორი საცხოვრებელი სახლი. რომლებიც ერთობლიობაში ქმნიდა ძველი თბილისის მეტად კოლორიტულ კუთხეს. ცალკეული მათგანი არ წარმოადგენდა მანინდამანინ დიდ მხატვრულ მოვლენას, მაგრამ ერთად,

სწორედ ისე, როგორც ისინი იყვნენ განლაგებული, მეტად ცხოველხატულ კომპოზიციას ქმნიდნენ და ძველი თბილისის დამახასიათებელ ძეგლს წარმოადგენდნენ. დანგრავს ერთერთი მათგანი და თბილისში კიდევ ერთი არქიტექტურული ძეგლი დაიკარგა, რადგან ოხლად დარჩენილი ერთი სახლი უკვე ვერ ქმნის იმ ისტორიულ გარემოს, რომელიც ესოდენ დამახასიათებელი იყო თბილისისათვის.

ანდა ძველი თბილისური ემზით გამსჭვალული მეტეხის სწვრივი განაშენიანება! ცალკე განხილული სახლი არ წარმოადგენს ღირსშესანიშნავ ძეგლს. აქ არქიტექტურული ძეგლის ცნება აერთიანებს კლდის მთელ განაშენიანებას, თავად მოსხლეტილ კლდეც კლდეზე გადმოკიდებულ აივნებს, სახლების მასშტაბს... გამოავლით რომელიმე კომპონენტი და ძველი აღარ იქნება. უფრო მეტიც, ერთიანი არქიტექტურული ძეგლია მეტეხის ვიწროებში მოქცეული მთელი პანორამა: მეტეხის სწვრივის განაშენიანება, ნარიყალას ნანგრევები, მთების კალთებზე შეფენილი უბნები. მართალია, ხარფუხის სახლების დიდი ნაწილი ამორტიზებულია, არ წარმოადგენს რაიმე მხატვრულ ქმნილებას და, ალბათ, შეიცვლება თანამედროვე კომფორტაბული ბინებით. მაგრამ უნდა დარჩეს მასშტაბი, უნდა დარჩეს ის, რასაც ძველი თბილისის კოლორიტი ეწოდება. ასეთივე ერთიანი ძეგლს წარმოადგენს ძველი კალას მრავალი უბანი თუ სახლების ჯგუფი. ძველი თბილისი ეს შესაუკუნეების მიხედვლ-მიხედული, ვიწრო, ყორქვებიანი ქუჩებია, შიდა ეზოები, რიკულიანი აივნებითა და აუქრული კიბეებით შემოფარვლული, ძველი ეკლესიების გუმბათებით წყქმნილი სილუეტი, გარემოზე აბატონებული ნარიყალას ნანგრევები. მთის კალთებზე ტერასებად შეფენილი სახლები.

არცთუ მცირე დიდი ხნის წინ არქიტექტურულ ძეგლებს და მათი დაცვის საკითხებს, როგორც წესი, ქალაქთმშენებლობის სხვა ამოცანებისაგან იზოლირებულად განიხილავდნენ, როგორც ნაგებობებს. რომელთაც თავისთავად გააჩნიათ გარეველი ისტორიული ღირსება. არქიტექტურული ძეგლი, ზოგადად აზრით, ხორამეტი იყო და ხელს უშლიდა ქალაქების რაკონსტრუქციას. ასე სულ მეტად პოპულარული ხდება ის აზრი, რომ არქიტექტურული ძეგლი აქტიურად და ორგანულად უნდა ჩაერთოს ქალაქის გარემოში, ქალაქთმშენებლურ გეგმებში. ისტორიული ძეგლისადმი ქალაქთმშენებლური მიდგომა სწორედ ის საფუძველია. რომელიც დიდ გაღვლენას მოახდენს ძეგლების დაცვაზე. ამ პოზიციასზე დავანან დღეს მსოფლიოს ჯეეგზეხის არქიტექტორები, რესტავრატორები და ისტორიკოსები.

არქიტექტურულ ძეგლთა დაცვისა და ქალაქთმშენებლობის საკითხების კომპლექსურმა განხილვამ ბევრგან უკვე გამოიღო ნაყოფი (ამას ჯერჯერობით ვერ ვიტყვით ჩვენს რესპუბლიკაზე).



მესტიის რომანტიკულ იერს ქმნის მთის ფერდობზე აღმართული კოშკების ერთიანობა.

უშგული სვანეთის ერთ-ერთი ყველაზე კარგად შემონახული კომპლექსიაა ნია.



შეგვიძლია უკვე დაეასახელოთ მრავალი პროექტი თუ განხორციელებული სამუშაო და მათ შორის: ბალტიისპირა რესპუბლიკების ქალაქების ისტორიული უბნების რეკონსტრუქციის პროექტები, სუზალის გენგეგმა, კალუგის ცენტრის დაგეგმარების პროექტი და სხვა.

ერთ-ერთი რთული საკითხია არქიტექტურული ძეგლებისა და თანამედროვე შენობების გაერთიანება ანსამბლში. აქ წინა პლანზე გამოდის ძველი და ახალი შენობების სიფრცობრივი, კომპოზიციური ურთიერთკავშირის საკითხები. ახლებურად უნდა მივიღებთ ძველთა დაცვის ზონების დადგენასაც და ასეთი ზონები მივიჩნიოთ არა ძეგლის იზოლაციის საშუალებად, არამედ, პირიქით — ძეგლისა და გარემო განაშენიანების კომპოზიციური და გეგმარებითი ურთიერთკავშირის განმტკიცების საწინდრად. პრაქტიკა ცხად-პყოსს, რომ არქიტექტურული ძეგლებისა და თანამედროვე ნაგებობების ერთიანი სიფრცითი კომპოზიციების შექმნა უნდა ხორციელდებოდეს ინდივიდუალური და არა ტიპური პროექტების სა-



ფუძველზე ეს წესი უნდა გავრცელდეს მილიანად ისტორიულ უბანზე.

1970 წელს არქიტექტორთა კავშირმა და „ლათერატურა“ გაზეთმა მოაწყეს დოკუმენტაციური თანამედროვე ნაგებობების და არქიტექტურული ძეგლების შეხამების საუკეთესო პროექტის გამოსაყვანად კონკურსი დაგანახა, რომ არქიტექტორთა შორის დიდი ყურადღებით ეყიდე იან ამ პრობლემას. საუკეთესო ნამუშევართა შორის იყო კალგის გამარჯვების მოედნის, მოსკოვის კომპლექსის მოედნის, მოსკოვის კომპლექსის დასაწყისის პროექტები. ნიშნდობილია კონკურსზე პროექტები წარმოადგინეს მრავალი ქალაქის არქიტექტორებმა (მოსკოვი, ლენინგრადი, კიევი, კალევა, რიგა, ვილნიუსი, ტალინი, ბუხარა, ტაშკენტი, ბაქო) და არ იყო არცერთი პროექტი საქართველოდან. არ იყო იმ მიზეზით, რომ ამ პრობლემაზე ჩვენმა არქიტექტორებმა (ისიც მეტად მცირე ჯგუფმა) ახლანდელი წესი შემოიტანა.

გასულ წლებში საბინაო მშენებლობის ძირითად ნაწილს ახლ რაიონებზე მოდიოდა. საგრძნობლად ჩამორჩა თბილისის ცენტრის და ისტორიულად ჩამოყალიბებული უბნების რეკონსტრუქცია. ამ უბნებში კი კაპიტალური ფონდი როგორც წესი, ფიზიკურად ამორტიზებულია. ხოლო ვიწრო ქუჩების რთული ხლართი ხელს უშლის ტრანსპორტის მოძრაობას. ქალაქის ცენტრის რეკონსტრუქციის აუცილებლობას სხვა პირობებიც განასაზღვრავს. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის და ადამიანის საზოგადოებრივი მოღვაწეობის ინტენსივაციის პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სოციალურ და საორგანიზაციო-სამმართველო დაწესებულებებს, რომლებიც მიიღობენ ქალაქის ცენტრალურ ნაწილებში განსაზღვრულად. ჩვენს ქალაქებში საზოგადოებრივ-საქმიანი ცენტრის შექმნის აუცილებლობა დიდი ხანია ცხადი გახდა. ამავე დროს დიდი ქალაქები ერთგვარ „მიმოილს“ განიცდიან თავისუფალი ტერიტორიების მხრივ და განსაკუთრებით კი — ცენტრალურ რაიონებში. ეს კიდევ ერთი პირობაა იმისა, რომ სარეკონსტრუქციო ზონაში უეცრობლად მოხვდება ისტორიულად ჩამოყალიბებული უბნებიც.

ძველი ქალაქის ტერიტორია ასე თუ ისე, შემდგომშიც დარჩება ქალაქის საერთო ცენტრის ელემენტად. ყოველ ქალაქს თავისი განსაკუთრებული პირობები გააჩნია, თუმცა შესაძლებელია ერთიანი პრინციპული პოზიციის გამოშუქება. კერძოდ, თბილისის თავისებობის იმაში მდგომარეობს, რომ თანამედროვე ადმინისტრაციულ-საზოგადოებრივი ცენტრი არ თანხვდება ძველი ქალაქის ტერიტორიას, როგორც ესაა ტალინში, პრაღაში და სხვა მრავალ ქალაქში. ამასთან, ისტორიული ბედეკულმართობის გამო თბილისს ძველების მეტად მცირე რაოდენობა შემორჩა და ამასთან ძველი თბილისის ტერიტორია უმნიშვნე-

ლო ლაქა ქალაქის გეგმაზე. თვალსაჩინოებისათვის მოვიყვან ტალინის მაგალითს. ამ ქალაქში თავმოყრილია ისტორიის ძეგლების ერთ მესამედზე მეტი. ძველი ტალინი საერთო ცენტრის დიდი ნაწილია და 105 ჰექტარი უკავია, რაც ქალაქის საერთო ტერიტორიის 10% შეადგენს. აქ შენობების 41% დაკავებულია აქვს ადმინისტრაციულ ორგანიზაციებს. ძველ ქალაქში მუშაობს ტალინის მუშა-მისამსახურეთა 14%. მის მაღალი უბნებში თავმოყრილია ქალაქის სამრეწველო საქონლის ნახევარი. ცხადია, რომ თბილისში, ტალინთან შედარებით, ნაკლებად რთული ქალაქგეგმარებითა ამოცანებია წამოჭრილი (თუნდაც საქალაქო ტრანსპორტის საკითხი — ძველი უბნების სიმკერის გამო საქალაქო ტრანსპორტის შეყვანის აუცილებლობა. დაეუშვათ, ვერცხლის ქუჩის მიკვლეულ უბნებში, გამორჩეულად).

ჩვენი ქალაქების რეკონსტრუქციის მაგალითებიც დაგვიყვან, რომ ისტორიულად ჩამოყალიბებული რაიონებისადმი დამოკიდებულება ძირითადად ორი მიმართულებით ისახება.

პირველი გზა გულისხმობდა ისტორიულ რაიონებში ძველი ნაგებობების თანდათანობით მოშლას. განთავსდებულ ტერიტორიაზე გათვალისწინებული იყო თანამედროვე, ძირითადად მაღალი ნაგებობების, მშენებლობა, ძვირფასი ტერიტორიის მეტად ეფექტურად გამოყენების მიზნით. ამასთან, იგულისხმებოდა განსაკუთრებით თვალსაჩინო ძეგლების რესტავრაცია და ჩართვა თანამედროვე განაშენიანებაში. მეორე გზა პირველის დამატებულად საწინააღმდეგო პოზიციას იღება. იგი გულისხმობდა ძველი ქალაქის ენეობა ნაგებობების შენარჩუნებას. შესაუყვარებრივი შენობების აღდგენას. პირველი მიმართულება ითვალისწინებს მხოლოდ ფუნქციონალურ და ეკონომიურ ასპექტებს, ძველი ქალაქის, როგორც ცენტრში განლაგებული უბნების, მხოლოდ უტილიტარულ დანიშნულებას და ამავე დროს მილიანად უგულებელყოფს მის, როგორც არქიტექტურული კომპლექსის ისტორიულ-მხატვრულ ღირსებას, განიხილავს რა ცალკეულ ძეგლებს ურთიერთისაგან მოწყვეტით. ასეთი გზა, რა თქმა უნდა, ძველი ისტორიული უბნების მისპობას ნიშნავს. მეორე გზა კი, პირველ, მილიანად ურყოფს ძველი ქალაქის თანამედროვე ფუნქციონალურ მნიშვნელობას და მისი განახლების აუცილებლობას. ამასებლობის რა მიუღ ყურადღებას ძველი განაშენიანების კონსერვაციაზე. შესაძლოა, პარადოქსად გვეჩვენოს. მაგრამ ეს გზაც, მართალია, უფრო ნელი ტემპით, კვლავ ძველი უბნების მისპობას ნიშნავს.

მაგრამ არსებობს მესამე გზა, რომელიც გულისხმობს ძველი ქალაქის კოორტიკის შემონახვას. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მისი გეგმარებითი სტრუქტურის, ქუჩებისა და ანსამბლების მოწინააღმდეგის, ხასიათის შენარჩუნებას. გვიანდელი ხანის მინაშე-



ნების ლიკვიდაციას. ეს მეთოდი არ უარყოფს კვარტალებისა და ძველი შენობების ფართო რეკონსტრუქციას, იქ, სადაც ამგვარი რეკონსტრუქცია არ ეწინააღმდეგება შემორჩენილ ისტორიულ სიტუაციას; გულისხმობს, სადაც ეს აუცილებელია, შენობათა ფუნქციონალური დანიშნულების შეცვლას. მხოლოდ ეს მიმართულება, რომელიც თავის ამოცანად ისახავს ძველი ქალაქის ისტორიულ სახის ხელშეუხებლობას, მისი ფუნქციონალური შინაარსის გაუმჯობესებასთან ერთად, შემოგვინახავს ჩვენი ქალაქების ისტორიულ უბნებს. ფუნქციების ნაწილი, რომელსაც დღეს ძველი ქალაქი ასრულებს (სამრეწველო, სასაწყობო, ნაწილობრივ — საცხოვრებელი) უნდა გადაეცეს ახლად მშენებარე რაიონებს და პირიქით, ძველმა ქალაქმა უნდა იტვირთოს ახალი ფუნქციები, პირველ ყოვლისა — ტურიზმის მძაფრ განვითარებასთან დაკავშირებული. ამ იდეამ დაისაკუთრა ადგილი თბილისის რეკონსტრუქციისა და განვითარების გენერალურ გეგმაში. მაგრამ აქ ეს პრობლემა მხოლოდ გაკვრით არის მოხსენიებული. წინ მეტად ტყეადი და პასუსაგები სამუშაოებია ჩასატარებელი. თბილისის გენგეგმაზე განსაკუთრებული ფერით არის გამოყოფილი ისტორიული უბნები, საერთო დასახელებით: „განსაკუთრებული რეჟიმის ზონები“. ეს გულისხმობს იმას, რომ ამ ზონებში სარეკონსტრუქციო სამუშაოები განსაკუთრებული პროექტების საფუძველზე უნდა წარმოებდეს. მაგრამ, სანამ ასეთი პროექტები დამუშავდება, დრო მიდის. ძველი უბნები კი ცხოვრების ინტენსიურ ფერხულშია ჩაბმული, რაც

თავისთავად გულისხმობს მეტ-ნაკლებ გადგომის ბეზს, მიშენებებს და სხვას. მგონია, რომ „განსაკუთრებული რეჟიმის ზონების“ გამოყოფასთან ერთად საჭირო იყო ამ „რეჟიმის“ ძირითადი დებულებების განსაზღვრაც და ეს დებულებანი გამოსავალი უნდა ყოფილიყო მომავალი პროექტების შედგენისას.

ჩვენი წერილის მიზანს არ შეადგენს ამ დებულებების ჩამოყალიბება — ამას სხვადასხვა საეციოლისტების ერთობლივი შრომა სჭირდება. მაგრამ, თუ გადაეხედავთ ვეროპის (განსაკუთრებით, პოლონეთის, გერმანიის, ჩეხოსლოვაკიის) და ბალტიისპირა რესპუბლიკების გამოცდილებას. შეიძლება ზოგიერთი საერთო პრინციპის დადგენა: ამ უბნებში სიმჭიდროვის შემცირება, დასაცავ ზონაში სამრეწველო და სასაწყობო ნაგებობების თანდათანობითი გაუქმება (პირველ რიგში — იმ დაწესებულებებისა, რომელნიც დიდ ტრანსპორტ-მოთხოვნენ), ძველი ნაგებობებასათვის ახალი დანიშნულების გამოქვანა, მიშენების, დაშენების, გადაკეთების აკრძალვა იშვიათი გამონაკლისით, შენობათა კომპლექსების თუ ცალკეული ფრაგმენტების უკეთ ექსპოზიციის საშუალებათა (მათ შორის დაგეგმარებითი სასიათის) გამოხატვა და ა. შ. მსგავსი დებულებების დაკანონება ბევრად შეუწყობდა ხელს ძველი უბნების რეკონსტრუქციის საქმეს, თუნდაც იმით, რომ შეაჩერებდა უსიტემო სარემონტო და სხვა სახის სამუშაოებს, რაც თავისთავად გაუიოლებდა საქმეს დამპროექტებლებსა და მკვლევარებს.

ძველი შენობის ბულდოზერით მონგრევა იო-



ძველი თბილისის ერთ-ერთი კუთხე.



ძველი ბილისურ იერს აქ შენობები.
ჯგუფი, მათი ხასიათი ქმნის.

ლია. გაცილებით ძნელია გამოუძებნო მას ახალი თანამედროვე დანიშნულება. როგორც სხვა ქალაქების გამოცდილება გუჩინგებს, ამ მხრივ ადვილია ნაგებობის მუზეუმად გადაკეთება, სადაც დათვლილების ობიექტს თვით ისტორიული ძეგლი წარმოადგენს. და მართლაც, არავის მოუვა აზრად მოუძებნოს ახალი ფუნქცია ათების აკროპოლისს, ვიკიბატურ პირამიდას, მცხეთის ჯვარს, გელაძის, ვარძიას... მათი ფუნქცია ღირებულება თანამედროვე საზოგადოებისათვის სწორედ იმაშია, რომ საზენდეროდ, დღემდე მოაღწიეს, რომ არსებობდნენ. ეს ის შემთხვევაა, როდესაც საზოგადოებას გაცილებით ნაკლებად აინტერესებს მათი რენტაბელობის საკითხი, ვიდრე მათი მორალურა ღირებულება. ასეთ ეპოქალურ ძეგლებს არ სჭირდებათ რაიმე ახალი ფუნქციის გამოძებნა, ვინაიდან მათი ახალი ფუნქცია ვითარდ, სულიერ, მორალურ სარახსნია გადაზრდილი. უფრო მეტიც, უდიდესი მგრებელობა იქნებოდა იმაზე ფიქრის კი, რომ მცხეთის ჯვარში რაიმე დაწესებულება მოთავსებულყოფი. მაგრამ, ამგვარ შენობათა რიცხვი მცირეა.

ორი აზრი არ უნდა არსებობდეს იმის თაობაზე, რომ ძველი ქალაქების ისტორიულ ანსამბლებს ერთ გამოყოფით სამუზეუმო რაიონებად. პირიქით. მათ თანამედროვე ქალაქში სასარგებლო ფუნქცია უნდა შეასრულონ. აღდგენილ ანსამბლებს თუ ცალკეულ ძეგლს თავისი ადგილი უნდა მიეკუთვნოს რესპუბლიკის ქალაქმშენებელურ და ეკონომიური განვითარების გეგმებში. თუ შენობა

არ ასრულებს ადამიანისათვის სასარგებლო ფუნქციას, იგი უპატრონოდ რჩება. მას ერევა წვიმა, ქარი, ქვიშა. ბოლოსდაბოლოს, მას მოსპობა ელოდება. ჩვენ ყველამ უნდა ვივსოვით, რათა ვიარსებოთ, ასევეა შენობაც. ძველის მნიშვნელობა თანამედროვე სამყაროში მხოლოდ სენტიმენტალური ღირსებით როდი განისაზღვრება. არამედ იმითაც, რომ იგი ჩვენს გარშემოა, რომ ესოდნად ძლიერია. გადალახა საუკუნეები და ჯერ კიდევ ემსახურება ადამიანს. ჩვენს წინაშე რთული ამოცანაა: ჩავატაროთ სარეკონსტრუქციო სამუშაოები, აღვადგინოთ ძველი და სიცოცხლე დაავებურნოთ მას — გამოვუძებნოთ ახალი დანიშნულება იმგვარად, რომ არ შევლახოთ მისი არქიტექტურულ-ისტორიული ღირსება.

იდეალური შემთხვევაა, როდესაც ისტორიულმა ძეგლმა არ დაკარგა თავისი პირვანდელი ფუნქცია. ღვთისმშობლის ეკლესია პარიზში, თბილისის სიონი, გოგირდას ბანანობი, სასაწყობო ნაგებობები ბალტიისპირეთში... მაგრამ, ასეთი მაგალითების რიცხვი მეტად მცირეა. ამასთან შედარებით ადვილია გასული საუკუნის სასახლეების შეგუება ახალი დანიშნულებისადმი. მხედველობაშია, ვთქვათ. პეტერბურგის თუ მოსკოვის სასახლეები. საქმე იმაშია, რომ ამ სასახლეთა დარბაზები, მათი ზომები, განათება, კაპიტალურობა და სხვა თვისება ახლოა თანამედროვე ნორმებთან. გაცილებით რთულია შესასაუკუნეების ნაგებობათა გამოყენება ახალი დანიშნულებისათვის. განსაკუთრებით საფიქრებელია. თუ როგორ გამოიყენოთ საკულტო შენობები, ფორტიფიკაციული ნაგებობები და ხალხური ხუროთმოძღვრების ძეგლები. სირთულე იმაშია, რომ ძველის თანამედროვე გამოყენება მაშინ შეიძლება ჩაითვალოს სრულყოფილად, როდესაც შენობას მიენიჭება თანამედროვე ფუნქცია და ამავე დროს მაქსიმალურად იქნება გქსპონირებული ძეგლის ყველა საინტერესო დეტალი. შედარებით იოლია ასეთ ნაგებობებში სხვადასხვა დანიშნულების მოუხვეუბის, არქივების და ბიბლიოთეკების მოწყობა. ამის მაგალითები უნდა მოიპოვება მოსკოვში, ლენინგრადში, ფსკოვში, ნივეგოროდში, ბუსარაში, რიგაში, ტალინში... მაგრამ, რამდენი მუზეუმი ან არქივი ჭირდება ქალაქს?

არქიტექტურული ძეგლის მიზანშეწონილი პრაქტიკული გამოყენება მისი დაცვის მეტად მნიშვნელოვანი პირობაა. ძეგლის შეგუების პროექტის შედგენისას მთავარ პრინციპად უნდა მივიჩნიოთ დებულება: ტექნოლოგია შევუვოთ ძეგლს და არა პირიქით — ძეგლი ტექნოლოგიას. თვალსაჩინოებისათვის თბილისის რომელიმე არქიტექტურული ძეგლი მივიყვანოთ. თუნდაც საინიო... ამ ძეგლის მხატვრული ღირსება მის გარე ხედვაში. მის ადგილმდებარეობასა და კონტა მოცულობაში. ამავე დროს საინიოს შიდა სათავსები მოვალეობულია ყოველგვარ ინტერესს. ცხადია, აქ უნდა განთავსდეს დაწესებულება, რომლისთვისაც საკმაო

იქნება არსებული ოთახების მეტად მცირე ფართი, რათა ხელუხლებელი დარჩეს ძველის მოცულობა, მისი გარე ხედი. ამავე დროს საჩინოს ავიწიდან თბილისის შესაწინაო ხედი იხსნება, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ცხეთი დაწესებულება უნდა განთავსდეს, როგორც არ „ჩაკეტავს“ კარს მნახველთათვის. რა თქმა უნდა, დასაშვებად უნდა მივიჩნიოთ ნორმატივების დარღვევა (ფართობების, ოთახების რაოდენობის და ა. შ.) იმ დაწესებულებაში, რომ აქ ისეთი დაწესებულება უნდა განთავსდეს ისტორიული ძეგლის ადგილზე, რომელიც საინტერესო მავალითს მოყვანა შეიძლება: რიგაში, ვითიკურ ტაძარში საორღანო მუსიკის კონცერტები იმართება, ასეთივე დანიშნულება მიეცა სულ ახლახან ზიგვინთის ტაძარსაც, მოსკოვის მანეჟში საგამოფენო დარბაზებია განთავსებული, ასევე, სურათების გალერეა ვილნიუსის ყოფილი კათედრალურ ტაძარში, ლეოვის გალერიის ერთ-ერთ ბასტიონში მეტად გონებამახვილურად არის განლაგებული არქიტექტორთა სახლი. ქალაქგარეთ განლაგებული მრავალი არქიტექტურული კომპლექსი (კარმიდამო თუ მოზასტერი) გამოყენებულია დასასვენებელი სახლების, ბავშვთა თუ მოხუცთა ინტერნატების და სხვა დაწესებულებებისათვის.

განაკუთრებულ სიმწელეს წარმოადგენს ძველი საცხოვრებელი სახლების შემონახვა. ტექნიკური და ქალაქმშენებლური პირობების გარდა აქ სოციოლოგიურ საკითხებთანაც გვაქვს საქმე. ამ სახლებში მცხოვრები თანამედროვე მოქალაქე სწორედ მოკლებულია აუცილებელ კომფორტს, რომელიც ჩვეული გახდა ამავე ქალაქის სხვა-ახალ უბანში მცხოვრებთათვის. მუწებრივია, რომ ასეთი მოქალაქე სწორედ ძველი სახლების შემონახვის უნებური მოწინააღმდეგე სდება. გასული საუკუნის თუ უფრო ადრინდელი საცხოვრებელი, რომელიც იმ დროის თვალსაზრისით საკმაოდ კომფორტაბელურია, სწორად ერთ ოჯახზე იყო გათავისუფლებული. ახლა ასეთ სახლში რამდენიმე ოჯახია ჩასახლებული. ამას ისიც ემატება, რომ ძველი სახლები მოკლებულია ელემენტარულ კომფორტს (ცხელი წყალი, გაზი, ზოგჯერ კანალიზაცია). ამგვარი სახლების მოსახლეობა წერს ყველა ინსტანციამ და მხარეთიანად მოითხოვს საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას. ამ გარემოების გაგონებით აღმასკომები სწორად აძლევენ სახლების გადაკეთების უფლებას, რითაც ზოგჯერ ფაქტურად სპობენ მათ, როგორც არქიტექტურულ ძეგლს. უფრო მეტიც: სწორად თვალსაჩინო არქიტექტურის მქონე საცხოვრებელი სახლი საერთოდ არ არის აფენილი დორიცხავზე როგორც არქიტექტურული ძეგლი. ამ დროს კი ძველი უბნების უმეტესი ნაწილი სწორედ საცხოვრებელ სახლებს უკავია. მრავალ მათგანს არავითარი მხატვრული ღირსება არ გააჩნია და ისინი უნდა შეიცვალოს. მაგრამ იმ შემთხვევების უმეტესობას, რომელთა შემონახვა აუცილებელია, ალბათ, უნდა

შეუწინარუნოთ საცხოვრებლის პირველი ფუნქცია, რა თქმა უნდა, იმ პირობით, რომ საცხოვრებელი ბინა აღჭურვილი იქნება თანამედროვე კომფორტის ყველა შესაძლებელი ელემენტით. აქ მხედველობაში გვაქვს სიმჭიდროვის რადიკალური შემცირებაც. ძველ უბნებში ცხოვრების ზოგერთად მოუხერხებლობის კომპენსაცია შეიძლება იქნეს საცხოვრებელი ფართობის შედარებით მაღალი ნორმა მოქალაქეზე, თანამედროვე უბნებთან შედარებით.

ისტორიული ძეგლის დაცვა-პატრონობის წარმატება სწორად წმინდა ადმინისტრაციულ-საორგანიზაციო ძეგლში უნდა ვეძიოთ. ქალაქში განლაგებულ ძეგლს სწორად რამდენიმე „პატრონი“ ჰყავს, რომლებიც ხელს უშლიან ერთმანეთს და არაკომპეტენტურობის გამო ძეგლის მეგობრივად ძეგლის მტრად იქცევიან ხოლმე. ყველა შემთხვევაში გადაწყვეტი სიტყვა ავტორიტეტს უნდა ენიჭებოდეს და არა ადმინისტრაციულ პირს. საქმის კარგად წარმართვის სურვილის დროსაც კი ყველაზე დიდი შეცდომები, ჩვეულებრივად უკონტროლოდ იწვევს არის ხოლმე გამოწვეული. საინტერესოა ბაქოს მავალითი, სადაც ძველი უბნები დამოუკიდებელ (თუმცა მცირე ფართის მქონე) რაიონად არის გამოყოფილი. ამ რაიონის ადმინისტრაციული ორგანოების სტრუქტურა და კომპლექტაცია, ცხადია, ითვალისწინებს ისტორიული უბნების მოვლა-პატრონობის თავისებურებებს.

რადიკალურად მოსაუღელის ძეგლებთან დაკავშირებული პროექტების საქმეც. ძეგლის რესტავრაციისა და შეკეთების პროექტის სხვადასხვა ორგანიზაციამი სრულდება და გამოდის, რომ რესტავრატორებს არ იციან რა მიზნებისათვის შეიძლება იმ ძეგლის გამოყენება, რომლის აღდგენასაც ისინი აწარმოებენ. მეორე მხრივ, დამპროექტებლებს, როდესაც ისინი ამოუშვებენ ძეგლის ახალი ფუნქციისადმი წვეუების პროექტს, ნათელი წარმოდგენა არა აქვთ თუ რა საზღვრებში შეიძლება გადაკეთება, რომ იმ დაიღრმავ ძეგლის ისტორიულ-მხატვრული ღირებულება. მაგონდება ანისხატში მცირე საგამოფენო დარბაზის მოწყობის ერთ-ერთი პროექტი, მის ავტორის აზრადაც არ მოუვიდა ის გაეროშობა, რომ მუდმივი ექსპოზიციის მოწყობის მის მიერ არჩეული ხერხი დაფარავდა ნაგებობის უძველეს წყობას, სწორედ იმ წყობას, რომელიც, პირველ რიგში, უნდა გამოვლინდეს. გამოსავალი, ალბათ, კომპლექსურ საპროექტო-სარესტავრაციო ერთეულის შექმნაში უნდა ვეძიოთ. აქეთკენ მივითხოვს სხვა რესპუბლიკებისა და ქვეყნების გამოცდილება.






ბულა კლაკის

ბასსენაჰა

გივი გვიგუშკორი

თავსართები ქართული ხალხური ზღაპრებ-
ბისათვის.



ქალის ტორსი.

ჩვენი მეგობრობა ბავშვობაში დაიწყო. იმ ასა-
კში ვიყავით, როცა აღზნებული გონება სულიერ
საზრდოს ეძებს და ელტვის. მის თვალეში თით-
ქოს დღემდე ჩემთვის უხილავი ცეცხლი ენთო და
ხელში გოგენის წიგნი „ნოა-ნოა“ ეჭირა. როცა
შემომხედა და ის წიგნი ღიმილით გამომიწოდა,
მივხვდი, რომ ამიერიდან ჩემთვის იგი მხოლოდ
სკოლის ამხანაგი როდი იყო...

ღიდი ხნის შემდეგ, მის სამუშაო ოთახში
მჯდომს, იმ დღეზე და საერთოდ ჩვენს ბავ-
შვობაზე ხშირად მიფიქრია (როცა იგი მუშაობ-
და, მისთვის აღარაფერი არსებობდა და შემეძ-
ლო ისე შედევენებინა თვალი და ისე მეფიქრა
დიდხანს, რომ უხერხულობა არ მეგრანო). მი-
ფიქრია იმაზე, თუ როგორ ხდებოდა ჩვენი სული-
ერი ჩამოყალიბება. ჩვენ გვზრდიდნენ მორალუ-
რად განწმენდილი, ერთი რწმენით, მტრის დამა-
რცხების რწმენით აღსავსე და მერე ომიდან დაბ-
რუნებული ადამიანები, რომლებმაც უკიდურესად
გავციმამაფრეს მოვალეობის გრძნობა. კარგად მახ-
სოვს, როგორ დაკუბრუნდით ომის შემდეგ ჩვენი
სკოლის შენობას (ომის წლებში იქ ჰოსპიტალი
იყო), როგორ ვხვავდით იატაკს, როგორ ვწმენდ-
დით საკლასო ოთახის კედლებს, რომ ისევე ჩვენს



ბალა.

მერხებს მივსდომოდით. გატაცებით ვითხულებდით დღით წიგნებს, დავდიოდით კინოთეატრებში, სადაც უჩვენებდნენ ნადავლ ფილმებს — ჩვენს თვალწინ საკუნე სცვლიდა საკუნეს, ეპოქა — ეპოქას. დინასტია — დინასტიას. გონებაში ირეოდნენ რომელიც გლადიატორები და ფრანგი მუსკეტერები. ოქროსა და კაუჩუკის მამიებლები, ინდიელები და ავტოკები, მარკო პოლო და აზობინ ჰუდი, რემბრანტი და ვერდი, პიუგო და გოია...

გულდა კალადის, როგორც ხელოვანის ჩამოყალიბება დიდად განსაზღვრა დედამისმა, შესანიშნავმა მოქანდაკემ და მხატვარმა თამარ აბაკელიამ. მან უბიძგა შვილის შემოქმედებით ფანტაზიას და ხელი შეუწყო მისი ტექნიკის სრულყოფას და დახვეწას. გულდა მოკრძალებული კაცი იყო და სიტყვას ვერ წამოაცდევინებდით თავის ნამუშევრებზე, ან იმაზე, თუ რას აკეთებდა ან რას აპირებდა, მაგრამ დედის ნახატებზე ხშირად ლაპარაკობდა, განსაკუთრებით უყვარდა მის მიერ შესრულებული კოსტუმების ესკიზები კინოფილმისათვის „გიორგი სააკაძე“.

გულდა ბავშვობიდანვე სწავლობდა ძველ ქართულ ბარელიეფს, ფრესკას და ქედურობას, ბერძნულ, ეგვიპტურ, ბაბილონურ, შუამდინარეთის ხელოვნებას. როცა ტირდებოდა, ხშირად იყენებდა ხალხურ ელემენტებს თანამედროვე ხელოვნებაში, მაგრამ ისე, რომ თავისთავადობას ანიჭებდა (განსაკუთრებით წიგნის გრაფიკაში, ქართული ხალხური ზღაპრებისათვის შესრულებულ ნახატებში). ეს ელემენტები არავითარ შემთხვევაში არ იყო ეკლექტიკური, მექანიკურად გადმოტანილი და ნამდვილად თანამედროვედ ეღერდა.

ისიც იგრძნობოდა, რომ ნიკოლოზ კანდილაკის მოწაფე იყო და თავისი მასწავლებლის პრინციპებს, მონუმენტური ქანდაკების პრინციპებს იზიარებდა. ქანდაკებას მუდამ წმინდა პლასტიკური ამოცანების გადაწყვეტას აკისრებდა. უმრავლეს შემთხვევაში ქალის ფიგურას ან ტორსს ძერწავდა. ისევე, როგორც ნახატში, ფორმა იყო მკვრივი, სასვე, კომპოზიცია შეკრული. ამ ქმნილებებში მოქანდაკე პორტრეტულ ამოცანებს არ ისახავდა, სახეები მუდამ სადად იყო გადაწყვეტილი, ზოგადად, ავტორის იდეალის შესატყვისად.

მოქანდაკეთაგან გულდას განსაკუთრებით არსტიკიდ მაიოლი უყვარდა.

ნახატში, დედის მსგავსად, მას სკულპტურული და პლასტიკური სული შეჰქონდა. პლასტიკური ნახატი, შეკრული კომპოზიცია, ფორმის დეკორატიული გამომსახველობა ახასიათებს მის წიგნის გრაფიკას. ამის ნიმუშებია ქართული ხალხური ზღაპრებისათვის და ახლახან გამოსული ქართული ხალხური ეპოსისათვის შესრულებული ილუსტრაციები. გულდა ბრწყინვალედ გრძნობდა ქართულ ორნამენტს, ხალხური ზღაპრის სიღრმეს და საწყისებს. დეკორატიულ ელემენტად ხშირად

წიგნის გრაფიკა.



იყენებდა ხილს, ყვავილებს და, მონუმენტურობის გარდა, ზღაპრების ილუსტრაციებში მისთვის ნიშანდობლივი იყო აგრეთვე ჟანრული, სახასიათო ელემენტები.

იგი ნატიფი გემოვნების აღამიანი იყო. ბრწყინვალედ აფორმებდა ინტერიერებს. იცოდა თუ როგორი ავეჯი უნდა დადგმულიყო ამა თუ იმ ოთახში, როგორ უნდა სცმოდა ქაღალს, როგორ უნდა გაწყობილიყო სუფრა... როცა ქუთაისში სამხატვრო გალერეის მოსაწყობად მიიწვიეს, თვითონ დადოდა ანტიკვარულ მალაზიებში და არჩევდა, თუ რომელ ნახატს რაკვარი ჩარჩო მოუხდებოდა.

გულდა ჯერ ქაღალდზე ხატავდა, მერე ნახატს აკვარელით ან გუაშით ისე აფერადებდა, რომ ქაღალდი ფერით გაქვნილიყო. ამის შემდეგ მთელ ფურცელს ფარავდა ტუშით და მერე ტუშს ფხვკდა, ისევე ფერამდე, ისევე ნახატამდე დადიოდა. ამით ნახატის მდიდრულ ზედაპირს ქმნიდა, ფაქტურას ანიჭებდა მას და ფორმის მონუმენტურობასა და განზოგადებას ალწევდა.

მერყენებოდა, თითქოს ტუშის წვედიადიდან კი არა, უხსოვარი დროის წვედიადიდან გამოდიოდა მხარზე კოკაკიდეული და წყალზე მიმავალი თებრონე, ყვითელ ვეფხვთან შეჭიდებული მოყმე, ან ჭრელ ხალიჩასთან მჯდომი მესტივერე, ანდა ხარზე ამხედრებული წიქარა...

უკანასკნელ თვეებში, როცა იგი ხიზმრის ცხოვრებით ცხოვრობდა, თეთრი ბურუსით იყო მოცული და ამ ხიზმრის ცხოვრებიდან, ამ ბურუსიდან თავის დაღწევას, ცხადში დაბრუნებას ცდილობდა, გამოფხზულეული, თავისი კეთილი დიმილით ისევე ძველ გულდას აკვავდა — თითქოს

„ქართული ხალხური პოეზიის“ ილუსტრაცია.



სიკვდილი ამ ქვეყნად საერთოდ არ არსებობდა...

იგი თითქოს ისევე ის ბიჭი იყო, რომელსაც სკოლის შემდეგ თავისი სახლის ეზოში მიყვავდი, მარჩაბლის ქუჩაზე, რომ ბურთი დიდხანს გვეთამაშა. მე ახლაც მომესმის დედამისის ძახილი: „გულდა, გვეოფა, ამოდი!“ გულდას მთელი ცხოვრების მანძილზე თან სდევდა ეს ძახილი, ნელა მიჰყვებოდა კიბეს, იზრდებოდა, როგორც შემოქმედი და სრულყოფისა და სრულქმნის წყურვილით ზეპარობილი სულ უფრო და უფრო ზეით მიიწევდა.

„ქართული ხალხური პოეზიის“ ილუსტრაციები.



მონალ „საბჭოთა ხელმწიფის“ რედაქციამ ქუთაისის საოპერო თეატრში გამართა „მრავალი მაგიდა“, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორი პროფესორი ირაკლი შანიძე, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ზურაბ ანკაშვილი, საქართველოს სახალხო არტისტი ნინო ანდრეასიძე, ქუთაისის საოპერო თეატრის ხელმძღვანელები — დირექტორი გიმი ტორინაძე, მთავარი დირიჟორი რამაზ ხაშიაძე, მთავარი რეჟისორი ვარლამ ნინოლაძე, მთავარი მხატვარი ნინო ბარბილაშვილი, საუბარი მიჰყავდა ჟურნალ „საბჭოთა ხელმწიფის“ მუსიკალური განყოფილების გამგე მანანა სპინაძეს.

ქუთაისის საოპერო თეატრი

ბ. ტორინაძე: ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ქუთაისის ფილიალი ახალგაზრდა კოლექტივია. იგი არსებობდა საბჭოთა კავშირის კონსტრუქციული პარტიის ორი ყრილობის — XXIV და XXV — შუალედში ჩამოყალიბდა.

ამ ხნის მანძილზე განხორციელდა 14 საოპერო და 3 საბალეტო სპექტაკლის დადგმა.*

ჩვიდმეტ სპექტაკლის გამოშვება კი დროის ესოდენ მცირე მონაკვეთში ნამდვილად დიდი მიღწევაა, მით უფრო ახლადდაარსებული თეატრისათვის, სადაც უკველი წარმოდგენის მომზადებას წარმოუდგენელი სირთულეები ახლავს, როგორც შემოქმედებითი, ისე ტექნიკური ხასიათისა. მოგვხვებნება, რომ ქუთაისის საოპერო თეატრი მძიმე პირობებში იბადებოდა, მას არც საშუალო პირობები გაჩნდა, არც ტრადიციები, არც გამოცდილება. ცხადია, უკველიავე ამან თავისი დადი დააჩნია თეატრის მუშაობის დონესა და ხარისხს. ამიტომ, რომ მიმდინარე რეპერტუარიდან სულ რამდენიმე სპექტაკლს აქვს პროცენტული სახე. მათ შორის გამოირჩევა „აბესალომ და ეთერი“, რომლითაც დაიწყო ქუთაისის საოპერო თეატრის არსებობა. ამ სპექტაკლს დიდი საზაღადი უძღვოდა. იგი დაიდგა 1969 წლის 27 დეკემბერს თბილისის საოპერო თეატრის აქტორთა მონაწილეობით და დღემდე შეინარჩუნა თავისი ფორმა. მაღალია მისი მუსიკალური დონეც. შემდგომი სპექტაკლები კი ნაუსტავადეად განხორციელდა, რამაც განაპირობა მათი ერთგვაროვნება, უსუსურია ამ სპექტაკლების სცენური გადწვევება, სუსტია მათი საშემსრულებლო დონე.

* ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“ და „დალი“, მ. ბალანჩინის „ადრეგან ციბირი“, ვ. დილისის „ქეთი და კოტე“, ვ. ვაიკის „წითელქაღვი“ და „პროლეს ქოში“, ა. ვერსელიის „პამი-აიუკი“, ო. თაქთაქიშვილის „მინდია“, რამსინისოვის „ალფიკო“, ზ. ჩაიკოვსკის აკვენი ინგვირი“, ვერდის „ტრაედა“ და „როკოლეტო“, პუჩინის „ტოსკა“, ბალეტები: „ქიმი აიბოლიტი“, „ბებია და შვილიშვილი“, „მუჯრ დენაისთან“ (რედ.).

სადღესოდ ვითარება მკვეთრად შეიცვალა, მაღალ დონეზე დაიდა ვერდის „როგოლეტო“, პუჩინის „ტოსკა“, დამთხზებითი, ალბათ, რომ ამ ურთულესი პარტიტურების დაძლევა დიდი გამარჯვება ახალგაზრდა შემოქმედებითი კოლექტივისათვის, სწორედ ამ სპექტაკლებმა მანიჭეს ქუთაისის საოპერო თეატრს პროფესიული სახე და დაგვიწვეს კოლექტივის პერსპექტიულობაშიც. მაგრამ ანთი ფონზე კიდევ უფრო მკვეთრად გამოვლინდა ყველა ის წინააღმდეგობა, უკველიდარა რომ ვაწუდებოდათი ხოლმე. საქმე იმაშია, რომ ჭედაც არ დასრულებულა თეატრის ჩამოყალიბების პროცესი, უკველი უზანზე მწავად განვიცდით სპეციალობების ნაელებობას, ბოლომდე არც საამქროებია დაკომპლექტებული, რომელთა მუშაობა უსტარული წესით მიმდინარეობს.

როდესაც ქუთაისის თეატრი დაარსდა, დასში გაერთიანებული იყო 124 წევრი. რეპერტუარის ზრდისთან ერთად გაიზარდა კოლექტივის შემადგენლობაც, რომელიც დღეისათვის 320 წევრს შეიცავს. ასეთი დიდი კოლექტივი ვერ თავსდება საოპერო თეატრისთვის განკუთვნილ შენობაში. გამოუსადეგარია სენა, არ ვითის სად წავიდოთ დეკორაციები, სად შევინახოთ კოსტუმები. ქალაქის ხელმძღვანელობა, რომელიც კოლექტივისადმი დიდ მზრუნველობას იჩენს, გვაპირდება თეატრის რეკონსტრუქციას. მაშინ, რა თქმა უნდა, უმეტიანეულად დადაწუდება მრავალი შემოქმედებითი და ტექნიკური პრობლემა.

კვალიფიკირებული კადრების ნაელებობას განვიცდით ორკესტრშიც, განსაკუთრებით სუსტია სასულე ინსტრუმენტთა ჭკუფი. სხვა რესპუბლიკებიდან ორკესტრანტების მოწვევა არ მიგაჩნია მიზანშეწონილად, რადგან გვინდა, რომ ქუთაისის საოპერო თეატრი ცოცხალი საშემსრულებლო კადრების აღმზრდელითი ეყრად ვაქციოთ. დიდ მიხედებს ვაშყარებთ თბილისის მუსიკალურ სკოლა-ინტერნატზე, გაიხად ამ სასწავლებელს დაამთავრებებს ინსტრუმენტალისტთა პირველი გამოშვება, რომელიც, წინასწარი შეთანხმებით დანახმად, ქუთაისის საოპერო თეატრში განაწილდება. ამ ახალგაზრდებს ყველა პირობას შეუქმნით ზრდისა და განვითარებისათვის.

თუნდშიც ამ მომდგრალია გაერთიანებული. ამთაგან ძლიერია მხოლოდ ტენორების ჭკუფი, ბანების, ბარიტონების, მეცო-სოპრა-



წ. ფილაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ქუთაისის ფილიალის ფოტო.

ნობის ჩვეულებაში კი გამოასწორებელია მდგომარეობა.

ქუთაისის საოპერო თეატრში მწვავედ დგას პროფესიონალიზმის პრობლემა. ეს ეხება სოლისტების ჩვეულებას, რომელშიც მძაბრად ვაკალიტა გაერთიანებული. გვაქვს კარგი ვაკალიტური მონაცემებით დაქილადებული ნიჭიერი მომღერლები, მაგრამ უმჯავსების პროფესიული მომზადება და დონე დაბალია ამასთან ერთად, გვაქვს მომღერლები მეცო-სოპრანოსა და კოლორატურის პარტიებისათვის, გვაქვს ისეთი მომღერლებიც, რომლებიც თავიანთი მონაცემებით არ შეეფერებიან საოპერო თეატრს. მთავარი კი ისაა, რომ არ ზერხდება სოლისტთა კონტინენტის, ორკესტრისა და გუნდის შემადგენლობის განახლება და გადახალისება...

მ. სხმბელაძე: ეს ძალიან სერიოზული და დამაფიქრებელი წინააღმდეგობაა. საშემსრულებლო კოლექტივში, მით უფრო, ისეთ რთულ სინთეტურ შემოქმედებით ორგანიზმში, როგორცაა მუსიკალური თეატრი, თანაც ახლადდაარსებულ, განახლებისა და გადახალისების პროცესი პერმანენტულად უნდა მიმდინარეობდეს, სხვაგვარად იგი კონსერვაციის საშორების წინაშე აღმოჩნდება კონსერვაცია კი, მოგვსენება, სპონსორის, წინსვლისა და განვითარების იმპულსებს. ამდენად, თეატრმა, უპირველესად, სწორედ ამ წინააღმდეგობის აღმოფხვრავს უნდა იზრუნოს.

მან უნდა გამოქმენოს პერსპექტიული კადრების მოზიდვისა და აღზარდის გზები. ერთი შეხედვით, ეს არც ისე რთული ამოცანაა. ასეთი განცხადების საუფველს ვაპირებს მუსიკალური სწავლების საერთო ქსელი, დღითიდღე რომ იზრდება ჩვენს რესპუბლიკაში. უკვეწლიურად ვ. სარაჩიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიისა და რესპუბლიკის მუსიკალური სასწავლებლებს ასობით ახალგაზრდა მუსიკოსი ამოაგრებს. ნუთუ მათ შორის არ მოიძებნებიან ნიჭიერი და მინდობეზული ვაკალიტები, ინსტრუმენტისტები?

ბ. ტომუნაშვილი: მთელი უბედურება ისაა, რომ ამ ახალგაზრდებს ქუთაისში ჩამოსვლა არ სურთ. უპირველესობას ქუთაისში სამსახურს თბილისში უსაქმურბოა ურჩენია.

მ. სხმბელაძე: თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია კურსდამთავრებულებს ხომ ანაწილებს ქუთაისის საოპერო თეატრში?

ბ. ტომუნაშვილი: ქუთაისის თეატრი განაწილების სფეროში რამდენიმე არ იმყოფება. მრავალჯერ აღძვართ ეს საკითხი, მაგრამ ყოველი ცდა უშედეგოდ დამთავრდა.

მ. სხმბელაძე: ასეთ შემთხვევაში, საქმე გვაქვს კადრების არასწორ კოორდინაციასთან. რესპუბლიკის შემოქმედებითი კოლექტივები უპირველესად სწორედ კონსერვატორიაში უნდა უზრუნველყოს პროფესიული კადრებით და მანვე უნდა დაამუშაოს ამ კოლექტივებს შორის ზარისხობრივი და რაოდენობრივი თანაფარდობა. ვფიქრობ, რომ ბალანსირების ასეთი პრინციპი თანდათან გათანაბრებს ეროვნული საშემსრულებლო კულტურის საერთო დონეს და ბიძგს მისცემს მის აღმავლობასაც.

სადღესოდ კი პროპორციები უკარად დარღვეულია. ამაზე, ერთი მხრივ, მეტყველებს თბილისის საოპერო თეატრი, სადაც შეტისმებად გადატვირთულია თუნდაც სოლისტების ჩვეულები, ხოლო, მეორე მხრივ, ქუთაისის საოპერო თეატრი, რომელიც კადრების ნაკლებობას განიცდის.

რ. ხურცილავა: ამიტომაც, რომ თბილისის საოპერო თეატრში ახალგაზრდა სოლისტები წლებით ელოდებიან როლებს, უკმადატარებენ საუკეთესო წლებს, ისინი რომ ქუთაისის საოპერო თეატრში უკლივლენენ, მაშინ ამ დროს მაქსიმალურად გამოიყენებდნენ — იმუშავებდნენ მთელი დატვირთვით, დაეფულებოდნენ რეპერტუარს, გამოსციდიდნენ საკუთარ შესაძლებლობებს, უკვედღითი შრომა ხელს შეუწყობდა მათ პროფესიულ ზრდას. ამ გზით თეატრაც მოლოინერდებოდა. მაგრამ, როგორც ჩანს, ახალგაზრდობას უკვედღეს ეს ნაკლებად აინტერესებს.

გასაკვირა მათი პრეტენზიები — ქუთაისის თეატრში მხოლოდ მაშინ ჩამოვალ, თუ მაღალ ხელფასსა და დიდ ბონუს მომიცემით. მე კი მგონია, რომ აღმაინა, რომელსაც თავისი საქმე და თავისი ქვეყანა უყვარს, ასეთ უღტიმატუმებს არ წამოაყენებს, კეშმარტი ხელფასი, ნამდილო შემოქმედი მსხვერპლულეად მიდის. სხვაგა-

რად საქმე არ ეთიღება. პატრიოტობა და ვაჟაყობა ხალღებრძოლველით კი არ განიწოვება, არამედ თავდადებულა, უანვარო შრომით.

წ. ანჯაფარაძე: ამაში პედაგოგებსაც მიუძღვით ბრალი. სწორედ ისინი უნდა ზრდიდნენ პიროვნებებს და არა მარტო ვოკალისტებსა თუ ინსტრუმენტალისტებს. პედაგოგები ახალგაზრდებში პატივმოყვარობას კი არ უნდა ავიწყებდნენ, რაც, სამწუხაროდ, ხშირად ხდება ბოლომდე, არამედ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძობას.

პიტეტუნოები კი სწორედ პატივმოყვარობას შედეგია, ახალგაზრდა ვოკალისტებს სიმღერა სურთ ან მისიკოსის დიდ თეატრში, ან თბილისის საოპერო თეატრში, სხვა გზებს პედაგოგები არ ასწავლიან. ამიტომაც მათთვის სათავილო ქუთაისში მუშაობა, მე კი მინდა, რომ თბილისის საოპერო თეატრს შეავადს ისეთი პარტიონი, როგორცაა თამაშ ფარცვანი, რომელიც სწორედ ქუთაისის საოპერო სცენაზე აღიზარდა. დღეს იგი შესანიშნავად მღერის ისეთ რთულ პარტიებს, როგორცაა ჩაღბია, რიგოლეტო, სკარპია და სხვა. აქ გაიზარდნენ სხვა მომღერლებიც, რომლებიც ქმნიან ქუთაისის თეატრის შემოქმედებით ბირთვის. მეტყავ ვიტყვი — თუ ადრე აქ სპექტაკლები ვერ იდგებოდა თბილისიდან მოწვეული მომღერლების დაუხმარებლად, დღეს უკვე ქუთაისის საოპერო თეატრი სრულიად დამოუკიდებლად მუშაობს და დგამს ისეთ რთულ სპექტაკლებს, როგორცაა „რიგოლეტო“, „ტოსკა“... ეს კოლექტივის ზრდისა და განვითარების მაჩვენებელია.

ამრიგად, ქუთაისის საოპერო თეატრში ყველა პირობა შექმნილი მუშაობისათვის, წინსვლისათვის. სამისოდ თეატრს აქვს მრავალფეროვანი რეპერტუარი. ამ დროს კი ახალგაზრდა მომღერლები თბილისის საოპერო თეატრის ღვერფებში ატარებენ დროს, უსაქმოდ, ქუთაისში კი მანაც არ ჩამოდიან. ამ მხრივ გამოწვლილია გივი წულუაბიძე, რომელიც უკველთვის დიდი ხალისით, მონდომებით მონაწილეობს აქაურ სპექტაკლებში. უმეტესობა კი ქუთაისის თეატრისგან გამორჩენას ეძებს, სულ ანაზღაურებაზეა ლაპარაკი. ასეთები, კარუზოც რომ იყოს, აქ არ უნდა ჩამოდიოდნენ.

ქუთაისის საოპერო თეატრში გამოვლდა საპატიო საქმე. ამას ვამბობ არა მარტო ახალგაზრდების მისამართით, არამედ სახელოვანი მომღერლების გასაკონდაც, რომელთა თანამშრომლობა ხელს შეუწყობს ამ კოლექტივის აღმავლობას. თუნდაც იმიტომ, რომ ახალგაზრდები უკველთვის ძალიან ცდილობენ სახელოვანი მომღერლების წინაშე თავის გამოჩენას. ჩვენც ხომ ასე ვიყავით, როცა დავით ანდლელაძისა და პეტრე ამირანაშვილის გვერდით ვმღეროდით.


თბილისის საოპერო თეატრის სამუშაო გეგმა ისე უნდა შედგეს, რომ უკველ მომღერალს თვეში ერთხელ მანაც მოუწიოს ქუთაისში სიმღერა.

ქუთაისის საოპერო თეატრის ორკესტრში პერიოდულად უნდა უყრავდნენ ჩვენი თეატრის გამოცდილი ინსტრუმენტალისტებიც. ესეც სასარგებლო იქნება.

ნ. ნანდუღაძე: სხვათა შორის, პრაფესიული დონის ამაღლების თვალსაზრისით დიდი სამახსოვროს გაწევა შეუძლიათ გამოცდილ კონცერტმესიტრებსაც, განსაკუთრებით კი ტატიანა დუნენკოს, რომელიც ჩვეული მომზოვნელობით იმუშავებს ამა თუ იმ სპექტაკლის მუსიკალურ გამოსახვეობაზე. სამსრულოდ ინტერპრეტაციაზე, რითაც დიდ სარგებლობას მოუტანს ახალგაზრდა ვოკალისტებს.

წ. ანჯაფარაძე: ერთი სიტყვით, ქუთაისის საოპერო თეატრს მხარდაჭერა სჭირდება, რაც უკველი ჩვენგანის, ყველა ქეშმარიტი მუსიკოსის პროფესიული და მოქალაქეობრივი ვალია. ამ კოლექტივთან თანამშრომლობა იძულებითი კი არ უნდა ხდებოდეს, არამედ დიდი სურვილით, მონდომებით. ქუთაისში უნდა ჩამოდიოდნენ მხოლოდ კვალიფიცირებული მუსიკოსები და არა ის, ვინც ვერაფერს აღწევს თბილისში.

ბ. ხრამილაძე: მდგომარეობის გამოსასწორებლად საჭიროა



სცენა სპექტაკლიდან „რიგოლეტო“. რიგოლეტო — ა. ფაქაყაძე, ჯილა — გ. დოლიძე.

არამოფესიონალითა შეცვლა პროფესიონალებით. მოგვსენებთ, რომ თეატრში მეორხარისხოვან პარტიებსაც პროფესიონალები უნდა ასრულებდნენ, სხვათაგან მალე დღინვე ფიქრი კი ზედმეტია. დღეს ქუთაისის თეატრში არამოფესიონალითა რაოდენობა 60% აღწევს. მათ შორის არიან კონსერვატორიის უკრდამთავრებულნიც. ეს პარადოქსულია. მაგრამ განა ყველა ვინც კონსერვატორიას ამთავრებს, პროფესიონალია? რა თქმა უნდა, არა. ჩვენს თეატრში თავი მოიყარვს ისეთმა შემსრულებლებმაც, ვინც კონსერვატორიის დაუსრულებლად ფაქულტეტზე სწავლობდა. კონსერვატორიის პირობებში დაუსრულებელი სწავლების პრაქტიკა სრულიად უნაყოფო აღმოჩნდა. ეს ჩანს ქუთაისის საოპერო თეატრის მაგალითურადაც. შემსრულებელთა 30% კი დამთავრებული აქვს მხოლოდ მუსიკალური სასწავლებელი. ისინი საოპერო თეატრში

მუშაობისათვის არ არიან მზად. მაგრამ სხვა გზა არ არის, იძულებული ვართ ასეთი კომპრომისი დავეუშვათ.

დათ, რომელიმე ახირებული კაცის მონამახი კი — ქვეშარი-ტებად? და იქნებ, ისეც მოხდეს, რომ ჩვენი ახლანდელი ცხოვრებაც, რომელსაც დღესდღეობით ასე ვუგვებით, ოდესმე უცნაურ, მოუწესრიგებელ, არაგინიერულ და ცოდვილ ცხოვრებადაც კი მოქმედნობ.

ტ უ ჯ ე ნ ბ ა ხ ი. ვინ იცის? ისიც შესაძლებელია, რომ ჩვენს ცხოვრებას ამაღლებული უწოდის და პატივისცემით მოიხსენიოს. ახლა არავის აწყალებენ, არავის სჯიან, არავის არბევინებენ და ირგვლივ მაინც რამდენი ტანჯვაა!
ს ო ლ ე ნ ი. (წერელი ხმით). ძიბ, ძიბ, ძიბ... ბარონს, თუნიდ, პურს ნუ აჭმევ, ოლონდ კი ნება მიეცი, იგილოსოფოსოს.

ტ უ ჯ ე ნ ბ ა ხ ი. ვასილი ვასილიწ, ვთხოვთ, თავი დამანუბოთ... (გადატრიალებს სხვა ადგილას). მოსაწყენი ხდება ეს, ბოლოს და ბოლოს.

ს ო ლ ე ნ ი. (წერელი ხმით). ძიბ, ძიბ, ძიბ...

ტ უ ჯ ე ნ ბ ა ხ ი. (ვერშინის). ტანჯვა, რომლის მოწყენიც ჩვენა ვართ, — და მერე რამდენი იტანჯება ჩვენს ირგვლივ! — მაინც მუტყველებს იმ გარკვეულ ზნეობრივ ამაღლებასზე, რომელსაც უკვე მიაღწია საზოგადოებამ...

ვე რ შ ი ნ ი ნ ი. დიახ, დიახ, რა თქმა უნდა.

ჩ ე ბ უ ტ ი კ ი ნ ი. თქვენ, ეს-ეს არის, ბრძანეთ, ბარონო, რომ ჩვენს ცხოვრებას შემდეგში შეიძლება ამაღლებული უწოდონ. მაგრამ ადამიანები მაინც დაბლები არიან... (დგება.) აი, შემომხედეთ, რა დაბალი ვარ. ეს, რა თქმა უნდა, ჩემს დასამწვიდელადაა საჭირო ითქვას, რომ ჩემი ცხოვრება ამაღლებულია.

ს ც ე ნ ს უ ა ნ ვ ი ო ლ ო ნ ო ჯ უ რ ა ვ ე ნ .

მ ა შ ა. ეს ჩვენი ანდრეია.
ი რ ი ნ ა. ყოვლად განსწავლული ძმა გვეყავს. ალბათ, პროფესორი გახდება. მამა სამხედრო პირი იყო, მისმა ვაჟმა კი სამეცნიერო კარიერა აირჩია.

მ ა შ ა. მამის სურვილითვე.

ო ლ გ ა. დღეს მტრისმტება გავაწმარეთ დაიცინეთ. მგონი, ცოტათი შეყვარებული უნდა იყოს.

ი რ ი ნ ა. ერთ აქაურ ქალიშვილზე. დღეს, ალბათ, მოვა ჩვეთთან.

მ ა შ ა. უნდა ნახოთ, რაწაირად იცვამს! არამცთე უღამაზოდ, ან არამოდურად. არა, პირდაპირ — საცოდავად. წარმოიდგინეთ წითელი ზედატანია და რაღაც უცნაური. მჭახე ყვირთელი ფერის ქვედატანი, რომელსაც ერთი რაღაც უმცაგისი ფორი აქვს შემოვლებული. ლოყები? ლოყები — ისეთი გაღვრვილი, გაღვრვილი... ანდრეი შეყვარებული კი არ არის — მე ამას ვერ დავუწმევ: რაც არ უნდა იყოს, გემოვნება აქვს, — არამედ არის, ჩვენ გვაჯარებს, თავს იქცევს. გუშინ ყური მივაგარი, პროტოპოპოვზე თხოვდებოდა, აქაური სამმართველოს თავმჯდომარეზე. ჰოდა, ძალიანაც კარგი... (გაძახებს გვერდით კარში.) ანდრეი, მოდი აქ! მოდი ერთი წუთით, გეთყავს!

შე მო ლ ო ს ა ნ დ რ ი ი

ო ლ გ ა. ეს ჩემი ძმა გახლავთ, ანდრეი.

ვე რ შ ი ნ ი ნ ი. ვერშინინი.

ან დ რ ე ი. პროზოროვი. (იწმენდს გაოფილს სახეს). თქვენ აქ, ჩვეთთან, პატარავს უფროსად ჩამობრძნდით?

ო ლ გ ა. წარმოიდგინე, ალექსანდრ ინგატჩინი მოსკოვიდანაა.

ან დ რ ე ი. ჰო? მაშ, მოგილოცავთ: ახლა ჩემი დღეისთვის მოსვენებას ნუღარ ელთ.

ვე რ შ ი ნ ი ნ ი. მე თქვენს დებს უკვე მოვაბეზრე თავი.

ი რ ი ნ ა. ნახეთ, როგორი ჩარჩო მამუქა დღეს ანდრეიმ პორტრეტისთვის! (უჩვენებს ჩარჩოს.) თავისი ხელით გააკეთა.

ვე რ შ ი ნ ი ნ ი. (უყურებს ჩარჩოს და არ იცის რა თქვას). ჰო... კარგი რამეა...

ი რ ი ნ ა. აი ის ჩარჩოც, პიანინოს თავზე, ამის გაკეთებულისა.

ანდრეი ხელს ჩაიჭნებს და განჯე გაღებაა.

ო ლ გ ა. ეს ჩვენ სწავლულიცა გვეყავს, ვიოლიონზეც უკრავს, ხიდან რაღაც-რაღაცების გამოხიზნავს იცის, — ერთი სიტყვით, ექვლადფერი ემარჯვება. ანდრეი, სად იციხისა! ამან ყოველთვის ასე იცის — უცებ ადგება და წაუვა. მოდი აქ!

მ ა შ ა. და ირინა ხელს გაუტარაან და სიცოცხლე უკააბრუნებან.

მ ა შ ა. მოდი აქ, მოდი!

ან დ რ ე ი. თავი დამანებეთ, გეთყავა!

მ ა შ ა. რა სასაცილო ხარ! ალექსანდრ ინგატჩინის ოდესღაც შეყვარებულ მაიორს ეძახდნენ, მაგრამ ის ამაზე სრულიად არ ჯარდებოდა.

ვე რ შ ი ნ ი ნ ი. სრულიადაც არა!

მ ა შ ა. მე კი მინდა შეყვარებული მევიოლინე დაგიძახო!

ი რ ი ნ ა. ამ შეყვარებული პროფესორი!

ო ლ გ ა. შეყვარებულია ანდრეი, შეყვარებულია!

ი რ ი ნ ა. (ტაშს უკრავს). ბრავო, ბრავო! ბის! ანდრეი, შეყვარებულია!

ჩ ე ბ უ ტ ი კ ი ნ ი. (ზურგიდან უახლოვდება ანდრეის და ორივე ხელთ წელზე ხეყვავს). ამ ქვეყანაზე მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულისთვის ვგვბოძებუბა! (ხარხარებს. მთელი ამ ხნის განმავლობაში ხელში გახუთი უქირავს.)

ან დ რ ე ი. ჰო. კარგი, გვეყოფთ. გვეყოფთ... (იწმენდს სახეს). მთელი დღემ არ მძინებდა და მაინც და მაინც გუნებდაზე ვერ ვარ. წუწმად ოთხ საათამდე ვკითხულობდი... მერე კი დაეწმევი, მაგრამ არაფერი გამოვიდა, ვერ დაიგინეთ. ფიქრებს გავეყვი და ამასობაში გათვდა კიდვე. ახლა ხომ ანდრეი თენდება, მზე პირდაპირ ჩემს საწოლს ოთახში შემოიჭრება ხოლმე. ამ ზაფხულს, სანამ აქა ვარ, ერთი წიგნი მინდა ვთარგმნო ინგლისურად.

ვე რ შ ი ნ ი ნ ი. კითხულობთ ინგლისურად?

ან დ რ ე ი. დიას. მამა, — ლეზომა აქსონოს, — პირდაპირ, სულს გვეხდია აღზრდა-განათლებით. იქნებ სასაცილოც იყოს და სისულელეც ამის თქმა, მაგრამ მაინც უნდა გამოვტყდე, რომ მისი სიკვდილის შემდეგ გასუქება დაიწმევი და აი, ერთ წელიწადში ისე გახსუქდი, თითქოს ჩემი ახელი რაღაც ტვირთისაგან გათავისუფლდა. მამის წყალობით, მე და ჩემმა დეებმა ვკითხვით ფრანგული, გერმანული და ინგლისური, ირინამ ოტალიურცი კი იცის. მაგრამ ვერ წარმოიდგენთ, რა ძვირად დავგიჯდა ყოველივე ეს!

მ ა შ ა. ამ ქალაქში სამი ენის ცოდნა უსარგებლო ფუფუნებაა. ამას ფუფუნებად არ ეთქმის. ეს უფრო რაღაც უსარგებლო დამამატია, რაღაც შეექმე თითის მსგავსი. ჩვენ ბევრი სხვა სედმეტიც ვიცით.

ვე რ შ ი ნ ი ნ ი. ერიპა! (იციხის.) ბევრი რამ ზედმეტე ვიცით! მე გმონია, არ არსებობს და არც შეიძლება არსებობ-



დეს ისეთი მოსაწყენი და უხალისო ქალაქი, რომელსაც არ სჭირდებოდას ჭკვიანი და განათლებული ადამიანები. დადუმებათ, რომ ამ ქალაქის ასი ათასი, ნაწილიად ჩამორჩენილ და გაუთულელ, მცხოვრებ შორის თქვენიასთან მხოლოდ სამია. თავისთავად ცხადია, თქვენ ვერ მოერევით თქვენს ირველიე მყოფ ბნელ მასას. თქვენი ცხოვრების მანძილზე, თანდათანობით, აძლევრებული გახდებით. დაქვევთ ასიათასიანი ბზრის ნების და შთაინქთათ მასში. თქვენ ზედ გადავივით ცხოვრება, მაგრამ საბოლოოდ მისცე არ წაიშლებით, არ ჩაივლით უკვლოდ... ისე, რომ სხვებზე გავლენა არ მოახდინოთ. თქვენს შემდეგ თქვენიასთან გაჩნდება, ალბათ, ჯერ ექვსი, მერე თორმეტი და ასე შემდეგ, — ვიდრე, ბოლოს და ბოლოს, არ იქცევა უმრავლესობად. ორასი, სამასი წლის შემდეგ ცხოვრება დღემდეაქვს იქნება წარმოუდგენლად მშვენიერი, განსაკვირვებელი. ადამიანს სჭირდება ასეთი ცხოვრება და თუ ასეთი ცხოვრება ჯერ კიდევ არ არის, მისი წინათგრძნობა მანინ უნდა ჰქონდეს კაცს, უნდა ელოდეს მას, თცენმოდეს მასზე, მის შესხვედრად ემზადდებოდეს. ამისათვის კი უნდა ხედავდეს და იცოდეს უფრო მეტი, ვიდრე ხედავდა და იცოდა მისმა მამა-პაპამ. (იციანის.) თქვენ კი ჩივით, ბევრი რამ ზედმეტი ვიცით.

მ ა შ ა. (იხდის შლავაას.) მე აღარ მივდივარ.
 ი რ ი ა. (ამოიხრეთ.) ღმერთმანი, ყველაფერი ეს უნდა ჩაწერილიყო...

ანდერი იქ აღარ არის; შეუძნეწელად გასულა.
 ტ უ ზ ე ბ ა ხ ი. თქვენ ამბობთ, რომ მრავალი წლის შემდეგ ცხოვრება დღემდეაქვს იქნება მშვენიერი, განსაკვირვებელი. ეს მართალია. მაგრამ იმისათვის, რომ მონაწილეობა მიიღო იმ ცხოვრებაში, თუნდაც შორიდან, ახლავე უნდა ემზადებოდე მისთვის, უნდა შრომობდე...

ე რ შ ი ნ ი ნ ი. (დგება.) დიხს. ეს რამდენი ყვაილები გაქვით! (იყურება აქეთ-იქით.) ბინაც შესანიშნავია. პირდაპირ მესარგება! მე კი მთელი ჩემი სიცოცხლე სულ პაწაწკინტელა ბინებში გავატარე, სადაც იდგა ხოლმე დღიანი, ერთიორი სკამი და აუცილებლად მხრირალავი ღუმელი. ცხოვრებაში მე სწორედ აი ასეთი ყვაილები მაკლდა... (ხელებს იფშვნებს.) ე! არა ღირს ამაზე ლაპარაკი.

ტ უ ზ ე ბ ა ხ ი. დიხს. შრომაა საჭირო. თქვენ, ალბათ, ფიქრობთ: გული აუჩუყდება ამ გერმანელსო. მაგრამ, ღმერთია მოწამე, რუსი ვარ და გერმანულად ვერც კი ვლაპარაკობ. მამაჩემი მართლმადიდებელია.

ა ა უ შ ა.

ე რ შ ი ნ ი ნ ი. (სცენაზე ბოლოსას სცემს.) ხზირად ფიქრობ: მს იქნებოდა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ცხოვრების თვიდან დაწყება, თანაც შეგნებლად? ერთი ცხოვრება, უკვე განვლილი ყოფილიყო შვად ნაწერივით, მეორე კი — გადათვთვრებელი! მაშინ, ფიქრობ, ყოველი ჩვენგანი შეეცდებოდა შეეჭმნა სხვაგვარი პირობები, მოეწყოს აი, ასეთი ბინა, სასვე ყვაილებითა და სინათლით... მე მყავს ცოლი და ორი გოგონა, — ცოლი არცთუ ისე ჯანმრთელი დაქვია და ა. შ. და ა. შ. ჰოდა, ცხოვრება მათ თვიდან დაწყებული, ცოლს, რა თქმა უნდა, არ შევირთავდ... არა, გეთაყვა, არა!

შრომლის კალმინინი, აცვა მასწავლებლის ფრაკი.

კ უ ლ ი გ ი ნ ი. (მიდის ირინისთან.) ძვირფასო დანო, ნება მომეცი, მოგილოტო სახელწოდების დღე და გულწრფელად, სულითა და გულით გისურვი ჯანმრთელობა და ყოველივე ის,

რაც კი შეიძლება კაცმა უსურვოს შენი წლოვანების ქალაქში. ამასთანავე, ნება მომეცი საჩუქრად მოგართვათ; ყველაფერი. (უწვდის წიგნს.) ჩვენი გიმნაზიის ორბოცდაათი წლის ისტორია, ჩემს მიერ დაწერილი. დიდი არაფერია, დაწერილია მოცელობის ვაჟს, მაგრამ შენ მაინც წაიკითხე. სალამი, ბატონო! (ვერწმინდ.) კულიგინი, აკურთ გიმნაზიის მასწავლებელი. კარის მრჩეველი. (ირინის.) ამ წიგნში შენ ნახავ ყველა იმათ სახს, ვისაკე კი ჩვენი გიმნაზია დაუმთავრებია ამ ორბოცდაათი წლის განმავლობაში Feci. quod potui, aciant meliora potentes! (კოცნის მამას.)

ი რ ი ა. მაგრამ შენ ხომ უკვე მაჩუქეს ეს წიგნი სააღდგომოდ.

კ უ ლ ი გ ი ნ ი. (იციანის.) ზეჟღერებოდა! მაშინ დამიბრუნე უკან, ან აი, ვიპოს, მისცე პოლიტიკის. ინებეთ, პოლოკონეო. როდისმე, მოწყენილობის ვაჟს. წაიკითხავი.

ე რ შ ი ნ ი ნ ი. მადლობელი გახლავართ. (წასვლას აპირებს.) დიდად მოხარული ვარ, რომ გავიცანით...

ო ლ ე ა. უკვე მიბრძანდებით? არა, არა, არ გავიცვებით!
 ი რ ი ა. საუბრეზე უნდა დარჩეთ. გიხოვთ.

ო ლ ე ა. ძალიან გიხოვთ!

ე რ შ ი ნ ი ნ ი. (თავს უკრავს.) როგორც ჩანს, დღეობაზე მოგხვდები. მამატივთ, არ ვიცოდი, არ მოგილოცეთ... (ოლგასთან ერთად დარბაზისკენ მიდის.)

კ უ ლ ი გ ი ნ ი. დღეს, ბატონებო, კვირა დღეა, დასვენების დღე. მამ, ჩვენც დავისვენოთ, ვიმხიარულოთ — თითოეულმა თავისი ასაკისა და მდგომარეობის შესაბამისად. საზაფხულად ხალიჩები უნდა აიკეთოს და დასაპირებამდე ჩაეწყოს... სპარსულ ფეხბილას ან ნაფტალინი... რომაელები იმეტომ იყვნენ ჯანმრთელები, რომ იციდნენ შრომა და იციდნენ დასვენებას, მათ ჰქონდათ mens sana in corpore sano.¹ მათ ცხოვრებას გარკვეული ფორმა ჰქონდა. ჩვენი ღირექტორი ამბობს: ყოველი არსების სიცოცხლისთვის მთავარი მნიშვნელობა ფორმასა აქვს... რაც კარგავს თავის ფორმას, ის ისპობა კიდევ — და ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაშიც ასეა. (წულეო ჰხვევს ხელს მამას. იციანის.) მამას უყვარვარ. ჩემს ცოლს უყვარვარ. ფარდებიც უნდა ჩამოიხსნას და ხალიჩებთან ერთად ჩალავდეს... დღეს ძალიან მხიარულად გახლავართ, შესანიშნავ გუნებაზე ვარ. მამა, დღეს ოთხ საათზე ღირექტორთან უნდა ვიყოთ. პედაგოგები, ჩვენი ჩვენი ოჯახები, სასყირინოდ მივდივართ.

მ ა შ ა. მე არ წამოვალ.

კ უ ლ ი გ ი ნ ი. (წყენით.) მამა, ძვირფასო, რატომ?

მ ა შ ა. ამაზე მეტე... (გაჯავრებით.) ვარც, წამოვალ, ოღონდ ახლა თავი დამანებე, გეთაყვა... (განზე გადგება.)

კ უ ლ ი გ ი ნ ი. მეტე კი მთელ საღამოს ღირექტორთან გავატარებთ. ავადმყოფობის მიუხედავად, ეს ადამიანი ცდილობს, პირველ ყოვლისა, საზოგადოებას ემსახუროს. საუცხოო, ნათელი პიროვნებაა. შესანიშნავი ადამიანია. გუშინ, საბჭოს შემდეგ, მეუბნება: „დავიღალე, ფოდორ ოლინ! დავიღალე!“ (შეხედავს კედლის საათს, მერე დახედავს თავისას.) თქვენი საათი მხოლოდ წუთით წინ არის. მამ, დავიღალე!

¹ გავიკეთო, რაც შემეძლო; დაე ვისაკე ძალა შესწევს, უკეთ გავიკეთოს (ლათ).
² ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სული (ლათ).



სცენის უკან ვიღაც ვიღონოზე უკრახს.

ო ლ გ ა. ბატონებო, გთხოვთ, დღეშულზე გვეწვიოთ!

კ უ ლ ი გ ი ნ ი. აჰ, ჩემო ძვირფასო ოლგა, ჩემო ძვირფასო! გუშინ დილიდან ღამის თორმეტ საათამდე ვმუშაობდი, დავიღალე და დღეს თავს ბედნიერად ვგრძნობ. (მიდის მაგიდისკენ, დარბაზში.) ჩემო ძვირფასო...

ჩ ე ბ უ ტ ი კ ი ნ ი. (გაბუთს ჯიბეში იღებს, წყვეს ივარცხნის.) ღვეშულზე? ჩინებულა!

მ ა შ ა. (ჩებუტიკის მკაცრად). ოლენ იცოდეთ, დღეს წვეთი არ დალითი, გენძით, თქვენთვის მავნებელია სმა.

ჩ ე ბ უ ტ ი კ ი ნ ი. ეჰ! მაგ სენს უკვე გამიარა. ორი წელიც არის, რაც არ მითოთია. (მოუთმუნლად.) ეჰ, ნეტავე თქვენ, განა სულერთი არ არის?

მ ა შ ა. მაინც არ გაბედოთ დაღვეა. იცოდეთ, არ გაბედოთ. (გაჯავრებული, მაგრამ ისე, რომ ქმარმა არ გაიკონოს.) ამისი ჩრუულიც არ იყოს, მთელი საღამო ისევ დირექტორთან უნდა ვივად მოწვენილი!

ტ უ ზ ე ბ ა ხ ი. მე თქვენს ადგილას არ წავიდოდი... სულ უბრალოდ, — ავდეგობდი და არ წავიდოდი.

ჩ ე ბ უ ტ ი კ ი ნ ი. ნუ წახვალთ, ჩემო სულიკო.

მ ა შ ა. დიახ, ნუ წახვალთ... აუტანელია... ეშმაკსაც წაუღია ასეთი სიცოცხლე... (მიდის დარბაზისკენ.)

ჩ ე ბ უ ტ ი კ ი ნ ი. (უკან მიჰყვება.) კარგი ერთი!

ს ო ლ ე ნ ი. (მიდის დარბაზისკენ.) ძიბ, ძიბ, ძიბ...

ტ უ ზ ე ბ ა ხ ი. კმარა, ვასილი ვასილიჩ. გეყოფათ!

ს ო ლ ე ნ ი. ძიბ, ძიბ, ძიბ...

კ უ ლ ი გ ი ნ ი. (მხიარულად). გავიმარჯოთ. თქვენი გამარჯვებისა იყოს, პოლიკონიე! მე კედაგოგო ვახსავართ და აჰ, ამ სახლში, შინაური ადამიანი ვარ, მაშას ქმარი... მაშა კეთილია, ძალიან კეთილი...

გ ე რ შ ი ნ ი ნ ი. მე აი, ამ გულუხურ არაყს გეახლებით... (სვამს.) გავიმარჯოთ! (ოლგას) თქვენთან ისე კარგად ვგრძნობ თავს!..

ს ა ხ ტ უ რ მ ო შ ი მ ო ლ ო დ ი რ ი ნ ა და ტ უ ზ ე ნ ბ ა ხ ი რ ჩ ე ბ ა ნ .
ი რ ი ნ ა. მაშა უგუნებოდა დღეს. თერამეტი წლის იყო, როცა გათხოვდა და მაშინ ქმარი ყველაზე ჭკვიან კაცად იჩვენებოდა. ახლა კი სხვანაირად საქმე. ახლა ხედავს, რომ ის, მართალია, ყველაზე კეთილია, მაგრამ ყველაზე ჭკვიანი კი — არა.

ო ლ გ ა. (მოუთმუნლად). ანდრეე, მოდი აჰ, ბოლოს და ბოლოს!

ა ნ დ რ ე ი. (სცენის იქიდან). ახლავე. (შემოდის და მიდის მაგიდისკენ.)

ტ უ ზ ე ნ ბ ა ხ ი. რაზე ფიქრობთ?

ი რ ი ნ ა. ისე, არაფერზე. არ მიყვარს ეგ თქვენი სოლენი, თან რაღაც შიშვია მაქვს მაგისი. სულ ერთთავად სისუღელელებს ლაპარაკობს...

ტ უ ზ ე ნ ბ ა ხ ი. უცნაური ადამიანია. თან მეცოდება და თან მებრუნებს მაგისი საქციელი. უფრო კი მეცოდება. მე მგონი, მიორცხვია... როცა მარტონი ვჩრჩებთ, ძალზე ჭკვიანი ჩანს და ალერსიანი, საზოგადოებაში კი უხეში ხდება, ბრეტერი. მოიცათ, ნუ მიდისართ, ჯერ დასწენენ ყველანი მაგიდასთან. ვიყოთ ცოტა ხანს ერთად. რაზე ფიქრობთ?

ა ბ ა შ ა.

თქვენ ოცი წლისა ხართ, მე ჯერ ოცდაათი არ შემსრულებია, კიდევ რამდენი წელი გვაქვს წინ, დღეების გრძელი, გრძელი რიგი, თქვენდამი ჩემი სიყვარულით საცეს...

ი რ ი ნ ა. ნიკალაა ლევიჩი, ნუ მელაპარაკებთ რულზე.

ტ უ ზ ე ნ ბ ა ხ ი. (ყურს არ უგდებს). სიცოცხლის ბრძოლის, შრომის მძაფრ წყურვილსა ვგრძნობ და ეს წყურვილი ჩემს სულში თქვენდამი სიყვარულთან არის შერწყმული, ირინა! თითქოს განგებ ხართ ასეთი მშვენიერი და ცხოვრებაც, ამის გამო, მშვენიერი შეჩვენება! რაზე ფიქრობთ?

ი რ ი ნ ა. თქვენ ამბობთ: ცხოვრება მშვენიერააო. პო, მაგრამ, თუკი ეს მხოლოდ გვეჩვენება? ჩვენ, სამ დას, მშვენიერი ცხოვრება ჯერც არ გვიანია... ეხორცება ჩვენ ისე ვახსოვბოდა, როგორც სარეგულა ბალახს... აი, ცრემლმეტი ჩამომდის. ცრემლები კი არა... (სწრაფად იწმენდს სახეს, იღიბება). წრომაა საჭირო, შრომა. იმატებ ვერა ვმხიარულობთ და ცხოვრებაც უსიხარულო იმიტიმ გვეჩვენება, რომ არ ვშრომობთ. ადამიანები, რომლებმაც ჩვენ წარმოგვმუხა, ზიზღით უყურებდნენ შრომას...

შ ი მ ო ლ ი ს ნ ა ბ ა ლ ი ა ი ვ ა ნ ო ვ ა ნ ა, ვ ა რ ო ლ დ ე რ ი კ ა ბ ა ა ვ ო ბ ა, მ წ ე ნ ე ქ ა მ ო ბ ი.

ნ ა ტ ა შ ა. უკვე ხსდებიან... დავივიცინე... (გავლისას სარკეში თვალი შევალდა თავს და ტულეტს ისწორებს.) არა უშავს. მზნი, კარგად ვარ დავარცხნილი... (დაინახავს ირინას.) ძვირფასო არინა სტრევენა, მომილოცავს! (ჰკოცნის მკერად და დიდხანს.) ეს რამდენი სტუმარი გყოლიათ! მართალი გითხრათ, ძალიან მერიდება. გამარჯობათ, ბარონი!

ო ლ გ ა. (შემოდის სასტუმროში). აი, ნატალია ივანოვნაც გამარჯობათ, ჩემო კარგი!

ჰ კ ო ც ი ნ ა ე რ ო მ ა ნ ე თ ო ს.

ნ ა ტ ა შ ა. ჩომილოცავს ირინას დღეობა. თქვენთან იმოდენა საზოგადოება, — საშინლად მეუხერხულეობა...

ო ლ გ ა. ო, კარგი ერთი, აჰ სუყველა შინაურია. (ხმადაბლა, შემტარი.) მწენე ქამარი რად გინდოდათ! ძვირფასო, ეს არაფრად არ ვარა!

ნ ა ტ ა შ ა. განა ეს რაიმე კულს მოსაწავებს?

ო ლ გ ა. არა, უბრალოდ, არ გისდებათ... რაღაც უცნაურ შთაბეჭდილებას ტოვებს...

ნ ა ტ ა შ ა. (ცრემლნარევი ხმით.) პო? მაგრამ ეს ხომ მწენე არ არის, ეს უფრო მქრქალი ფერისაა. (დარბაზში მიჰყვება ოლგას.)

დ ა რ ბ ა ზ შ ი ს უ ფ რ ა ბ ა თ ა ნ ს ხ დ ე ბ ა ნ : ს ა ხ ტ უ რ მ ო შ ი მ ო ლ ო დ ი ა ლ ა რ ა ვ ი ნ ა ა.

კ უ ლ ი გ ი ნ ი. კარგ საქმროს გისურვებ, ირინა. დროა უკვე — გათხოვდე.

ჩ ე ბ უ ტ ი კ ი ნ ი. ნატალია ივანოვნა, თქვენც საქმროს გისურვებთ.

კ უ ლ ი გ ი ნ ი. ნატალია ივანოვნას უკვე ჰყავს საქმრო. მაშა. რაც იქნება, იქნება, დაველე ცოტა დენისო! ეჰ, კარგია კარგი ცხოვრება.

კ უ ლ ი გ ი ნ ი. დღეს ყოფაქცევამო სამი გეკუთვნის მინუსით, მაშა...

გ ე რ შ ი ნ ი ნ ი. მშვენიერი ნაყენია. რისაა?

ს ო ლ ე ნ ი. ტარაკანისა.

ი რ ი ნ ა. (ცრემლნარევი ხმით). ფუჰ, ფუჰ! რა საზიზღრობაა!..

ო ლ გ ა. ვახშმად შემწვარი ინდაური გვექნება და ვაშლის ტკბილი ღვეშული. მადლობა დღერთს, დღეს მთელი დღე სახლში ვარ, საღამოც თავისუფალი მაქვს... ბატონებო, გთხოვთ, მობრძანდეთ ამ საღამოს...



ე რ შ ი ნ ი ნ ი. ნება მომეცით, მეც მოვიდე!
 ი რ ი ნ ა. ძალიან სასიამოვნო იქნება.
 ნ ა ტ ა შ ა. ამათთან ბევრი ბოდიში საჭირო არ არის. ში-
 ნაურის ხალხია.

ჩ ე ბ ტ ი კ ი ნ ი. ამ ქვეყანაზე მხოლოდ და მხოლოდ სი-
 ყვარულისთვის გეშობა ბუნებამ. (იყინის.)
 ა ნ დ რ ე ი. (ვაკარებში). კმარა, ბატონებო! ნუთუ არ
 მოგებურდა?

შ ა მ დ ი ა ნ ი და რ ო მ ა შ ე მოლიან უკავილების დიდი
 კალათი ხელში.
 ფ ე დ ო ტ ი კ ი. უკვე საუზმობენ.
 რ ო დ ე. (ხმაშალა და ენის ბორძიკით). საუზმობენ? ჰო,
 უკვე საუზმობენ...

ფ ე დ ო ტ ი კ ი. ზოცა ერთ წამს! (იღებს სურათს.) ეს
 ერთი! მოიცა ცოტა კიდევ... (იღებს მეორე სურათს.) ესეც
 ორი! წამადა!

კ ა ლ ა შ ა ქ ე თ დარბაზში, სადაც მათ ურიაშულთა ხედვებან.
 რ ო დ ე. (ხმაშალა). მომილოცავს, ვისურვებთ ყოველივე
 კარგს! მშვენიერი ამინდიან დღეს, პირდაპირ დიდებული. მიე-
 ვლი დღეა გამზარებულთა ერთად ვსეირნობდი. მე ხომ იქ
 ტანჯარკოს ვასწავლი...

ფ ე დ ო ტ ი კ ი. შეგიძლიათ გაინძრეთ, ირინა სერგეევან.
 შეგიძლიათ! (იღებს სურათს.) დღეს თქვენ უკველუცესად გა-
 მოიყურებთ. (კიბიდან მზრიალას იღებს) აი, სხვათა შორის,
 მზრიალა... საოცარი ხმა აქვს.

ი რ ი ნ ა. რა მშვენიერება!
 მ ა შ ა. მვიღობა ზღვის პირას მუხა მწვანე, ოქროს ვაჭ-
 ვია ზედ გამობეული... ოქროს ვაჭვია ზედ გამობეული... (წუ-
 წუნით.) აბა, რისთვის ვამბობ ამას? ამეკვიატა ეს ფრანა დი-
 ლიდანვე...

კ ო ლ ი გ ი ნ ი. ცამეტნი ვუსხედვართ სუფრას.
 რ ო დ ე. (ხმაშალა). ბატონებო, ნუთუ რაიმე მნიშვნე-
 ლობას ადლებთ ცრურწმენას?

იყინიან.

კ ო ლ ი გ ი ნ ი. რაკი სუფრასთან ცამეტი კაცია, მაშ აქ შე-
 ყვარებულები უნდა იყვნენ. ერთიც განახოთ, თქვენა ხართ ეს,
 ივან მზამოვიჩი! რა ოინი იქნება!..

იყინიან.

ჩ ე ბ ტ ი კ ი ნ ი. მე კი ძველი ცოდვილი ვარ, მაგრამ აი.
 ნატალია ივანონა რატომ ეყოლიდა, ეს კი ვერ გაიზივია.
 საერთო სიცილი. ნატაშა დარბაზიდან სასტუმროში
 გამოვარდება, მას მისდევს ანდრა.

ა ნ დ რ ე ი. თუ ღმერთი გწამთ, ყურადღებს ნუ მიაქცევთ!
 მოითმინეთ... შეჩერდით, გემულარებით...

ნ ა ტ ა შ ა. ძალიან მრცხვნიან... მე თვითონაც არ ვიცი რა
 მემართება და ესენი კი სასაცილოდ მიგედებენ. ახლა რომ სუფ-
 რიდან ავდგები, ეს უწესობაა, მაგრამ, რა გუნა, არ შემიძლია...
 არ შემიძლია... (სახეზე ხელგებს იფარებს.)

ა ნ დ რ ე ი. ჩემო ძვირფასო, გთხოვთ, გვეწვევებით, ნუ დე-
 ლაგით. ვარწმუნებთ, ხუმრობენ, სიკეთით მოსდით. ჩემო ძვირ-
 ფასო, ჩემო კარგო, ესენი ყველანი კეთილები არიან, გულია-
 ნი ხალხია და ორიგენი ვუყვარვართ — მეცა და თქვენც. მო-
 დით აქ, ფანჯარასთან, აქედან არა ვჩანვართ... (აქეთ-იქით
 იყურებდა.)

ნ ა ტ ა შ ა. მე ისე მიუჩვეველი ვარ სასოვადობაში ყოფ-
 ნას!..

ა ნ დ რ ე ი. ო სიცმაწვილევ, საოცარო, მშვენიერო სრამა-
 ვილევ! ჩემო ძვირფასო, ჩემო კარგო, ნუ დელავთ ასე!.. შენ-
 დეთ მე, მენდეთ... მე ისე კარგადა ვგრძნობ თავს, გული
 სიყვარულითა და აღტაცებითა მაქვს სასევ. არა, ვერ გეხედა-
 ვენ! ვერ გეხედავენ! რისთვის შემოიყვარდით, რისთვის, — ო,
 არაფერი მესმის. ჩემო ძვირფასო, კარგო, უწმინდესო, გამომ-
 ყვით ცოლად მე თქვენ მიყვარხართ, მიყვარხართ... როგორც
 არავინ — არასოდეს...

პოკონია ერთმანეთს

შემოდის ორი მფიცარი, რომლებიც მოალერსე წყვილის
 დანახვაზე, განცვიფრებულაბა ჩერდებიან.
 ფ ა რ ა

მ ო ქ მ ე დ ე ბ ა მ ე ო რ ე

პირველი მოქმედების დეორაცია.

სალამოს რვა საათია. სტენის იქით, ქუჩაში, ხმადაბლა ურავენ
 გარბონს. სინათლე ჩამქარალია. შემოდის ნატალია მზამოვიჩის საწა-
 ლით ხელში: აცვია კაბტი. შეჩერდება ანდრეს ოთახის კართან.

ნ ა ტ ა შ ა. შენ მანდ რას აკეთებ, ანდრაშუა, კითხულობ?
 არა, არაფერი. იმე გვიტოვს... (მიდის, ალუბს მეორე კარს. შეი-
 ხედავს შიგ და ისევ სურავს.) სინათლე ხომ არ ანთია...

ა ნ დ რ ე ი. (შემოდის წინით ხელში). რა იყო, ნატაშა?
 ნ ა ტ ა შ ა. ვამოწმებ, სინათლე ხომ არსად ანთია... ხომ
 იცი, ახლა ყველივით, მსახურების თავის ჭკუაზე აღარ აიბი-
 ან,—ათი თვალად და ათი ყური უნდა გამოიბა, რომ არაფერი
 მოხდეს. წუხელ, შუადამისას, სასადილო ოთახში უფედი და,
 რასა ვხედავი! — საწილო ანთია. ვინ ანთო, ვერა და ვერ
 გამოვარკვიე. (დგამს საწილოს.) რომელი საათია?

ა ნ დ რ ე ი. (სათს შეხედავს). ცხრის თხუთმეტი წუთია.

ნ ა ტ ა შ ა. ოღვა და ირინა კი ჯერაც არსად ჩანან. არ მო-
 სულან. სულ შემობინდა და შრომობინდა საწულები. ოღვა პედა-
 გოგიურ საბჭოზეა, ირინა — ტელეგრაფში... (თხრავს.) ამ
 დილას შენს დას ვეუბნები: „ათას გაუფრთხილოდ-მეთქი, ირ-
 ინა, გენაცვალე!“ ყურიც არ მათხოვა. რა თქვი? ცხრის თხუთ-
 მეტი წუთია? მგონი, ჩვენნი ბოიბიკი კარგად ვერ არის. რად
 უნდა ჰქონდეს ტანი ასე გაყინული? გუშინ სიცხე ჰქონდა,
 დღეს კი მთლად გათოწილია. მართალი გითხრა, ძალიან მე-
 შინია.

ა ნ დ რ ე ი. ეგ არაფერია, ნატაშა, ბიჭი კარგად არის.

ნ ა ტ ა შ ა. მაგრამ მაინც ჯობს, დეიტაზე იყოს. რა ვიცი.
 მეშინია. რაღაცას მოვკარი ყური, — ათი საათისთვის ჩვენ-
 თან ბერიკები უნდა მოვიდნენო. ჰოდა, ნეტავი კი არ მოვი-
 დოდნენ, ანდრაშუა.
 ა ნ დ რ ე ი. აბა რა ვიცი, რა გითხრა. ისინი ხომ მომეწვე-
 ულები გვეყვანან!

ნ ა ტ ა შ ა. გაივლიდა ამ დილას ბიჭუნამ, მომამჩერდა და
 უცბად გამოიღმა: ესე იგი, მიცნო. „ბოიბიკ, — ვეუბნები, —
 გამარჯობა! გამარჯობა, გენაცვალე!“ ის კი იყინის. ბავშვებს
 ყველაფერი ესმით, მშვენივრად ესმით. მაშ, ასე ანდრაშუა, ვუ-
 ბრძანებ, რომ ბერიკები არ მიიღონ.

ა ნ დ რ ე ი. (გაუბედავად.) ჰო, მაგრამ... ეს იგი უნდა
 იყოს, როგორც ჩემი დები ოტკვიან. ისინი არიან აქ უფროსე-
 ბი.

ნ ა ტ ა შ ა. ისინიც დათანხმდებიან, კეთილები არიან... იმ-
 ათ მე თვითონ ვეტყვი. (მიდის.) გახშვად დღს მორთმევა ვუ-



ბრძანე. ექიმი ზეუნებდა — თუ გახდომა გინდა. დოს გარდა, არაფერს მიეკარო. (შეჩერდება.) ბოიკი მთლად გათოწილია. მე მგონი, სცივა თავის თთახში. კარგი იქნებოდა, თბინი ამინდების დადგომამდე მანც, სხვა თთახში მოვეთვებებინა. აი, მავალია, ირინის თთახს სწორედ ბავშვისთვისასა ზედგამოჭრილი. მშრალიც არის და თან მთელი დღე შიგ მზე ტრიალებს. ერთი უნდა ვუთხრა, — იქნებ, ჯერჯერობით, ოლგას თთახში გადავიდეს... სულ ერთია, დღისით სახლში არ არის ხოლმე, მარტო დასაძინებლად მოდის...

ბ ა უ ზ ა.

ანდრეაუშნიკი, მარტო ხმას არ იღებ?
ან დ რ ე ი. რა ვიცი, ფიქრებში წავედი... ან რა უნდა ვთქვა...

ნ ა ტ ა შ ა კიდევ რაღაცის თქმა მინდოდა... პო, მართლა, სამმართველოდან თერაპონტიკა მოსული, შენა ცეითსულობს ან დ რ ე ი (ამთქნარებს). დაძახებე.

ნატაში მიღის; ანდრეი იხრება საწოლისკენ, რომელიც ნატასა და რა, და წიგნს კითხულობს. შემოდის თერაპონტიკა; ძველი, გაცვეთილი პალტო აცვია, საუფლო აწუთდა აქვს, აუბრუნდა — ზეუბნა. გამარჯობა, ჩემო კარგო. რას გვიბრძანებ?

თ ე რ ა პ ო ნ ტ ი. თავმჯდომარეზე აი, ეს წიგნი და რაღაც ქალღირსი გამომატანა... (აწვდის წიგნს და პაკეტს.)

ან დ რ ე ი. კარგი. გმადლობ. მერე, ასე გვიან რად მოხვედი? ახლა ხომ უკვე მეცხერე საათია.

თ ე რ ა პ ო ნ ტ ი. რა ბრძანებ?

ან დ რ ე ი. (უფრო ხმაშავდა). გვიან მოხვედი — მეტიქი, უკვე მეცხერე საათია.

თ ე რ ა პ ო ნ ტ ი. დიახ, მართალი ბრძანდებით. მე როცა მოვედი, ჯერ კიდევ სინათლე იყო, მაგრამ არ შემომიშვეს, ბატონს არა სცალიათ. რას ვიზამდი! არა სცალია და არა სცავალია. — სულ ერთია, არსად მიმეჭარება — მეტიქი. (კჷნია, რომ ანდრეი მას რაღაცას ეკითხება.) რა ბრძანებ?

ან დ რ ე ი. არაფერი. (ათვალერებს წიგნს.) ხვალ პარასკევია, სამსახურიდან თავისუფალი ვარ, მაგრამ მაინც მივაღალ... გააკეთებ რამეს. შინ ყოფნა მუხარება...

ბ ა უ ზ ა.

ჩემო კეთილ მოსულო, რა საოცრად იცვლება ყველაფერი, რა მწარედ გვატყუებს ცხოვრება! დღეს მოწყენილობისგან, უსაქმურობისგან, ხელში ავიღე აი, ეს წიგნი — უნივერსიტეტის ძველი ლექციები — და გამეცინა... დემრთო ჩემო, ვინ მე და ვინ — საერობო სამმართველოს მიფიქობა, იმ სამმართველოსი, რომელსაც პირტობოიყო თავმჯდომარეობის მდივანი ვარ და, ბევრი-ბევრი, როდისმე საერობო სამმართველოს წევრი გახვდი! აქაური საერობო სამმართველოს წევრი გახვდი მე, — მე, რომელსაც ყოველ დამე მესიზმრება, თითქოს მოსულოვს უნივერსიტეტის პროფესორი ვარ, ცნობილი მეცნიერი, მთელი რუსეთის სიაშაყე!

თ ე რ ა პ ო ნ ტ ი. აბა, რა მოგახსენოთ! მე ხომ ყურთ მაკლია...

ან დ რ ე ი. ყურთ რომ გესმოდეს, ალბათ, ხმასაც არ ამოვიღებდი. ადამიანთან ლაპარაკი მწყურია... ცოლს ჩემი არაფერი ესმის, დღესია კი რატომღაც მუშონია, — მეშინია, რომ სასაცილოდ ამივადებენ, შემარცხებენ. მშველი არა ვარ, სამიოტიკნობი არ მიყვარს, მაგრამ ახლა რა სიაშაყებით გავატარებდი საღამოს მოსკოვში, ტესტიკოვან, ჩემო კარგო.

თ ე რ ა პ ო ნ ტ ი. ამას წინათ სამმართველოში მოიჯარად-

რე ყვებოდა: მოსკოვში ვიღაც ვაჭრები თურმე ბლინებსა ჭამდნენო და ერთი, რომელსაც ორმოცი ბლინი შეუჭამია, მამჭკობდა. არ ვიცი, ორმოცი შეუჭამია თუ ორმოცდაათი, კარგად აღარ მახსოვს.

ან დ რ ე ი. ზიხარ მოსკოვის რესტორანში, უშველებელ დარბაზში, არავის იცნობ, არაფერს გიცნობს და თავს მაინც შენინებუბი გრძობს. აქ კი ყველას იცნობ, ყველა გიცნობს და მაინც უცხეს ხმას, მაინც... უცხო და მარტოსული.

თ ე რ ა პ ო ნ ტ ი. რა ბრძანებ?

ბ ა უ ზ ა.

ის მოიჯარადრე ამბობდა, — არ ვიცი, იქნება ტყუოდა კიდევ, — მთელი მოსკოვის გარდიგარდმო ბავირია გაჭიშულო.

ან დ რ ე ი. რისთვისაო?
თ ე რ ა პ ო ნ ტ ი. აბა, რა ვიცი. მოიჯარადრე მოგახსენებდათ ასე...

ან დ რ ე ი. სისულელეა. (კითხულობს წიგნს.) ყოფილხარ როდისმე მოსკოვში?

თ ე რ ა პ ო ნ ტ ი. (პაუზის მერე). არა ვყოფილვარ. დემრთო-მა არ ინება.

ბ ა უ ზ ა.

რას მიბრძანებთ, წავიდე?
ან დ რ ე ი. უღვიძოდ წავიდე. კარგად იყავი. თერაპონტიკა გადის.

კარგად იყავი. (კითხულობს.) ხვალ დილას მოხვალ, ამ ქალღირსს წავიხედ... წადი...

ბ ა უ ზ ა.

წასულია.

ზარს რეკავენ.

ეპ, ასეა საქმე... (იზმორება და აუჭარებულად შედის თავის თთახში)

სკიფის უფან შიპა ბავშვს არწევს და ნანას უშდერის. შემოდინ მამა და მამონინი. ვიდრე ისინი საუბრობენ, მამაშალ ლამაზს და საწაოებს ანთებს.

მ ა შ ა. მართალი გითხრათ, არ ვიცი.

ბ ა უ ზ ა.

არ ვიცი, რა თქმა უნდა, ჩვეულება ბევრს ნიშნავს. ჩვენ, მაგალითად, მამის სიკვდილის შემდეგ დიდხანს ვერ მივეჩვიეთ იმას, რომ დენწიკები აღარა გვყავდა. მაგრამ ჩვეულების გარდა, ჩემში, მე მგონი, უბრალოდ სამართლიანობაც ლამაზია რაკობს. იქნებ, სხვაგან ასე არ არის, მაგრამ ჩვენს ქალაქში კი ყველაზე უწიკირი, ყველაზე კეთილშობილი და ზრდილი ხალხი სამხედროები არიან.

ე ვ რ შ ი ნ ი ნ ი. რაღაც ძალიან მწყურია. სიაშაყებით დავლევი ჩავს.

მ ა შ ა. (შეხედავს საათს). ახლა მალე შემოიკანენ. მე რომ გამათხოვებს, თერაპეტი წლისა ვიყავი და ქრისია მემშინოდა იმიტომ, რომ მასწავლებელი იყო, მე კი გიმნაზიის კურსის ის-ის იყო დავამთავრე. მაშინ ის არაჩვეულებრივად განსწავლულ, ჭკვიან და მნიშვნელოვან პიროვნებად მჩვენებოდა. ახლა კი ასე აღარ არის, სამწუხაროდ.

ე ვ რ შ ი ნ ი ნ ი. დიას... ასე ხდება ხოლმე.

მ ა შ ა. ამას ეწარხე არ ვამბობ. მას მე უკვე მივეჩვიე, მაგრამ, საერთოდ, სამოქალაქო პირთა შორის იმდენი უხეში, ართავაზიანი, უზრდელი ხალხია! მე მალევევებს, შეურაცხყოფას მაყენებს უხეში საქციელი; ვიტანჯები, როცა ვხვდები.

რომ ადამიანი არ არის საკმაოდ დახვეწილი, საკმაოდ რბილი, თვაზიანი. როცა მასწავლებლებთან, ქმრის აზნაზავებთან, მიხდება ყოფნა, მე პირდაპირ ვეწამები.

ე უ რ შ ი ნ ი ნ ი. დაბ... მაგრამ, მე მგონი, მოქალაქე თუ სახმედრო პირი, სულ ერთია, ერთნაირად საინტერესოა, ყოველ შემთხვევაში, აქ, ამ ქალაქში. რომელი აქაურ ინტელიგენტსაც არ უნდა მოუსმინოთ, იქნება ის მოქალაქე თუ სამხედრო პირი, ყოველთვის ერთსა და იმავეს გაიგონებთ — რომ ის გაწვალებულია ცოლისაგან, გაწვალებულია ოჯახისაგან, გაწვალებულია ცხენებისაგან, გაწვალებულია საკუთარი მამულიდანაც... რუსი კაცისთვის უაღრესად დამახასიათებელია აზროვნების მაღალ სფეროებში ფრენა. მაშ, ერთი ამიხსენით, ცხოვრებაში ასე დაბლა რატომ ჰკრავს კამარას? რატომ?

მ ა შ ა. რატომ?

ე უ რ შ ი ნ ი ნ ი. რატომ არის, რომ გაწვალებულია შვილებიდან, გაწვალებულია ცოლისაგან, ცოლი და შვილები კი მისგან არიან გაწვალებულიები?

მ ა შ ა. დღეს რაღაც უგუხებოდ ჩანხართ.

ე უ რ შ ი ნ ი ნ ი. შეიძლება. დღეს არ მისადილია, დილიდან არაფერი მიჭამია. გოგონა მყავს ცოტათი ავად, ხოლო როცა ჩემი გოგოები ავად არიან, ხოლმე მასჩრობს, სინდისი მექნენის იმის გამო, რომ მათ ასეთი დედა ჰყავთ. ნეტავი დავგნახათ დღეს! რა არარაობაა! რა არარაობა! დღის შვიდი საათიდან რომ ატყავს ჩვენიან ჩხუბი, ცხრაზე კარი გამოიქვანხუნე და წამოვიდეთ.

მ ა შ ა.

ამაზე არასოდეს არავისთან არ ვლაპარაკობ, მხოლოდ თქვენ შემოგჩვიით, ცოტა უცნაური კია. (ჰკოცნის ხელზე.) ნუ გაბიჯარდებით, გეთავა. თქვენს მეტი არავინა მყავს, სრულიად არავინ...

მ ა შ ა.

მ ა შ ა. როგორ ზუზუნებს ქარი საკვამურში! მამაკემის სიკვდილის წინაც სწორედ ასე ზუზუნებდა.

ე უ რ შ ი ნ ი ნ ი. ცრუმორწმუნე ხართ?

მ ა შ ა. კი.

ე უ რ შ ი ნ ი ნ ი. საკვირველია. (ჰკოცნის ხელზე.) თქვენ შესანიშნავი, საოცრად მშვენიერი ქალი ხართ, საოცრად მშვენიერი! აქ ბნელა, მაგრამ მე მაინც ვხედავ, როგორ გიბრწყინავთ თვალები.

მ ა შ ა. (გადაადება სხვა სკამზე.) აქ მეტი სინათლეა...

ე უ რ შ ი ნ ი ნ ი. მიყვარხართ, მიყვარხართ, მიყვარხართ...

მიყვარს თქვენი თვალები, თქვენი მიხრა-მოხრა, რომელიც ძილშიც კი მელანდება... საოცრად, საოცრად მშვენიერი ხართ!

მ ა შ ა. (ჩუმად იცინის). როცა ასე მელაპარაკებთ, რატომღაც მეცინება, თან კი შიში მიპყრობს. ნულარ გაიმეორებთ ამას, გთხოვთ... (ხმადაბლა.) თუცა ილაპარაკეთ, ჩემთვის სულ ერთია... (სახეზე ხელებს აიფარებს.) ჩემთვის სულ ერთია. ვიღაც მოდის აქეთ, სხვა რამეზე ილაპარაკეთ...

ირინა და ბუზინაზი შემოიღან დარბაზის მხრიდან.

ტ უ შ ე ნ ბ ა ხ ი. მე სამმაგი გვარი მაქვს. ჩემი გვარია ბა-რონი ტუზენაბა-კრონე-ალტუაუერი, მაგრამ რუჰა ვარ, მართლმადიდებელი, ისევე, როგორც თქვენ. გერმანული ჩემი ცოტა რამ დარჩა, — იქნებ, მხოლოდ ეს მოთმინება და სიჯიქტე, რომელთა წყალობითაც ასე თავს გაბეზრებთ. მე ხომ თქვენ ყოველ საღამოს გაცილებთ.

ი რ ი ნ ა. როგორ დავილაღ!

ტ უ შ ე ნ ბ ა ხ ი. და ასე ყოველდღე მოვალ ხოლმე ტელეგრაფში გრაფში და გამოგაცილებ; ასე ვივლათ, ოც წელიწადს, ვიდრე არ გამაგდებთ... (დარბაზს მამას და ვერშინის, სიხარულით.) ოჰ, თქვენა ხართ? გამარჯობათ.

ი რ ი ნ ა. მოვალევი, როგორც იქნა, სახლამდე. (მამას.) ჩემი წამოსვლის წინ ტელეგრაფში ერთი ქალი შემოვიდა. გაუთვლილი მოკვდომიდა დღეს და ქმრისთვის უნდა შეეტყობინებინა საჩატოები. ვერაფრით ვერ გაისუნა მისამართი, ადგა და დემუშა უმისამართოდ გაგზავნა — პირდაპირ სარატოეში. თან ძალზე ტირილიდა. მე კი სულ უმოუხუროდ უხეზავ უპასუხე: „არა მცალია-მეთქი თქვენთვის“. ძალიან სულელურად გამოვივლიდა. იქნებთან დღეს ჩვენთან ბერიკები?

მ ა შ ა. კი.

ი რ ი ნ ა. (ადება სავარძელში). დავისვენო ერთი. დავილაღ.

ტ უ შ ე ნ ბ ა ხ ი. (ღიმილით). როცა სამსახურიდან ბრუნდებით, ისეთი პატარა, ისეთი უშუქო ჩანხართ...

მ ა შ ა.

ი რ ი ნ ა. დავილაღ. არა, ვერ ვგუხები ტელეგრაფში მუშაობას, ვერ ვგუხები.

მ ა შ ა. შენ გახდი რაღაც... (უხტყვს.) თანაც გაახალგაზრდავდი და სახეე თითქოს ბიჭური იერი დაგედო...

ტ უ შ ე ნ ბ ა ხ ი. თმა აქვს ბიჭურად დაყენებული და იმიტომ.

ი რ ი ნ ა. ისე სამსახური უნდა მოგებნო, ეს საქმე საჩემო არ არის. რაც ხევა ძალიან მინდა, რაზეც ვოცნებობდი, სწორედ ის აკლია. ძნელი ყოფილა შრომა უპოხიოდ, ყოველგვარი ფიქრისა და აზრის ვარგეშ...

იბაკს ჰქვამოხან უაჯუნებენ.

ექიმი აკაკუნებს. (ტუზენბას.) დაუკაკუნეთ, ჩემო კარგო... მე არ შემიძლია... დავილაღ...

ტუზენაზი აკაკუნებს იბაკზე.

ამოვა ახლა. რაღაც ზომები უნდა მივიღოთ. გუშინ ექიმი და ჩვენი ანდრეი კლუბში ყოფილან და ისევ წაუვიათ. ამბობენ, ანდრეიმ ორასი მანეთი წაგოათ.

მ ა შ ა. (გულგრილად). ამ ამბავს ახლა აღარაფერი ეშველებია.

ი რ ი ნ ა. ორი კვირის წინაც წავაო, დეკემბერშიც წავაო. ნეტავი, მალე ვეღლაფერს წაავებდეს, — იქნებ, მაშინ მაინც მოვლორებდით ამ ქალაქს. ღმერთო ჩემო, ყოველდღემ მოსკოლს მისიხივდა, შემოლითივდა ვარ. (იცინის.) იცინის კი გადავალთ, მაგრამ იცინისავე დარჩენილია ჯერ კიდევ... თე-ბურვალთ, მარტი, აპრილი, მაისი... თითქმის ნახევარი წელიწად!

მ ა შ ა. მოდიდეს ისე უნდა მოხერხდეს, რომ ნატამა არ გაივოს ამ წლების ამბავი.

ჩაბუბინი, რომელიც ეს-ეს არის, ამდგარა ლოგინიდან, — იგი სალოის შემდეგ ცხენებდა, — წვერის ვარცხნი შემოლის დარბაზში, მაგაფასთან გდება და ჩიბოლან გაჯუსს იღებს.

ი რ ი ნ ა. იმისთვის, მე მგონი, სულ ერთია.

მ ა შ ა. აი, მოვიდა... ბინის ქირა გადაიხდა?

ი რ ი ნ ა. (იცინის). არა. რვა თვის განმავლობაში კაპივიც არ გადაუხდია. გეტყობ, დაავიწყდა.

მ ა შ ა. (იცინის). რა ამბითა ღარს!



ყველა იცინის. პაუზა.

ირინა. რას გაჩემებულხართ, ალექსანდრ ივანტიჩ?
ვერ შინინი. რა ვიცი. ჩაი მინდა. ნახევარ სიცოცხლეს
მიცემდი ერთ ტუტა ჩაინი. დილიდან არაფერი მიჭამია...

ჩე ბუტიკინი ა. ირინა სურგვევა!

ირინა. რა გნებავ?

ჩე ბუტიკინი. აქ მობრძანდით.

ირინა მიდის და მაგადასთან ქდება.

უტყვევოდ არ შემოძლია.

ირინა პასიანს შლის.

ვერ შინინი. რას ვიზამთ? რაკი ჩაის არ გავსკევენ,
მიღით, ვიფილოსოფოსთ მაინც.

ტუ შენ ბახი. მოდი. რასუ?

ვერ შინინი. რასუ? მოდი, ვიოცნებოთ... აი, თუნდაც
იმ ცხოვრებაზე, რომელიც იქნება ჩვენს შერე, — ასე, ორასი,
სამასი წლის შემდეგ.

ტუ შენ ბახი. ასე იყოს. ჩვენს შემდეგ იფრენენ აეროს-
ტატივით, შეიცვლება პიკაკები, აღმოაჩენენ და განავითარე-
ბენ ალბათ, შეეჭვებ გრძნობასაც. ცხოვრება კი დარჩება მაინც
ასეთივე, — სასესე სიძინელებით, საიდუმლოებითა და ბედნიე-
რებით. და ათასი წლის შემდეგ ადამიანი ისევ იტყვის ისევე
ერთი: „ო, რა ძნელია ცხოვრება!“ — და სწორედ ისევე რო-
გორც ახლა, სიკვდილის მივით იქნება შეპყრობილი და სი-
კაცულე ენდობიბა...

ვერ შინინი (დაფიქრდება). როგორ გითხრათ? ღე მგო-
ნია, დედამიწაზე თანდათანობით ყველაფერი უნდა შეიცვა-
ლოს და უკვე იცვლება კიდევ ჩვენს თვალწინ. ორასი, სამასი
ან, თუნდაც, ათასი წლის შემდეგ, — დროს აქ მაინც და მა-
ინც მნიშვნელობა არა აქვს, — ახალი, ბედნიერი ცხოვრება
დადგება. ჩვენ, რა თქმა უნდა, იმ ცხოვრების მონაწილენი ვერ
ქნებეთი, მაგრამ ამაჟამადაც ჩვენ მისთვის ვცხოვრობთ, მის-
თვის ვშრომობთ, თუნდაც... მისთვის ვიტანჯებით... ჩვენ
გვწმით მას — და ამაშია სწორედ ჩვენი ყოფნის მიზანი და,
თუ გნებათ, ჩვენი ბედნიერებაც.

მაშა თავისთვის იცინის.

ტუ შენ ბახი. რა დავგმართათ?

მაშა. რა ვიცი. დღეს დილიდანვე ასე შეიცვება.

ვერ შინინი. ღე იგივე განათლება მაქვს მიღებული, რაც
თქვენს, — აკადემიაში არც შე მოსწავლია. ბევრს კი ვეითხუ-
ლებ. ეს არის, წიგნების შერჩევა არ ვიცი და ალბათ სულაც
არ ვეითხულობ იმას, რასაც უნდა ვეითხულებდე. ის კი უნდა
მოგასაქნეთი, — რაც უფრო მეტს ვეითხულობ, მით უფრო მეტს
ცოდნა მწყურია. აგერ, თამაში თეთრი გამოშობია, თითქმის
დაგებრდი და მაინც რა ცოტა რამ ვიცი, რა ცოტა რამ! თუმცა
დარწმუნებულად ვარ, რაც ყველაზე მთავარია ცხოვრებაში და
ყველაზე საჭირო, ნამდვილად კარგად ვიცი. ჰოდა, ვერ წარ-
წოილდგნთ, როგორ მინდა დაგიმტკიცოთ, რომ პირადად ჩვენ-
თვის ბედნიერება არ არსებობს, არ შეიძლება იყოს და არც
იქნება. ჩვენ გვიწერია მხოლოდ შრომა და შრომა, ბედნიერება
კი ჩვენი წორეული მთამომავლობის ხვედრია.

პაუზა.

მე თუ არა, ჩემს შვილთა შვილებს მაინც ხვედრთ ის წილად.

დარბაზის გამორღებია ვიდეობიმი და როდე. სხდებან სკა-
მებზე. ხმადალა უარსებობს ვიდეობიმი და ხმადალავე დობიან.

ტუ შენ ბახი. თქვენის აზრით, ბედნიერებაზე ოცნებაც
კი ზედმეტია! მაგრამ თუკი მე ბედნიერი ვარ!

ვერ შინინი. არა. ეგ ტყუილია.

ტუ შენ ბახი. (ტანს შემოვრავს და იცინის). ეტყობა,
ჩვენ ერთმანეთს ვერ გავუგებთ. აბა, როგორ დაგარწმუნოთ,
რომ ნამდვილად ბედნიერი ვარ?

მაშა თავისთვის იცინის.

(თითს უჩვენებს) აბა, იცინეთ! (ვერ შინინს) ორასი და სამა-
სი წლის შემდეგ კი არა, მილიონი წლის შემდეგაც კი ცხოვ-
რება იქნება ისეთივე, როგორც ახლა. იგი არ იცვლება და
ასე უცვლელად მიდინება, რადგან მისი დინება ექვემდებარე-
ბება საკვლად კანონებს, რომლებთანაც თქვენ ხელი არ მი-
გიწვდებათ, ან, უფრო სწორად, რომელთაც ვერასოდეს შე-
ეცნობთ. ავიღოთ. მაგალითად, მძლევარები, — აი, თუნდაც
წერობები. ბუნების კანონის მიხედვით ისინი უნდა გადაფრინ-
დნენ და გადმოფრინდნენ ხოლმე განსაზღვრულ დროს. და
როგორი აზრებიც არ უნდა ტრიალებდეს მათ თავში, — მი-
შენაღვანი თუ უმნიშვნელო, — სულ ერთია, მაინც ასე იფ-
რენენ და არ ეცოდნებიან, საით მიფრინავენ და რისთვის.
ისინი ახლაც ფიქრენ და კვლავაც იფრენენ, რა ფილოსოფო-
სებიც არ უნდა გაჩნდნენ მათ შორის. და როგორც არ უნდა
იფილოსოფოსონ, მათ მაინც უნდა იფრინონ, იტყვიან და გა-
თავდა.

მაშა. მაინც აზრი, აზრი ყოველივე ამის?

ტუ შენ ბახი. აზრი... აი თუხე. რა აზრი აქვს ამას?

მაშა. მე მგონია, ადამიანს რწმენა უნდა ჰქონდეს რისი-
მე, ან უნდა ეთიბდეს მას. რწმენის გაჩემე მისი ცხოვრება
არაფერია, არაფერი... ცხოვრობდე და არ იცოდ, რისთვის მი-
ფრინავენ და მოფრინავენ წერობები, რისთვის იბადებიან ბავშ-
ვები, რისთვისაა ცაზე ვარსკვლავები... ან უნდა იცოდ, რის-
თვის ცხოვრობ. ან არადა ყველაფერი უაზრობაა. ყველაფერი
ფუტია.

პაუზა.

ვერ შინინი. მაინც როგორ ვნანობ, რომ ჩემი ახალ-
გაზრდობა უკვე წასულია.

მაშა. გოგოლს აქვს ნათქვამი ერთ ადგილას: მოსაწყე-
ნია ამქვეყნად ცხოვრება, ბატონებო!

ტუ შენ ბახი. მე კი ვიტყობი: ძნელია თქვევთან კამა-
თი, ბატონებო! და, თუ ღმერთი გწამთ, თავი დამანებეთ...

ჩე ბუტიკინი. (კითხულობს გაზეთს). ბალზაკმა ბერ-
დიჩევში დაიწერა ჯვარი.

ირინა ღლინებს.

ამას ახლავე წიგნაკში ჩაიწერ. (იწერს). ბალზაკმა ბერდი-
ჩევში დაიწერა ჯვარი. (კითხულობს გაზეთს.)

ირინა. (პასიანს შლის, დაფიქრებულა.) ბალზაკმა
ბერდიჩევში დაიწერა ჯვარი.

ტუ შენ ბახი. მორჩა, გადაწყვეტილია. თქვენ იცით,
მარია სერგეევა? მასახურიდან გადადგომას ვთხოვლობ.

მაშა. ყური მოგვკარი, მაგრამ კარგა ამაში ვერაფერს ვე-
დავ. არ მიყვარან სამოქალაქო პირები.

ტუ შენ ბახი. რა განსხვავებაა? (დგება.) უშნო ვარ,
— აბა, რა მაქვს სახმებო პირისა? ეპ, თუკი სულ ერთია
ყველაფერი... აი, ახლა მუშაობას დაიწვევს. ჩემს ცხოვრებაში
ერთხელ მაინც ვიშუწოთ ისე, რომ საღამოს შინ დადლოლ-და-
მანცელი დავბრუნდე, მივეგდო ლოგინზე და იმწამსვე დამე-
ძინოს. (მიდის დარბაზისკენ) მუშებს, ალბათ, მაგარი ძილი
აქვთ.

ფედოტიკი. (ირინას.) წელან მოკოვის ქუჩაზე. პი-

ქიკოთან, ფერადი ფანქრები გციყლიეთ. და აი, ეს პაპია და-
ნა...

ირინა. თქვენ ისევ ისე მეტყვევით, როგორც პატარას,
მაგრამ მე ხომ უკვე დიდი ვარ... (ართმევს ფანქრებსა და და-
ნას, სხიარულით) რა მშვენიერება!

ფედოტიკი. ჩემთვის კი ეს დანა ვიყიდე... აი, შეხე-
დეთ, რამდენი რამე აქვს... დანა, კიდევ დანა, მესამე დანა, ეს
ყურების საჩირქნად, ეს მარკატელი, ეს ფრჩხილების საწმენ-
დი...

როდე (ხმაშალა). ექიმო, რამდენი წლისა ხართ?
ჩემბუტიკინი. მე? ოცდაათმეტის.

ციცინია.

ფედოტიკი. (ირინას). მე თქვენ ახლა სხვანაირ პასი-
ანსს გინეწებთ... (შლის პასიანსს.)

შეშაქთ სამოვარო, ანფისა სამოვართან ფუსფუსებს; ცოტა
ხნის შემდეგ შემოღის ნაბაშა და ისიც მაკიდალასან წრიალებს; შე-
მოღის სილუკინი, ყველას ესალურება და მაკიდალასან ქდება.

ვერშინინი. მაინც როგორი ქარია გართო!
მაშა. პო. თავი მოგვაბუნვარა ზამთარმა. მე უკვე დამავიწყ-
და კიდევ — რანაირია ზაფხული.

ირინა. გამოღის პასიანსი, გამოდის! — უკვე გებღაფ-
მას გადაავალთ მოსკოვში.

ფედოტიკი. არა, არ გამოდის. ხელად? რეინია ყვავის
ორიანს დაეცა. (ციცინიას). მაშ, ვერ გადახვალთ მოსკოვში.

ჩემბუტიკინი (კითხულობს გაზეთს). ციციკარი. აქ
ყვავილი მძინვარებს.

ანდრეას. (მოუახლოვდება მაშას). მაშა, გენაცვალე, ჩი
შხა არის. (ვერშინინს). მოზრინდით, თქვენნი მაგალკე-
თილოშობილებავ... უკაცრავად, ჩემო ბატონო, დამავიწყდა
თქვენი სახელი...

მაშა. აქ მომიტანე, გაღია. იქ არ მინდა.
ირინა. გაღია!

ანდრეას. მოვდივარ-არ!
ნატაშა. (სოლენის). ტუქუთა ბავშვებს მწვენიერად ეს-
მით ყველაფერი. „გამარჯობა-მეთქი, ბობიკ, ვეუბნები, გამარ-
ჯობა-მეთქი, გენაცვალე!“ ის კი რაღაც განსაკუთრებულად მი-
ყურებს. თქვენ გგონიათ, ჩემში მხოლოდ დედა ლაპარაკობს,
მაგრამ, არა, არა, გარწმუნებთ! ეს რაღაც არაჩვეულებრივი
ბავშვია.

სოლენი. ვე ბავშვი რომ ჩემი იყოს, მე მას ტაფაზე შევ-
ბრავაფდი და შევხარამუნებდი. (ჭეკით ხელში სასტუმროში
გამოდის და კუთხეში მოიკალათებს).
ნატაშა. (სახეზე ხელებს აიფარებს). რა უხეში, რა
უხრდელი ადამიანია!

მაშა. ბედნიერია, ვინც ვერ ამჩნევს, ზაფხულია ახლა თუ
ზამთარი. მე მგონია, მოსკოვში რომ ვყოფილიყავი, ამინდს
ჩემთვის მნიშვნელობა არ ექნებოდა.

ვერშინინი. ამ დღეებში ერთი ფრანგი მინისტრის
ციხეში დაწერილ დღიურებს ვკითხულობდი. მინისტრი პანა-
მის საქმის გამო ყოფილა გასამართლებული. უნდა ნახოთ,
რა გატაცებით, რა აღფრთოვანებით წერს ჩიტებზე, რომელ-
თაც ციხის სარკმლიდან ხედავს და რომელთაც თავისი მინის-
ტრომის დრის ვერც კი ამჩნევდა. ახლა, როცა გაათავისუფ-
ლეს, ის ალბათ ისევ ვეღარ ამჩნევს ჩიტებს. თქვენც ასე მოგი-
ვათ: როცა მოსკოვში იცხოვრებთ, ვეღარც კი შეამჩნევთ ამას.
ბედნიერება ჩვეთთვის არ არის და არც იქნება. ჩვენ მხოლოდ
ვეწრავებით მას.

ტუშენბახი. (სურფიდან კოლოფს იღებს). სად არის
კამფეტები?

ირინა. სოლენიმ შეჭამა.
ტუშენბახი. სულ?

ანდრეას. (აწვდის ჩაის ვერშინინს). თქვენთან წერი-
ლია, ბატონო.

ვერშინინი. ჩემთან? — (ართმევს წერილს). ჩემი გო-
ჯოსია. (კითხულობს.) პო, რა თქმა უნდა... მამაკტივი, მარია
ხერგევნა. უნდა გავიპარო. ჩაის არ დავლევ. (დგება, აღელ-
ვებულა.) სულ ერთი და იგივე მთორდება...

მაშა. რა მოხდა? თუ საიდუმლო არ არის.
ვერშინინი. (ჩუმად). ცოლმა ისევ მიიწამლა თავი.

უნდა წავიდე. შეუმჩნევლად გავალ. ყელში ამოვიდა ეს ყვე-
ლაფერი. (ხელზე ჰკოვრის მავსა.) ჩემო ძვირფასო, კარგო,
მშვენიერო... ჩუმად გავალ აქედან... (მიდის.)

ანდრეას. სად წავიდა? მე კი ჩაი მივართვი... რანაირი
ყოფილი!

მაშა. (გაჯერდება). მომეწვი, თუ ღმერთი გწამს! მო-
მადგები და შენგან მოსვენება არ არის... (მიდის ფინჯით
ხელში მავდისკენ.) თავი მომაბუნვარე, ბებერო!
ანდრეას. რაღა ვაპრობ, შენი ჭირიში!

ანდრეას ხმა: „ანდრეას!“

ანდრეას. (აკაჯრებს). ანფისა! დამკადარა იქა და...
(მიდის.)

მაშა. (დარბაზში, მავიდასთან; გაჯერებით). დამსკით
სადმე! (მავიდაზე კარტს მირევ-მორვეს.) გაუშლიათ აქ კარ-
ტი. ჩაი დაღიეთ!

ირინა. შენ, მაშა, რაღაც გააგებული ხარ.

მაშა. რაკი გააგებული ვარ, მაშ, ნურც მელაპარაკებით.
თავი გამაზნებთ!

ჩემბუტიკინი. (სიცილით). თავი გაანებეთ მავსს, თა-
ვი გაანებეთ...

მაშა. სამოცი წლისა ხართ და ბავშვივით კი იქცევით,
ეშმაკივ ვერ გაიგებს რასა ჩხახავთ.

ნატაშა. (ობრავს). ძვირფასო მაშა, რა საჭიროა ლაპა-
რაკით ასეთი გამოთქმების ხმარება? უნდა გითხრა, მაღალ,
წესიერ საზოგადოებაში. შენი მშვენიერი გარეგნობით, პირ-
დაპირი მომხიბლავი იქნებოდი, ასეთ სიტყვებს რომ არ ხმა-
რობდე. Je vous prie pardonnez moi, Marie, mais vous
avez des manières un peu grossières³.

ტუშენბახი. (სიცილს იკავებს). მომაწოდეთ... მომა-
წოდეთ, ვეთავაჯ... იქ, მგონი, კონკანია...

ნატაშა. Il paraît, que mon bonnité déjà ne dort pas⁴,
გაიღვიძა. დღეს რაღაც ვერა მყავს კარგად. წავალ, მივხედავ,
მამაკტივი... (მიდის.)

ირინა. ალექსანდრ იგნატოვი სადაა წავიდა?
მაშა. სახლში. ცოლს ისევ რაღაც არაჩვეულებრივი შე-
ეშთხვა.

ტუშენბახი. (მიდის სოლენისთან, ხელში გრაფინი
უქირავს კონიაკით). სულ მარტო ზისხართ, ფიქრობთ რაღაცა-
ზე, — კაცი ვერ გაიგებს, რაზე. მოდი, შეგვირიდეთ, მოდი, კო-
ნიაკი დავლით.

³ გოხთვო, მამაკტივით, მარო, მაგრამ თქვენ ერთობ უხეში მანე-
რები გაქვთ (ფრანგ.).

⁴ მგონი, ჩემს ბობიკს აღარ სძინავს (ფრანგ.).

სამეფ.

დღეს მთელი ღამე პიანინოზე დაკვრა მომიხდებდა, — ალბათ, ათასგვარი სისულელის დაკვრა... რა გავწყობა!

სოლენი. როგორ თუ შეერვიდეთ? მე თქვენთან არ მიჩნებოდა.

ტუშენბახი. ყველთვის ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებთ, თითქოს ჩვენს შორის რღაც უსამართლოება მომხდარიყოს. უნდა ითქვას, უცნაური ხასიათი გაქვთ.

სოლენი. (გამოთქმით). უცნაური ვარ, უცნაური ვიდა არ არის! ნუ მიწყრები, ალკო!

ტუშენბახი. რა შუაშია აქ ალკო...

პაუზა

სოლენი. როცა მართო ვარ ვინმესთან, ზაშინ არა მიშავს, — ისეთივე ვარ, როგორც — ყველა, სასოვადღობაში კი უხალისო ვხდები, გმორცხვობ და... ათასი სისულელის ჩმახვას ვიწყებ. მაგრამ მაინც ძალიან, ძალიან ბევრზე პატრონისანი და კეთილშობილი ვარ. და ამის დამტკიცება მე ყოველთვის შემიძლია.

ტუშენბახი. სასოვადღობაში ყოფნისას თქვენ აუცილებლად რაღაცაზე ამიხიბდებით ხოლმე. ამიტომ ხშირად ნაწყენი ვრჩები თქვენზე. მაგრამ რატომღაც მაინც მესიმატებოდა. რაც იყოს, იყოს, — დავთვრები დღეს. მოდი, დაველოდო!

სოლენი. დავლითო.

სამეფ.

თქვენეი საწინააღმდეგო, ბარონო, მე არასოდეს არაფერი მქონდა. მაგრამ ლურმონტოვის ხასიათი მაქვს. (ჩუმად) ცოტათი ვეგავარ კიდევ ლერმონტოვის... როგორც... ამბობენ... (ჯობიდან სუნამოს იღებს და ხელეშზე ისხამს).

ტუშენბახი. სამხედრო სამსახურს თავს ვანებებ, მორჩა და გათავდა! ხუთი წელი სულ ამაზე ვფიქრობდი და ბოლოს, როგორც იყო, გადაწყვიტე. მუშაობა უნდა დავიწყო. სოლენი. (გამოთქმით). ნუ მიწყრები, ალკო... დაივიწყე, დაივიწყე ოცნებები შენი...

პაუზა

ვიდრე ისინი ლაპარაკობენ, ანდრეი შეუმჩნევლად შემოდის წიგნით ხელში და ჯდება სანთელთან.

ტუშენბახი. მუშაობა უნდა დავიწყო...

ჩებუტიკინი. (ირინასთან ერთად მიდის სასტუმროსკენ). სუფარა ნამდვილი კავკასიური იყო: ხახვიანი წვენი, შემწვარი-მოსხარკულიდან... რა ჩეხართმა, შემწვარი ხორცი.

სოლენი. ჩერემშა ხორცი კი არა, მცენარეა, ჩვენებურ ხახვს წააგავს.

ჩებუტიკინი. არა, ჩემო ანგელოზო. ჩესართმა ხახვი კი არა, შემწვარი ცხვრის ხორცია.

სოლენი. მე კი თქვენ გუგუნებით, ჩერემშა ხახვია-მეთქი.

ჩებუტიკინი. მე კი გუგუნებით, ჩესართმა ცხვრის ხორცია-მეთქი.

სოლენი. მე კი თქვენ გუგუნებით, ჩერემშა ხახვია-მეთქი.

ჩებუტიკინი. ნეტა რას გეკამათობთ. თქვენ კავკასიაში არასოდეს არ ყოფილხართ და არც ჩეხართმა გიჭამიათ.

სოლენი. არ მიჭამია იმიტომ, რომ დანახვაც კი მეზარება. ჩერემშას ისეთივე სუნი აქვს, როგორც ნივრ.

ანდრეი. (შუღარით). კმარა, ბატონებო! გემუდარებო!

ტუშენბახი. როდის მოვლენ ბერიკები? ირინა. ცხრისთვის შეგვიბრუნდენ, — მაშ, სადაცაა, შეგვლენ.

ტუშენბახი. (ცხვევა ანდრეის). Ах, вы, сени, мои сени, сени новые мои...

ანდრეი. (ცეკვავს და მღერის). Сени новые, кле-новыи...

ჩებუტიკინი. (ცეკვავს). Решетчатые-е! იცინავს.

ტუშენბახი. (კოცნის ანდრეის). დალახვოს უმშობმა, მოდი, დავლითო, ადრეაშუა, მოდი, დავლითო იმისა, რომ ამიერთიდან წამო და თქვენ შენთან ვილაპარაკებთ. მეც შენთან ერთად წამოვალ, ანდრეაშუა, მოსკოვში, უნივერსიტეტში შესასვლელად.

სოლენი. რომელი? მოსკოვში ორი უნივერსიტეტია.

ანდრეი. მოსკოვი ერთი უნივერსიტეტია.

სოლენი. მე კი გუგუნებით — ორია.

ანდრეი. გინდა სამი იყოს. მით უკეთესი.

სოლენი. მოსკოვში ორი უნივერსიტეტია.

უკმაყოფილო ხმები, სოლენის აჩუგებენ. მოსკოვში ორი უნივერსიტეტია: ძველი და ახალი. და თუ თქვენ არა გსურთ მომისმინოთ, თუ თქვენ ჩემი ლაპარაკი გადღიანებთ, მე შემიძლია არ ვილაპარაკო. მე სხვა თთანსეც კი შემიძლია გავიდე... (გადის ერთ-ერთი კარიდან).

ტუშენბახი. ბრავო, ბრავო! (იცინის) ბატონებო, დაიწყეთ, მე პიანინოზე დაგუკრავ. სასაცილოა ეს სოლენი, ღმერთებო! (ჯდება პიანინოსთან, უკრავს ვალსს).

მ. შ. შ. (მართო ცეკვავს ვალსს). ბარონი მთვრალია, ბარონი მთვრალია, ბარონი მთვრალია!

შემოდის ნახაშა.

ნატაშა. (ჩებუტიკინს). ივან რომანჩი! (რღაცას ეუბნება ჩებუტიკინს და ჩუმად გადის).

ჩებუტიკინი მხარზე ეხება ტუშენბახს და რაღაცს ეურთრულება ირინა. რა მოხდა?

ჩებუტიკინი. დროა, წავიდეო. კარგად ბრძანდებო-ღეთ.

ტუშენბახი. ღამე შვიდობისა. წასვლის დროა.

ირინა. კი მაგრამ... ბერიკები?..

ანდრეი. (დარცხვენით). ბერიკები აღარ მოვლენ. გესმის, ჩემო კარო? ნატაშა ამბობს, ბოთიკი ვერ არის მთლად კარგადო და ამიტომ... ერთი სიტყვით, არ ვიცი, ჩემთვის სრულიად სულ რაითია.

ირინა. (მხრების აჩეჩეთ). ბოთიკი ვერ არის კარგად!

მ. შ. შ. ჯანდაბას, რაც არის, არის! რაკი გვაგდებენ, მაშ, უნდა წავიდეო. (ირინას.) ბოთიკი კი არ არის ავად, ავად თვითონ არის... აი... (შუბლზე თითს იკაკუნებს.) გაუთლებლი! ანდრეი გადის მარჯვენა კარიო თავის ოთახში, ჩებუტიკინი უკან მიჰყვება; დარბაზში ერთმანეთს ემშვიდობებიან.

ფედოტიკი. რა საწყენია! ვფიქრობდი, საღამოს მხიარულად გაგატარებ-მეთქი, მაგრამ თუკი პატარა ავადა, რა გავწყობა... ხვალ სათამაშოებს მოვუტან... რ. ო. ე. (ხმაშადალა). დღეს განგებ გამოვიძინე სადილის შემდეგ, — მეგობრა, მთელი ღამე ვიცეკვედი. ასლა ხომ მხოლოდ ცხრა საათია!

მ. შ. შ. გავიდეო ქუჩაში, იქ ვილაპარაკებო. იქ გადაწყვიტებო, როგორ მივიტოვებო.

ისმის: „შვიდობით! კარგად ბრძანდებოდეთ!“ ისმის ტუშენბახის მხიარული სიცოლი. ყველანი მიდიან. აწუხის და მოახლე ქალი



სულურას ალაგებენ, აქრობენ სინათლებს. ისმის ძიძის ნანა. ჩუმად შემოდიან ანდრეი და ნინა. ანდრეის პალტო აცვია და ქუდა ახურავს.

გამოივლის ნატაშა საწითლო ხელში.

ნ ა ტ ა შ ა. (შეხებას ჯერ ერთ თთახში, მერე — გვერდით ჩაუვლის ქმრის თთახს). აქ ანდრეია. ივითოს. უკაცრავად, ვასილი ვასილი, არ ვიციდი, რომ აქა ხართ, შინაურულად გამოვდი...
ს ი ლ ე ნ ი. ჩემთვის სულ ერთია. მშვიდობით! (მიდის).
ნ ა ტ ა შ ა. როგორი დალილი ხარ, ჩემო კარგო, ჩემო საბრალდო ვოგო! (კეოვნის ირინას.) კარგი იქნებოდა, ცოტა ადრე წაბოდიდე.

ჩ ე ბ უ ტ ი კ ი ნ ი. ცოლის შერთვა ვერ მოვასწარი, იმიტომ რომ, ცხოვრებამ ელვის უსწრაფესად გაიბრინა და იმიტომაც, რომ გავრეგებთ მიყვარდა დედაშენი, ის კი უკვე გათხოვილი იყო...

ა ნ დ რ ე ი. ცოლის შერთვა არც ღირს. არც ღირს იმატომ, რომ ცოლიანობა მისაწყენია.

ჩ ე ბ უ ტ ი კ ი ნ ი. ეს კი ასეა, მაგრამ მარტობა?... მარტობას რას უნაშ! როგორც არ უნდა იფილოსოფოსო, მარტობაა მანაც სამშინელეება, ჩემო კარგო... თუმცა არსებითად... რა თქმა უნდა, ყველაფერი სულ ერთია!

ა ნ დ რ ე ი. ჩქარა წავიდე.

ჩ ე ბ უ ტ ი კ ი ნ ი. რა გეჩქარებთ? მოვასწრებთ.

ა ნ დ რ ე ი. მემშინა, ცოლმა არ შემეჩეროს.

ჩ ე ბ უ ტ ი კ ი ნ ი. პო-ო!

ა ნ დ რ ე ი. დღეს არ ვითამაშებ, ისე ვივადებო. ვერა ვარ რაღაც კარგად. რა ვუშველო, ივან რომანინ, ამ ჩემს ქოშონს?

ჩ ე ბ უ ტ ი კ ი ნ ი. აბა, რას მგითხებთ! არ მასხოს, ჩემო კარგო, არ ვიცი.

ა ნ დ რ ე ი. სამზარეულოდან გავიდე.

რეავენ ზარს, კიდევ რეავენ; ისმის ხმაური, სიცილი, ანდრეი და ჩებუტკინი მიდიან.

ი რ ი ნ ა (შემოღის.) რა ამბავია იქ?

ა ნ ფ ი ს ა. ბერიკები მოვიდნენ.

ისმის ზარის ხმა.

ი რ ი ნ ა. სახლში არაინ არის-თქო, ჩემო გადია. ბოდიში მოგებად.

ანფისა გადის. ირინა დაფიქრებული დაღის ოთახში, ალულებუ-ლია. შემოღის ოცხლინი.

ს ი ლ ე ნ ი. (გაოკებული.) არაინ არის... სად წავიდენენ?

ი რ ი ნ ა. სახლებში.

ს ი ლ ე ნ ი. საკვირველია. მარტო ხართ?

ი რ ი ნ ა. მარტო ვარ.

პ ა უ ზ ა

მშვიდობით.

ს ი ლ ე ნ ი. წელან ცოტა თავშეუკავებლად მოიქეცი. უტაქტოდ. მაგრამ თქვენ სხვებს არ ჰგავხართ, თქვენ სუფთა ხართ და ამაღლებული, თქვენ სიმართლეს ხედავთ... მხოლოდ თქვენ ერთს შეგიძლიათ ჩემი გაგება. მიყვარხართ, მე თქვენ უსახლგროდ, თავდავიწყებით მიყვარხართ...

ი რ ი ნ ა. მშვიდობით! ჯობს, თქვენც წახვიდეთ.

ს ი ლ ე ნ ი. მე უთქვენიოდ სიცოცხლე არ შემიძლია. (მისდევს უკან.) ო ჩემო ნეტარება! (ცრემლმორთული.) ჩემო ბედნიერება! რა შესანიშნავი, რა მშვენიერი, რა გასათვარი თვალები გაქვთ... ასეთი თვალებით მე ჯერ ქალი არ შემხვედრია.

ა რ ი ნ ა. (ცივად.) კმარა, ვასილი ვასილი!

ს ი ლ ე ნ ი. პირველად გელაპარაკებით ჩემს სიყვარულზე და თავი მიწაზე კი არა, სხვა პლანეტაზე მგონია. (შუბლს ისხრებს.) ეჰ, რა თქმა უნდა, თავს ძალად ვერაგის შეაყვარებ... მაგრამ ბედნიერი მეტოქის ყურებას კი ვერ ავიტან, ვერა... გეფიცებით ყველაფერს, რაც კი წმინდა გამაჩნია, რომ ჩემს მეტოქეს აუცილებლად მოვკლავ... ო, რა მწვენიერი ხართ!

ი რ ი ნ ა. ბოიკოს სინივას?
